# მოსაზრებები სირიის არაბული რესპუბლიკიდან გამოქცეულ ადამიანთა საერთაშორისო დაცვის შესახებ

მეხუთე განახლებული გამოცემა

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR)
2017 წლის ნოემბერი
**HCR/PC/SYR/17/01**

# შინაარსი


**I. რეზიუმე ........ 6**

**II. ძირითად მოვლენათა განვითარება სირიაში 2016 წლიდან........ 11**

A. კონფლიქტი და უსაფრთხოების მდგომარეობა. ბოლო პერიოდის პოლიტიკური მოვლენები ........ 11

B. სამოქალაქო მსხვერპლი ........ 22

C. ადამიანის უფლებათა სამართლის და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები ........ 24

*1) სამთავრობო ძალები........ 25*

***2) ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო (ISIS)** ........ 31*

***3) ანტისამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებები, ჯაბჰატ ფატაჰ ალ-შამის ჩათვლით** ........ 34*

***4) სახალხო დაცვის შენაერთები (YPG)** ........ 37*

D. იძულებითი გადაადგილება და დაბრუნება ........ 39

E. ჰუმანიტარული სიტუაცია ........ 45

F. ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობა ........ 53

**III. სირიიდან თავშესაფრის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის საჭიროების შეფასება ........ 55**

A. ლტოლვილთა დაცვა 1951 წლის კონვენციის კრიტერიუმების საფუძველზე და განაცხადების ძირითადი კატეგორიები ........ 55

*1) მთავრობის მოწინააღმდეგე, ან ასეთად მიჩნეული პირები........ 58*

*2) პირები, რომლებიც თავს არიდებენ გაწვევას და შეიარაღებული ძალებიდან დეზერტირებული პირები ........ 67*

*3) მთავრობის მხარდამჭერი, ან ასეთად მიჩნეული პირები ........ 74*

*4) პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ISIS-ს მათ მიერ დე ფაქტო კონტროლირებად ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, ან ასეთებად არიან მიჩნეულნი........ 78*

*5) პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი დე ფაქტო კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთებად არიან მიჩნეული ........ 80*

*6) პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ PYD/YPG-ის ძალებს მათი დე ფაქტო კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ან ასეთებად არიან მიჩნეული ........ 83*

*7) კონკრეტული პროფესიის მქონე პირები........ 88*

*8) რელიგიური და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების წევრები. ........ 93*

*9) პირები, რომლებიც მიიჩნევიან შარიათის კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებად ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე........ 99*

*10) განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები........ 102*

*11) გარკვეული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ გარემოებებში მყოფი ბავშვები ........ 109*

*12) განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები ........ 113*
*13) პალესტინელი ლტოლვილები ........ 116*
B. უფლების დადგენა ლტოლვილის ფართო განსაზღვრების საფუძველზე და/ან დაცვის დამატებითი ფორმები ........ 118
C. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის (IFA/IRA) გამოყენებასთან დაკავშირებული მოსაზრებები ........ 119
D. გამორიცხვის საფუძვლები ........ 120
**IV. მორატორიუმი იძულებით დაბრუნებაზე ........ 121**

# აკრონიმები

| | |
|---|---|
| ABC | ამერიკის სამაუწყებლო კომპანია |
| AFP | ფრანს-პრესის სააგენტო |
| AGPS | სირიის პალესტინელთა ოპერატიული ჯგუფი |
| BBC | ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაცია |
| CAT | გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი |
| CFR | საგარეო ურთიერთობათა საბჭო |
| CPJ | ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი |
| CRC | გაეროს ბავშვის უფლებების დაცვის კომიტეტი |
| DIS | დანიის საიმიგრაციო სამსახური |
| EASO | ევროპის თავშესაფრის მხარდამჭერი ბიურო |
| EU | ევროპის კავშირი |
| EUI | ევროპის საუნივერსიტეტო დაწესებულება |
| FAO | გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია |
| FGM | ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯება |
| FIDH | ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია |
| FSA | თავისუფალი სირიის არმია |
| FTS | ფინანსური კონტროლის სამსახური |
| GCHR | სპარსეთის ყურის ადამიანის უფლებათა ცენტრი |
| GIP | სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ |
| HLP | საცხოვრებელი, მიწა და ქონება |
| HRGJ | ადამიანის უფლებათა და გენდერული სამართლიანობის კლინიკა |
| HRW | ‘ჰუმან რაითს უოჩი’ |
| HTS | ჰაი’ათ ტაჰრირ ალ-შამი |
| ICRC | წჯსკ (წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი) |
| IDMC | იძულებითი შიდა გადაადგილების მონიტორინგის საერთაშორისო ცენტრი |
| IDP | იძულებით გადაადგილებული პირი (იგპ) |
| IFA/IRA | შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა |
| ILGA | ლესბოსელთა, გეების, ბისექსუალთა, ტრანსსექსუალთა და ინტერსექსუალთა (ლგბტი) საერთაშორისო ასოციაცია |
| IRC | მაშველთა საერთაშორისო კომიტეტი |
| ISIS | ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო |
| ISW | ომის კვლევის ინსტიტუტი |
| JAN | ჯაბჰატ ალ-ნუსრა |
| KDP | ქურთთა დემოკრატიული პარტია |

| | |
|---|---|
| KDPS | სირიის ქურთთა დემოკრატიული პარტია |
| KNC | ქურთთა ეროვნული საბჭო |
| LGBT | ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი) |
| NDF | ეროვნული დაცვის ძალები |
| NGO | არასამთავრობო ორგანიზაცია |
| NRC | ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო |
| OAU | აფრიკული ერთობის ორგანიზაცია |
| OCHA | გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ბიურო |
| OHCHR | ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა |
| PHR | ექიმები ადამიანის უფლებებისთვის |
| PKK | ქურთისტანის მუშათა პარტია |
| PYD | დემოკრატიული ერთობის პარტია |
| SARC | სირიის არაბული წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაცია |
| SCPR | სირიის პოლიტიკის კვლევის ცენტრი |
| SDF | სირიის დემოკრატიული ძალები |
| SGBV | სქესსა და გენდერზე დაფუძნებული ძალადობა |
| SNHR | სირიის ადამიანის უფლებათა ქსელი |
| SOHR | სირიის ადამიანის უფლებათა ობსერვატორია |
| UN | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) |
| UNHCR | გაეროს ლტოლვითა უმაღლესი კომისარი |
| UNICEF | გაეროს ბავშვთა ფონდი |
| UNIFEM | გაეროს ქალთა განვითარების ფონდი |
| UNRWA | გაეროს დახმარებისა და შრომის სააგენტო პალესტინელი ლტოლვილებისთვის ახლო აღმოსავლეთში |
| UPI | საერთაშორისო გაერთიანებული პრესა (United Press International) |
| US | შეერთებული შტატები |
| USCIRF | შეერთებული შტატების რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო კომისია |
| VDC | დარღვევათა დოკუმენტირების ცენტრი |
| WFP | მსოფლიოს სასურსათო პროგრამა |
| WHO | ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია |
| WILPF | მშვიდობისა და თავისუფლების ქალთა საერთაშორისო ლიგა |
| YPG | სახალხო დაცვის შენაერთები |
| 3RP | ლტოლვილთა და მედეგობის რეგიონული გეგმა |

# I. რეზიუმე

ეს არის განახლებული დოკუმენტი და იგი ანაცვლებს UNHCR-ის 2015 წლის[1] ნოემბრის მეოთხე განახლებულ გამოცემას დოკუმენტისა 'მოსაზრებები სირიის არაბული რესპუბლიკიდან გამოქცეულ ადამიანთა საერთაშორისო დაცვის შესახებ'. ეს დოკუმენტი ეფუძნება 2017 წლის 30 ოქტომბრისთვის არსებულ ინფორმაციას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, და მისი განახლება მოხდება სირიაში სიტუაციის განვითარების შესაბამისად. თავშესაფრის მაძიებელთა ყველა განაცხადი არსებითად უნდა იქნეს განხილული, სტატუსის დადგენის სამართლიანი და ქმედითი პროცედურების და წარმოშობის ქვეყნის შესახებ განახლებული და აქტუალური ინფორმაციის შესაბამისად. ეს მიდგომა გამოიყენება იმის მიუხედავად, განაცხადების ანალიზი ხდება ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის[2] (შემდგომში, 1951 წლის კონვენცია) და მისი 1967 წლის ოქმის[3] , UNHCR-ის მანდატისა დალტოლვილთა შესახებ რეგიონული დოკუმენტების საფუძველზე, თუ საერთაშორისო დაცვის უფრო ფართო კრიტერიუმების შესაბამისად, დაცვის დამატებითი ფორმების ჩათვლით.

*ლტოლვილთა დაცვა 1951 წლის კონვენციის კრიტერიუმების საფუძველზე და განაცხადების ძირითადი კატეგორიები*

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული და მასშტაბური დარღვევების და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევების შესახებ ფართოდ გავრცელებული ინფორმაციის და ქვეყნის მრავალ კუთხეში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების გათვალისწინებით, **სირიიდან სამოქალაქო პირთა გაქცევას UNHCR-ი კვლავ ახასიათებს, როგორც ლტოლვილთა გადაადგილებას. ამავდროულად, სირიელი თავშესაფრის მაძიებელთა უმეტესობას ჯერ კიდევ სჭირდება საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა, ვინაიდან ისინი აკმაყოფილებენ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლში მოცემული ლტოლვილის განსაზღვრების მოთხოვნებს.** ანალოგიურად, სირიიდან წამოსულმა პალესტინელებმა შეიძლება დააკმაყოფილონ 1D მუხლის მოთხოვნები და მათ *ipso facto* (ფაქტის საფუძველზე, *მთარგმნელის შენიშვნა*) ისარგებლონ 1951 წლის კონვენციიდან გამომდინარე უფლებებით. სირიელები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის მოთხოვნებს, საერთაშორისო დაცვას შეიძლება დაექვემდებარონ ლტოლვილის უფრო ფართო კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც

---

[1] ეს დოკუმენტი ანაცვლებს UNHCR-ის დოკუმენტს 'მოსაზრებები სირიის არაბული რესპუბლიკიდან გამოქცეულ ადამიანთა საერთაშორისო დაცვის შესახებ', *IV* განახლებული გამოცემა, 2015 წლის ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/544e446d4.html.

[2] გაეროს გენერალური ასამბლეა, კონვენცია ლტოლვილის სტატუსის შესახებ, 1951 წლის 28 ივლისი, გაეროს ხელშეკრულებათა სერია, ტ. 189, http://www.refworld.org/docid/3be01b964.html, გვ. 137

[3] გაეროს გენერალური ასამბლეა, ოქმი ლტოლვილის სტატუსის შესახებ, 1967 წლის 31 იანვარი, გაეროს ხელშეკრულებათა სერია, ტ. 606, http://www.refworld.org/docid/3ae6b3ae4.html, გვ. 267

ჩამოყალიბებულია ლტოლვილთა შესახებ რეგიონულ დოკუმენტებში, ან შეიძლება მიენიჭოთ საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმები, სუბსიდიური დაცვის ჩათვლით, ან არ გაძევების პრინციპით სარგებლობის უფლება, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო, ან რეგიონული ნორმებიდან მომდინარეობს.

სირიიდან გამოქცეული მრავალი სამოქალაქო პირისთვის 1951 წლის კონვენციასთან კავშირის დადგენა დამოკიდებული იქნება კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარესთან მათ პირდაპირ ან არაპირდაპირ, რეალურ ან ნავარაუდევ ურთიერთობაზე. სირიის კონფლიქტის დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ კონფლიქტის სხვადასხვა მხარე, ასოციაციურად, პოლიტიკურ მოსაზრებას მიაწერს ადამიანთა დიდ ჯგუფებს, მათ შორის ოჯახებს, ტომებს, რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფებს, ან მთლიან ქალაქებს, სოფლებსა, თუ სამეზობლო უბნებს. ასეთ სიტუაციაში ზიანის მიყენების რისკი სერიოზული და რეალურია. ამ რისკის შემცირებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ კონკრეტული პიროვნება შეიძლება ინდივიდუალურად არ იყოს სამიზნე.

UNHCR-ს კვლავ მიაჩნია, რომ სირიის მოქალაქეებსადა იქ მუდმივად მაცხოვრებლებს, რომლებიც ქვემოთ მითითებული რისკების ჯგუფში ხვდებიან (რისკის მე-3 და მე-8 პროფილების ქვეკატეგორიების გარდა), **შეიძლება ლტოლვილის საერთაშორისო დაცვა დასჭირდეთ**. 2015 წლის ნოემბრის შემდეგ, ანუ, მას შემდეგ რაც სირიის არაბული რესპუბლიკიდან გამოქცეულ ადამიანთა საერთაშორისო დაცვის შესახებ UNHCR-ის მოსაზრებების მეოთხე განახლებული რედაქცია გამოქვეყნდა, სირიის მთავრობამ, მისი მოკავშირეების დახმარებით, ქვეყნის საგულისხმო ნაწილზე აღადგინა კონტროლი. ანალოგიურად, ძირითადად ქურთებით დაკომპლექტებულმა სამხედრო ძალებმა საკუთარი კონტროლი განამტკიცეს ჩრდილოეთ სირიის რეგიონებში. ამის პარალელურად, შემცირდა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების და ISIS-ის სამხედრო შესაძლებლობები და მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მოცულობა.. ამ ფონზე, UNHCR-ი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო პირთა კონკრეტულ ქვეკატეგორიებს, რომლებიც რისკის ორ პროფილს მიეკუთვნებიან (იხ. ქვემოთ, პროფილი 3 და პროფილი 8), შეიძლება სჭირდებოდეთ **ლტოლვილის საერთაშორისო დაცვა,** ამ პირის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

ამ დოკუმენტში მოცემულია აქტუალური და სანდო ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ და სახელმძღვანელო პრინციპები დასაშვებობის შესახებმოცემული რისკის პროფილების მქონე პირთათვის, ასევე, სადაც ეს საჭიროა, მათი ოჯახის წევრებისა და პირებისთვის, რომლებიც სხვა მხრივ არიან მათთან დაკავშირებული:

1. პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული.
2. პირები, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს და შეიარაღებული ძალების დეზერტირები.
3. პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული.

4. პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ერაყისა და ალ-შაიმის ისლამურ სახელმწიფოს (შემდგომში, ISIS) მისი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული.
5. პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი *დე ფაქტო* კონტროლის, ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული.
6. პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ 'PYD/YPG'-ს მათი *დე ფაქტო* კონტროლის, ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული.
7. კონკრეტული პროფესიის მქონე პირები.
8. რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრები.
9. პირები, რომლებიც მიიჩნევიან *შარიათის* კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ, ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე.
10. განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები.
11. განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები.
12. განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები.
13. პალესტინელი ლტოლვილები.

აქ ჩამოთვლილი მახასიათებლები ამომწურავი არ არის და შეიძლება ისინი ურთიერთგადამფარავი იყოს. მახასიათებელთა ჩამონათვალი რაიმე იერარქიას არ ითვალისწინებს. მახასიათებლები ეფუძნება დაწერის მომენტში ხელთ არსებულ ინფორმაციას და ამიტომ, განაცხადი არ უნდა იქნეს მარტივად მიჩნეული უსაფუძვლოდ, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ იგი (მთარგმნელის კომენტარი: განმცხადებელი) ვერ ხვდება აქ ჩამოთვლილ პროფილებს შორის.

საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, ხომ არ განხორციელებულა საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი პირის მიმართ წარსულში დევნა.

საერთაშორისო დაცვის რეჟიმის საფუძველს ქმნის 1951 წლის კონვენცია. 1951 წლის კონვენციის ლტოლვილის სტატუსის კრიტერიუმები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ ინდივიდები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, სათანადოდ იქნენ აღიარებული და დაცული ამ დოკუმენტის საფუძველზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც თავშესაფრის მაძიებელი არ აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციის ლტოლვილის კრიტერიუმებს, მაგალითად, დევნა, რომლის მიმართაც შიში აქვთ, არ არის კონვენციურ საფუძვლებს შორის, ან 1951 წლის კონვენციით განსაზღვრული მოთხოვნები სხვაგვარად არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ მხედველობაში უნდა

იქნეს მიღებული: ლტოლვილის სტატუსის უფრო ფართო კრიტერიუმები, რომლებიც რეგიონულ დოკუმენტებში[4] იქნა ასახული, ან საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმები, მათ შორის სუბსიდიური დაცვა[5] და გაძევების დაუშვებლობის პრინციპი, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო და რეგიონული ნორმებიდან[6] მომდინარეობს.

*შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა (IFA/IRA)*

სირიაში გაბატონებული პირობების ფონზე, კერძოდ, მრავალი და რთული კონფლიქტების, უსაფრთხოების ცვალებადი სიტუაციის, ადამიანის უფლებათა დარღვევების მაღალი დონის შესახებ გარცელებული ინფორმაციის და ასევე, სხვადასხვა წარმოშობის მქონე პირთა მიმართ ღრმად დამკვიდრებული ეჭვების გამო, UNHCR-ს გონივრულად არ მიაჩნია, რომ სახელმწიფოებმა უარი უთხრან სირიიდან წამოსულ ადამიანებს საერთაშორისო დაცვაზე შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის საფუძველზე (IFA/IRA). მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კავშირი 1951 წლის კონვენციის რომელიმე საფუძველთან, რელევანტურობის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი შეთავაზებულ ტერიტორიაზე სერიოზული ზიანის ახალ რისკს დაექვემდებარება, იქნება ეს სიცოცხლის, უსაფრთხოების, თავისუფლების, ან ჯანმრთელობის მიმართ სერიოზული რისკი თუ სერიოზული დისკრიმინაციის რაიმე ფორმაგადასახლების .[7] გამონაკლის შემთხვევებშიც კი, როდესაც დაკმაყოფილებულია რელევანტურობის მოთხოვნა, გონივრულობის მოთხოვნა ბარიერს უქმნის IFA/IRA-ის გამოყენებას იმ განსაკუთრებული სირთულეების გამო, რაც სირიელების თავის გადარჩენას

---

[4] ლტოლვილის რეგიონული კრიტერიუმებისთვის იხ. აფრიკის კავშირის ორგანიზაცია (OAU), *ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების მარეგულირებელი კონვენცია (*OAU კონვენცია*)*, 1969 წლის 10 სექტემბერი, 1001 U.N.T.S. 45, http://www.refworld.org/docid/3ae6b36018.html; ლტოლვილთა შესახებ რეგიონული დოკუმენტები და ლტოლვილთა შესახებ კართაგენის დეკლარაცია, 1984 წლის 22 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/3ae6b36ec.html; აზია-აფრიკის იურიდიული საკონსულტაციო ორგანიზაცია (AALCO), ბანგკოკის პრინციპები ლტოლვილთა სტატუსისა და მათ მიმართ მოპყრობის შესახებ (ბანგკოკის პრინციპები), 1966 წლის 31 დეკემბერი, 1966, http://www.refworld.org/docid/3de5f2d52.html

[5] სუბსიდიური დაცვის შესახებ იხ. ევროპის კავშირი, ევროპის პარლამენტის 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა *2011/95/EU მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის განსაზღვრის სტანდარტები - საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარად აღიარებისთვის, ლტოლვილთა ერთიანი სტატუსის დადგენის, ან სუბსიდიური დაცვის განსაზღვრისთვის და მინიჭებული დაცვის შინაარსის დადგენის შესახებ (გადამუშავებული)*, 2011 წლის 20 დეკემბერი, OJ L. 337/9-337/26; 20.12.2011, 2011/95/EU, http://www.refworld.org/docid/4f197df02.html

[6] როგორიცაა: გაეროს გენერალური ასამბლეა, კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის შესახებ, 1984 წლის 10 დეკემბერი, ხელშეკრულებათა სერია, ტ. 1465, http://www.refworld.org/docid/3ae6b3a94.html, გვ. 85; გაეროს გენერალური ასამბლეა, *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ* , 1966 წლის 16 დეკემბერი, გაერო, ხელშეკრულებათა სერია, ტ. 999, გვ. 171, http://www.refworld.org/docid/3ae6b3aa0.html; ევროპის საბჭო, კონვენცია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ, შესწორებული მე-11 და მე-14 ოქმებით, 1950 წლის 4 ნოემბერი, ETS 5, http://www.refworld.org/docid/3ae6b3b04.html

[7] UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ *No. 4: „შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა“ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებული 1967 წლის ოქმის კონტექსტში,* 2003 წლის 23 ივლისი, HCR/GIP/03/04, http://www.refworld.org/docid/3f2791a44.html პარ. 20.

უკავშირდება: მასშტაბური და მძიმე ჰუმანიტარული კრიზისი, სახლების და ძირითადი ინფრასტრუქტურის მასიური ნგრევა და ფართომასშტაბური შიდა გადაადგილება, ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის სირია, სადაც იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა 6,3 მილიონზე მეტს აღწევს.

*მოსაზრებები გამორიცხვის შესახებ*

სირიაში ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების ფონზე, კერძოდ, 2011 წლის მარტში კონფლიქტის დაწყების მომენტიდან, სამოქალაქო პირებზე და დაცულ ობიექტებზე უკანონო თავდასხმების, მკვლელობების, გასამართლების გარეშე სიკვდილით დასჯის, წამების და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების, გატაცების, მძევლად აყვანის, გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების, იძულებითი გადაადგილების და ბავშვთა ექსპლუატაციის შემთხვევათა შესახებ გავრცელებული ინფორმაციის ჩათვლით, შეიძლება წარმოიშვას სირიიდან გამოქცეული თავშესაფრის მაძიებელთა ინდივიდუალურ განაცხადებში 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის საფუძველზე გამორიცხვის საკითხი.

*მორატორიუმი იძულებით დაბრუნებაზე*

დაბოლოს, ვინაიდან, არსებული ინფორმაციის თანახმად, სირიის ყველა კუთხე პირდაპირ თუ არაპირდაპირ არის ერთი, ან რამდენიმე კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ, UNHCR-ი მოუწოდებს სახელმწიფოებს იძულებით არ დააბრუნონ სირიელი მოქალაქეები და იქ მუდმივად მცხოვრები პირები, ადრე სირიაში მცხოვრები პალესტინელების ჩათვლით.

# II. ძირითად მოვლენათა განვითარება სირიაში 2016 წლიდან

## A. კონფლიქტი და უსაფრთხოების მდგომარეობა. ბოლო პერიოდის პოლიტიკური მოვლენები

მიუხედავად იმ ძალისხმევისა, რომელიც დეესკალაციის ხელშეკრულებების საფუძველზე[8] ძალადობის შემცირებისკენ იყო მიმართული, სირიის თითქმის ყველა კუთხეში ძალადობა მძვინვარებს. სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტებს შორისნაწილობრივ ერთმანეთის გადამფარავი კონფლიქტებიმიმდინარეობს , რომელშიც სულ უფრო მეტი რეგიონული, თუ საერთაშორისო სუბიექტი ერთვება.[9] არსებული მონაცემების შესაბამისად, ქვეყანა სერიოზულადაა დაყოფილი კონფლიქტის მონაწილეთა შორის. ქვეყნის სხვადასხა კუთხეში ფაქტობრივ კონტროლსა და ზემოქმედებას ახორციელებენ: სირიის სამთავრობო ძალები,[10] „ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფოს" ჯგუფი

---

[8] იხ. ქვემოთ, გვ. 11-13

[9] "(…) *მიმდინარე შეტაკებები, განსაკუთრებით, სამხედრო ოპერაციები ISIL-ის გამაგრებების წინააღმდეგ სირიის არაბთა რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში, კვლავ იწვევს სამოქალაქო მოსახლეობის დაღუპვასა და გადაადგილებას და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნგრევას. ჩრდილო-აღმოსავლეთში ISIL-ის საწინააღმდეგო ოპერაციებთან ერთად, ბრძოლები და შეტაკებები (მათ შორის, საჰაერო და საარტილერიო დაბომბვები და სნაიპერთა შეტევები) გრძელდება სამთავრობო/მთავრობის მხარდამჭერ ძალებსა და არასახელმწიფო შეიარაღებულ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის - დარას, ქუნაიტირაჰის, რიფ დიმაშქის, დამასკოს, ალეპოს, იდლიბის, ლადჰიქიაჰის, ჰომსის და ჯამას პროვინციებში. შეტაკებები სირიის დემოკრატიულ ძალებსა* [SDF] *და არასამთავრობო შეიარაღებულ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის ასევე დაფიქსირდა ალეპოს პროვინციაში";* გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება, 2017 წლის 21 სექტემბერი,* S/2017/794, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 4. „სირია დღეისათვის შეიარაღებულ კონფლიქტთა მთელ წყებაში არის ჩართული. პირველი: სირიის მთავრობა ჩართულია რამდენიმე არა-საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში - აჯანყებულთა სხვადასხვა ჯგუფების წინააღმდეგ. მეორე: არსებობს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი (სტატუსი სადავოა) სირიასა და აშშ-ის ხელმძღვანელობით საერთაშორისო კოალიციასა და თურქეთს შორის. დაბოლოს, სირიის ტერიტორიის ნაწილი, გოლანის მაღლობები, ისრაელის მიერ არის ოკუპირებული"; ჟენევის აკადემია/ RULAC, სირია, ბოლო განახლება მოხდა 2017 წლის 12 სექტემბერს, http://bit.ly/2eKf6Ld. „ასტანის დეესკალაციის შეთანხმებამ ძალადობის გარკვეული შემცირება გამოიწვია, მაგრამ სირიის კონფლიქტი კვლავ საკმაოდ ფრაგმენტირებულია, რადგან ის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული დინამიკით ვითარდება. იმ დროს როცა, გარეშე აქტორთა ინტენსიური ჩარევა მშვიდობის ლოკალურ შესაძლებლობებს იძლევა ამავდროულად, ეს უთანხმოების მიზეზიც ხდება, ვინაიდან ამ აქტორებს დიამეტრულად განსხვავებული ამოცანები აქვთ"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო,_A/HRC/36/55, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html (შემდგომში: გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html), პარ. 17. იხ. აგრეთვე, საგარეო ურთიერთობათა საბჭო (CFR), *Global Conflict Tracker,* ბოლოს განახლდა 2017 წლის 26 ოქტომბერს, http://on.cfr.org/2uZqvhD; ალ-ჯაზირა, *სირიის სამოქალაქო ომის აღწერა მისი დაწყების დღიდან,* 2017 წლის 1 ოქტომბერი, http://bit.ly/2ackIuB.

[10] ტერმინი „სამთავრობო ძალები", თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, მოიცავს სირიის შეიარაღებულ ძალებსა და უშიშროებისა და დაზვერვის უწყებებს, ასევე, მთელ რიგ შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც მთავრობას უჭერენ მხარს, მათ შორის არის ეროვნული თავდაცვის ძალები (NDF), სახალხო კომიტეტები, და „შაბიჰა" (ეს ტერმინი, რომელიც არაერთგვაროვნად გამოიყენება, 'პრო-სამთავრობო' ძალების ამსახველი ქოლგა-ტერმინია), ასევე, რუსეთის ძალებისთვის, უცხოური პრო-სამთავრობო ჯგუფებისთვის, როგორიცაა ჰეზბოლა და ერაყი, და სხვა შიიტური მილიციისთვის. იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა (OHCHR), სირია: ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის სექტემბერი, 2017 წლის 6 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/59db24594.html, გვ. 3; CFR, ვინ არის ვინ სირიის სამოქალაქო

(შემდგომში, ISIS)[11], ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები[12] და ქურთთა მიერ დომინირებული სახალხო დაცვის შენაერთები (YPG)/სირიის დემოკრატიული

---

ომში? ბოლო განახლება - 2017 წლის 28 აპრილი, http://on.cfr.org/2tkoEBO; Los Angeles Times, ვინ აკონტროლებს სირიას?, 2017 წლის 7 აპრილი, http://fw.to/8yWwwtU

[11] 'ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო' (ISIS) (არაბულად: *Ad-Dawlah Al-ʾIslāmiyyah fi Al Iraq wa Al-Sham*), ცნობილია ასევე შემდეგი სახელწოდებით 'ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო' (ISIL) და თავი გამოაცხადა 'ისლამურ სახელმწიფოდ' (IS). გაეროს უშიშროების საბჭოს 2170 (2014) რეზოლუციით ISIS-ი ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადდა; UNSC, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია *2170 (2014) [on Threats to International Peace and Security Caused by Terrorist Acts by Al-Qaida]*, 2014 წლის 15 აგვისტო, S/RES/2170 (2014), http://www.refworld.org/docid/53f729b84.html. იხ. აგრეთვე, RAND Corporation, *ისლამური სახელმწიფო (ტერორისტული ორგანიზაცია),* ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს, http://bit.ly/2y190wV; სტანფორდის უნივერსიტეტი, მებრძოლი ორგანიზაციების სქემა: ისლამური სახელმწიფო, ბოლო განახლება - 2017 წლის 23 ოქტომბერს, , http://stanford.io/2vUZ9cm.

12 "ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები" ნიშნავს არასახელისუფლებო შეიარაღებულ ჯგუფებს და ალიანსებს, რომელთა უპირველესი მიზანი ძალადობრივი გზით სირიის მთავრობის ჩამოგდებაა. მათ შორის არიან, *inter alia*,:

- **ჯაბჰატ ფატა ალ-შამი.** ჯიჰადისტ-სალაფისტთა ჯგუფი ჯაბჰატ ფატა ალ-შამი (2016 წლის ივლისამდე ცნობილი იყო სახელწოდებით 'ჯაბჰატ ალ-ნუსრა/' JAN), კვლავ საყოველთაოდ მიჩნეულია ალ-ქაიდასთან დაკავშირებულ ჯგუფად, მიუხედავად იმისა, რომ იგი 2016 წელს აშკარად გაემიჯნა თავის მშობელ ორგანიზაციას. 2017 წლის იანვრის ბოლოს ჯაბჰატ ფატა ალ-შამი გაერთიანდა ოთხ სხვა ისლამურ ორგანიზაციასთან (ჰარაკატ ნირ ალ-დინ ალ-ძინკთან, ლივა ალ-ჰაქთან, ლოვა ანსარ ალ-დინთან და ჯეიშ ალ-სუნაჰთან), რათა შეექმნათ ტაჰრირ ალ-შამის ჰაიათი (HTS). ჯაბჰატ ალ-შამი ძირითად ოპერაციებს ახორციელებს სხვა ანტისამთავრობო ჯგუფებთან ერთად, იდეოლოგიური და პოლიტიკური უთანხმოებების მიუხედავად. იგი ასევე იყო აშშ საჰაერო თავდასხმების სამიზნე; სტანფორდის უნივერსიტეტი, მებრძოლი ორგანიზაციების სქემა: ტაჰრირ ალ-შამის ჰაიათი (ყოფილი ჯაბჰატ ალ-ნუსრა), 2017 წლის 14 აგვისტო, http://stanford.io/23KQZvx; ვილსონის ცენტრი, *ალ-ქაიდას ბოლო რებრენდინგი: ტაჰრირ ალ-შამის ჰაიათი, 2017 წლის 24 აპრილი,* https://shar.es/1VDz95. ჯაბჰატ ფატა ალ-შამი კვლავ მიიჩნევა ტერორისტულ ორგანიზაციად, როგორც იგი განსაზღვრულია უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 2170 (2014); გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები სირიის არაბულ რესპუბლიკაში, 21 ივლისი 2016 – 28 თებერვალი 2017,* 2017 წლის 10 მარტი, http://www.refworld.org/docidb/58c80d884.html (შემდგომში: გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები, 21 ივლისი 2016 – 28 თებერვალი 2017,* 2017 წლის 10 მარტი, http://www.refworld.org/docid/58c80d884.html), სქოლიო 14.
- **აჰრარ ალ-შამი.** 2017 წლის იანვარი, სალაფისტთა შეიარაღებული ჯგუფების კოალიცია. აჰრარ ალ-შამის ზოგიერთმა ლიდერმა/წევრმა, როგორც იუწყებიან, 2017 წლის იანვარში დატოვა ალიანსი და HTS-ს შეუერთდა; იხ. სამიზნე; სტანფორდის უნივერსიტეტი, მებრძოლი ორგანიზაციების სქემა: აჰრარ ალ-შამი, განახლებულია 2017 წლის 5 აგვისტოს, http://stanford.io/1mTGww8; Reuters, *ჯიჰადისტთა თავდასხმის პირისპირ, სირიელი აჯანყებულები უფრო დიდ ფრაქციას უერთდებიან, 2017 წლის 26 იანვარი,*http://reut.rs/2jUhGwC.
- **ჯეიშ ალ-ისლამი,** ისლამისტთა და სალაფისტთა შენაერთების კოალიცია, რომლებიც სირიის მთავრობას ებრძვიან; იხ. სტანფორდის უნივერსიტეტი, მებრძოლი ორგანიზაციების სქემა: ჯეიშ ალ-ისლამი, განახლებულია 2017 წლის 31 აგვისტოს, http://stanford.io/2fnlin6.
- სირიის თავისუფალი არმიის დივიზიები (FSA), ათობით შეიარაღებული ჯგუფების თავისუფალი კოალიცია, რომლის საერთო ამოცანა არის პრეზიდენტ ალ-ასადის გადაგდება; იხ. მაგალითად, ბრუკინგსი, *სირიის თავისუფალი არმია: დეცენტრალიზებულ მეამბოხეთა ბრენდი,* 2016 წლის ნოემბერი, http://brook.gs/2fadx48.

სხვადასხვა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. ალ ჯაზირა, *ვინ არიან სირიის ოპოზიციის ალიანსები?, 2017 წლის 10 ოქტომბერი,* , http://aje.io/6trx9; ბელინგქეთი, *სირიის სამოქალაქო ომში მებრძოლი დაჯგუფებები,* 2017 წლის 29 აპრილი, http://bit.ly/2vwBygK; CFR, *ვინ ვინ არის სირიის სამოქალაქო ომში,* ბოლო განახლება 2017 წლის 28 აპრილი, http://on.cfr.org/2tkoEBO.

ძალები (SDF)[13] .[14] სირიის კონფლიქტი ხასიათდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მძიმე დარღვევებით კონფლიქტში, მასში ჩართული ყველა მონაწილის მხრიდან.[15]

ბრძოლების ინტენსიობა რეგიონების მიხედვით იცვლება, რაც დამოკიდებულია ჩართულ სუბიექტებზე, მათ სტრატეგიულ ამოცანებზე და ლოკალური და უფრო მოცულობითი კონფლიქტის დინამიკაზე. დოკუმენტის ამ სექციის დარჩენილ ნაწილში მიმოხილულია კონფლიქტის მხარეები და კონფლიქტის განვითარების ძირითადი მოვლენები 2016 წლიდან.

2016-2017 წლებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სირიის სამთავრობო ძალებმა 2016 წლის დეკემბერში ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებისა და ISIS-ისგან გაანთავისუფლეს ქვეყნის მნიშვნელოვანი ტერიტორია, მათ შორის, სირიის უდიდესი ქალაქი ალეპო, ხოლო 2017 წლის სექტემბერში ISIS-ის სამწლიანი ალყისგან იხსნეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი დეირ ეზ-ზური.[16] ამ დოკუმენტზე

---

[13] სირიის დემოკრატიული ძალები (SDF) არის ალიანსი, რომელშიც შედიან სახალხო დაცვის შენაერთები (YPG), დემოკრატიული კავშირის პარტიის შეიარაღებული ფრთა (PYD), რომელიც ძირითადი პოლიტიკური ძალა გახდა ქურთებით დასახლებულ ტერიტორიებზე, მას შემდეგ რაც 2012 წელს აქედან გაიყვანეს სამთავრობო ძალები, ასევე არაბთა ტომები, ასირიელთა მილიცია და FSA-სთან დაკავშირებული ფრაქციები. მოხსენებების შესაბამისად, YPG წამყვან როლს ასრულებს SDF-ის ოპერაციებში. თურქეთი YPG-ს ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს, რადგან, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას კავშირი აქვს ქურთთა მუშათა პარტიასთან (PKK). SDF-ი ძირითადად იბრძვის ISIS-ის წინააღმდეგ, საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერით; Los Angeles Times, *სირიაში მებრძოლი ყველა ჯგუფისაგან გაკვირვებული?* 2017 წლის 23 ივლისი, http://fw.to/2NJBdrG; CFR, ვინ ვინ არის სირიის სამოქალაქო ომში, *ბოლო განახლება - 2017 წლის 28 აპრილი,* http://on.cfr.org/2rk7vYe; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები, 2017 წლის 21 ივლისი-28 თებერვალი, 2017 წლის 10 მარტი, http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, სქოლიო 16; ომის კვლევის ინსტიტუტი (ISW), *გზა არ-რაქისკენ: სირიის დემოკრატიული ძალების შესახებ, 2016 წლის 22 ნოემბერი,* http://bit.ly/2nBOvlQ; Syria Deeply, სირიის დემოკრატიული ძალების წარმოშობის შესახებ: პრაიმერი, 2016 წლის 22 იანვარი, http://bit.ly/2kQxm3c

[14] კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიების რუქები იხ. ალ ჯაზირა, სირიის სამოქალაქო ომის რუკა, 2017 წლის 29 ოქტომბერი, http://aje.io/zk7f; ISW, *მოხსენება სირიაში სიტუაციის შესახებ: 2017 წლის 10-24 ოქტომბერი,* 2017 წლის 26 ოქტომბერი, http://bit.ly/2xtRUFB; BBC, *ისლამური სახელმწიფო და კრიზისი ერაყსა და სირიაში - გამოსახული რუკაზე,* 2017 წლის 21 ოქტომბერი, http://bbc.in/1nbXXmb.

[15] "ისევე როგორც წარსულში, სამოქალაქო მსხვერპლის არსებობა მყარად მიუთითებს, რომ ხდება განურჩეველი თავდასხმების აკრძალვისა და პროპორციულობისა და სიფრთხილის პრინციპების დარღვევები. (...) *OHCHR-ის მიერ დოკუმენტირებულია, რომ ინციდენტები ხდება კონფლიქტის თითქმის ყველა მხარის მიერ, სამთავრობო ძალებისა და მათი მოკავშირეების ჩათვლით, ასევე არასახელისუფლებო შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების და უშიშროების საბჭოს მიერ ტერორისტებად გამოცხადებული შენაერთების მიერ";* გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება, 2017 წლის 21 სექტემბერი,* S /2017/794, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 15, 16. იხ. აგრეთვე ქვემოთ: „ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები" (განყოფილება II.C) და მითითებული ლიტერატურა.

[16] Reuters, *სირიის არმიამ ისლამისტური სახელმწიფოს პოზიციები დაიკავა, ბოლო სიმაგრე, 2017 წლის 26 ოქტომბერი,* https://reut.rs/2z8SfSf; Financial Times, *სირიის სამთავრობო ძალებს მეიადინის კვლავ ხელში აღება სურთ, 2017 წლის 14 ოქტომბერი,* http://on.ft.com/2yKpUSr; Agence France-Presse (AFP), *სირიის არმიამ ISIS-ი ჰამას მთელი პროვინციიდან განდევნა, 2017 წლის 4 ოქტომბერი,* http://bit.ly/2xj58Ut; The Washington Post, *სირიის არმიამ თითქმის ალყაში მოაქცია IS-ი ისტერნ სიტიში, 2017 წლის 27 სექტემბერი,* http://wapo.st/2y1XHot; Voice of America, სირიის არმიამ პოზიციები დაიკავა იორდანიის საზღვართან, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში, 2017 წლის 10 აგვისტო, http://bit.ly/2hNj6LV; ალ-ჯაზირა, სირიის *ISIL-ის ხელში მყოფი ქალაქი ალ-სუხნა აიღო ჰომსის*

მუშაობის დროს, უმრავლეს ურბანულ ცენტრს სამთავრობო ძალები აკონტროლებენ, მათ შორის, დამასკოს -დედაქალაქს, და მისი შემოგარენის დიდ ნაწილს, ალეპოს, ჰომსს, ჰამაზს, ქალაქ დერას ნაწილს, ლიბანის საზღვრისპირა ტერიტორიების დიდ ნაწილს, ასევე, სანაპირო რეგიონს, ლატაკიასა და ტარტუს პროვინციების ჩათვლით.[17]

არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ი სულ უფრო მეტი წნეხის ქვეშ არის ადგილობრივი და საერთაშორისო სუბიექტების მოქმედების შედეგად. მან დაკარგა კონტროლი მნიშვნელოვან ტერიტორიებზე, მათ შორის: სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე და მომმარაგებელი არხების დიდ ნაწილზე, ძირითადად ალეპოს, დეირ ეზ-ზურის და რაქას პროვინციებში, ასევე ჰომსისა და ჰამას სოფლებში და სირია-ლიბანის საზღვრის გასწვრივ.[18] 2016 წლის ნოემბრიდან SDF-მა თანდათანობით წინ წაიწია რაქასკენ, რომელიც 2014 წლიდან ISIS-ის თვითგამოცხადებული დედაქალაქია. 2017 წლის 20 ოქტომბერს SDF-მა გააკეთა განცხადება 'რაქას სრული განთავისუფლების' შესახებ.[19] ამ დოკუმენტზე მუშაობის დროს, ISIS-ი, მისი მხარდამჭერი ხალედ ბინ ალ-ვალედის არმიისმეშვეობით, კონტროლს ინარჩუნებს ქალაქ ალბუ ქამალზე (დეირ ეზ-ზურის პროვინცია) და დიდ დაუსახლებელ

---

*პროვინციაში, 2017 წლის 6 აგვისტო,* http://aje.io/dr4mq; Reuters, *სირიის ჯარი სულ უფრო მეტ ნავთობის საბადოებს ართმევს ისლამურ სახელმწიფოს რაქასა და აღმოსავლეთ უდაბნოში, 2017 წლის 15 ივლისი,* http://reut.rs/2v4wSwu; ალ-მონიტორი, სირიის რეჟიმმა *IS-ის ბოლო ბასტიონი გაწმინდა ალეპოს პროვინციაში, 2017 წლის 9 ივნისი,* http://almon.co/2vjp; BBC, სირიის კონფლიქტი: მთავრობამ სრულად აღადგინა კონტროლი ჰომსზე, 2017 წლის 22 მაისი, http://bbc.in/2r9zLxd; USA Today, სირიის ძალებმა დაიბრუნეს რომაული ეპოქის ქალაქი პალმირა, 2017 წლის 2 მარტი, http://usat.ly/2mwOy2E; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 2 თებერვალი, A/HRC/34/64, http://www.refworld.org/docid/58b827094.html (შემდგომში: გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო: მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 2 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b827094.html)

[17] Al Jazeera, სირიის სამოქალაქო ომის ახსნა დაწყების დღიდან, 2017 წლის 1 ოქტომბერი, http://bit.ly/2ackIuB. იხ. აგრეთვე, ტერიტორიათა კონტროლის რუქები, სქოლიო 14.

[18] AFP, *სირიის არმიამ ISIS-ი ჰამას მთელი პროვინციიდან განდევნა, 2017 წლის 4 ოქტომბერი,* http://bit.ly/2xj58Ut; AFP ძალებმა, რომლებსაც აშშ უჭერს მხარს, სირიის რაქას 90 პროცენტი გაათავისუფლა *ISIS*-ისგან, 2017 წლის 20 სექტემბერი, http://bit.ly/2z1Yp5U; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 21 სექტემბერი, S /2017/794, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 4, 6, 9, 13; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა ჟენევის აკადემია, არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი სირიაში, ბოლო განახლება - 2017 წლის 26 ოქტომბერი, http://bit.ly/2wNUIwn; USA Today, *ISIS-ის დანაკარგები ასადის შესაძლებლობებს ზრდის დაიბრუნოს კონტროლი, 2017 წლის 7 სექტემბერი,* https://usat.ly/2eOOA3G; Al Jazeera, *ISIL-ზე თავდასხმა ლიბანისა* და სირიის საზღვარზე, 2017 წლის 19 აგვისტო, http://aje.io/d2pgl; Al Jazeera, სირიის არმიამ აიღო *ISIL-ის კონტროლირებული ქალაქი ალ-სუხნა ჰომსის პროვინციაში, 2017 წლის 6 აგვისტო,* http://aje.io/dr4mq. იხ. აგრეთვე ტერიტორიათა კონტროლის რუქები, სქოლიო 14.

[19] ამ დოკუმენტზე მუშაობის დროს, ნათელი არ იყო, როგორ უნდა მომხდარიყო ქალაქის მართვა, რომელიც სამხედრო ოპერაციების შემდეგ ძირითადად განადგურებული იყო და მოსახლეობა იქ ფაქტობრივად აღარ იმყოფებოდა; ალ-ჯაზირა, *რა მოხდება რაქაში ISIL-ის შემდეგ?* 2017 წლის 17 ოქტომბერი, http://aje.io/m9trr. იხ. აგრეთვე, CNN, რაქა: *SDF-მა ISIS-ის გამაგრებული პოზიციების „ტოტალური განთავისუფლება" ('Total Liberation') გამოაცხადა,* 2017 წლის 20 ოქტომბერი, http://cnn.it/2ioxc7i; The New York Times, *რაქა, ISIS-ის „დედაქალაქი" - აღებულია, აცხადებენ აშშ-ის მხარდაჭერით მოქმედი ძალები,* 2017 წლის 17 ოქტომბერი, https://nyti.ms/2kVz7AV; http://bbc.in/2ytdqvg; Reuters, *სირიის მილიციის მიზანია ისლამის სახელმწიფოს განდევნა რაქადან ერთი თვის განმავლობაში,* 2017 წლის 25 სექტემბერი, , https://reut.rs/2xqnuXS; Reuters, *სირიის ალიანსი, რომელსაც აშშ უჭერს მხარს, აცხადებს, რომ მოხდა შეტევა ისლამურ სახელმწიფოზე რაქაში,* 2016 წლის 6 ნოემბერი, http://reut.rs/2fueZP4.

ტერიტორიაზე ევფრატის ხეობის გასწვრივ, ქალაქ დეირ ეზ-ზურისა და სირია-ერაყის საზღვარს შორის, ასევე, ჰომსის პროვინციის გარკვეულ ტერიტორიებზე, იარმუკში (დამასკოს პროვინცია) და სირიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილზე.[20]

ამ დოკუმენტზე მუშაობის მომენტში, განსხვავებული იდეოლოგიისა და პოლიტიკური შეხედულების მქონე რამდენიმე ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფი, რომლებიც ხშირად იცვლიდნენ ალიანსებსა და კოალიციებს,[21] კვლავ ოპერირებდა იდლიბის პროვინციაში, ალეპოს პროვინციის ზოგიერთ სოფელში, ჰომსისა და ჰამას პროვინციებში, დერაასა და ქუნტეიტრას სამხრეთის რაიონებში, ასევე, დამასკოს პროვინციის სოფლებში.[22] 2016 წლის აგვისტოდან, „ევფრატის ფარის" ოპერაციის დაწყების შემდეგ, თურქეთის და სირიის ანტისამთავრობო შეიარაღებულმა ძალებმა, სირიის ჩრდილოეთში, ISIS-ის *დე ფაქტო* კონტროლისაგან გაანთავისუფლეს ჯარაბლუსა და აზაზს შორის მდებარე ტერიტორია.[23] მთავრობისა და ISIS-ის ძალებთან ბრძოლასთან ერთად, დაპირისპირებული შეიარაღებული ჯგუფები გამუდმებით იბრძოდნენ ძალაუფლების, ტერიტორიებისა და პოლიტიკურ-იდეოლოგიური უთანხმოებების გამო.[24] 2017 წლის ივლისში, სიტუაციის გამწვავების

---

[20] Reuters, *სირიის ჯარი იკავებს ისლამური სახელმწიფოს პოზიციებს, ბოლო სიმაგრე,* 2017 წლის 26 ოქტომბერი, https://reut.rs/2z8SfSf; Syria Direct, *რატომ მართავს ასე წყნარად ისლამური სახელმწიფოს მოკავშირე სირიის სამხრეთ რაიონს?* 2017 წლის 28 სექტემბერი, , http://bit.ly/2z0SD23; The Guardian, *ISIS-ის მებრძოლები, რომლებიც უკან იხევენ, „ბოლო წინააღმდეგობისთვის" ემზადებიან სირიაში,* 2017 წლის 8 სექტემბერი, http://bit.ly/2jci8cH; The Independent, *ISIS-თან დაკავშირებულმა მებრძოლებმა გასაოცარი შეტევით სირიის ტერიტორია დაიკავეს ისრაელის საზღვართან,* 2017 წლის 21 თებერვალი, http://ind.pn/2kUNVe7.

[21] "სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფები იბრძვიან მთავრობისა და ისლამური სახელმწიფოს ჯგუფის წინააღმდეგ, ისინი ძირითადად ადგილობრივ დონეზე მოქმედებენ და მიეკუთვნებიან ფართო ალიანსების ცვალებად ქსელს, ან კოალიციებს, რომლებიც მთელ სირიაში არის გაბნეული"; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა ჟენევის აკადემია, *არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი სირიაში,* ბოლო განახლება - 2017 წლის 26 ოქტომბერი, http://bit.ly/2wNUIwn. იხ. აგრეთვე ზემოთ, სქოლიო 12.

[22] იხ. აგრეთვე ტერიტორიათა კონტროლის რუკები, სქოლიო **Error! Bookmark not defined.**.

[23] 2016 წლის 24 აგვისტოს, თურქეთმა წერილით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს (S/2016/739), სადაც მიუთითებდა გაეროს წესდების 51-ე მუხლზე და პრეზიდენტს აცნობებდა, რომ „თურქეთმა დაიწყო სამხედრო ოპერაცია 2016 წლის აგვისტოს გამთენიისას" სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელსაც ISIS-ი აკონტროლებს; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, სქოლიო 3. იხ. აგრეთვე, ალ-მონიტორი, '*Border Crossings Bring in Cash for Free Syrian Army Factions*', 2017 წლის 28 სექტემბერი, http://almon.co/2xfk; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა ჟენევის აკადემია, *სირიის სამხედრო ოკუპაცია თურქეთის მიერ,* ბოლო განახლება - 2017 წლის 20 ოქტომბერი, http://bit.ly/2uM7qtW

[24] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 13; IRIN, *იდლიბის თავზე შავი დროშები ფრიალებს: ჯიჰადის ძალაუფლება სირიის ჩრდილო-დასავლეთში,* 2017 წლის 9 აგვისტო, http://bit.ly/2vRZDjj; Syria Deeply, ალყაშემორტყმულ აღმოსავლეთ გუტაში მეამბოხეთა ბრძოლების შედეგად სამოქალაქო მოსახლეობის ზიანი იზრდება, *2017 წლის 1 აგვისტო,* http://bit.ly/2yNsEva; Chatham House, რატომ ვერ გაუწია წინააღმდეგობა აჰრარ ალ-შამმა *HTS-ის შემოტევებს იდლიბში?,* 2017 წლის აგვისტო, http://bit.ly/2fL7JDQ; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 9; Al Jazeera, *იდლიბის მეამბოხეთა შორის განხეთქილებაა: სირიის ოპოზიციის გზაგასაყარი, 2017 წლის 2 თებერვალი,* http://aje.io/lst6; ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის ინსტიტუტი, *სირიელ მეამბოხეთა სტატუსი: რაოდენობა, იდეოლოგია და პერსპექტივა,* Policy Watch 2727, 2016 წლის 22 ნოემბერი, http://washin.st/2mDWboA;

შედეგად, შეიარაღებული შეტაკებები დაიწყო ყველაზე ძლიერ ორ ანტისამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებას - არჰარ ალ-შამსა და ტაჰრირ ალ-შამის ჰაიატს (HTS) შორის, რომელიც ალქაიდასთან დაკავშირებული ალიანსია, სადაც ჯაბჰატ ფატა ალ-შამი დომინირებს. მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა, ქალაქი იდლიბი და თურქეთის საზღვართან მდებარე ბაბ ალ-ჰავას სასაზღვრო პოსტი დატოვა, HTS-მა კიდევ უფრო გაამყარა მისი პოზიციები იდლიბის პროვინციის დიდ ნაწილზე და მის გარშემო ტერიტორიაზე, რომელსაც ოპოზიცია აკონტროლებდა.[25]

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, YPG-მა კონტროლი განამტკიცა ქურთთა მიერ *დე ფაქტო* თვით-რეგულირებად ტერიტორიებზე სირია-თურქეთის საზღვრის გასწვრივ, კერძოდ, ჰასაკეს, კობანეს (აინ ალ-არაბი) და აფრინის „კანტონებზე“. SDF-ის ქოლგის ქვეშ მან ასევე დაიკავა მანამდე ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიები, მათ შორის, 2016 წელს, ქალაქები მელბიჯი და ტელ რიფაატი (ორივე ალეპოს პროვინციაში) და შადადი (ჰასაკეს პროვინცია),[26] ხოლო 2017 წლის 20 ოქტომბერს - ქალაქი რაქა.[27] 2017 წლის სექტემბრიდან, SDF-ი და მისი მოკავშირეები, სამთავრობო ძალებისაგან დამოუკიდებლად, დეირ ეზ-ზურის პროვინციაში ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შევიდნენ.[28] არსებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ივლისში, სირიის ჩრდილო დასავლეთით, YPG-სა და თურქეთის მხარდაჭერის მქონე სამხედრო ძალებს შორის დაძაბულობის გამწვავება პერიოდულ შეტაკებებში გადაიზარდა.[29]

---

Syria Deeply, გუტას შიდა დაპირისპირება პრობლემებს უქმნის ჯეშ ალ-ისლამის წესს, 2016 წლის 1 ივნისი, http://bit.ly/2n6SIuB; კარნეგის ახლო აღმოსავლეთის ცენტრი, ისლამური ექსპერიმენტი: პოლიტიკური წესრიგი აღმოსავლეთ გუტაში, 2016 წლის 18 აპრილი, http://ceig3.org/2n9yuRd

[25] არსებული ინფორმაციის თანახმად, ჯარების გამოყვანას თან მოჰყვა ცეცხლის შეწყეტის შეთანხმება აჰრარ ალ-შამსა და HTS-ს შორის, რომელსაც პერიოდულად ორივე მხარე არღვევს; Al-Monitor, ტაჰრირ ალ-შამის ჰაიათი თავის მომდევნო ნაბიჯს დგამს ჩრდილოეთ სირიაში, 2017 წლის 7 აგვისტო, http://almon.co/2wh9. იხ. აგრეთვე, ჯეიმსთაუნის ფონდი, *რაქას შემდეგ: ჯიჰადისტთა მომდევნო სიმაგრე სირიაში,* 2017 წლის 22 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/59cb614f4.html; IRIN, *იდლიბის თავზე შავი დროშები ფრიალებს: ჯიჰადის ძალაუფლება სირიის ჩრდილო-დასავლეთში,* 2017 წლის 9 აგვისტო, http://bit.ly/2vRZDjj; Vice News, *ალ ქაიდა სარგებლობს სირიის ქაოსით,* 2017 წლის 8 აგვისტო, http://bit.ly/2viTI3Q; Reuters, აშშ აცხადებს, რომ 'მძიმე' შედეგები მოჰყვება თუ სირიის ალ-ქაიდა იდლიბის პროვინციაში გაბატონდება, 2017 წლის 3 აგვისტო, http://reut.rs/2vqPKIx; Chatham House, *რატომ ვერ გაუწია წინააღმდეგობა აჰრარ ალ-შამმა HTS-ს იდლიბში,* 2017 წლის აგვისტო, http://bit.ly/2fL7JDQ; Al Jazeera, *ტაჰრირ ალ-სამის ჰაიატი კონტროლს იღებს სირიის იდლიბში,* 2017 წლის 24 ივლისი, http://aje.io/ja9l7.

[26] იხ. აგრეთვე ტერიტორიათა კონტროლის რუქები, სქოლიო **Error! Bookmark not defined.**.

[27] იხ. ზემოთ, სქოლიო 19.

[28] Syria Deeply, *ISIS-ის წინააღმდეგ ბრძოლის სქემა დეირ ეზ-ზურში,* 2017 წლის 26 სექტემბერი, http://bit.ly/2yqyipU; The National, აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი ძალები, სირიის ჯარი *ISIL-ის მიერ კონტროლირებულ დეირ ეზ-ზურისკენ მიიწევს,* 2017 წლის 9 სექტემბერი, http://bit.ly/2konnHa.

[29] ISW, მოხსენება სირიის სიტუაციის შესახებ: 2017 წლის 13 - 20 ივლისი, http://bit.ly/2vVQvtc; Al-Monitor, *თურქეთ-YPG-ის შეტაკება ჩრდილოეთი სირიის მნიშვნელოვან რაიონებში,* 2017 წლის 17 ივლისი, http://almon.co/2w4r; Reuters, ექსკლუზივი: ქურთთა *YPG-ის მილიცია თურქეთთან კონფლიქტს ელოდება სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, 2017 წლის 5 ივლისი,* http://reut.rs/2sHo55Y.

2012 წლიდან, სირიის მთავრობა და ოპოზიცია, გაეროს შუამდომლობით გამართულ მოლაპარაკებებში ჩაერთო, ჟენევის 2012 წლის „კომუნიკეს“ ფარგლებში.[30] ამ დოკუმენტზე მუშაობის მომენტისთვის, მოლაპარაკებებიდან ჯერ კიდევ არ იყო რაიმე შედეგი მიღწეული, რადგან ორივე მხარემ შეთანხმება განსხვავებულად განმარტა.[31] 2016 წლიდან სახელმწიფომ მრავალი ინიციატივა წამოიწყო სამთავრობო და ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებს შორის დაპირისპირების შეწყვეტისთვის, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამან რაიმე ხელშესახები შედეგები ვერ მოიტანა, რადგან არ იყო შექმნილი აღსრულების და ანგარიშვალდებულების შესაბამისი მექანიზმები.[32] 2016 წლის 29 დეკემბერს, რუსეთმა და თურქეთმა ცეცხლის შეწყვეტის ახალი შეთანხმება გამოაცხადეს, რომელსაც მოჰყვა სამშვიდობო მოლაპარაკებები 2017 წლის იანვარში, რომელიც ასტანაში (ყაზახეთი) გაიმართა.[33] 2016 წლის 31 დეკემბერს, გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მხარს უჭერდა რუსეთ-თურქეთის ინიციატივას.[34] მოლაპარაკებათა პირველი სამი რაუნდი ასტანაში ჩატარდა, რომლებსაც თითქმის არანაირი შედეგი არ

---

[30] სირიის სამოქმედო ჯგუფი, საბოლოო განცხადება, 2012 წლის 30 ივნისი, იხ. აგრეთვე, გაეროს ჟენევის ოფისი, *სირიის მოლაპარაკებები - სამშვიდობო პროცესის ძირითადი თარიღები,* ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს, http://bit.ly/2zhwVds

[31] 2017 წლის ივლისის შუა რიცხვებში ჟენევაში გაეროს ხელმძღვანელობით ჩატარებული სირიის მოლაპარაკებათა მეშვიდე რაუნდი კონკრეტული შედეგით არ დასრულებულა. ამ დოკუმენტზე მუშაობის პერიოდში ელოდებოდნენ მხარეთა მიერ ახალი შეხვედრის დაწყებას 2017 წლის 28 ნოემბრისთვის; გაეროს გენერალური მდივანი, *სტაფან დე მისტურას ბრიფინგი უშიშროების საბჭოში (გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი), 2017 წლის 26 ოქტომბერი,* http://bit.ly/2gXhD2d; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *სირიის მოლაპარაკებებიგარკვეული პროგრესით დასრულდა, თუმცა დიდ მიღწევებზე საუბარი ადრეა - გაეროს წარმომადგენელი, 2017 წლის 15 ივლისი.*

[32] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 8; დაცვაზე პასუხისმგებლობის გლობალური ცენტრი, სირია, *R2P მონიტორი, საკითხი* 34, 2017 წლის 15 ივლისი, http://bit.ly/2gMvR94, გვ. 2; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* ,http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 7; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, სირია: უშიშროების საბჭო ერთიანდება რუსეთ-თურქეთის ძალისხმევის მხარდასაჭერად, რათა ბოლო მოეღოს ძალადობას, 2016 წლის 31 დეკემბერი, http://bit.ly/2uGFTLA; BBC, *სირიის ომი: ალეპოში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება შეტაკებით დასრულდა, 2016 წლის 22 ოქტომბერი,* http://bbc.in/2f3ooR9; Deutsche Welle (DW), *სირიის არმია ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დასრულების შესახებ განცხადებას აკეთებს, 2016 წლის 19 სექტემბერი,* http://bit.ly/2ls5GqA; BBC, სირიის ომი: შეიარაღებული დაპირისპირების შეწყვეტის შეთანხმება ძალაში შედის, 2016 წლის 12 სექტემბერი, http://bbc.in/2cli04R; Associated Press, მწვავე ბრძოლები ალეპოს მახლობლად - ვინაიდან სირიის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაირღვა, 2016 წლის 2 აპრილი, http://cbsn.ws/1pUaBgP; გაერო, უშიშროების საბჭო იწონებს სირიაში დაპირისპირების შეწყვეტასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებას, ერთხმად იქნა მიღებული რეზოლუცია *2268,* 2016 წლის 26 თებერვალი, http://bit.ly/2fEFiar.

[33] გაეროს უშიშროების საბჭო, 2016 წლის 29 დეკემბრით დათარიღებული წერილი გაეროში რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლისაგან და თურქეთის მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლისაგან, მიმართული გაეროს გენერალური მდივნისა და გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი *(S/2016/1133),* 2016 წლის 29 დეკემბერი, http://bit.ly/2hWPQ0I

[34] გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭო მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის ძალისხმევას, რათა ბოლო მოეღოს სირიაში ძალადობას, პოლიტიკური პროცესის დასაწყისი, *2336 (2016) რეზოლუციის მიღება,* SC/12663, 2017 წლის 31 დეკემბერი, http://bit.ly/2hAmapp; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია *2336 (2016) [ახლო აღმოსავლეთში სიტუაციის შესახებ (სირია)],* 2016 წლის 31 დეკემბერი, S/RES/2336 (2016), http://www.refworld.org/docid/586e43870.html

გამოუღიაა.[35] ასტანაში ჩატარებული მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდის შედეგად მიიღეს „მემორანდუმი სირიის არაბულ რესპუბლიკაში დეესკალაციის ტერიტორიების შექმნის შესახებ“, რომელსაც 2017 წლის 4 მაისს, ირანმა, რუსეთმა და თურქეთმა მოაწერეს ხელი. მემორანდუმში ნათქვამია, რომ უნდა შეიქმნას ოთხი ერთმანეთის არამოსაზღვრე დეესკალაციის ზონა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე. ეს თავდაპირველად უნდა მოხდეს ექვსი თვის ვადით - იდლიბის პროვინციაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (ალეპოს, ჰამას და ლაკატიას პროვინციების გარკვეული ტერიტორიები), ჩრდილოეთ ჰომსის პროვინციის ტერიტორიებზე, დამასკოს გარეუბან - აღმოსავლეთ გუტაში (დამასკოს პროვინციის გარეუბანი) და სირიის სამხრეთით - იორდანიის საზღვრის გასწვრივ (დერასა და ქუნეიტრას პროვინციების გარკვეული ტერიტორიები). მემორანდუმი სირიის სამთავრობო ძალებსა და ანტისამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებებს მოუწოდებს დეესკალაციის ზონებში დაპირისპირების შეწყვეტისკენ, საჰაერო დარტყმების ჩათვლით; ასევე, ჰუმანიტარული მისაწვდომობის, სამედიცინო დახმარების, იძულებით გადაადგილებულ სამოქალაქო პირთა დაბრუნებისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის პირობების შექმნისკენ.[36] მემორანდუმზე ხელი არც სირიის მთავრობის წარმომადგენლებს მოუწერიათ და არც ოპოზიციის.[37] რაც შეეხება ადრინდელ ინიციატივებს, შეთანხმებიდან მკაფიოდ არიან გამორიცხული ISIS-თან და ალქაიდასთან დაკავშირებული ჯგუფები.[38]

2017 წლის ივლისში მიღწეულ იქნა დეესკალაციის შეთანხმება იორდანიას, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის, რომელიც სირიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ეხებოდა.სამშვიდობო ზავის პირობები ძალაში შედიოდა 2017 წლის 9 ივლისიდან.[39]

---

[76] როგორც იუწყებიან, პატიმრები იმყოფებიან ფორმალურ და არაფორმალურ საპატიმრო დაწესებულებებში, რომლებსაც მართავენ ქვეყნის უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურები. პატიმართა პირობები არის აუტანელი, არაადამიანური, ღირსების შემლახავი და სიცოცხლისთვის სახიფათო, რაც გამოწვეულია უკიდურესი გადატვირთვით, ჰიგიენური და სამედიცინო მომსახურების არარსებობით, არასათანადო ვენტილაციითა და განათებით და საკვებისა და წყლის ნაკლებობით. სირიის არაბული რესპუბლიკის საკითხთა მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის შესაბამისად, მხოლოდ დაკავების პირობები აღწევს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ზღვარს. არსებული ინფორმაციის თანახმად, კიდევ უფრო მძიმე პირობებში არიან პოლიტიკური ან ეროვნული უსაფრთხოების საფუძველზე დაპატიმრებული პირები. მუდმივად ხდება ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა სამედიცინო საჭიროებების უგულვებელყოფა; ფეხმძიმე ქალებს აღენიშნებათ ნაყოფის მოშლა, ვადამდელი მშობიარობა, მაღალია ახალდაბადებულთა სიკვდილიანობის დონე. არსებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვები პატიმრობაში იმყოფებიან ზრდასრულთა საპატიმრო დაწესებულებებში, რომლებსაც უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურები მართავენ; იხ. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის შემდგომი მოხსენებები, ვებგვერდზე: http://bit.ly/2la15rZ. იხ. აგრეთვე „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული“ (განყოფილება III.A.1) და

გადაწყვეტილების გარეშე სიკვდილით დასჯა, რაც ძირითადად ხდება იმ პირთა მიმართ, რომლებიც მთავრობის ოპოზიციაში არიან, ან ასეთებად არიან მიჩნეული.[78] არსებული ინფორმაციის თანახმად, სექსუალური ძალადობა ფართოდ გამოიყენება წამების ერთ-ერთ საშუალებად მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ.[79]

---

„განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები“ (განყოფილება III.A.11) და მითითებული წყაროები.

[77] წამების საყოველთაო და სისტემატური გამოყენება, განსაკუთრებით, მთავრობის უშიშროებისა და დაზვერვის დაწესებულებათა მიერ, ფართოდ არის დოკუმენტირებული. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის შესაბამისად, „იშვიათად ნახავთ პირს, რომელიც მთავრობის მიერ იყოს დაპატიმრებული და წამების ტანჯვა არ ჰქონდეს გამოვლილი. უმრავლესი მათგანი არის 18-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცი. თუმცა მთავრობის ოფიციალური პირები საპატიმრო დაწესებულებებში ქალებსაც და ბავშვებსაც აწამებენ“; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 93, 94. “*ადამიანებს დაკავების მომენტიდანვე აწამებენ, მათი ‘მისასალმებელი წვეულების’ დროს - ეს არის ტერმინი, რომელსაც სირიელი პატიმრები და მცველები იყენებენ სასტიკი ცემის სინონიმად, რომელსაც ექვემდებარებიან პატიმრები საპატიმრო დაწესებულებაში მიყვანისას და დაკითხვის მთელი პროცესის განმავლობაში. დაკითხვის დროს სირიის ხელისუფლება იყენებს წამებას, რათა პირისაგან მიიღოს ყალბი ‘აღიარება’, რასაც შემდგომში ხელისუფლება იყენებს განაჩენის დასადგენად უკიდურესად უსამართლო და ცუდად ორგანიზებულ სასამართლო პროცესებზე. წამებისა და უმკაცრესი პირობების გამო, მთავრობის დაწესებულებებში მყოფ პატიმართა შორის სიკვდილის შემთხვევები მასიურად ხდება.* HRDAG-ის (არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ადამიანის უფლებთა დარღვევის ანალიზისთვის სამეცნიერო მეთოდებს იყენებს) თანახმად, სულ მცირე, 17723 ადამიანი გარდაიცვალა მთავრობის პატიმრობაში 2011 წლის მარტიდან 2015 წლის დეკემბრამდე, საშუალოდ კი 300 ადამიანი იღუპება ყოველთვიურად. HRDAG და ამნესტი ინტერნეიშენალი მიიჩნევს, რომ ეს არის კონსერვატიული შეფასება და რომ რეალურად ჯამური რაოდენობა ბევრად მეტი იქნება“. Amnesty International, ადამიანების სასაკლაო: მასობრივი ჩამოხრჩობა და განადგურება სეიდნაიას ციხეში, სირია, 2017 წლის 7 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/5899bd9a4.html, გვ. 12. პატიმრობის დროს სიკვდილის შემთხვევების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. SNHR, *2016 წლის ყოველწლიური მოხსენება, 2017 წლის 18 იანვარი,* http://bit.ly/2ksIUxq, გვ. 16; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სიკვდილი პატიმრობაში, 2016 წლის 3 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56b9f4c24.html, პარ. 20-25. იხ. აგრეთვე „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული“ (განყოფილება III.A.1) და მითითებული წყაროები.

[78] “ათასობით ადამიანი, რომლებიც წითელ შენობაში იყვნენ დაპატიმრებულები [სეიდნაიას სამხედრო ციხე], საიდუმლოდ დახვრიტეს სასამართლო განაჩენის გარეშე, იმ დროს როცა ისინი იმყოფებოდნენ იძულებითი გაუჩინარების ტოლფას გარემოებებში. სიკვდილით დასჯა მასიური ჩამოხრჩობით ხდება. ჩამოხრჩობამდე მსხვერპლის მიმართ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოაქვს სამხედრო საველე სასამართლოს, რომელიც დამასკოს ალ-ქაბუნის რაიონში მდებარეობს. პროცესი ერთიდან სამ წუთამდე გრძელდება. (...) მოწმეთა ჩვენებებიდან გამომდინარე და ამნესტი ინტერნეიშენალის შეფასებებზე დაყრდნობით, 2011 წლის სექტემბრიდან 2015 წლის დეკემბრამდე სეიდნაიას ციხეში სიკვდილით უკანონოდ დასაჯეს 5000-დან 13000-მდე ადამიანი. (...) არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი პრაქტიკა შეწყდა. აქედან გამომდინარე, 2015 წლის დეკემბრის შემდეგ სავარაუდოდ კიდევ ათასობით ადამიანი დასაჯეს სიკვდილით“. Amnesty International, ადამიანების სასაკლაო: მასობრივი ჩამოხრჩობა და განადგურება სეიდნაიას ციხეში, სირია, 2017 წლის 7 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/5899bd9a4.html, გვ. 6. “სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ საპატიმროებში სიკვდილიანობის მასიური და სისტემატური ბუნება კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისა და სამხედრო დანაშაულის ტოლფასია“; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 70. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სიკვდილი პატიმრობაში, 2016 წლის 3 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56b9f4c24.html, პარ. 34-35. იხ. აგრეთვე, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული“ (განყოფილება III.A.1) და მითითებული წყაროები.

[79] “მთავრობა აგრძელებდა წამებისა და გაუპატიურების პრაქტიკას, მათ შორის, ბავშვების მიმართ“; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 2. “საპატიმროებში, რომლებსაც მთავრობის დაზვერვის სამსახური აკონტროლებს, დაკითხვის დროს ხდება ქალების გაუპატიურება ოფიციალური პირების მიერ. (...)

მთელ რიგ შემთხვევებში, როგორც იუწყებიან, სამთავრობო ძალები ახდენენ ბავშვთა რეკრუტირებას და მათ იყენებენ, როგორც დამხმარე ფუნქციების შესასრულებლად ასევე, სამხედრო დაპირისპირების დროს.[80]

## *2) ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო (ISIS)*

მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების მოხსენებებში აღწერილია ISIS-ის მიერ ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები, მათ მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულებები,კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, და იეზიდთა გენოციდი.[81] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ISIS-ის თავდასხმების სამიზნე და შეურაცხყოფის ობიექტი განსაკუთრებით ხშირად არიან ქალები,[82] რელიგიურ

---

სქესობრივი ძალადობის გამოყენება ხდება მამაკაცი პატიმრების მიმართაც. მრავალმა პირმა მიუთითა, რომ თანამესაკნეებს აუპატიურებდნენ გარკვეული საგნებით, ხოლო მათ გენიტალიებზე ელექტროშოკით მოქმედებდნენ"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 105, 108. "(…) სქესობრივი ძალადობა კვლავ გამოიყენება საომარ ტაქტიკად, წამებისა და ტერორიზირების საშუალებად. განსაკუთრებით ხშირად მას იყენებენ ბინების ჩხრეკისას და ტყვედაყვანისას, საკონტროლო პუნქტებზე და საპატიმროებში - სახელმწიფო და პროსამთავრობო ძალების და *ISIL-ისა და სხვა არასახელმწიფო ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე. (…) გაერომ მიიღო ინფორმაცია, რომ საპატიმრო ცენტრებში სისტემატურად ხდება მამაკაცთა სექსუალური წამება, მათ შორის, ხის ჯოხებით გაუპატიურება, ელექტროშოკის გამოყენება, გენიტალიების დაწვა. ასეთი სქესობრივი წამების მიზანი არის აღიარების მიღება, რომ პირმა სავარაუდოდ მონაწილეობა მიიღო ანტისამთავრობო საქმიანობაში. ზოგ შემთხვევაში ქალ ნათესავებსაც აპატიმრებენ და აიძულებენ უყურონ მამაკაცის წამებას;* გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი ძალადობების შესახებ.* 2016 წლის 20 აპრილი, S/2016/361, http://www.refworld.org/docid/5731a0d24.html (შემდგომში, გაეროს უშიშროების საბჭო: *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი ძალადობების შესახებ.* 2016 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a0d24.html), პარ. 68.

[80] "*გაერომ დაადასტურა 29 ბავშვის კავშირი სამთავრობო ძალებთან. ხუთი მათგანი გაწვრთნეს, შეაიარაღეს და მათ ბრძოლებში იყენებდნენ, ხოლო დანარჩენები საკონტროლო პუნქტებზე გაუშვეს, ძირითადად, იარაღის გარეშე. პროსამთავრობო მილიციამ 54 ბიჭი გაიწვია, მათგან 20 საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა, ხოლო 34 მათგანი საკონტროლო პუნქტებს იცავდა. ბავშვების დაქირავებისას გამოიყენებოდა იძულება და ფინანსური სტიმულები"; გაეროს გენერალური მდივანი, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი, 2017 წლის 24 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 173. "ზოგიერთი შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც სირიის მთავრობისთვის იბრძვის, მაგალითად, ჰეზბოლა და პროსამთავრობო მილიცია, რომლებიც ცნობილია სახელწოდებით „ეროვნული თავდაცვის ძალები" *(NDF), ან „შაბიჰა", იძულებით ახდენენ ბავშვების რეკრუტს, ექვსი წლის ასაკიდან". აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017 მოხსენება ადამიანის ტრეფიკინგის შესახებ - სირია, 2017 წლის 27 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 25; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 118; გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 50.

[81] დაცვაზე პასუხისმგებლობის გლობალური ცენტრი, სირია, *R2P მონიტორი, 2017 წლის 15 სექტემბერი,* http://bit.ly/2h8LrJ1, გვ. 2; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „ისინი გასანადგურებლად მოვიდნენ: *ISIS-ის დანაშაული იეზიდების წინააღდეგ, 2016 წლის 15 ივნისი,* A/HRC/32/CRგვ.2, http://www.refworld.org/docid/57679c324.html, გვ. 1; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 148.

[82] "გაუპატიურებისა და სქესობრივი ძალადობის შემთხვევათა რაოდენობის დადგენა ძნელია, თუმცა ქალთა და გოგონათა მიმართ სქესობრივი ძალადობა შეიარაღებული ძალების იდეოლოგიის და ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია", გაეროს ქალთა ორგანიზაცია, კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი და

უმცირესობათა ჯგუფის წევრები[83] და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირები.[84] არსებული მოხსენებების შესაბამისად, ISIS-ი ახდენს განურჩეველ, არაპროპორციულ თავდასხმებს სამოქალაქო პირებზე და სამოქალაქო ობიექტებზე მთავრობისა და ქურთთა მიერ კონტროლირებულ დასახლებებსა და ქალაქებში ამისათვის იყენებენ საარტილერიო დანადგარებს, ყუმბარმტყორცნებსა და რაკეტებს, ასევე, დანაღმულ მანქანებსა და თვითმკვლელ ტერორისტებს.[85] სამოქალაქო მოსახლეობას საშუალებას არ აძლევენ დატოვონ ISIS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ამავე ჯგუფის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე გადაადგილდებიან. აღნიშნული გადაადგილებულ მოსახლეობას მომეტებულ საფრთხეს უქმნის, ვინაიდან ISIS-ის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები სულ უფრო მეტად ხდება საჰაერო დაბომბვების სამიზნე.[86] ISIS-ი კვლავ იყენებს სამოქალაქო პირებს ცოცხალ

---

გენდერული ხასიათის დანაშაულის გამოძიება - ერაყისა და სირიის პრაქტიკიდან ნასწავლი გაკვეთილები, 2017 წლის 26 ოქტომბერი, https://shar.es/1PCHZm. იხ. ქვემოთ, „პირები, რომლებიც მიიჩნევიან *შარიათის* კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე“ (განყოფილება III.A.9) და „განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები“, (განყოფილება III.A.10) და მითითებული წყაროები.

[83] იხ. „რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრები“ (განყოფილება III.A.8) და „პირები, რომლებიც მიიჩნევიან *შარიათის* კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე“ (განყოფილება III.A.9) და მითითებული წყაროები.

[84] იხ. „განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები“ (განყოფილება III.A.12) და მითითებული წყაროები.

[85] მოხსენებების შესაბამისად, ISIS-ის მიერ განხორციელებული თავდასხმები ხშირად მიმართულია ხალხმრავალ სამოქალაქო ადგილებზე, მათ შორის, ბაზრებზე, ჰოსპიტალებზე, სასამართლოებზე, ავტობუსის გაჩერებებზე, ასევე, რელიგიურ უმცირესობათა დასახლებებზე; მაგ., იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 75-76; Amnesty International, *2016/17 – სირია*, 2017 წლის 22 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b033aba.html; HRW, მსოფლიო მოხსენება *2017 – სირია, 2017 წლის 12 იანვარი,* http://www.refworld.org/docid/587b58196.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 25-27, 64. გაეროს ჯგუფმა დაასკვნა, რომ ISIS-ი იყო პასუხისმგებელი შეტევაზე, რომელიც რამდენიმე გოგირდოვანი საარტილერიო ჭურვით განხორციელდა ქალაქ მარეაზე (ალეპოს პროვინცია) 2015 წლის 21 აგვისტოს; გაეროს ახალი ამბების სამსახური, *სირიის ძალებმა და ISIL-მა იარაღად გამოიყენეს ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებები - გაეროს ერთობლივი გამოძიების მექანიზმი,* 2016 წლის 24 აგვისტო, http://bit.ly/2zaRl88, დანართი X.

[86] "არსებული ინფორმაციის თანახმად, *IS-ის მებრძოლებიც არ აძლევდნენ საშუალებას სამოქალაქო პირებს დაეტოვებინათ მათ მიერ კონტროლირებული ტერიტორიები. ერთადერთი გამონაკლისი არის მძიმე ავადმყოფობის შემთხვევა, რომლის დროსაც პირმა უნდა მიიღოს თანხმობა IS-ისგან და სახლი ან სატრანსპორტო საშუალება უნდა წარადგინოს ნიშნად მათი დაბრუნების გარანტიისა. მათ, ვინც შენიშნული იქნება სამოქალაქო პირთა უკანონო გადაყვანაში IS-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიების გარეთ, სიკვდილით დასჯა ან ჯარიმის გადახდა ემუქრება“;* OHCHR, *სირია:ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის მაისი, 2017 წლის 3 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/59bb83234.html, გვ. 4. მაგალითად, ამ დოკუმენტზე მუშაობის პერიოდში დეირ ეზ-ზურში მიმდინარე სამხედრო ოპერაციების კონტექსტში, „*ISIL-მა მობილური საკონტროლო პუნქტები შექმნა გარშემო სოფლებში, რათა თავიდან აეცილებინა მოსახლეობის მიერ ტერიტორიის დატოვება. არსებული ინფორმაციის თანახმად, სამოქალაქო პირებს, რომლებიც ცდილობენ დატოვონ ISIL-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიები, მრავალი საფრთხე ემუქრება, სქესობრივი ძალადობის, დაკავების, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებზე აფეთქების, სნაიპერის ტყვიის და იძულებითი გაწვევის ჩათვლით“;* გაეროს

ფარად, რაც მათი სამხედრო ტაქტიკის შემადგენელი ნაწილია.[87] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ISIS-ის მიერ ადრე, თუ ამჟამად *დე-ფაქტო* კონტროლირებული ტერიტორიები მათ მიერ განურჩევლად არის დანაღმული და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ამოქმედების შედეგად დღემდე იღუპება, ან სახიჩრდება სამოქალაქო მოსახლეობა.[88] მოხსენებების თანახმად, ISIS-ი კვლავ ახდენს მამაკაცებისა და ბავშვების ინტენსიურ რეკრუტირებას სამხედრო ოპერაციებში მათი გამოყენების მიზნით, მათ შორის, თვითმკვლელი ტერორისტების და სამოქალაქო პირთა წამებისა და სიკვდილით დასჯის და „მწყობრიდან გამოსულ" ჯარისკაცთა დახოცვის ოპერაციებში.[89] 2017 წლის სექტემბრამდე ISIS-ს სამი წლის განმავლობაში ბლოკადაში ჰყავდა მოქცეული ქალაქ დეირ ეზ-ზურის მჭიდროდ დასახლებული

---

*უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება, 2017 წლის 21 სექტემბერი,* S /2017/794, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 6. იხ. აგრეთვე, გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 24 აგვისტო, S/2017/733, http://www.refworld.org/docid/59aebbad4.html, გვ. 3; Amnesty International, *სირია* – „ეს სისხლისღვრა არასოდეს დამავიწყდება". სამოქალაქო მოსახლეობა ხაფანგშია მომწყვდეული რაქასთვის წარმოებულ ბრძოლებში, 2017 წლის 23 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/599ec9174.html, გვ. 5, 6, 23-26; OHCHR, *სირია: რაქაში გამომწყვდეულ სამოქალაქო პირებს სასწრაფოდ ესაჭიროებათ დაცვა*, 2017 წლის 28 ივნისი, https://shar.es/1Smxxo ; OHCHR, საჰაერო თავდასხმები*, ISIL სამოქალაქო მსხვერპლს იწვევს სირიაში - Zeid*, 2017 წლის 26 მაისი, http://bit.ly/2sbFBye.

[87] Amnesty International, Amnesty International, *სირია* – „ეს სისხლისღვრა არასოდეს დამავიწყდება". სამოქალაქო მოსახლეობა ხაფანგშია მომწყვდეული რაქასთვის წარმოებულ ბრძოლებში, 2017 წლის 23 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/599ec9174.html, გვ. 5, 6, 23-26; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 82-83, 110; გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 18-19. იხ. აგრეთვე, The Independent, *ISIS: 2000 მებრძოლი რაქას სამოქალაქო მოსახლეობას ცოცხალ ფარად იყენებს, ვინაიდან აშშ-ის ხელმძღვანელობით კოალიცია მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს სირიაში, 2017 წლის 5 აგვისტო,* http://ind.pn/2vsw6wh; Reuters, *რაქას მოსახლეობას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, სნაიპერის ტყვია და ცოცხალ ფარად გამოყენება ემუქრებათ: წჯსკ, 2017 წლის 6 ივნისი,* http://reut.rs/2vzAgkV.

[88] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2016 წლის 11 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 90; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 28, 114. See იხ. აგრეთვე, Reuters, *რაქას მოსახლეობას ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმები, სნაიპერის ტყვია და ცოცხალ ფარად გამოყენება ემუქრებათ: წჯსკ, 2017 წლის 6 ივნისი,* http://reut.rs/2vzAgkV; Ara News, *ISIS-ის ნაღმებზე სირიის ჰასაჰაში კიდევ დაიღუპნენ ადამიანები, 2017 წლის 8 აპრილი,* http://bit.ly/2pbKKBZ; HRW, *სირია:იმპროვიზებული ნაღმებზე ასობით ადამიანი დაიღუპა და დასახიჩრდა მანბიჯში, 2016 წლის 26 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/581c94a74.html; The Independent, ათობით ადამიანი დაიღუპა *ISIS-ის ქვეითსაწინააღმდეგო და ხაფანგ-ნაღმებზე, როდესაც ისინი სირიის განთავისუფლებულ ქალაქში შინ დაბრუნებას ცდილობდნენ, 2016 წლის 26 ოქტომბერი,* http://ind.pn/2eFyAPl

[89] "(…) *ISIS-ი, ჯაბჰატ ალ-ნუსრა, რომელიც ალქაიდასთან არის დაკავშირებული, სირიაში კვლავ ახდენს ბიჭებისა და გოგონების რეკრუტირებას ჯარისკაცებად, ცოცხალ ფარად გამოყენებისთვის, თვითმკვლელ ტერორისტებად და ჯალათებად, ასევე, დამხმარე სამუშაოებისთვის"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017, მოხსენება ადამიანის ტრეფიკინგის შესახებ - სირია, 2017 წლის 27 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ISIS-ს მისი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.4) და „განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები". (განყოფილება III.A.11) და მითითებული წყაროები.

რაიონი, რის გამოც მის მოსახლეობას მკაცრად ჰქონდა შეზღუდული წვდომა საკვებზე, სამედიცინო მომსახურებაზე, წყალზე, ელექტროენერგიასა და საწვავზე.[90] არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ი კვლავ ახდენს კულტურული და რელიგიური მნიშვნელობის ობიექტებისა და ქონების განზრახ განადგურებას.[91] ISIS-ის ძალაუფლების მიმართ რეალური, ან ნავარაუდევი წინააღმდეგობისთვის ან მისი წესების დარღვევისთვის, რომლებიც მკაცრად ეფუძნება შარიათის კანონს, ადამიანებს მკაცრად სჯიან, თავისუფლების აღკვეთის, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა დასიკვდილით დასჯის ჩათვლით, მათ შორის - ბავშვებისაც.[92]

### *3) ანტისამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებები, ჯაბჰატ ფატა ალ-შამის ჩათვლით*

მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების მოხსენებებში ნათქვამია, რომ ანტისამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებები სერიოზულად არღვევენ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს,რომ ზოგიერთი დარღვევა შესაძლოა სამხედრო დანაშაულის ტოლფასი იყოს.[93] ანტისამთავრობო შეიარაღებული

---

[90] OCHA, გენერალური მდივნის თანაშემწე ჰუმანიტარულ საქმეთა და გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში ბ-ნი მარკ ლოუქოქი: განცხადება უშიშროების საბჭოსთვის სირიის საკითხზე, 2017 წლის 27 სექტემბერი, http://bit.ly/2zqVHbi, გვ. 2-3; The Independent, სირიის არმიამ გაარღვია ISIS-ის *სამწლიანი ბლოკადა დეირ ეზ-ზურში, 2017 წლის 5 სექტემბერი,* http://ind.pn/2wBWHXx; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 24 აგვისტო, S/2017/733, http://www.refworld.org/docid/59aebbad4.html, გვ. 3; OHCHR, *სირია: ყოველთვიური დაიჯესტი ადამიანის უფლებების შესახებ - 2017 წლის მაისი, 2017 წლის 3 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/59bb83234.html, გვ. 4-5.

[91] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 წლის მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ - სირია, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 2; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 84-85, 110; ამერიკის საერთაშორისო სამართლის საზოგადოება (ASIL), *Confronting ISIS's War on Cultural Property*, 2016 წლის 14 ივნისი, ტ. 20, საკითხი 12, http://bit.ly/2nHt5Af.

[92] გაეროს გენერალური მდივანი, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი, 2017 წლის 24 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 178; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 წლის მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ - სირია, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 11-13; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 წლის მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 24; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 102-103. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, "პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ISIS-ს მისი დე ფაქტო კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.4) და მითითებული წყაროები.

[93] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 61-74; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 2 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b827094.html, პარ. 100-102; Amnesty International, *'ჩემი სასჯელი იყო წამება' – მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html (შემდგომში: Amnesty

დაჯგუფებები ნაღმსატყორცნების, რაკეტების, ჭურვებისა და იმპროვიზებული ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებით, თავდასხმებს ახორციელებენ მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის, რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებზე.[94] როგორც იუწყებიან, ანტისამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებები ასევე თავს ესხმიან ჯანდაცვის დაწესებულებებს, სკოლებსა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის ობიექტებს,[95] ან ალყაში ამყოფებენ გარკვეულ დასახლებულ რაიონებს, რომლებსაც მთავრობის მიმართ ლოიალურად მიიჩნევენ, ან ახდენენ ასეთ რაიონებში წყლისა და/ან ელექტროენერგიის მიწოდების დროებით შეწყვეტას.[96] აგრეთვე ანტისმთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებები, მონაწილეობდენ სამოქალაქო მოსახლეობის იძულებით გადაადგილებაში, როგორც მთავრობასთან ე.წ. „შერიგების“ შეთანხმებათა

---

International, *მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html).

[94] The New Arab, *მეამბოხეების მიერ განხორციელებული დაბომბვის შედეგად ოთხი მოქალაქე დაიღუპა დამასკოში: მონიტორი,* 2017 წლის 16 ოქტომბერი, http://bit.ly/2yX0CQf; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსნება რელიგიური თავისუფლების შესახებ - სირია, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 11-13; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 61-66; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 2 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b827094.html, პარ. 69-78; Amnesty International, *2016/17 – სირია*, 2017 წლის 22 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b033aba.html; HRW, მსოფლიო მოხსენება *2017 – სირია,* 2017 წლის 12 იანვარი, http://www.refworld.org/docid/587b58196.html. იხ. აგრეთვე, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული“ (განყოფილება IV.A.3) და „რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრები“ (განყოფილება III.A.8) და მითითებული წყაროები.

[95] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 61, 66; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 22; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 62-63

[96] ამ დოკუმენტზე მუშაობის დროს, ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებს ალყაში ჰყავდათ ორი შიიტური ქალაქი, ფუა და კეფრაია (იდლიბის პროვინცია). მეორე, ძირითადად შიიტებით დასახლებული ქალაქი ალეპოს პროვინციაში (ნუბული და ზაჰრა) 2012 წლის ივლისიდან 2016 წლის თებერვლამდე ალყაშემორტყმული იყო ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ. ქალაქები ბლოკადისგან გაანთავისუფლეს სამთავრობო ძალებმა; OCHA, სირიის არაბული რესპუბლიკა: ალყაშემორტყმული თემები *(2017 წლის 27 სექტემბრისთვის)*, 2017 წლის 27 სექტემბერი, http://bit.ly/2yJUwz6; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 82, დანართი III პარ. 2, 4-5; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება,* 2017 წლის 24 აგვისტო, S/2017/733, http://www.refworld.org/docid/59aebbad4.html, პარ. 8; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 37; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014) და 2258 (2015) რეზოლუციების შესრულება, 2016 წლის 18 თებერვალი,* S/2016/156, http://www.refworld.org/docid/56ceaa884.html, პარ. 6. იხ. აგრეთვე, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული“ (განყოფილება IV.A.3) და მითითებული წყაროები.

მხარე.[97] როგორც ამბობენ, ხშირად ხდება სამოქალაქო პირთა და სამთავრობო შეიარაღებული ძალების წევრთა გატაცება, მათ შორის, ტყვეთა გაცვლის, ან გამოსასყიდის მიღების მიზნით.[98] არსებული ინფორმაციის თანახმად, ანტისამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებები ტყვედ აყვანილ პირებს[99] აწამებენ და კლავენ, მათ შორის, სამთავრობო შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებსა და მათ მხარდამჭერებს[100], ISIS-თან, და სხვა მტრულად განწყობილ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან დაკავშირებულ პირებს.[101] სხვადასხვა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები, მათი *დე ფაქტო* კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, უკანონო „სასამართლოებს" ქმნიან, რომლებსაც მძიმე განაჩენი გამოაქვთ, ფიზიკური სასჯელისა და სიკვდილით დასჯის ჩათვლით.[102] ზოგიერთ ანტისამთავრობო

---

97 *2017 წლის 14-19 აპრილს, დაახლოებით 8000 მცხოვრები გაასახლეს ეგრეთ წოდებული „ოთხი ქალაქის შეთანხმების" კონტექსტში, რომლის დროსაც მოხდა მოსახლეობის იძულებითი გადაყვანა ოპოზიციის ხელში მყოფი ქალაქებიდან - მადაიასა და ზაბადანიდან* (დამასკოს პროვინციაქალაქგარე ტერიტორიები); გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 19, 25, 82, დანართი III პარ. 4-5; Al Jazeera, *გრაფიკი: სირიის 13 შეთანხმება „მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ. 2017 წლის 16 მაისი*, http://bit.ly/2sC3Pm6; Financial Times, სირიის 'ოთხი ქალაქის' შეთანხმების შედეგად შეიძლება მოხდეს მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, *2017 წლის 14 აპრილი,* 14 April 2017, http://on.ft.com/2fuMdA7.

[98] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 22, 23; Amnesty International, *2016/17 – სირია*, 2017 წლის 22 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b033aba.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 82, 87-88; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სიკვდილი პატიმრობაში, 2016 წლის 3 თებერვალი,* http://www.refworld.org/docid/56b9f4c24.html), პარ. 65, 67, 68, 69. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება IV.A.3) და „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ISIS-ს მისი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.5) და მითითებული წყაროები.

[99] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 72; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 24; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 100-101.

[100] იხ. ქვემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება IV.A.3) და მითითებული წყაროები.

[101] იხ. ქვემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ერაყისა და ალ-შაიმის ისლამურ სახელმწიფოს მისი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.5) და მითითებული წყაროები.

[102] *"ოპოზიციის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე იურიდიული ან სასამართლო პროცედურები ადგილმდებარეობის მიხედვით ვარირებს. ადამიანის უფლებათა დამცველი ადგილობრივი ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ეს პასუხისმგებლობა ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებს აქვთ შეთავსებული. HRW-ის მოხსენებაში ნათქვამია, რომ სამოქალაქო პირები, რომლებიც ამ პროცესებს მართავენ, ზოგ შემთხვევაში შარიათის კანონებით ხელმძღვანელობენ, ხოლო, ზოგ შემთხვევაში - ეროვნული კანონებით. ოპოზიციის მიერ შარიათის კანონით გასამართლებულ პირების სიკვდილით დასჯა ხშირად სახალხოდ ხდება, გასაჩივრების პროცესის ან ოჯახის წევრებთან შეხვედრის გარეშე"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 17. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ - სირია, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 13; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017*

შეიარაღებულ დაჯგუფებები, კერძოდ, ჯაბჰატ ფატა ალ-შამს, აჰრარ ალ-შამს და FSA-სთან დაკავშირებულ დაჯგუფებები, ბავშვებს ხშირად ახდენენ ბავშვების რეკრუტირებას, მათ შორის, 15 წლამდე ასაკისაც და მათ იყენებენ როგორც დამხმარე სამუშაოთა შესასრულებალად, ასევე უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში ჩასართავად.[103]

### *4) სახალხო დაცვის შენაერთები (YPG)*

მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ „სახალხო დაცვის შენაერთების" და „ასაიშის" წარმომადგენლების მიერ ხორციელდება ადამიანის უფლებების შემდეგი დარღვევები: ადამიანთა გატაცება, თავისუფლების აღკვეთა, ტყვეების შეურაცხყოფა, უკანონო „სასამართლოების" მიერ სასჯელის დანიშვნა, ასევე მკვლელობებისა და გაუჩინარების შემთხვევათა არაეფექტური აღკვეთ.[104] ასეთი დარღვევების სამიზნენი არიან PYD/YPG-ის რეალური და სავარაუდო ოპონენტები, ასევე, ISIS-თან კავშირში ეჭვმიტანილი პირები.[105]

ზოგ შემთხვევაში, YPG-ი მონაწილეობდა იძულებით გადაადგილებაში, ძირითადად - არაქურთი მოსახლეობის, მათ შორის, ISIS-თან კავშირში ეჭვმიტანილი მოსახლეობის,

---

*წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 68, 108; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 71; Amnesty International, *მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 4, 5, 15, 18, 20; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *სიკვდილი პატიმრობაში, 2016 წლის 3 თებერვალი,* http://www.refworld.org/docid/56b9f4c24.html, პარ. 67, 72. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, "პირები, რომლებიც მიიჩნევიან *შარიათის* კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე" (განყოფილება III.A.9) და მითითებული წყაროები.

103 "[ბავშვთა რეკრუტისა და გამოყენების] დადასტურებულ შემთხვევათა 60 პროცენტი დაკავშირებულია თავისუფალი სირიის არმიასთან, რაც ათჯერ მეტია 2015 წელთან შედარებით. შემთხვევათა მეტი წილი ხდება ალეპოს, დარასა და რიფ დიმასტიქის პროვინციებში; ამ ჯგუფების მიერ დაქირავებული ბიჭების 98 პროცენტი სამხედრო ფუნქციების შესასრულებლად გამოიყენეს, მათ შორის, ფრონტის ხაზზე ბრძოლებში. (...) სხვა შეიარაღებული ჯგუფების მიერ დაქირავებული და გამოყენებული ბავშვები (82) ძირითადად საკონტროლო პუნქტებზე მორიგეობდნენ", გაეროს გენერალური მდივანი, *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი,* 2017 წლის 24 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ.172. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017 მოხსენება ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ - სირია, 2017 წლის 27 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 74, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 117-118. იხ. ქვემოთ, „განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები" (განყოფილება III.A.11) და მითითებული წყაროები.

104 იხ. ქვემოთ, *„პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ YPG/YPG-ს, ან ასეთად არიან მიჩნეული"* (განყოფილება III.A.6) და მითითებული წყაროები.

105 იქვე.

ან პირთა იძულებით გადაადგილებას ახდენდა უსაფრთხოების/სამხედრო მიზნებისთვის.[106] არსებული ინფორმაციის თანახმად, YPG-ი და „ასაიში“, მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, კვლავ აგრძელებს პირთა იძულებით გაწვევას და არასრულწლოვანთა რეკრუტირებას,[107] ეგრეთ წოდებული „თავდაცვის მოვალეობის“ კანონის საფუძველზე.[108] სხვა ფუნქციებთან ერთად, ამ პირებს იყენებენ საომარ მოქმედებებში.[109] SDF-ის მიერ განხორციელებული მიმდინარე შეტევების ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო კოალიციას სურს რაქა ISIS-ის კონტროლიდან გაანთავისუფლოს, მოკვლევის დამოუკიდებელმა საერთშორისო კომისიამ ხაზი გაუსვა სამოქალაქო პირთა დაცვის საკითხს დაკავშირებით.[110]

---

[106] “*2015 წლის დეკემბერში OHCHR-სგან მიღებული მოხსენებები მიუთითებდა სამოქალაქო პირთა სავარაუდო იძულებით გადაადგილებაზე, რომელსაც YPG-ის ძალები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით ახორციელებდნენ მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე,“; გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, 2016 წლის 9 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 39. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 97-98; Amnesty International, „ჩვენ წასასვლელი არსად გვქონდა“ - იძულებითი გადაადგილება და სახლების ნგრევა ჩრდილოეთ სირიაში, 2015 წლის 12 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/561cbdaf4.html. იხ. აგრეთვე, *„პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ PYD/YPG-ს, ან ასეთად არიან მიჩნეული“* (განყოფილება III.A.6) და მითითებული წყაროები.

[107] 2014 წელს, YPG-მა და „ასაიშმა“ საჯაროდ განაცხადეს, რომ ბოლოს მოუღებდნენ ბავშვთა დაქირავების პრაქტიკას და 18 წლამდე ასაკის ბავშვთა დემობილიზაცია დაიწყეს; თუმცა, მოხსენებების შესაბამისად, YPG-მა ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და ბავშვთა დაქირავება კვლავ გრძელდება; გაეროს გენერალური მდივანი, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი, 2017 წლის 24 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 171, 183; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 51; SNHR, *25 ივლისს ქურთთა თვითმმართველმა ძალებმა ბავშვები დააპატიმრეს ქალაქ ამუდაში, ჰასკას პროვინციაში*, 2017 წლის 27 ივლისი, http://bit.ly/2yg2qjw; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2017 მოხსენება ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ - სირია, 2017 წლის 27 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html; Amnesty International, *2016/17 – სირია*, 2017 წლის 22 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b033aba.html; გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 50-51. იხ. აგრეთვე, „განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები“ (განყოფილება III.A.11) და მითითებული წყაროები.

[108] 2015 წლის შუა პერიოდისთვის, ჩრდილოეთ სირიაში *დე ფაქტო* ავტონომიური თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 30 წლამდე ასაკის მამაკაცებისთვის დაწესდა „სავალდებულო თავდაცვის სამსახური“. მოხსენებების შესაბამისად, სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობა არის 6 თვე, რომლის შემდეგაც გაწვეულ პირს შეუძლია ნებაყოფლობით შეუერთდეს YPG-ს; იხ. მე-4 და მე-8 მუხლები, *სავალდებულო თავდაცვის სამსახური,* 2014 წლის 13 ივლისი, http://bit.ly/2rQ6Iyl. თუმცა პრაქტიკაში, ეგრეთწოდებული კანონის შესაბამისად, გაწვევის კრიტერიუმები, არ იყო მკაცრად დაცული, ასაკის, სქესის და სამსახურის ხანგრძლივობის ჩათვლით; Syrian Voice, *ქურთთა თვითმმართველობა ამკაცრებს გაწვევას, რის გამოც კობანე „მოჩვენებების ქალაქად“ იქცა,* 2017 წლის 26 აპრილი, 2017 წლის 26 აპრილი, http://bit.ly/2siwUSA; Syria Direct, *YPG-ის სამხედრო სამსახურზე თავის ამრიდებელი პირები ამნისტიის შემდეგ: ‘რატომ უნდა ვიბრძოლო მე არაბული მიწის დასაცავად?’,* 2016 წლის 7 ნოემბერი, http://bit.ly/2fTQxL1; Ara News, *ქურთები იწყებენ გაწვევის კამპანიას, რათა კობანე დაიცვან ISIS-ის შეტევისაგან,* 2016 წლის 21 ივნისი, http://bit.ly/2s7dAZ4; Syria Direct, *‘მეშინოდა ჩემი და არ გაეწვიათ სამხედრო სამსახურში’,* 2015 წლის 21 იანვარი, http://bit.ly/1zwB872. იხ. აგრეთვე, *„პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ PYD/YPG-ს, ან ასეთად არიან მიჩნეული“* (განყოფილება III.A.6) და მითითებული წყაროები.

[109] იხ. აგრეთვე, *„პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ PYD/YPG-ს, ან ასეთად არიან მიჩნეული“* (განყოფილება III.A.6) და მითითებული წყაროები.

[110] კომისია ატარებს რაქაში სხვადასხვა სავარაუდო საჰაერო თავდასხმების გამოძიებას, რომლებიც, არსებული ინფორმაციის თანახმად, ასობით სამოქალაქო პირის მსხვერპლით დასრულდა; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო,

## D. იძულებითი გადაადგილება და დაბრუნება

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, სირიაში შექმნილი სიტუაცია მსოფლიოში იძულებითი გადაადგილების ყველაზე დიდი მიზეზი გახდა. მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებით არის გადაადგილებული,[111] მათ შორის, 6,3 მილიონი ადამიანი, თვით სირიის შიგნით არის გადაადგილებული (2017 წლის მარტის მონაცემით)[112] დაახლოებით ხუთი მილიონი ლტოლვილი არის რეგისტრირებული მეზობელ ქვეყნებსა და ჩრდილოეთ აფრიკაში,[113] ხოლო ასი ათასობით ადამიანი ევროპაში ჩავიდა თავშესაფრის მაძიებლად.[114]

მხოლოდ 2016 წელს სირიაში ორ მილიონზე მეტი ადამიანი დაფიქსირდა იძულებით გადაადგილებულ პირად,[115] ხოლო 2017 წელს სირიის თითქმის ყველა კუთხეში

---

http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 78-79. ამნესტი ინტერნეიშენალის თანახმად, „კოალიციის ძალების მიერ წარმოებული საარტილერიო და საჰაერო თავდასხმის შედეგად - რომლის დროსაც მათ კოორდინატებს ძირითადად *SDF*-ი აწვდის, სამხედრო ოპერაციების დაწყებიდან ქალაქის დაბრუნებამდე ასობით სამოქალაქო პირი დაიღუპა. ზოგიერთი სამოქალაქო მსხვერპლი თავდასხმის სამიზნის არასწორმა განსაზღვრამ გამოიწვია, ხოლო კოორდინატები *SDF-ის მიერ იყო მიწოდებული. (...)* გარდა ამისა, კოალიციური ძალები იყენებდნენ მართვად და ჩვეულებრივ საარტილერიო ჭურვებს, ასევე, მართვად რაკეტებსა და საჰაერო ბომბებს(…), ხოლო *SDF-ის ძალები იყენებდნენ ნაღმტყორცნებს. ამ იარაღს ზემოქმედების დიდი რადიუსი აქვს და ამრიგად, სამოქალაქო მოსახლეობისთვის დიდი რისკის მატარებელია, როდესაც მათი სამიზნე საცხოვრებელი უბნებია.“* ამნესტი ინტერნეიშენალი მოუწოდებს SDF-ს და კოალიციურ ძალებს „შეტევის დაგეგმვისა და განხორციელებისას სრულად დაიცვან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, არ განახორციელონ შეტევა, როდესაც იგი შეიძლება განურჩეველი, არაპროპორციული ან რაიმე სხვა ფორმით არამართლზომიერი გახდეს.“ მნიშვნელოვანი პრობლემების ფონზე, ISIS-ის მიერ განხორციელებული ოპერაციები ართულებს სამოქალაქოთა გარჩევას სამხედრო სამიზნეებისაგან; Amnesty International, *სირია: "მე არასოდეს დამავიწყდება ეს სისხლისღვრა“ რაქასთვის ბრძოლები ხაფანგია სამოქალაქო პირებისთვის, 2017 წლის 23 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/599ec9174.html, გვ. 5, 32. იხ. აგრეთვე, HRW, *ყველა რეალური გაფრთხილება? სამოქალაქო მსხვერპლი ISIS-ის საწინააღმდეგო კოალიციის საჰაერო თავდასხმებში,* http://www.refworld.org/docid/59ca4bbe4.html; HRW, *სირია:რაქას ბრძოლების ძირითადი კონცეფცია, 2017 წლის 13 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5970a9844.html. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „სამოქალაქო მსხვერპლი“ (განყოფილება II.B) და „ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები“ (განყოფილება II.C.2) და მითითებული წყაროები.

[111] OCHA, *სირიის კრიზისი - კრიზისის შესახებ, ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს,* http://bit.ly/1END1dC; გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მოხსენება შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ, 2017 წლის 10 მაისი, S/2017/414, http://www.refworld.org/docid/5937a99d4.html, პარ. 62 (შემდგომში: გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მოხსენება შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ, 2017 წლის 10 მაისი, http://www.refworld.org/docid/5937a99d4.html)

[112] იძულებით გადაადგილებულთა შორის ნახევარი არის ბავშვი ან ახალგაზრდა; OCHA, *სირიის კრიზისი - სირიის კრიზისის შესახებ*, ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს, http://bit.ly/1END1dC. იხ. აგრეთვე, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მოხსენება სირიის კრიზისის სიტუაციის შესახებ, 2017 წლის 30 ივნისი, http://bit.ly/2u4zlW1, გვ. 32.

[113] UNHCR, *Syria Regional Refugee Response, ბოლო განახლება - 2017 წლის 19 ოქტომბერი,* http://data.unhcr.org/syrianrefugees/regional.php

[114] 2011 წლის აპრილიდან 2017 წლის ივლისამდე ევროპის ქვეყნებში სირიელთა მიერ 970 000-მდე თავშესაფრის განაცხადი იქნა შეტანილი; UNHCR, *Syria Regional Refugee Response – ევროპა: თავშესაფრის განაცხადები სირიელებისაგან, ბოლო განახლება - 2017 წლის ივლისი,* http://data.unhcr.org/syrianrefugees/asylum.php

[115] გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მოხსენება შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ, 2017 წლის 10 მაისი, http://www.refworld.org/docid/5937a99d4.html, პარ. 63; OCHA, ჰუმანიტარულ საკითხთა და გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში გენერალური მდივნის თანაშემწის, სტეფან ო'ბრაიენის განცხადება სირიის შესახებ, 2017 წლის 22 თებერვალი, http://bit.ly/2vYJkxD

აღინიშნა იძულებითი გადაადგილების ახალი ტალღები.[116] იძულებითი გადაადგილების ძირითად მიზეზებად ასახელებენ სამოქალაქო პირებზე და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე განზრახ თავდასხმებს, მათ შორის, უმნიშვნელოვანეს საბაზისო სერვისებზე, როგორიცაა, წყალმომარაგება და ელექტრო ენერგიის მიწოდება. ერთ-ერთი მიზეზი არის ისიც, რომ კონფლიქტის მხარეები ვერ ახერხებენ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვას.[117] გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, ადამიანებს სულ უფრო ხშირად უხდებათ გადაადგილდნენ სირიის შიგნით, რაც მათ მშობლიურ კუთხეებში სერვისების სრული მოშლით არის გამოწვეული, არაადეკვატური ჯანდაცვის და საარსებო წყაროების ჩათვლით, რაც საარსებო ხარჯების ზრდის ფონზე ხდება.[118] მრავალჯერადი იძულებითი გადაადგილება სირიის კონფლიქტის მძიმე მახასიათებელია, რადგან ფრონტის ხაზი კვლავ იცვლება და მანამდე უსაფრთხო რაიონები (კვლავ) კონფლიქტის ზონა ხდება.[119] კვლავ აღინიშნება იძულებით გადაადგილებულ პირებზე თავდასხმის შედეგად მათი ფიზიკური განადგურების შემთხვევები, ასევე ხდება მათი ხელახალი გადაადგილება.[120]

---

116 2017 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის, დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი აღირიცხა, როგორც ახალი იძულებით გადაადგილებული ბოლო 12 თვის განმავლობაში; UNHCR, სირია: ბოლო პერიოდის მოვლენათა უახლესი განახლება - 2017 წლის 25 ოქტობერი, http://bit.ly/2xXhdRv.

117 ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო/შიდა გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (NRC/IDMC), *2016 გლობალური მოხსენება შიდა გადაადგილების შესახებ - სირია: ქვეყანაში გამომწყვდეულები და საერთო სურათის მიღმა, 2016 წლის 1 მაისი,* http://www.refworld.org/docid/57a98bf511.html. განზრახ განხორციელებული და მიზნობრივი შეტევები საბაზისო ინფრასტრუქტურაზე და წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა - ომის იარაღი, რომელსაც იყენებენ სამთავრობო ძალები, ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები და ISIS-ი; იხ. აგრეთვე „ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები“ (განყოფილება II.C, სქოლიო **Error! Bookmark not defined.**, **Error! Bookmark not defined.** და **Error! Bookmark not defined.**) და მითითებული წყაროები.

118 იხ. ქვემოთ, “ჰუმანიტარული სიტუაცია“ (განყოფილება II.E) და მითითებული წყაროები.

119 “წლების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტის გამო ადამიანთა იძულებითი გადაადგილება არ წყდება; თითოეული გადაადგილებისას ოჯახის ქონება მცირდება და სირთულეებთან გამკლავების საშუალებებიც სუსტდება“, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 37.

120 “*დარღვევები განსაკუთრებით ხდება მოწყვლადი ადამიანების მიმართ. უსაფრთხო ადგილის საძიებლად გაქცეული ადამიანები ხშირად ხდებიან თავდასხმის მსხვერპლი თავშესაფრის ბანაკებში“;* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 24 (მაგალითებით). მაგალითისთვის, 2017 წლის 15 აპრილს, როდესაც ევაკუირებულები ალყაშემორტყმულ ქალაქებს - ფუა და კეფრაიას (იდლიბის პროვინცია) ტოვებდნენ და მთავრობის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებისკენ მიემართებოდნენ, დაახლოებით 125 ადამიანი გარდაიცვალა და 400 დაიჭრა. როგორც იუწყებიან, ისინი დანაღმული ავტომობილის აფეთქებას ემსხვერპლნენ, იმ დროს, როცა დასავლეთ ალეპოში, რაშიდეენის მოსაცდელ ტერიტორიაზე გადაყვანას ელოდებოდნენ.. OHCHR, *სირია: ადმიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის აპრილი, 2017 წლის 30 აპრილი,* http://www.refworld.org/docid/59bb82894.html, გვ. 3. იხ. აგრეთვე, გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება, 2017 წლის 21 ივლისი*, http://www.refworld.org/docid/59881d6f4.html, გვ. 14, 15, 16; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 23 ივნისი, S/2017/541, http://www.refworld.org/docid/595640f74.html (შემდგომში: გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 23 ივნისი, http://www.refworld.org/docid/595640f74.html), გვ. 12, 15, 19; Al Jazeera, *დანაღმული მანქანის აფეთქების შედეგად სირიელი მოქალაქეები დაიღუპნენ რუკბანის ლტოლვილთა ბანაკში, 2017 წლის 16 მაისი,*

ფართომასშტაბური შიდა გადაადგილების პარალელურად, 5,3 მილიონზე მეტმა სირიელმა მეზობელ ქვეყნებსა და ჩრდილოეთ აფრიკაში ჰპოვა თავშესაფარი. 3,25 მილიონი სირიელი ლტოლვილი თურქეთში არის რეგისტრირებული; ერთ მილიონზე მეტი იმყოფება ლიბანში;[121] 654 500 ლტოლვილმა იორდანიას შეაფარა თავი; 244 000 არის ერაყში; 124 500 - ეგვიპტეში; ხოლო 30 000-ზე მეტი ლტოლვილი ჩრდილოეთი აფრიკის სხვა ქვეყნებში იმყოფება.[122]

რეგიონში მზარდი დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და სოციალური წნეხის ფონზე, მასპინძელი ქვეყნების მთავრობები სულ უფრო ხშირად იყენებენ საზღვრის მართვის ღონისძიებებს, რათა შეზღუდონ თავიანთ ქვეყნებში შესვლა. ამის შედეგად, ათასობით უმწეო ადამიანი სირიიდან გამოსვლას და უსაფრთხო ადგილისთვის თავის შეფარებას ვერ ახერხებს.[123] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, სულ უფრო ხშირია იძულებითი დაბრუნების შემთხვევები, როდესაც დევნილებს სხვა ქვეყნებში შესვლაზე უარს ეუბნებიან.[124]

---

http://aje.io/5urx; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 54.

[121] 2015 წლის მაისის დასაწყისიდან UNHCR-ის ლიბანის მისიამ დროებით შეწყვიტა ახალი შემთხვევების რეგისტრაცია, რაც ლიბანის მთავრობის მოთხოვნით იყო გამოწვეული. შესაბამისად, პირები, რომლებიც რეგისტრაციას ელოდებიან, აღარ არიან გათვალისწინებული ლიბანში სირიელ ლტოლვილთა საერთო რაოდენობაში.

[122] UNHCR, *Syria Regional Refugee Response,* ბოლო განახლება - 2017 წლის 19 ოქტომბერი, http://data.unhcr.org/syrianrefugees/regional.php.

[123] გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის, ფილიპო გრანდის განცხადებით, „სირიის საზღვარი მეტ-ნაკლებად ჩაკეტილია, ან მისი გადალახვა ძალიან ძნელია, ხოლო მეზობელი ქვეყნები აცხადებენ, რომ ისინი „უკვე გაივსნენ" დაახლოებით ხუთი მილიონი სირიელი ლტოლვილით. ეს იმას ნიშნავს, რომ სირიელები, ამ გაუსაძლის სიტუაციაში, ქვეყნის შიგნით არიან გამომწყვდეული"; UNHCR, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი აცხადებს, რომ სირიაში ადგილმონაცვლეობის ტალღა იზრდება, 2016 წლის 24 ოქტომბერი, http://www.unhcr.org/580e2cc84.html. „სირიის გარშემო საზღვრები სულ უფრო მკაცრად ჩაკეტილი ხდება, რაც სირიაში მყოფ ადამიანებს საერთაშორისო დაცვის ძიების საშუალებას არ აძლევს. დღეს სირიელებს სულ რამდენიმე კანონიერი გზა აქვთ ქვეყნის დასატოვებლად. სიტუაცია - საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ლიბანში შესასვლელად სავიზო მოთხოვნების დაკმაყოფილება არის საჭირო, იორდანიის საზღვარი ახლახანს ჩაიკეტა, თურქეთში საჰაერო ან საზღვაო ტრანსპორტით შესასვლელად ვიზა არის საჭირო, თუმცა შეზღუდული საშუალება სახმელეთო გზით უკანონო შესვლისთვის კვლავ არსებობს"; დანიის ლტოლვილთა საბჭო, *პრობლემა საზღვართან: პოლიტიკის ცვლილებები და მიგრაციის რეალობა: ახლო აღმოსავლეთში მიგრაციის ტენდენციის მიმოხილვა (2016 წლის ივნისი/ივლისი),* 2016 წლის ივლისი, http://bit.ly/2reKKV1, გვ. 6. იხ. აგრეთვე, IDMC, *სირიელები ვიწრო ბილიკზე: გადარჩენა კოშმარულ პირობებში და გაურკვეველი სტატუსით,* 2017 წლის 4 ოქტომბერი, http://bit.ly/2y2iNmM; HRW, *ხაფანგში მომწყვდეულები: სირიელი სამოქალაქო დევნილები სასოწარკვეთილი არიან, 2017 წლის 19 სექტემბერი,* http://bit.ly/2xuK6pI; გაეროს ახალი ამბები, *ფარჰან ჰაქის ბრიფინგი - გენერალური მდივნის, ანტონიო გუტიერესის პრესმდივნის მოადგილე, 2017 წლის 14 აგვისტო,* http://bit.ly/2yN7JuB; Spiegel Online, *ლტოლვილთა კრიზისი: სიკვდილის სარტყელი თურქეთ-სირიის საზღვარზე, 2016 წლის 7 დეკემბერი,* http://spon.de/aeSKA; ლტოლვილთა და გაძევებულთა ევროპული საბჭო, *საზღვრის კედლის გაგრძელება და მიმდინარე ძალადობა თურქეთ-სირიის საზღვარზე, 2016 წლის 24 ოქტომბერი,* http://bit.ly/2eCKzf9

[124] HRW, *იორდანია: სირიელ ლტოლვილთა თვითნებური დეპორტაცია, 2017 წლის 2 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/59d221754.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - იორდანია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec8a1c13.html; Reuters, *იძულებითი დაბრუნება კვლავ სირიაში? იორდანიის არარეგისტრირებულ ლტოლვილებს დეპორტაციის*

ახლო აღმოსავლეთში პალესტინელი ლტოლვილებისთვის გაეროს დახმარებისა და შრომის სააგენტოს (UNRWA) შეფასებით, UNRWA-ს მიერ რეგისტრირებული, ან სხვაგვარად აღრიცხული 629 000 პირიდან („პალესტინელი ლტოლვილები“),[125] რომლებსაც სირიაში კონფლიქტის დაწყებამდე უფლება ჰქონდათ მიეღოთ UNRWA-ის სერვისები,[126] დაახლოებით 254 000 პალესტინელი ლტოლვილი ერთხელ მაინც გადაადგილდა სირიის ფარგლებში.[127] 120 000-ზე მეტი სხვა ქვეყნებში გაიქცა.[128] პალესტინელი ლტოლვილები განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებიან სირიის გარეთ უსაფრთხო ადგილების მოძიების თვალსაზრისით, რადგან მეზობელმა ქვეყნებმა მათ მკაცრად აუკრძალეს თავიანთ ტერიტორიებზე შესვლა.[129] სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს ქვეყნიდან გაძევებისა და იძულებითი დეპორტაციის შემთხვევები, მათ შორის, ბავშვების.[130]

2015 წლიდან სირიელი მოქალაქეები შეადგენდნენ იმ ძირითად ჯგუფს, რომელიც ევროპის ქვეყნებში საერთაშორისო დაცვას ითხოვდა.[131] 2016 წლიდან ევროპაში

---

*შიში აქვთ, 2017 წლის 22 თებერვალი,* http://reut.rs/2m9YvQ4; HRW, *მსოფლიო მოხსენება 2017 – ლიბანი*, 2017 წლის 12 იანვარი, http://www.refworld.org/docid/587b5835f.html; The Conversation, *სირიელ ლტოლვილებს თურქეთში, იორდანიასა და ლიბანში გაურკვეველი 2017 წელი ელოდებათ, 2017 წლის 3 იანვარი,* http://bit.ly/2reEBrW; Amnesty International, თურქეთი: სირიელ ლტოლვილთა უკანონო მასობრივი დაბრუნება, 2016 წლის 1 აპრილი, http://www.refworld.org/docid/570210f94.html; Amnesty International, *ლიბანი:100-ზე მეტი სირიელის სირიაში იძულებითი დაბრუნება შოკისმომგვრელი რეგრესია*, 2016 წლის 8 იანვარი, http://www.refworld.org/docid/569756cd4.html.

125 “პალესტინელი ლტოლვილები”, განსაზღვრების თანახმად, არიან „პირები, რომელთა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი 1946 წლის 1 ივნისიდან 1948 წლის 15 მაისამდე პალესტინა იყო და ვინც, 1948 წლის კონფლიქტის შედეგად, დაკარგა სახლიც და საარსებო საშუალებებიც“; UNRWA, *კონსოლიდირებული უფლებამოსილება და რეგისტრაციის ინსტრუქციები (CERI)*, 2009 წლის 1 იანვარი, http://www.refworld.org/docid/520cc3634.html, გვ. 3. კონფლიქტამდე, UNRWA-მ დაარეგისტრირა 560 000 პალესტინელი ლტოლვილი; UNRWA, *ყოველწლიური ოპერატიული მოხსენება 2016,საანგარიშო პერიოდი: 2016 წლის 1 იანვარი - 31 დეკემბერი,* 2017 წლის 16 მაისი, http://bit.ly/2vEL3IA, პარ. 11

126 გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების თანახმად, სხვა პირებმაც შეიძლება მიიღონ UNRWA-ის სერვისები, კერძოდ, 1967 წლის და მომდევნო პერიოდის შეიარაღებული დაპირისპირებების დროს გადაადგილებულმა პირებმა; UNRWA, *კონსოლიდირებული უფლებამოსილება და რეგისტრაციის ინსტრუქციები (CERI)*, 2009 წლის 1 იანვარი, http://www.refworld.org/docid/520cc3634.html .

127 UNRWA, *სირია: UNRWA – პალესტინელ ლტოლვილთა დემოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა 2016*, 2017 წლის 12 ივნისი, http://bit.ly/2tilT1M.

128 ძირითადად ლიბანის, იორდანიის, ღაზას და ეგვიპტის ჩათვლით, UNRWA, *Syria Regional Crisis Emergency Appeal 2017*, 2016, http://bit.ly/2n5lpbS, გვ. *v*, 1.

129 გაეროს გენერალური ასამბლეა, *ახლო აღმოსავლეთში პალესტინელი ლტოლვილების დახმარებისა და შრომის გაეროს სააგენტოს გენერალური კომისრის მოხსენება, 2016 წლის 1 იანვარი - 31 დეკემბერი,* 2017 წლის 22 მაისი, A/72/13, http://www.refworld.org/docid/59ef4f534.html, პარ. 14, 18; UNRWA, *2016 Emergency Appeal Syria Regional Crisis Progress Report*, 2017 წლის 9 თებერვალი, http://bit.ly/2lAkQt2, გვ. 1, 4, 14, 23; Amnesty International, *უარი თავშესაფარზე: სირიიდან წამოსული პალესტინელები უსაფრთხოებას ლიბანში ეძებენ, 2014 წლის 1 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/56cabdd14.html, გვ. 7, 11.

130 გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CAT), *იორდანიის მესამე პერიოდული მოხსენების დასკვნითი მიმოხილვა*, 2016 წლის 29 იანვარი, CAT/C/JOR/CO/3, http://www.refworld.org/docid/58beafe04.html, პარ. 13 და 14 (c); გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი (CRC), *იორდანიის მესამე, მეოთხე და მეხუთე პერიოდული მოხსენებების დასკვნითი მიმოხილვა*, 2014 წლის 13 ივნისი, CRC/C/JOR/CO/4-5, http://www.refworld.org/docid/541bf99a4.html, პარ. 55, 56.

131 ევროპის თავშესაფრის მხარდამჭერის ბიურო (EASO), *თავშესაფრის უახლესი ტენდენციები - 2017 წლის აგვისტო,* http://bit.ly/2yIF0Uk

სირიიდან შემოსულ პირთა რაოდენობა შემცირდა, რაც გამოწვეული იყო საზღვრების ჩაკეტვითა და 2016 წლის მარტში ევროპის კავშირისა და თურქეთის მიერ გაკეთებული განცხადებით.[132] სირიიდან გამოქცეული ადამიანები კვლავ ცდილობენ მიიღონ საერთაშორისო დაცვა, მათ შორის, ხმელთაშუა ზღვის ნავებით გადმოცურვის მეშვეობითაც.[133] ვარაუდობენ, რომ ხმელთაშუა ზღვის გადმოცურვის მცდელობისას ათასობით ადამიანი დაიხრჩო ან უგზოუკვლოდ არის დაკარგული.[134]

2017 წელს აღრიცხული იძულებითი გადაადგილების ახალი შემთხვევების პარალელურად,[135] UNHCR-ის შეფასებით, 600 000 იძულებით გადაადგილებული პირი დაბრუნდა თავის მშობლიურ კუთხეში სირიაში, თუმცა ცნობილი არ არის რამდენი ადამიანი გახდა ხელახლა გადაადგილებული.[136] 2017 წლის იანვრიდან, სექტემბრის შუა რიცხვებამდე, UNHCR-მა აღრიცხა 57 000 სირიელი ლტოლვილი, რომლებიც მეზობელი ქვეყნებიდან დაბრუნდნენ.[137] ლტოლვილთა დაბრუნების ძრითად მიზეზთა შორის, *inter alia*, ასახელებენ, ოჯახის წევრთა მოძებნის და საკუთრების შემოწმების სურვილს, ასევე, სირიელ ლტოლვილთა დუხჭირ ყოფას მასპინძელ ქვეყნებში, კერძოდ, დასაქმების შეზღუდულ შესაძლებლობებს, ცხოვრების სიძვირეს და სამედიცინო მომსახურების მაღალ ფასებს.[138] გარდა ამისა, ლტოლვილთა

---

[132] ევროპის კავშირი: ევროპის კავშირის საბჭო, ევროკავშირის და თურქეთის განცხადება, 2016 წლის 18 მარტი, http://www.refworld.org/docid/5857b3444.html

[133] 2017 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე ხმელთაშუა ზღვის მხრიდან 11733 სირიელი შემოვიდა; UNHCR, *ოპერატიული პორტალი - ხმელთაშუა ზღვის სიტუაცია,* ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს, http://data2.unhcr.org/en/situations/mediterranean. იხ. აგრეთვე, UNHCR, *სასოწარკვეთილი მგზავრობა - ლტოლვილები და მიგრანტები ევროპაში შემოდიან ხმელთაშუა ზღვისა და დასავლეთ ბალკანეთის მიმართულებებიდან, 2017 წლის აგვისტო,* http://bit.ly/2g8oVTS; UNHCR, *ლტოლვილები და მიგრანტები მომატებული რისკის წინაშე დგანან ევროპამდე მიღწევის თვალსაზრისით - UNHCR-ის მოსენება, 2017 წლის 27 თებერვალი,* http://bit.ly/2mohiuh.

[134] 2016 წელი, ხმელთაშუა ზღვაში, მსხვერპლთა ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩა - 5000-ზე მეტი დაღუპული ადამიანი იქნა აღრიცხული. 2015 წელს ეს ციფრი იყო 3771. 2017 წლის 30 ოქტომბრისთვის დაახლოებით 2806 ლტოლვილი და მიგრანტი დაიღუპა, ან უგზოუკვლოდ დაკარგულად არის მიჩნეული; UNHCR, ოპერატიული პორტალი - ხმელთაშუა ზღვის სიტუაცია, ბოლო განახლება - 2017 წლის 30 ოქტომბერი, http://data2.unhcr.org/en/situations/mediterranean; UNHCR, *UNHCR-ი იწონებს ევროპის სამაშველო ოპერაციებს ხმელთაშუა ზღვაში, 2017 წლის 15 იანვარი,* http://bit.ly/2iqPUdA. ევროკავშირი-თურქეთის განცხადების შესახებ, იხ. აგრეთვე, UNHCR, *მოსაზრებები თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა საბერძნეთიდან თურქეთში დაბრუნების შესახებ - ევროკავშირსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა მიგრაციის კრიზისის რეგულირების სფეროში უსაფრთხო მესამე ქვეყნისა და თავშესაფრის პირველი ქვეყნის კონცეფციის გამოყენებით,* 2016 წლის 23 მარტი, http://www.refworld.org/docid/56f3ee3f4.html

[135] იხ. ზემოთ, სქოლიო **Error! Bookmark not defined.**

[136] გაეროს ახალი ამბების სამსახური, 600 000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული სირიელი ბრუნდება შინ 2017 წელს - გაეროს სააგენტო, 2017 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/598db7f34.html. იხ. აგრეთვე, UNHCR, განახლებული: სირიელ ლტოლვილთა საკითხების გრძელვადიანი გადაწყვეტა, 2017 წლის 7 აგვისტო, http://bit.ly/2visLPl

[137] მათი უმრავლესობა (38 000) თურქეთიდან დაბრუნდა; UNHCR-ის ინფორმაცია, 2017 წლის ოქტომბერი. დაბრუნების ზოგიერთი შემთხვევა თავისი ბუნებით ნებაყოფლობითი არ იყო; UNHCR, *განახლებული: სირიელ ლტოლვილთა საკითხების გრძელვადიანი გადაწყვეტა, 2017 წლის 7 აგვისტო,* http://bit.ly/2visLPl. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, „მორატორიუმი იძულებით დაბრუნებაზე“ (განყოფილება IV) და მითითებული წყაროები.

[138] UNHCR, *UNHCR-მა სირიის მიმდინარე კონფლიქტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა საგულისხმო რაოდენობის დაბრუნება აღრიცხა, 2017 წლის 30 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/59562de64.html. UNHCR-ის მიერ 2017 წლის თებერვალ-აპრილში ჩატარებულმა

გარკვეული რაოდენობა შეიძლება მოკლე დროით დაბრუნდეს, მაგალითად, სიტუაციის შესაფასებლად:არის თუ არა უსაფრთხო და ცხოვრებისთვის საიმედო თავშესაფრის ქვეყნიდან ოჯახის წამოყვანა და უკან დაბრუნება („ვიზიტი - წადი და ნახე“). ასეთი თვითორგანიზებული დაბრუნების მიუხედავად, UNHCR-ს მიაჩნია, რომ სირიაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი პირობები ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისთვის. ქვეყნის მრავალ კუთხეში უსაფრთხოება კვლავ არ არის უზრუნველყოფილი და ჯერ კიდევ მაღალია ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკი. ანალოგიურად, ლტოლვილთა დაბრუნების მრავალ რაიონში უსაფრთხოების გაუმჯობესებული სიტუაციის მდგრადობის საკითხი ეჭვს იწვევს.[139] მდგრად და მასშტაბურ დაბრუნებას ასევე ხელს უშლის საარსებო საშუალებათა სიმწირე, საკვებისა და წყლის ნაკლებობა და ჯანდაცვის, სოციალური და სხვა საბაზისო მომსახურებათა არარეგულარული ხასიათი, ან არარსებობა. სირიაში ბევრი სკოლა დაზიანებული, ან დანგრეულია და განათლების უზრუნველსაყოფად უვარგისია.[140] ამის შედეგად, ამ ეტაპზე, UNHCR-ი ვერ შეუწყობს ხელს მასპინძელი ქვეყნებიდან ლტოლვილთა დაბრუნებას.

2017 წლის ივნისიდან აგვისტომდე, სირიის სხვადასხვა კუთხეში, დაახლოებით 7000 სირიელი დაბუნდა ლიბანის სასაზღვრო ქალაქ არსალიდან, რაც ჰეზბოლასა და სირიის ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებს შორის ადგილობრივი შეთანხმებების საფუძველზე განხორციელდა. ამ შეთანხმებების უპირველესი მიზანი იყო მებრძოლთა ევაკუაცია, რომლებიც, მათი მონაცემებიდან გამომდინარე, არ არიან პირები, რომლებიც UNHCR-ის დაცვის ქვეშ ხვდებიან, თუმცა ამ მოძრაობას შეუერთდნენ სამოქალაქო პირებიც, მათ შორის, ლტოლვილთა დაუდგენელი რაოდენობა, რომლებიც UNHCR-ის მიერ არიან რეგისტრირებული. ამასთან

გამოკითხვამ უჩვენა, რომ გამოკითხულ სირიელ ლტოლვილთა უმრავლესობა (76%) დაბრუნებას აპირებს 2017 წლის შემდეგ, თუკი დაბრუნების ადგილებზე პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება; UNHCR, ბოლო განახლება: სირიელ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, 2017 წლის 30 ივნისი, http://bit.ly/2tANRIO, გვ. 2.

[139] “*საცხოვრებლისა და ინფრასტრუქტურის ნგრევის დონე, საბაზისო სერვისები, სოციალური უსაფრთხოების ქსელი და საარსებო წყაროების შესაძლებლობები ქვეყნის შიგნით, უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული სიტუაცია კვლავ ცვალებადია, რის გამოც იძულებითი გადაადგილება გრძელდება. დაბრუნებულები შესაძლოა აღმოჩნდნენ განახლებული ან მიმდინარე ბრძოლების საფრთხის წინაშე და ისინი ეჭვებს გამოთქვამენ დაბრუნებასთან დაკავშირებული დაბრკოლებების შესახებ, როგორიცაა: შეიარაღებული ჯგუფების მიერ პირთა გაწვევა, დაკავება, დაპატიმრება და ფიზიკური ძალადობის სხვა ფორმები“;* UNHCR, *განახლებული: სირიელ ლტოლვილთა საკითხების გრძელვადიანი გადაწყვეტა, 2017 წლის 7 აგვისტო,* http://bit.ly/2visLPl. იხ. აგრეთვე, *ბოლო განახლება: სირიელ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, 2017 წლის 30 ივნისი,* http://bit.ly/2tANRIO, გვ. 2. იხ. აგრეთვე “კონფლიქტი და უსაფრთხოების სიტუაცია” (განყოფილება II.A) და „უფლებამოსილება ლტოლვილის გაფართოებული/ფართო დეფინიციის საფუძველზე და დაცვის დამატებითი ფორმები“ (განყოფილება III.B) და მითითებული წყაროები.

[140] UNHCR-ის მიერ გამოკითხულმა ლტოლვილებმა აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების მძიმე სიტუაცია, სერვისებზე მისაწვდომობის არქონა - წყლის, ჯანდაცვის, განათლების და ელექტროენერგიის ჩათვლით - და საარსებო საშუალებათა მოპოვების შეზღუდული შესაძლებლობები არის დაბრუნების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები. რესპონდენტთა დაახლოებით 50 პროცენტი აცხადებს, რომ სირიაში მათი საკუთრება დაზიანებული ან განადგურებულია, რაც დაბრუნებისთვის სერიოზული დაბრკოლებაა; UNHCR, *ბოლო განახლება: სირიელ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, 2017 წლის 30 ივნისი,* http://bit.ly/2tANRIO, გვ. 2

დაკავშირებით დაისვას საკითხი: თუ რამდენად იყვნენ ინფორმირებული ამ მოძრაობის მონაწილე სამოქალაქო პირები და რამდენად ჰქონდათ დაბრუნების შესახებ თავისუფალი და გააზრებული გადაწყვეტილების მიღების საშუალება.[141]

## E. ჰუმანიტარული სიტუაცია

სირიაში ჰუმანიტარული კრიზისის ძირითადი გამომწვევი მიზეზი არის კონფლიქტი.[142] კონფლიქტის გამო, რომელიც სირიაში უკვე მეშვიდე წელია მიმდინარეობს, ჰუმანიტარული სიტუაცია სულ უფრო უარესდება. 2016 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა მოხსენება „ჰუმანიტარული საჭიროებების მიმოხილვა", სადაც ნათქვამია, რომ „*2016 წლის დასაწყისში რთული წარმოსადგენი იყო სირიელთა ყოფის კიდევ უფრო გაუარესება. მიუხედავად ამისა, განუწყვეტელი საბრძოლო მოქმედებების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევების ერთობლიობამ, ჰუმანიტარული დახმარებაზე მისაწვდომობის სირთულეებისა და ეკონომიკური კოლაფსის შედეგების ჩათვლით, ისედაც კატასტროფული ჰუმანიტარული სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა*".[143] 2017 წლის „ჰუმანიტარული საჭიროებების მიმოხილვის" შესაბამისად, დაცვა და ჰუმანიტარული დახმარება 13,5 მილიონ ადამიანს სჭირდება,[144] მათგან დაახლოებით 5,7 მილიონ ადამიანს გადაუდებელი დახმარება სჭირდება, რაც მათი სიცოცხლის გადასარჩენად არის აუცილებელი.[145] არსებული გაანგარიშების

---

141 HRW, ლიბანი: სასაზღვრო ზონაში მყოფი ლტოლვილები რისკის ქვეშ არიან, 2017 წლის 20 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/59c21dc84.html; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 21 სექტემბერი, S /2017/794, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 12; UNHCR, *UNHCR-ის ლიბანის მისიის განცხადება არსალიდან დაბრუნების შესახებ, 2017 წლის 3 აგვისტო,* http://bit.ly/2zdfIhd; სირიის დაცვის კლასტერი (თურქეთი) - დაცვის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი, *დაცვის მონიტორინგის სწრაფი მოხსენება - გადაადგილება: ლიბანის არსალიდან იდლიბსა და ალეპოსკენ, 2017 წლის აგვისტო,* http://bit.ly/2vDqYC4; Al Jazeera, *ლიბანში სირიელი ლტოლვილები არსალის შემდეგ შიშში ცხოვრობენ, 2017 წლის 28 აგვისტო,* http://bit.ly/2vvmGgj; The Guardian, *ათასობით ლტოლვილი და მებრძოლი ლიბანიდან სირიაში ბრუნდება, 2017 წლის 14 აგვისტო,* http://bit.ly/2w8INfE; Los Angeles Times, *სირიელი მეამბოხეთა და ლტოლვილთა მიერ ლიბანის დატოვებას იძულებითი გადაადგილების კვალი ამჩნევია, 2017 წლის 13 აგვისტო,* http://lat.ms/2uORcRE; The New York Times, *მეომრები და ლტოლვილები სირიაში ბრუნდებიან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე, 2017 წლის 2 აგვისტო,* http://nyti.ms/2v1hZtz; Reuters, *ლტოლვილების დაბრუნება ლიბანიდან სირიაში - ჰეზბოლას მედიატორობით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, 2017 წლის 12 ივლისი,* http://reut.rs/2uSmSWZ.

142 OCHA, *2017 ჰუმანიტარული საჭიროებების მიმოხილვა, 2016 წლის 1 დეკემბერი,* http://bit.ly/2kCi16M, გვ. 8.

143 იქვე. იხ. აგრეთვე, OCHA, ჰუმანიტარულ საკითხთა და გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში გენერალური მდივნის თანაშემწის, სტეფან ო'ბრაიენის განცხადება სირიის შესახებ, ნიუ-იორკი, 2017 წლის 26 იანვარი, http://bit.ly/2lqx6sc; WHO/OCHA/WFP/UNICEF/UNHCR, *ერთობლივი განცხადება სირიის შესახებ, 2017 წლის 16 იანვარი,* http://bit.ly/2iZilM4.

144 OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის 1 დეკემბერი,* http://bit.ly/2kCi16M.

145 "(…) *5.7 მილიონი შეჭირვებული ადამიანი ცხოვრობს სირიის რაიონებში, სადაც საჭიროების დონე შეფასებულია როგორც - კატასტროფული, კრიტიკული ან მძიმე. მათგან ერთი მილიონი ადამიანი ცხოვრობს რაიონებში, რომლებსაც კატასტროფულის კატეგორია აქვს მინიჭებული, 383 000 პირის საცხოვრებელი გარემო კრიტიკულად არის შეფასებული, ხოლო 3,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს რაიონებში, რომლებიც მძიმე პირობების მქონედ არის კატეგორიზებული";* OCHA, *2017 ჰუმანიტარული საჭიროებების მიმოხილვა, 2016 წლის 1 დეკემბერი,* http://bit.ly/2kCi16M, გვ. 19

შესაბამისად, 2015 წლის ბოლოს, სირიელთა 85% სიღარიბეში ცხოვრობდა.[146] მას შემდეგ სარსებო წყაროები კიდევ უფრო შემცირდა, რამაც სიღარიბის დონის ზრდა გამოიწვია.[147]

საკვებზე,[148] წყალსა[149] და სანიტარულ პირობებზე,[150] საცხოვრებელზე,[151] ჯანდაცვასა[152] და განათლებაზე[153] ხელმისაწვდომობას ძლიერ აფერხებს შეირაღებული კონფლიქტის

---

[146] შეფასების თანახმად, სირიელთა 85 პროცენტი სიღარიბეში ცხოვრობს. მათგან 69 პროცენტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებაც კი არ აქვთ, საკვების ჩათვლით. სიღარიბის დონე პროვინციებში სხვადასხვაა, ხოლო კონფლიქტით დაზარალებულ და ალყაშემორტყმულ რაიონებში დრამატულად მაღალია. UNICEF-ის შეფასებით, დაახლოებით შვიდი მილიონი ბავშვი ცხოვრობს სიღარიბეში; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის 1 დეკემბერი,* http://bit.ly/2k6TwNU, გვ. 6, 7, 13, 14 SCPR, *მოხსენება სირიის კრიზისის ზემოქმედების შესახებ, 2016 წლის 11 თებერვალი,* http://bit.ly/2kCi16M, გვ. 8, 45-47

[147] WFP, *საარსებო წყაროები და მედეგობა - სირია 2017, 2017 წლის ივნისი,* http://bit.ly/2hYxIIk; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის 1 დეკემბერი,* http://bit.ly/2kCi16M, გვ. 14.

[148] წვდომის არარსებობა, ბლოკადა და იძულებითი გადაადგილება ურთიერთდაკავშირებული ფაქტორები იყო, რომლებმაც ხელი შეუწყო საკვების უსაფრთხოების სიტუაციის გაუარესებას. მათ უარყოფითი ზემოქმედება იქონიეს საკვების უსაფრთხოების სამ მაჩვენებელზე: საკვების არსებობაზე, პრობლემის დაძლევის სტრატეგიებზე და კვების პროდუქტების მოხმარებაზე. გარდა ამისა, სამი მილიონი სირიელი დგას საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემის წინაშე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ალყაშემორტყმულ და ძნელადმისადგომ ადგილებში, სადაც საკვების მიწოდება უკიდურესად შეზღუდულია. მთლიანობაში, არსებული ინფორმაციის თანახმად, ცხრა მილიონ ადამიანს სჭირდება გარკვეული სახის დახმარება საკვების თვალსაზრისით. მრავალი სირიელი, განსაკუთრებით, ის ოჯახები, სადაც ოჯახის თავი ქალია და იძულებით გადაადგილებული პირები, იძულებული არიან დღის განმავლობაში შეზღუდონ საკვების მიღების სიხშირე, ისესხონ საკვები და შეამცირონ ულუფა, რათა გაუმკლავდნენ საკვების მწვავე ნაკლებობას; WFP, *ბიულეტენი სირიის შესახებ #17: 2017 წლის სექტემბერი - საკვების უსაფრთხოების მდგომარეობის გაუარესება ძალადობის ესკალაციისაგან დაზარალებულ პროვინციებში, 2017 წლის 30 სექტემბერი,* http://bit.ly/2yPQJ4v; WFP, *WFP მოკლე მოხსენება სირიის შესახებ, 2017 წლის აგვისტო,* 2017 წლის 31 აგვისტო, http://bit.ly/2iCeIQV; გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), *GIEWS - ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების გლობალური სისტემა - მოხსენება სირიის შესახებ, 2017 წლის 21 ივლისი,* http://bit.ly/2tBw1lG; FAO, *გლობალური მოხსენება საკვების კრიზისის შესახებ 2017,* 2017 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/58e20dc64.html, გვ. 15, 18, 107-108; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2016 წლის 1 დეკემბერი, http://bit.ly/2kCi16M, გვ. 39-41. იხ. აგრეთვე, WFP,*საკვების უსაფრთხოების ანალიზი - ბიულეტენი,* http://bit.ly/24GCV9n

[149] წყალმომარაგების დაზიანებული ინფრასტრუქტურა, ტექნიკური მომსახურების არარსებობა და ელექტროენერგიის შეზღუდული მიწოდება წყალმომარაგების სერიოზული გაუარესების მიზეზი გახდა; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 32-37, 106; UNICEF, *სირიელი ბავშვები იტანჯებიან, რადგან დამასკოს ონკანებში წყალი არ მოდის, 2017 წლის 16 იანვარი,* http://uni.cf/2l7GhBP; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის 1 დეკემბერი, გვ.* 50-51; The Guardian, კონფლიქტის შედეგად ინტენსიურად უარესდება წყლის მიწოდება - ექსპერტთა გაფრთხილება, 2016 წლის 7 სექტემბერი, http://bit.ly/2coH8XZ.

[150] არსებული შეფასებით, სირიაში 4,3 მილიონ ადამიანს ესაჭიროება თავშესაფარი; UNHCR/თავშესაფრის კლასტერი, სირია: ყოველთვიური ინფორმაცია თავშესაფრის შესახებ, 2017 წლის აგვისტო, მე-10 გამოცემა, 2017 წლის 31 აგვისტო, http://bit.ly/2fWCZA8. მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები: *„2017 წლის დასაწყისისთვის, ათ ქალაქში კონფლიქტის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა მთლიანი საცხოვრებელი ფართობის 27 პროცენტი (შვიდი პროცენტი განადგურდა, ხოლო 20 პროცენტი ნაწილობრივ დაზიანდა). ეს პროცენტული რაოდენობა სხვადასხვა ქალაქში განსხვავებულია. ნგრევის ყველაზე მაღალი დონე აღინიშნა დეირ ეზ-ზურში (10 პროცენტი), ხოლო ნაწილობრივი დაზიანების - პალმირაში (32,8 პროცენტი). განსაკუთრებით დაზიანებულ ქალაქებს შორის ასევე არის ალეპო, სადაც 8 პროცენტი დანგრეულია და 23 პროცენტი - ნაწილობრივ დაზიანებული"; მსოფლიო ბანკი, სირიის კონფლიქტის ეკონომიკური და სოციალური შედეგები, 2017 წლის 10 ივლისი,* http://bit.ly/2A6nTgx, გვ. *v.* ჰუმანიტარულ საჭიროებათა შეფასებაში მითითებულია, რომ 1,9 მილიონ ადამიანს აქვს საცხოვრებლის „მწვავე და გადაუდებელი" საჭიროება. არსებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყნის

საერთო ეფექტი, ასევე, ინფრასტრუქტურის ნგრევა, ძირითადი მომსახურებების შეწყვეტა და საარსებო საშუალებათა დაკარგვა.[154] გარდა ამისა, არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ძირითად სერვისებზე (როგორიცაა, მაგალითად, წყალმომარაგება) მისაწვდომობის ხელშეშლას კონფლიქტის მხარეები სამხედრო სტრატეგიად იყენებენ.[155] უფრო მეტიც, კონფლიქტის მხარეები ქალაქების და

---

ერთ მესამედში პრაქტიკულად არ არის ხელმისაწვდომი ადეკვატური საცხოვრებელი, იჯარით ასაღები ბინების ჩათვლით, ხოლო ზოგ რაიონში მრავალი ადამიანისთვის ადეკვატური საცხოვრებელი საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52 პროცენტი) უვარგის ბინებში ცხოვრობს; OCHA, *2017ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის 1 დეკემბერი,* http://bit.ly/2kCi16M, გვ. 48-49. იხ. აგრეთვე, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC), შენიშვნა: საცხოვრებელი მიწა და და ქონება სირიის არაბულ რესპუბლიკაში *(HLP), 2016 წლის მაისი,* http://bit.ly/2phCpwZ, გვ. 10-12. სირიაში დანგრეული ან დაზიანებული შენობების შესახებ დამატებითი ინფორმაცია (ადგილმდებარეობის მიხედვით) იხ. სტატიაში „თავშესაფრის დაზიანების შეფასება“, მომზადებულია REACH-ის მიერ, http://bit.ly/2lThQa2.

151 "ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, სამოქალაქო პირთა წვდომა ჯანდაცვის მომსახურებაზე სერიოზულად გაუარესდა. სირიაში საჯარო საავადმყოფოებისა და პირველადი სამედიცინო ცენტრების ნახევარზე მეტი ან დაიკეტა, ან მხოლოდ ნაწილობრივ ფუნქციონირებს. ჯანდაცვის მუშაკთა თითქმის ორი მესამედი გაიქცა. მოქმედ ჯანდაცვის დაწესებულებებში არ არის სუფთა წყალი, ელექტრო ენერგია და სათანადო სამედიცინო და ქირურგიული საშუალებები"; *ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია* (WHO), *ჯანდაცვის მდგომარეობა და მსხვერპლი სირიის ექვსწლიან ომში*, 2017 წლის 15 მარტი, http://bit.ly/2nv6xDM. მთლიანობაში სირიაში 12,8 ადამიანს სჭირდება სამედიცინო მომსახურება, მათგან 5,5 მილიონი არის ბავშვი, OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის 1 დეკემბერი,* http://bit.ly/2kCi16M, გვ. 42-43. იხ. აგრეთვე, მსოფლიო ბანკი, *სირიის კონფლიქტის ეკონომიკური და სოციალური შედეგები, 2017 წლის 10 ივლისი,* http://bit.ly/2A6nTgx, გვ. *v*, 38-41; OCHA, *სირიის არაბული რესპუბლიკა: Humanitarian Dashboard (2017 წლის იანვარი-მარტი), 2017 წლის 10 ივნისი,* http://bit.ly/2tZOaMS, გვ. 4. სამედიცინო პერსონალზე თავდასხმის შესახებ იხ. ქვემოთ „კონკრეტული პროფესიის მქონე პირები - ექიმები და ჯანდაცვის სხვა მუშაკები“ (განყოფილება III.A.7) და მითითებული წყაროები.

152 არსებული ინფორმაციის თანახმად, სამ მილიონზე მეტი ბავშვი არ დადის სკოლაში ან სკოლის მიტოვების საფრთხის წინაშე დგას, ხოლო მთლიანობაში ექვს მილიონ ბავშვსა და განათლების მუშაკს სჭირდება საგანმანათლებლო დახმარება; OCHA, სირიის არაბული რესპუბლიკა: *Humanitarian Dashboard (2017 წლის იანვარი-მარტი), 2017 წლის 10 ივნისი,* http://bit.ly/2tZOaMS, გვ. 3. "სირიის განათლების სისტემამ 150 000 განათლების მუშაკი დაკარგა, ხოლო 7400 სკოლა (ყოველი მესამე) ან დაზიანებულია, ან განადგურებული, ან სხვაგვარად არის გამოუსადეგარი სასწავლო პროცესისთვის"; OCHA, ჰუმანიტარულ საკითხთა და გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში გენერალური მდივნის თანაშემწის, სტეფან ო'ბრაიენის განცხადება სირიის შესახებ უშიშროების საბჭოში, 2017 წლის 22 თებერვალი, http://bit.ly/2vYJkxD. იხ. აგრეთვე, „განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები (განყოფილება III.A.11, სქოლიო **Error! Bookmark not defined.**).

153 მსოფლიო ბანკი, *სირიის კონფლიქტის ეკონომიკური და სოციალური შედეგები, 2017 წლის 10 ივლისი,* http://bit.ly/2A6nTgx, გვ. *v*.

154 მსოფლიო ბანკის თანახმად, „კონფლიქტის დაწყების შემდეგ ხდება სამუშაო ადგილების შემცირება - წლიურად დაახლოებით 538 000-ით 2010-2015 წლების პერიოდში. გარდა ამისა, ყოველწლიურად უმუშევართა რიცხვს ემატებოდა 482 000 ადამიანი. სამუშაო ასაკის ყოველი ოთხი სირიელიდან სამი არ არის ჩართული რაიმე ეკონომიკურ საქმიანობაში: მათგან 2,9 მილიონი არის უმუშევარი, ხოლო 6,1 მილიონი არის ეკონომიკურად არააქტიური. 2015 წელს ახალგაზრდებს შორის უმუშევრობამ 78%-ს მიაღწია“; მსოფლიო ბანკი, *სირიის კონფლიქტის ეკონომიკური და სოციალური შედეგები, 2017 წლის 10 ივლისი,* http://bit.ly/2A6nTgx, გვ. *vii-viii.* იხ. აგრეთვე, OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის დეკემბერი,* http://bit.ly/2kCi16M, გვ. 17; SCPR, მოხსენება სირიის კრიზისის ზემოქმედების შესახებ, 2016 წლის 11 თებერვალი, http://bit.ly/2iTMkdd, გვ. 7, 37.

155 "*2016 წლის განმავლობაში წყალს კვლავ იყენებდნენ საომარ იარაღად. დაახლოებით 30 შემთხვევა აღირიცხა, როდესაც წყლის ინფრასტრუქტურაზე და წყლის მიწოდების სისტემაზე პირდაპირი შეტევა განხორციელდა, ან მოხდა მიწოდების განზრახ შეწყვეტა, რაც ომის ტაქტიკად არის მიჩნეული. ასეთი ტაქტიკის შედეგად წყალმომარაგების პრობლემა ჰქონდა დიდ ქალაქებს, როგორიცაა, ალეპო და დამასკო. ამ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებდა ტექნიკური მომსახურების შეფერხება და წყლის მიწოდების სისტემების დაზიანება.* UNICEF, *Whole of*

რაიონების ბლოკადას ახდენენ, რათა სამოქალაქო მოსახლეობას არ ჰქონდეს წვდომა საკვებზე და სხვა ძირითად საჭიროებებზე.[156]

UNRWA-ის შეფასებით, სირიაში დარჩენილი სააგენტოს მეშვეობით, 438 000 პალესტინელი ლტოლვილი დარეგისტრირდა, თითქმის ყველა მათგანს (95%-ს) სჭირდება გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარება.[157] კონფლიქტის შედეგად პალესტინელთა ბანაკებსა და საცხოვრებელ უბნებში მრავალი სახლი, მაღაზია, სკოლა და ჯანდაცვის ობიექტი დაზიანდა ან განადგურდა, რამაც სერიოზულად იმოქმედა სირიაში UNRWA-ის საქმიანობაზე და კიდევ უფრო გაართულა პალესტინელ ლტოლვილთა წვდომა ძირითად სერვისებზე.[158] ამ დოკუმენტზე მუშაობის დროს,

---

*Syria – WASH Facts and Figures – იანვარ-დეკემბერი 2016*, 2017 წლის 30 იანვარი, http://bit.ly/2m29bTi. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები" (განყოფილება II.C) და მითითებული წყაროები.

[156] " *სამოქალაქო მოსახლეობაზე უფრო ტრაგიკულად მოქმედებს დასახლებების ალყაში მოქცევა, ვიდრე ნებისმიერი სხვა საომარი ტაქტიკა. დღეისათვის დაახლოებით 60 000 სირიელი კაცი, ქალი და ბავშვი იმყოფება ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე მთელი სირიის მასშტაბით. ისინი ხშირად უსაშინლეს პირობებში არიან. განსახილველ პერიოდში მებრძოლი მხარეები აგრძელებდნენ დამასკოს, რიფ დამასკოს, დეირ ეზ-ზურის, ჰომსისა და იდლიბის პროვინციებში ალყაშემორტყმული მოსახლეობის ბლოკადას, დანებების იძულების მიზნით. ასეთი ბლოკადისთვის დამახასიათებელია ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვების, ჯანმრთელობისთვის საჭირო საგნებისა და სხვა აუცილებელი საქონლის მიწოდების შეწყვეტა, ასევე, განურჩეველი თავდასხმები და განზრახ გამიზნული შეტევები სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე, ჰოსპიტლების ჩათვლით";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 18. იხ. აგრეთვე, გაეროს გენერალური ასამბლეა, *გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მოხსენება, 2017 წლის 2 სექტემბერი,* A/72/276, http://www.refworld.org/docid/59ad61f64.html პარ. 18; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2016 წლის 1 დეკემბერი, http://bit.ly/2kCi16M, გვ. 10. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები" (განყოფილება II.C, სქოლიო 73, 90 და 96).

157 UNRWA, *სირია: UNRWA – პალესტინელ ლტოლვილთა დემოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა 2016*, 2017 წლის 12 ივნისი, http://bit.ly/2tilT1M; UNRWA, *სირია: UNRWA – ჰუმანიტარული სურათი, 2017 წლის აპრილი*, 2017 წლის 18 მაისი, http://bit.ly/2sioVBW.

[158] "კრიზისის დინამიურობა და არაპროგნოზირებადი ხასიათი კვლავ ხელს უშლის როგორც ჩვეულებრივი, ისე გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას, რომელსაც *UNRWA და დახმარების სხვა სააგენტოები ახორციელებენ პალესტინელი ლტოლვილებისთვის ახლო აღმოსავლეთში, 1 იანვარი - 31 დეკემბერი,* http://www.refworld.org/docid/59ef4f534.html, პარ.12. იხ. აგრეთვე, UNRWA, სირია: *UNRWA – პალესტინელ ლტოლვილთა დემოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა 2016*, 2017 წლის 12 ივნისი, http://bit.ly/2tilT1M. სირიაში ჯანდაცვის ობიექტების სერიოზულმა დაზიანებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა სააგენტოს შესაძლებლობებზე პალესტინელი ლტოლვილებისთვის დახმარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. 2016 წლიდან UNRWA-ის 23 ცენტრიდან 8 ან გამოყენებისთვის უვარგისია, ან ხელმისაწვდომი არ არის; UNRWA, *2016 Emergency Appeal Syria Regional Crisis Progress Report*, 2017 წლის 9 თებერვალი, http://bit.ly/2lAkQt2, გვ. 12. გარდა ამისა, 2015 წლის აპრილისთვის, კონფლიქტამდე მოქმედი UNRWA-ის 118 სკოლიდან 34 მთლიანად ან ნაწილობრივ იყო დაზიანებული და მხოლოდ 44 სკოლა მოქმედებდა. ამავდროულად, UNRWA-ის ცხრა სკოლა კოლექტიურ ცენტრად გადაკეთდა, რომელსაც 1800-მდე იძულებით გადაადგილებული პირი აფარებს თავს; UNRWA, *სირია: UNRWA – ჰუმანიტარული სურათი, 2017 წლის სექტემბერი, 2017 წლის ოქტომბერი,* http://bit.ly/2yTuoW4.

პალესტინელ ლტოლვილთა 12 ბანაკი იყო დანგრეული და ისინი UNRWA-სთვის კვლავ მიუწვდომელია.[159]

ამ კონფლიქტით, ყველაზე მძიმედ, კვლავ ბავშვები დაზარალდნენ.[160] 2017 წლის სექტემბრისთვის, თითქმის ექვს მილიონამდე ბავშვს სჭირდებოდა ჰუმანიტარული დახმარება, ნახევარი მათგანი იძულებით გადაადგილებული იყო.[161] არსებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვებზე მძიმედ მოქმედებს ალყაშემორტყმულ რაიონებში ყოფნა, ხოლო ბავშვთა სიკვდილიანობის უმეტესი შემთხვევა მცირეწლოვანი ბავშვების არასათანადო კვებითა და დეჰიდრატაციით არის გამოწვეული.[162] ბავშვთა დიდი რაოდენობა სერიოზულად არის ტრავმირებული.[163] ჰუმანიტარულ საქმეთა და

---

[159] ეინ ელ ტალის ბანაკი (ალეპოს პროვინცია), იარმუკი (დამასკოს პროვინცია) და დერას ბანაკი (დერას პროვინცია); UNRWA, 2017 წლის ოქტომბერი. იხ. აგრეთვე, სქოლიო **Error! Bookmark not defined.**.

[160] "ბავშვები, მთელ სირიაში, არათანაზომიერად არიან დაუცველი ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან. (...) სირიელი ბავშვები იტანჯებიან სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმების, განათლებაზე ხელმიუწვდომლობისა და სამხედრო სამსახურში ჯარისკაცებად გაწვევის გამო"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 49. იხ. აგრეთვე, გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 21 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 15.

[161] UNICEF, *ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში 28,2 მილიონ ბავშვს სჭირდება დახმარება, 2017 წლის 11 სექტემბერი,* http://bit.ly/2fkGPzA. იხ. აგრეთვე, UNICEF, *მოხსენება სირიის კრიზისის სიტუაციის შესახებ, 2017 წლის აგვისტო, ჰუმანიტარული შედეგები,* 2017 წლის 31 აგვისტო, http://bit.ly/2hCrUER, გვ 2; UNICEF, *ძირგამომთხრელი შეტევა: ბავშვები სირიაში ყველაზე მძიმედ იტანჯებიან,* 2017 წლის 13 მარტი, http://bit.ly/2qqpwEa.

[162] 2017 წლის დასასრულისთვის, დაახლეობით 226 000 ბავშვი ცხოვრობდა ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე, ხოლო 1,68 მილიონ ბავშვს, რომლებიც ძნელადმისადგომ ადგილებში ცხოვრობენ, ძალზე შეზღუდული წვდომა ჰქონდათ ჰუმანიტარულ დახმარებაზე; UNICEF, *UNICEF მოხსენება სირიის კრიზისული სიტუაციის შესახებ, 2017 წლის სექტემბერი - ჰუმანიტარული შედეგები, 2017 წლის 30 სექტემბერი,* http://bit.ly/2iX41IV, გვ. 2. "(…) *ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე უდროო გარდაცვალების შემთხვევათა ნახევარი 14 წლამდე ასაკის ბავშვებზე მოდის, მათი მეოთხედი - ახალშობილია"*; UNICEF, *ბავშვებისთვის ადგილი არ არის - ხუთწლიანი ომის ზემოქმედება სირიელ ბავშვებსა და მათ ბავშვობაზე, 2016 წლის 14 მარტი,* http://www.refworld.org/docid/56ef99e44.html, გვ. 8. იხ. აგრეთვე, OHCHR, *სირია: სამოქალაქო პირთა ტანჯვა აღმოსავლეთ გუტაში - Zeid*, 2017 წლის 27 ოქტომბერი, https://shar.es/1PCbac; WFP, *WFP სირიის ანკლავებში შიმშილი მძვინვარებს, 2017 წლის 26 ოქტომბერი,* http://bit.ly/2z8xyGd; UNICEF, *ძირგამომთხრელი შეტევა: ბავშვები სირიაში ყველაზე მძიმედ იტანჯებიან,* 2017 წლის 31 მარტი, http://bit.ly/2qqpwEa; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 119-121; The Washington Post, *სირიელი ბავშვები შიმშილობენ, ხოლო ამერიკა ამას აკვირდება,* 2016 წლის 6 ივნისი, http://wapo.st/2m3B51V; CBS News, *გაეროს სააგენტო: სირიელი მოზარდი შიმშილისაგან გარდაიცვალა „ჩვენს თვალწინ"*, 2016 წლის 14 იანვარი, http://cbsn.ws/1SStFHs.

[163] "*სირიაში მილიონობით ბავშვი ყოველდღიური შიშის ქვეშ ცხოვრობს - საჰაერო თავდასხმები და ჭურვები ანგრევს მათ სახლებს, კლავს ბავშვებს და მათ ახლობლებს; მათ აღარ შეუძლიათ სკოლაში სიარული; ისინი ფიქრობენ, სად იშოვონ შემდეგი ულუფა; და აშინებთ თავიანთი ოჯახებისაგან დაშორება"*; Save the Children, უხილავი ჭრილობები - ექვსწლიანი ომის ზემოქმედება ბავშვთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, 2017 წლის 6 მარტი, http://bit.ly/2mzCCwJ (შემდგომში: Save the Children, ექვსწლიანი ომის ზემოქმედება ბავშვთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, 2017 წლის 6 მარტი, http://bit.ly/2mzCCwJ), გვ. 6. იხ. აგრეთვე, Their World, *სირიაში და კონფლიქტის სხვა ქვეყნებში მრავალ ბავშვს ტოქსიკური სტრესი ემუქრება, 2017 წლის 3 აგვისტო,* http://bit.ly/2vBB0XO; Qantara, *სირიის ტრავმირებული ბავშვები - საშინელება, რომელიც არასოდეს განელდება, 2017 წლის 2 აგვისტო,* http://bit.ly/2wz1ZjS; The New Arab, *სირიელი ექიმი ბავშვთა მწვავე ტრავმისთვის იყენებს ტერმინს 'ომის-ტრავმა'*, 2017 წლის 25 თებერვალი, http://bit.ly/2m9Cns9; The Independent, *ალეპო: ვიდეოგადაღებაში*

გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში გენერალური მდივნის თანაშემწის, სტეფან ო'ზრაიენის განცხადებით: „სირიელი ბავშვების თაობამ, მათი ცხოვრების მოკლე პერიოდში, სასტიკი კონფლიქტისა და შიშის მეტი სხვა არაფერი იცის."[164]

სამოქალაქო დოკუმენტების დაკარგვის, ან განადგურების გამო, ასევე, იმის გამო, რომ არასამთავრობო ძალების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო დოკუმენტაციის გაცემაზე პასუხისმგებელი დაწესებულების ფუნქციონირება შეწყვეტილია, ან საერთოდ განადგურებულია, სამოქალაქო მოსახლეობას გადაადგილების თავისუფლება შეზღუდული აქვს.[165] ბევრი ბავშვი, რომელიც სირიაში კონფლიქტის დაწყების შემდეგ დაიბადა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დაიბადნენ არასამთავრობო ძალების მიერ კონტროლირებულ რაიონებში, არ ფლობს მისი პიროვნების, ოჯახის შემადგენლობის, ან მოქალაქეობის დამადასტურებელ

---

*ნაჩვენებია დაჭრილი ბავშვები, რომლებიც იმდენად არიან ტრავმირებულნი, რომ ტირილიც შეწყვიტეს, 2016 წლის 17 დეკემბერი,* http://ind.pn/2hF3AjW.

[164] OCHA, ჰუმანიტარულ საკითხთა და გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში გენერალური მდივნის თანაშემწის, სტეფან ო'ზრაიენის მესიჯი სირიის კრიზისის შესახებ, 2017 წლის 15 მარტი, 2017 წლის 17 მარტი, http://bit.ly/2zcQH99.

[165] 2018 წლისთვის დაცვის საჭიროებათა მიმოხილვის შესაბამისად, თემების 83%-ს არ აქვს ან დაკარგული აქვს დოკუმენტები, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამ თემების მიერ მთავრობის მიერ გაცემული/ოფიციალური დოკუმენტების არქონის მიზეზად მითითებული იქნა სამთავრობო ორგანოებზე წვდომის სირთულე და დოკუმენტების დაკარგვა, ასევე, სამთავრობო სერვისების არარსებობა. დოკუმენტების უქონლობით გამოწვეულ პრობლემებს შორის მოსახლეობამ მიუთითა შემდეგზე: გადაადგილების შეზღუდვა (76%); ცხოვრებისეული მოვლენების რეგისტრირებასთან დაკავშირებული სირთულეები (73%); სახლის, მიწის და ქონების ტრანზაქციებთან დაკავშირებული სირთულეები (70%), და ჰუმანიტარულ დახმარებაზე წვდომის შემცირება (56%); Protection Cluster, *სირიის არაბული რესპუბლიკა: მთელი სირიის დაცვის სექტორი* - 2018 წლისთვის დაცვის საჭიროებათა მიმოხილვა, 2017 წლის 12 ოქტომბერი, http://bit.ly/2z5XPof (შემდგომში: Protection Cluster, 2018 წლისთვის დაცვის საჭიროებათა მიმოხილვა, 2017 წლის 12 ოქტომბერი, http://bit.ly/2z5XPof), გვ. 46-48. *"ძირითადი დოკუმენტები ან დაკარგული აქვთ, ან განადგურებულია კონფლიქტის ტერიტორიიდან გაქცევისას, ან მათი საცხოვრებელი სახლების განადგურებისა და დაზიანების შედეგად. ასეთი დოკუმენტების განახლების ან დამოწმების შესაძლებლობას სერიოზულად უშლის ხელს ოფიციალური სამოქალაქო რეგისტრაციის სამსახურების არარსებობა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მთავრობის კონტროლის ქვეშ არ არის, ან ასეთი სამსახურები დაზიანებულია ბრძოლების შედეგად. დოკუმენტების არქონა სამოქალაქო პირებს უზღუდავს წვდომას სერვისებსა და დასაქმებაზე და ამცირებს მათ შესაძლებლობებს კონფლიქტის შედეგებთან გამკლავების თვალსაზრისით. იგი ასევე დაკავშირებულია მათი გადაადგილების თავისუფლებასთან, განსაკუთრებით, ქვეყნის შიგნით შედარებით უსაფრთხო ადგილებზე გადაადგილებასთან ან ქვეყნის დატოვებასთან. (...) სამოქალაქო პირები სირთულეებს აწყდებიან ბავშვებზე მეურვეობის მოთხოვნის დროს და საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებების განხორციელებისას."* გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 61-62. იხ. აგრეთვე, NRC/UNHCR, *იძულებითი გადაადგილება, 'საცხოვრებელი-მიწა-ქონება' და ხელმისაწვდომობა სამოქალაქო დოკუმენტებზე სირიის არაბული რესპუბლიკის სამხრეთში (2017 წლის ივლისი),* 2017 წლის 31 ივლისი, http://bit.ly/2inGtZy, გვ. 4, 15-17; NRC/UNHCR, *იძულებითი გადაადგილება, საცხოვრებელი, მიწა და საკუთრება და ხელმისაწვდომობა სამოქალაქო დოკუმენტებზე სირიის არაბული რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (2017 წლის ივლისი),* 2017 წლის 31 ივლისი, http://bit.ly/2zr66nd, გვ. 4, 24-27; UNHCR, *დოკუმენტების არქონა დამატებით რისკს უქმნის გადაადგილებულ სირიელებს, 2017 წლის 13 აპრილი,* http://bit.ly/2vlksRi.

დოკუმენტს.[166] დოკუმენტების არქონის გამო, ასეთი ბავშვები მოქალაქეობის არქონის საფრთხის წინაშე დგანან.[167]

გაეროს უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულების შესახებ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენების შესაბამისად, გაეროს ჰუმანიტარულ დაწესებულებებსა და პარტნიორებს შეეძლოთ ჰუმანიტარული დახმარება გაეწიათ მილიონობით ადამიანისთვის, ვისთვისაც ეს საჭირო იყო, მათ შორის, გადამკვეთ ზოლებშიც და ტრანსსასაზღვრო რეგიონებშიც.[168] თუმცა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, ადმინისტრაციული ბარიერები, ძირითადი სასაზღვრო პუნქტების დახურვა და რესურსების ნაკლებობა ხელს უშლის დახმარების მიწოდებას,[169] რაც

---

[166] "სირიის მთავრობის მიერ კონტროლირებული ტერიტორიის მიღმა გაცემული დოკუმენტები ოფიციალური სტატუსის მქონე არ არის და შესაბამისად, ნათელი არ არის, მათ აღიარებს თუ არა სირიის ხელისუფლება, სულ მცირე, მტკიცებულების ძალის მქონე დოკუმენტად სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებულ სიტუაციებში. დადგინდა, რომ იმ პირთა ერთი მესამედი, რომლებიც არ არიან ჩართულნი 'საოჯახო წიგნში', შეიძლება მოქალაქეობის არქონის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ"; NRC/UNHCR, *იძულებითი გადაადგილება, საცხოვრებელი, მიწა და საკუთრება და ხელმისაწვდომობა სამოქალაქო დოკუმენტებზე სირიის არაბული რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (2017 წლის ივლისი)*, 2017 წლის 31 ივლისი, http://bit.ly/2zr66nd, გვ. 4, 24-25". „მზარდი პრობლემა არის იმ დოკუმენტების ლეგიტიმურობა და ღირებულება, რომელიც არასახელმწიფო სუბიექტების მიერ არის გაცემული ტერიტორიებზე, რომლებსაც მთავრობა არ აკონტროლებს, მაგალითად, ქურთთა თვითმმართველი ტერიტორიები, სამხრეთ სირიის ადგილობრივი საბჭოები და თავისუფალი დამოუკიდებელი სასამართლო საბჭოები, რომლებიც დროებითი მთავრობის დაქვემდებარებაში არის შექმნილი ჩრდილოეთ სირიაში. ეს არასახელმწიფო სუბიექტები მონაწილეობას იღებენ დაბადებისა და ქორწინების რეგისტრირებაში"; NRC/IDMC, *მოქალაქეობის არქონის აღქმა სირიელ ლტოლვილთა კონტექსტში,* 2016, http://www.refworld.org/docid/584021494.html, გვ. 30. "*არასამთავრობო ძალების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე მყოფი პირებისთვის სამთავრობო სამოქალაქო რეგისტრაციის სამსახურები კვლავ მიუწვდომელია, რაც უსაფრთხოებისა და ფინანსურ საკითხებთან არის დაკავშირებული. არასახელმწიფო სუბიექტების მიერ გაცემული დოკუმენტები, მისი არალეგიტიმურობის გამო, ნაკლებად გამოიყენება იმ ტერიტორიებზე, რომელსაც არ მართავს დოკუმენტის გამცემი სუბიექტი*"; მაშველთა საერთაშორისო კომიტეტი (IRC), *დაადგინე ჩემი ვინაობა - დოკუმენტებთან დაკავშირებული კრიზისი ჩრდილოეთ სირიაში, 2016 წლის ივლისი,* http://bit.ly/2mQTDD5, გვ. 6. იხ. აგრეთვე, NRC/UNHCR, *იძულებითი გადაადგილება, 'საცხოვრებელი-მიწა-ქონება' და ხელმისაწვდომობა სამოქალაქო დოკუმენტებზე სირიის არაბული რესპუბლიკის სამხრეთში (2017 წლის ივლისი)*, 2017 წლის 31 ივლისი, http://bit.ly/2inGtZy, გვ. 16; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 48; ომისა და მშვიდობის ინსტიტუტი, სირია: დაბადების, ქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრირება, 2016 წლის 7 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/57fe3a9ba88.html.

[167] გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 62.

[168] იხ. გენერალური მდივნის მომდევნო მოხსენებები უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://bit.ly/2qJYe7C.

[169] სირიის საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, სტეფან დე მისტურას განცხადებით, *„ჩვენ კვლავ ვერ ვახერხებთ ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესების სასურველი შედეგების მიღწევას და ეს მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული: ზოგიერთ რაიონში კვლავ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებთან, ბიუროკრატიულ ბარიერებთან ან კონფლიქტის მხარეთა ჩარევასთან"*; გაეროს გენერალური მდივანი, სირიის საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, სტეფან დე მისტურას ბრიფინგი უშიშროების საბჭოში, 2017 წლის 26 ოქტომბერი, http://bit.ly/2gXhD2d. იხ. აგრეთვე, OHCHR, *სირია: ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის სექტემბერი, 2017 წლის 6 ოქტომბერი,* http://www.refworld.org/docid/59db24594.html, გვ. 5-6; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება,* 2017 წლის 21

ალყაშემორტყმულ და ძნელადმისადგომ ადგილებში ჰუმანიტარულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს.[170] ჰუმანიტარული მუშაკები მაღალი რისკის ქვეშ არიან, რადგან ათობით ჰუმანიტარული მუშაკი იქნა მოკლული, გაიტაცეს გაეროს სატრანსპორტო საშუალებები, ხდება თავდასხმები საწყობებსა და სასწრაფო დახმარების პუნქტებზე.[171]

სირიის კრიზისის უპრეცედენტო მასშტაბისა და დროში გაწელილი ბუნების, ასევე, იმის გამო, რომ კვლავ საჭიროა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აუცილებელი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დახმარების გაწევა, გაერომ 2016 წლის დეკემბერში საფუძველი ჩაუყარა უპრეცენდენტო მასშტაბის ინიციატივას, რომელიც წარმოდგენილი იქნა სირიის ჰუმანიტარული რეაგირების 2017 წლის გეგმისა და ლტოლვილებისა და მედეგობის რეგიონული გეგმის (3RP) სახით. ორივე გეგმის

სექტემბერი, S/2017/794, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 24; გაეროს გენერალური მდივანი, *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი, 2017 წლის 24 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 185; გაეროს ახალი ამბების სამსახური, *სირიაში მისაწვდომობის დაგვიანება კიდევ მეტ მსხვერპლს გამოიწვევს, გაეროს ჰუმანიტარული დახმარების სამსახურის გაფრთხილება, 2017 წლის 29 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/595618664.html.

[170] გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 21 სექტემბერი, S /2017/794, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 24; REACH, *სირია: ალყაშემორტყმულ და ძნელადმისადგომ ტერიტორიებზე მოსახლეობას კვლავ შეზღუდული აქვს წვდომა, რაც საფრთხეს უქმნის მათი პირველადი მოთხოვნების დაკმაყოფილებას,* 2017 წლის 3 აგვისტო, http://bit.ly/2viEFXZ; Al Jazeera, *გაეროს ბრძოლა სირიაში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებისთვის, 2017 წლის 28 ივლისი,* http://aje.io/llvws; გაეროს უშიშროების საბჭო, გენერალური მდივნის მოხსენება შეიარაღებულ კონფლიქტში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, 2017 წლის 10 მაისი, http://www.refworld.org/docid/5937a99d4.html, პარ. 50. 2017 წლის სექტემბრისთვის, დაახლოებით სამი მილიონი ადამიანი ცხოვრობდა ალყაშემორტყმულ ან ძნელადმისადგომ ტერიტორიებზე, მათ შორის, 420 000 ადამიანი - 10 ალყაშემორტყმულ რაიონში დამასკოს (იარმუკის და ქაბუნის), იდლიბის (ფუას და კეფრაიას) და დამასკოს ქალაქგარე ტერიტორიების (სხვადასხვა უბანი დუმას, ჰარასტას, ირბინის, კაფრა ბანტას, ნაშაბიას და ბეით ჯინის დასახლებულ პუნქტებში) პროვინციებში. ამ ტერიტორიების 95 პროცენტი მთავრობის მიერ არის ალყაშემორტყმული, ორი პროცენტი - ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ, ხოლო სამი პროცენტი ორივე ძალის მიერ არის ბლოკირებული, როგორც სამთავრობო, ისე ანტისამთავრობო; OCHA, სირიის არაბული რესპუბლიკა: ალყაშემორტყმული ადგილობრივი თემები (2017 წლის 27 სექტემბრისთვის), 2017 წლის 27 სექტემბერი, http://bit.ly/2lF4OPk; OCHA, სირიის არაბული რესპუბლიკა: ძნელადმისადგომი და ალყაშემორტყმული ტერიტორიების მიმოხილვა, 2017 წლის 27 სექტემბრისთვის), 2017 წლის 27 სექტემბერი, , http://bit.ly/2gVCjYF; OCHA, გენერალური მდივნის თანაშემწე ჰუმანიტარულ საქმეთა და გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში ბ-ნი მარკ ლოუქოქი: განცხადება უშიშროების საბჭოსთვის სირიის საკითხზე, 2017 წლის 27 სექტემბერი, http://bit.ly/2zqVHbi, გვ. 3. "*როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციის ძალებს, ალყაშემორტყმული ჰქონდათ პალესტინელ ლტოლვილთა ზოგიერთი ბანაკი, უბანი და ტერიტორია და ხდებოდა მათი დაბომბვა ან სხვაგვარად მოწყვეტა გარე სამყაროსაგან. ყოველივე ამის შედეგად ფართოდ გავრცელდა შიმშილობა, სამედიცინო და ჰუმანიტარულ დახმარებაზე მიუწვდომლობა და სამოქალაქო პირთა სიკვდილიანობის შემთხვევები";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 34-35. UNRWA-ის შესაბამისად, 2017 წლის ივნისისთვის, 28 900 პალესტინელი ლტოლვილი გამომწყვდეული იყო რთულად მისადგომ და ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე დამასკოს (იარმუკის), დამასკოს სასოფლო ტერიტორიების (ხან ეშიენი) და დერას პროვინციებში (მუზეირები და ჯილინი); UNRWA, *სირია: UNRWA – პალესტინელ ლტოლვილთა დემოგრაფიული მახასიათებლების შესწავლა 2016,* 2017 წლის 12 ივნისი, http://bit.ly/2tilT1M; UNRWA, წლიური ოპერატიული მოხსენება *2016, საანგარიშო პერიოდი: 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, 2017 წლის 16 მაისი,* http://bit.ly/2vEL3IA, გვ. 5.

[171] იხ. ქვემოთ „კონკრეტული პროფესიის მქონე პირები - ჰუმანიტარული მუშაკები" (განყოფილება III.A.7) და მითითებული წყაროები.

შესასრულებლად, საერთო ჯამში, რვა მილიარდი დოლარი არის საჭირო სირიისა და მეზობელი ქვეყნებისთვის ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად. 2017 წლის 30 ოქტომბრისთვის, გაეროს საფინანსო მონიტორინგის სისტემის თანახმად, პირველი გეგმის შესასრულებლად მთელი საბიუჯეტო მოთხოვნის მხოლოდ 39,9%, ხოლო მეორე გეგმისთვის 46,2% მიიღეს.[172] გასულ წლებში, სირიასა და მთლიან რეგიონში დახმარების პროგრამების განხორციელებას სერიოზულად შეუშლა ხელი დაფინანსებების ნაკლებობამ.[173]

## F. ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა სიტუაცია

2017 წლის სექტემბრის ბოლოს, UNHCR-მა სირიაში 35 800 ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი დაარეგისტრირა.[174] მათი უმრავლესობა არის ერაყიდან,[175] ზოგიერთი ეთნიკური პალესტინელის ჩათვლით,ასევე, მათ შორის არიან პატარა ჯგუფებიავღანეთიდან, სუდანიდან და სხვა ქვეყნებიდან.[176] ერაყში კონფლიქტის ხელახალი ესკალაციის შედეგად, მოსულსა და მის შემოგარენში ISIS-ის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების ჩათვლით, სირიაში კიდევ 23 800 ერაყელი შემოვიდა, რომლებიც სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ჰასაკეს პროვინციაში მდებარე - ნეუროზის, როჯისა და ალ-ჰოლის ბანაკებში ჩასახლდნენ.. უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ოპერატიული მიზეზების გამო, UNHCR-ს ჯერ არ მოუხდენია ამ ერაყელთა ოფიციალური რეგისტრირება.[177]

როგორც წესი, სირიაში ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უმრავლესობა ცხოვრობს დამასკოში, მის გარეუბნებში და ჰასაკეს პროვინციაში, უფრო ნაკლებად - ჰომსის, ალეპოს, ლატაკიის, ტარტუს, დეირ ეზ-ზურისა და დერას პროვინციებში, მათ შორის, ისეთ რაიონებშიც, რომლებიც უშუალოდ დაზიანდა კონფლიქტის შედეგად. კონფლიქტის რაიონებში მყოფ ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს, ისევე როგორც აქ მცხოვრებ სირიელებს, იძულებითი გადაადგილების, სექსუალური ზეწოლის, დაშინების, დაკავების, გატაცების, დასახიჩრების, ან ფიზიკური

---

172 ფინანსური მონიტორინგის სამსახური (FTS), სირიის რეგიონული კრიზისი 2017 - მიმოხილვა, ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს, http://bit.ly/2tzkt4F.

173 FTS, *სირიის რეგიონული კრიზისი 2016 - მიმოხილვა, ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს,* http://bit.ly/2v3X6SU. იხ. აგრეთვე, გაეროს ახალი ამბების სამსახური, *UNICEF-ის მხარდაჭერილი პროექტები, რომლებიც სირიაში ბავშვთა დასახმარებლად არის შექმნილი, „დახურვის" საფრთხის წინაშეა, 2017 წლის 16 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/59479c684.html; UNHCR, *UNHCR Syria Situation Response: Urgent Needs*, 2017 წლის 1 ივნისი, http://bit.ly/2uFxVoC.

174 UNHCR-ის ინფორმაცია, 2017 წლის ოქტომბერი.

175 2017 წლის 30 სექტემბრისთვის, UNHCR-ის მიერ 16 008 ერაყელი ლტოლვილი და 16 084 ერაყელი თავშესაფრის მაძიებელი იქნა დარეგისტრირებული სირიაში; UNHCR-ის ინფორმაცია, 2017 წლის ოქტომბერი.

176 2017 წლის 30 სექტემბრისთვის, სირიაში 1 331 ავღანელი, 877 სუდანელი და 427 სომალელი დარეგისტრირდა (ლტოლვილად და თავშესაფრის მაძიებლად) UNHCR-ის მიერ; UNHCR-ის ინფორმაცია, 2017 წლის ოქტომბერი.

177 UNHCR-ის ინფორმაცია, 2017 წლის ოქტომბერი. იხ. აგრეთვე, UNHCR, *ფაქტები სირიის შესახებ, 2017 წლის სექტემბერი, 2017 წლის 20 სექტემბერი,* http://www.refworld.org/docid/59c21aff4.html.

განადგურების საფრთხე ემუქრებათ.[178] ამავდროულად, საკონტროლო პუნქტებზე გამკაცრებული პროცედურები და პირადობის დოკუმენტების არარსებობა (ან დაკარგვა) ზღუდავს მათ გადაადგილების თავისუფლებას, აფერხებს მისაწვდომობას ჰუმანიტარულ დახმარებასა და საჯარო სერვისებზე და მათ სექსუალური ძალადობისა და ექსპლოატაციის საფრთხის ქვეშ აყენებს.[179] ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც კონფლიქტის რომელიმე მხარესთან არიან ასოცირებული მათი ეთნიკური, ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე, შეიძლება ძალადობის სამიზნენი გახდნენ - როგორც ინდივიდი, ან როგორც ჯგუფი.[180]

კონფლიქტის დაწყებამდე, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერის არაფორმალური მექანიზმებით ხდებოდა ლტოლვილთა საარსებო საშუალებების უზრუნველყოფა, თუმცა მათ ოფიციალურად დასაქმების უფლება არ ჰქონდათ.[181] კონფლიქტის შედეგად ეს მექანიზმები მოიშალა, რის გამოც ლტოლვილთა ოჯახები მთლიანად ჰუმანიტარული დახმარების და UNHCR-ის მხარდაჭერის იმედზე დარჩნენ.[182] მრავალ ლტოლვილ და თავშესაფრის მაძიებელ ბავშვს, რომლებისთვისაც, პრინციპში, საჯარო განათლება უფასოა, შეუწყდათ განათლების პროცესი და

---

[178] გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 23 ივნისი, http://www.refworld.org/docid/595640f74.html, გვ. 12, 15, 17; Middle East Eye, *ისლამური სახელმწიფოს თვითმკვლელი ტერორისტების მოქმედებით სირიის ლტოლვილთა ბანაკში ათობით ადამიანი დაიღუპა, 2017 წლის 3 მაისი,* http://bit.ly/2uEKWfS; UNHCR, *ერაყის სიტუაცია: UNHCR ბოლო განახლება - 2017 წლის 2 მაისი,* 2017 წლის 2 მაისი, http://bit.ly/2uY5f7t; UNHCR, *სწრაფვა უკეთესი მომავლისკენ –- UNHCR, მოხსენება სირიის სიტუაციის შესახებ 2016 წლის ბოლოსთვის, 2016 წლის 31 დეკემბერი,* http://bit.ly/2A0CYzF, გვ. 63. იხ. აგრეთვე, AFP, ლტოლვილები კონფლიქტის ზონიდან ომისაგან დანაწევრებულ სირიას ირჩევენ, 2017 წლის 6 სექტემბერი, http://bit.ly/2xdnNp9.

[179] ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს UNHCR-ი აძლევს პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს, ხოლო ბინადრობის ნებართვას სირიის მთავრობა გასცემს. პირებს, რომლებსაც არ აქვთ ეროვნული პასპორტი და/ან ვინც სირიაში უკანონოდ შევიდა, ამჟამად ბინადრობის ნებართვის მიღების უფლება არა აქვთ. ჰასაკეს პროვინციაში ლტოლვილთა ბანაკებში დაბინავებულ ერაყელებს არ აქვთ UNHCR-ის მიერ გაცემული დოკუმენტები, რადგან ისინი ოფიციალურად არ არიან რეგისტრირებულნი UNHCR-ის მიერ; UNHCR-ის ინფორმაცია, 2017 წლის ოქტომბერი. იხ. აგრეთე, UNHCR, *სწრაფვა უკეთესი მომავლისკენ –- UNHCR, მოხსენება სირიის სიტუაციის შესახებ 2016 წლის ბოლოსთვის, 2016 წლის 31 დეკემბერი,* http://bit.ly/2q2vbxc, გვ. 63

[180] "ადგილი ჰქონდა ლტოლვილებზე ძალადობას, ლტოლვილთა და მათი შვილების დაპატიმრებისა და გაუჩინარების ჩათვლით. ზოგიერთი ლტოლვილი მიუთითებდა ძალადობაზე მებრძოლთა მხრიდან სამოქალაქო ომის დროს, რაც ეროვნების ან რელიგიის საფუძველზე ხდებოდა"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2015 წლის მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2016 წლის 13 აპრილი, http://www.refworld.org/docid/571611ff15.html

[181] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 წლის მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 38; UNHCR, *გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ანგარიში ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენებისთვის „საყოველთაო პერიოდული მიმოხილვა: სირიის არაბული რესპუბლიკა", 2016 წლის მარტი,* http://www.refworld.org/docid/57f504b24.html, გვ. 2

[182] UNHCR, *UNHCR სირიაზე ორიენტირება - 2017 წლის სექტემბერი, 2017 წლის ოქტომბერი*, http://www.refworld.org/docid/59f7287d4.html, рგვ. 1; UNHCR, *უკეთესი მომავლისაკენ სწრაფვა - UNHCR მოხსენება წლის ბოლოს - 2016, 2016 წლის 31 დეკემბერი,* http://bit.ly/2q2vbxc, გვ. 63.

დღესდღეობით ისინი ბავშვის შრომის, ან ექსპლუატაციის სხვა ფორმების მომეტებული რისკის ქვეშ არიან.[183]

კონფლიქტის შედეგად მესამე ქვეყნებში გადაადგილებული ლტოლვილების, რომელთაც სირიაში UNHCR-ის მანდატის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსი მიენიჭათ, საქმეების განხილვისას, მიმღებმა სახელმწიფომ თავშესაფრის მინიჭების საქმეების განხილვისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ ლტოლვილებს UNHCR-ის მიერ მინიჭებული მანდატისეული სტატუსი აქვთ. [184]

## III. სირიიდან თავშესაფრის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის საჭიროების შეფასება

### A. ლტოლვილთა დაცვა 1951 წლის კონვენციის კრიტერუმების საფუძველზე და განაცხადების ძირითადი კატეგორიები

ქვეყნის მრავალ კუთხეში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული და ფართოდ გავრცელებული დარღვევებისა და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევების გათვალისწინებით და ქვეყანაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტიდან გამომდინარე, **სირიიდან სამოქალაქო პირთა გაქცევას UNHCR-ი კვლავ ახასიათებს, როგორც ლტოლვილთა გადაადგილებას. ვინაიდან, თავშესაფრის მაძიებლები სირიიდან აკმაყოფილებენ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლით დადგენილ ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნებს, მათ კვლავ ესაჭიროებათ საერთაშორისო დაცვა. .** ანალოგიურად, სირიიდან წამოსული პალესტინელები პოტენციურად აკმაყოფილებენ 1D მუხლის მოთხოვნებს და მათ ექნებათ *ipso facto* უფლება ისარგებლონ 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვით.[185]

სირიიდან გამოქცეული სამოქალაქო პირთა უმრავლესობისთვის 1951 წლის კონვენციის საფუძველთან კავშირი განისაზღვრება მათი პირდაპირი ან არაპირდაპირი, რეალური, ან სავარაუდო ასოცირებით კონფლიქტის რომელიმე მხარესთან. სირიის კონფლიქტის დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ დაპირისპირებული მხარეები, ასოციაციურად, **პოლიტიკურ შეხედულებას** მიაწერენ ადამიანთა დიდ ჯგუფებს, ოჯახების, ტომების, რელიგიური, და ეთნიკური ჯგუფების, მთელი ქალაქების, სოფლებისა და უბნების ჩათვლით.[186] უფრო დიდი ჯგუფების წევრები, ინდივიდუალური შერჩევის გარეშე, შეიძლება

---

[183] UNHCR, *ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენასა და ადგილობრივი თემების აღდგენაში დახმარების გაწევა – UNHCR წლის შუა პერიოდის მოხსენება სირიის შესახებ - 2016,* http://bit.ly/2q2AEUS, გვ. 44.

[184] სირიაში ერაყელების ლტოლვილებათ აღიარება ხდებოდა *prima facie* საფუძველზე 2012 წლამდე, მაგრამ მას შემდეგ კი - სტატუსის დადგენის ინდივიდუალური პროცედურის საფუძველზე. იხ. UNHCR, *MM (Iran) v. Secretary of State for the Home Department – წერილობითი ანგარიში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სახელით, 2010 წლის 3 აგვისტო,* C5/2009/2479, http://www.refworld.org/docid/4c6aa7db2.html.

[185] 1D მუხლის განმარტების ანალიზისთვის იხ.: UNHCR, *საერთაშორისო დაცვის მაძიებელი პალესტინელი ლტოლვილების კონტექსტში, 1951 წლის კონვენციის 1D მუხლისაა და ევროკავშირის საკვალიფიკაციო დირექტივის 12(1)(a) მუხლის შესახებ UNHCR-ის მიერ შედგენილი განმარტებითი ბარათი 2013 წლის მაისი,* http://www.refworld.org/docid/518cb8c84.html.

[186] "მთელ ქვეყანაში მოხდა თემების ფრაგმენტაცია, ისინი ერთმანეთისაგან გაიყვნენ საკონტროლო პუნქტებით, ფრონტის ხაზებით ან მიმდინარე შეტაკებების საფუძველზე. როდესაც გადაადგილება ძალადობის ან ძალადობისადმი შიშის გამო ხდება, რელიგიური და ეთნიკური თემები ერთმანეთთან დაჯგუფების ტენდენციით ხასიათდებიან. უსაფრთხოების ძიებისას მათი გადაადგილების შედეგად მოხდა გეოგრაფიული ტერიტორიების დაყოფა, რის საფუძვლადაც რეალური ან ნავარაუდები პოლიტიკური ლოიალობა მოიაზრებოდა. ასეთი

გახდნენ სხვადასხვა აქტორთა მხრიდან საპასუხო რეაგირების მსხვერპლი, რისი მიზეზიც შეიძლება გახდეს კონფლიქტის მოწინააღმდეგე მხარის რეალური, ან ნავარაუდევი მხარდაჭერა.[187] პირის პოლიტიკური შეხედულების, ან პოლიტიკური ჯგუფისადმი კუთვნილების ვარაუდი ხშირად ეფუძნება კონკრეტულ რაიონში უბრალოდ ფიზიკურ ყოფნას (ან იმ ფაქტს, რომ პირი კონკრეტული რაიონიდან არის წარმოშობით), ან თუნდაც, მის ეთნიკურ, რელიგიურ, ან ტომობრივ წარმოშობას. ასეთ სიტუაციებში სერიოზული და რეალური ზიანის მიღების რისკი იზრდება და იგი არ მცირდება იმ ფაქტით, რომ მოცემული პირი შეიძლება სამიზნედ არ იქნეს შერჩეული ინდივიდუალურ საფუძველზე.

UNHCR-ს მიაჩნია, რომ სირიელ მოქალაქეებს და სირიაში მუდმივად მცხოვრებთ, რომლებიც ქვემოთ აღნიშნული რისკის მახასიათებლებს აკმაყოფილებენ (მე-3 და მე-8 რისკის მახასიათებლების ქვეკატეგორიების გარდა), **ესაჭიროებათ ლტოლვილის საერთაშორისო დაცვა**. „საერთაშორისო დაცვის შესახებ მოსაზრებების" მეოთხე გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ, მთავრობამ და PYD/YPG-მა გაამყარეს პოზიციები ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიებზე. ამის საპირისპიროდ, ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფებისა და ISIS-ის ტერიტორიების კონტროლი და მათი სამხედრო შესაძლებლობები შესუსტდა.[188] ამ ფონზე UNHCR-ი მიიჩნევს, რომ რისკის პროფილის ორ ქვეკატეგორიას მიკუთვნებულ სამოქალაქო პირებს (იხ. რისკის პროფილი 3 და 8) **შეიძლება დასჭირდეთ ლტოლვილის საერთაშორისო დაცვა,** მოცემული პირის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

მომდევნო სექციებში განხილულია რისკის პროფილებისთვის წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური და სანდო ინფორმაციის საკითხები, ასევედაცვის მიღების უფლების შესახებ სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც შესაბამის შემთხვევებში

---

გეოგრაფიული დანაწილების შენარჩუნების რეალური საფრთხე არსებობს". გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 95.

[187] შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციაში, ინდივიდუალური პირები, მთლიანი ჯგუფები ან მოსახლეობა, შეიძლება აღმოჩნდეს დევნის სამიზნე 1951 წლის კონვენციის საფუძვლებით. UNHCR-ი, თავის სახელმძღვანელო პრინციპებში შეიარაღებული კონფლიქტისა და ძალადობის სიტუაციების შემთხვევებში ლტოლვილის სტატუსის განაცხადებთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ „რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ, გენდერულ ან სოციალურ ჯგუფებად დაყოფამ შეიძლება წარმოშვას, გახდეს მოტივაცია ან მამოძრავებელი ძალა შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის შემთხვევებისა, ან ამ ფაქტორების საფუძველზე ადამიანებს შეიძლება ადამიანებს მიადგეთ ზიანი. ფაქტობრივად, ის რაც განურჩეველ ქმედებად შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს (ანუ მოქმედებად, რომლითაც დევნის განმახორციელებელი არ ცდილობს მიზანში ამოიღოს კონკრეტული პირები), შეიძლება რეალურად მომართული იყოს იმ მთელი თემისა თუ ტერიტორიის წინააღმდეგ, რომლის მობინადრენიც შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის რომელიმე მხარის მხარდამჭერები არიან, ან ასეთებად მიიჩნევიან.. იმ საკითხს, თუ ვინ მიეკუთვნება ან არის მიჩნეული შეიარაღებული კონფლიქტის და ძალადობის სიტუაციის რომელიმე მხარის მხარდამჭერად - ხშირად ძალიან ფართო განმარტებას აძლევენ კონფლიქტში ჩართული სუბიექტები და იგი შეიძლება მოიცავდეს ადამიანთა ფართო სპექტრს, მათ შორის, მეომართა ოჯახის წევრებს, ასევე, იმავე რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის წევრებს, ან კონკრეტულ უბანში, სოფელსა თუ ქალაქში მცხოვრებთ. პირობითი საფუძველი, როგორც წესი, მიეწერებათ ადამიანთა ჯგუფებს მათი ოჯახური, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სხვა კავშირების საფუძველზე"; UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ *No. 12*, 2016 წლის 2 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/583595ff4.html, პარ. 33.

[188] იხ. ზემოთ, „კონფლიქტი და უსაფრთხოების მდგომარეობა და ბოლო პერიოდის მოვლენები" (განყოფილება II.A) და მითითებული წყაროები.

მიესადაგება მათ ოჯახის წევრებს, ან პირებს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ პროფილების მქონე პირებთან სხვაგვარად არიან დაკავშირებული:

1. *მთავრობის მოწინააღმდეგე, ან ასეთად მიჩნეული პირები,* მათ შორის და არა მხოლოდ:ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრები; დემონსტრანტები, აქტივისტები და სხვები, რომლებიც მიიჩნევიან ოპოზიციის გულშემატკივრებად; ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების წევრები, ან პირები, რომლებიც მიიჩნევიან ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების წევრებად; პირები, რომლებიც თავს არიდებენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურს და დეზერტირები; მთავრობისა და ბა'ასის პარტიის ოფიციალური პირები, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი თანამდებობები; იმ პირთა ოჯახის წევრები და მათთან დაკავშირებული სხვა ინდივიდები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეულნი; ქალაქში, დაბებსა და სოფლებში მცხოვრები სამოქალაქო პირები, რომლებიც მთავრობის მოწინააღმდეგედ არიან მიჩნეულნი.
2. **პირები, რომლებიც თავს არიდებენ გაწვევას და შეიარაღებული ძალებიდან დეზერტირებული პირები.**
3. *მთავრობის მხარდამჭერი, ან ასეთად მიჩნეული პირები,* მათ შორის და არა მხოლოდ: მთავრობის თანამდებობის პირები და მთავრობასთან დაკავშირებული პარტიების წევრები; სამთავრობო ძალების წევრები, ან ასეთად მიჩნეული პირები და სამოქალაქო პირები, რომლებიც მიჩნეული არიან სამთავრობო ძალების მოკავშირეებად; იმ პირთა ოჯახის წევრები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული; და ქალაქში, დაბებსა და სოფლებში მცხოვრები სამოქალაქო პირები, რომლებიც მთავრობის მხარდამჭერებად არიან მიჩნეული.
4. **პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ISIS-ს მისი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული.**
5. **პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი *დე-ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული.**
6. **პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ PYD/YPG-ს მათი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული.**
7. ***კონკრეტული პროფესიის მქონე პირები,*** განსაკუთრებით, ჟურნალისტები და მასმედიის სხვა მუშაკები; მოქალაქე-ჟურნალისტები; მეცნიერები და პედაგოგები; ექიმები და ჯანდაცვის სხვა მუშაკები; ჰუმანიტარული მუშაკები; ადამიანის უფლებათა დამცველები; და მსახიობები.
8. **რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრები.**

9. **პირები, რომლებიც მიიჩნევიან *შარიათის* კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე.**
10. **განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე, ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები,** კერძოდ: მამაკაცის დაცვის გარეშე მყოფი ქალები; ქალები, რომლებიც არიან სექსუალური ძალადობის, ადრეული და იძულებითი ქორწინების, ოჯახში ძალადობის, „პატივის დაცვის მიზნით ჩადენილი დანაშაულის" ან ტრეფიკინგის მსხვერპლი, ან ასეთი მოპყრობის საფრთხის ქვეშ არიან.
11. **განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ გარემოებებში მყოფი ბავშვები,** კერძოდ, არასრულწლოვანთა შრომის და იძულებითი რეკრუტირების მსხვერპლნი, ან ასეთი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები; სექსუალური და ოჯახში ძალადობის, ბავშვის შრომის, ტრეფიკინგის და განათლებაზე სისტემატური ხელმიუწვდომლობის მსხვერპლი ბავშვები.
12. **განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები.**
13. **პალესტინელი ლტოლვილები**.

აქ ჩამოთვლილი რისკის მახასიათებლები ამომწურავი არ არის და შეიძლება ისინი ურთიერთგადამფარავი იყოს. მახასიათებელთა ჩამონათვალი რაიმე იერარქიას არ ითვალისწინებს. მახასიათებლები ეფუძნება დაწერის მომენტისთვის არსებულ ინფორმაციას და, ამიტომ, განაცხადი არ უნდა იქნეს მარტივად მიჩნეული უსაფუძვლოდ, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ იგი (მთარგმნელის კომენტარი: განმცხადებელი) ვერ ხვდება აქ ჩამოთვლილ პროფილებს შორის. . საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, ხომ არ განხორციელებულა საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი პირის მიმართ წარსულში დევნა.[189]

### *1) მთავრობის მოწინააღმდეგე, ან ასეთად მიჩნეული პირები*

სირიის მთავრობა, ჯერ კიდევ ამ კონფლიქტამდე, პრაქტიკულად შეუწყნარებელი იყო პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ.[190] არსებული ინფორმაციის თანახმად,

---

189 შესაბამისი მოსაზრებები წარსულში დევნის ზემოქმედების შესახებ იხ. შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპების 26-ე პარაგრაფში; UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ *No. 4:* "შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა" ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის კონტექსტში; 2003 წლის 3 ივლისი, HCR/GIP/03/04, http://www.refworld.org/docid/3f2791a44.html (შემდგომში: UNHCR, *GIP No. 4:* "შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა", 2003 წლის 23 ივლისი http://www.refworld.org/docid/3f2791a44.html).

190 აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 4, 18, 28-29, 30, 32. იხ. აგრეთვე, წყაროები, რომლებიც გამოყენებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია, რომელიც დახმარებას გაუწევს სირიის შესახებ UNHCR-ის სახელმძღვანელო მითითებების გამოყენებას: „უკანონო გამოსვლა" სირიიდან და დაკავშირებული საკითხები სირიელ თავშესაფრის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის, 2017 წლის თებერვალი,* http://www.refworld.org/docid/58da824d4.html (შემდგომში: UNHCR,

2011 წლის მარტში მიმდინარე სახალხო ანტისამთავრობო საპროტესტო გამოსვლებსა და შემდგომ შეიარაღებულ ბუნტს, მთავრობის ძალებმა მკაცრი რეპრესიებითა და ძალისმიერი მეთოდებით უპასუხეს.[191] პოლიტიკური მოწინააღმდეგის განსაზღვრისას მთავრობა საკმაოდ ფართო კრიტერიუმებს იყენებდა: მთავრობის ნებისმიერი კრიტიკა, წინააღმდეგობა მთავრობისადმი ან არასაკმარისი ლოიალობაც კი, რომელიც ნებისმიერი სახით იყო გამოხატული - მათ შორის მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები, დაგეგმილი თუ სპონტანური, პოლიტიკური პარტიის თუ ინდივიდუალურ დონეზე ორგანიზებული, ვირტუალური (ინტერნეტში)[192] თუ ქუჩაში[193] - ინდივიდუალური პირის მიმართ სერიოზული უკურეაქციით მთავრდებოდა.[194] წყაროები იუწყებიან, რომ პოლიტიკური ოპოზიციური პარტიების წევრები,[195] მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მონაწილენი,[196] აქტივისტები,[197]

---

*წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html), გვ. 7.

[191] იხ. წყაროები დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html), გვ. 7.

[192] *"ასადის მთავრობა ახდენს ონლაინ-კომუნიკაციის მონიტორინგს, ელექტრონული ფოსტისა და სოციალური მედიის ჩათვლით და ახდენს ინტერნეტ-მომხმარებელთა დევნას, რომლებიც იმათ მიმართ გამართულ დიალოგში ერთვებიან";* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. იხ. აგრეთვე, ფრონტის ხაზის დამცველები, სირია: მემარჯვენე ჯგუფები გმობენ ადამიანის უფლებათა დამცველისა და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრის, ბასელ ხარტაბილის სასამართლო განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯას, 2017 წლის 2 აგვისტო, http://bit.ly/2uomTp1.

[193] *"შეკრების თავისუფლება მკაცრად არის აკრძალული მთელ სირიაში. მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ოპოზიციის საპროტესტო გამოსვლებს თან სდევს სროლები, მასობრივი დაკავებები და დაპატიმრებულთა წამება";* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html

[194] იხ. წყაროები დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html), გვ. 7.

[195]"(…) მთავრობას აქვს დაზვერვის ძლიერი მექანიზმი და ჰყავს უშიშროების აპარატი, რომელიც ახდენს ოპოზიციური მოძრაობების მონიტორინგს და სჯის ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებმაც შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნან ასადის მმართველობას"; Freedom House, თავისუფლება მსოფლიოში 2017 - სირია, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html.

[196] *"აქტივისტები და საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები აცხადებდნენ, რომ სამთავრობო ძალები ურბანულ ტერიტორიებზე კვლავ ატარებდნენ უსაფრთხოების რეიდებს ანტისამთავრობო პროტესტების საპასუხოდ"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 4. იხ. აგრეთვე, Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html

[197] *"თვითნებური დაკავებების შედეგად მოსახლეობას გაუჩნდა შიში, რომ ხელისუფლებას შეუძლია ნებისმიერ დროს დააკავოს ინტერნეტის მომხმარებლები, ინტერნეტით წარმოებული მოქმედებებისთვის, რომელიც შეიძლება მიჩნეული იქნეს მთავრობის კონტროლის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, ისეთი მოქმედებები, როგორიცაა, ბლოგში დაპოსტვა, ტვიტერში ინფორმაციის განთავსება, ფეისბუქზე კომენტარის გაკეთება, ფოტოების გაზიარება ან ვიდეოს ატვირთვა"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 29-30. *"აქტივისტთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმებს იყენებენ, მათ შორის, თვითნებურ დაკავებას, მოტაცებას და წამებას - როგორც უშიშროების დაწესებულებებში, ისე მათ გარეთ და ოფიციალურ და არაოფიციალურ საპატიმრო ცენტრებში. (…) მიუხედავად იმისა, რომ ქალები საბრძოლო ოპერაციებში უშუალოდ არ მონაწილეობენ და სამოქალაქო მოძრაობაში მათი წვლილი სამოქალაქო და დახმარების აქტივობებით და პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვით შემოიფარგლება, რეჟიმი გამუდმებით ადანაშაულებს ქალ აქტივისტებს ტერორისტულ საქმიანობაში,*

სამხედრო გაწვევისგან თავის ამრიდებლები და დეზერტირები,[198] პროფესიონალები (მაგ., ჟურნალისტები და მოქალაქე-ჟურნალისტები,[199] დამხმარე მუშაკები, ექიმები, მეცნიერები)[200] და მრავალი სხვა, რომელიც მიჩნეული იყო მთავრობის საწინააღმდეგო შეხედულებათა მქონედ, სხვადასხვა სახის სასჯელს ექვემდებარებოდა, კერძოდ, ხდებოდა საზღვარგარეთ გამგზავრების აკრძალვა,[201] მათი კერძო საკუთრების

*რათა გაამართლონ მათი თვითნებური პატიმრობა და იძულებითი გაუჩინარება“;* ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისთვის (WILPF), *ქალთა მიმართ დარღვევები და მათზე კონფლიქტის არაპროპორციული ზემოქმედება,* 2016 წლის ნოემბერი, http://bit.ly/2dweuXf (შემდგომში: WILPF, *ქალთა მიმართ დარღვევები სირიაში,* 2016 წლის ნოემბერი, http://bit.ly/2dweuXf), გვ. 13

198 იხ. ქვემოთ პირები, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს ან დეზერტირებული არიან შეიარაღებული ძალებიდან“ (განყოფილება III.A.2) და მითითებული წყაროები.

199 “*მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე მკაცრად არის შეზღუდული სიტყვის თავისუფლება, და ჟურნალისტები და ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც სახელმწიფოს აკრიტიკებენ, ცენზურას, დაპატიმრებას, წამებას და სიკვდილით დასჯას ექვემდებარებიან“;* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია,* 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. “არსებული ინფორმაციის თანახმად, სამთავრობო ძალები ახდენენ ჟურნალისტთა და იმ ავტორების დაკავებას, დაპატიმრებას და მათზე ძალადობის სხვადასხვა ფორმებს გამოყენებას , რომელთა პუბლიკაციებიც სახელმწიფოს კრიტიკად მიიჩნევა. ძალადობის ფორმათა შორის არის: დაშინების მცდელობა, ასეთი პირებისთვის ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა, ჟურნალისტების სამსახურიდან განთავისუფლება და აკრედიტაციის გაგრძელებაზე განაცხადების იგნორირება. *სანდო არასამთავრობო ორგანიზაციათა მოხსენებებზე დაყრდნობით, მთავრობა გამუდმებით აპატიმრებდა ჟურნალისტებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ პოლიტიკურ ოპოზიციასთან ან მათ სასარგებლოდ წერდნენ; მთავრობა, ასევე, მთელი ქვეყნის მასშტაბით ებრძოდა უცხოური პრესის სააგენტოებს“; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი,* 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 29. იხ. აგრეთვე, Open Democracy, *Syria, the Uprising and the Media Scene*, 2017 წლის 26 ოქტომბერი, http://bit.ly/2zJgmn3

200 იხ. ქვემოთ, “კონკრეტული პროფესიის მქონე პირები’’ (განყოფილება III.A.7) და მითითებული წყაროები.

201 “*მართალია, მოქალაქეებს უფლება აქვთ იმოგზაურონ საზღვარგარეთ, მაგრამ მთავრობა არ აძლევს გასცემს პასპორტს და სხვა აუცილებელ დოკუმენტებს ზოგიერთი განმცხადებლის პოლიტიკური შეხედულებების გამო. აღნიშნული ეფუძნება ოპოზიციურ ჯგუფებთან, ან იმ გეოგრაფიულ ტერიტორიებთან კავშირს, სადაც ოპოზიცია დომინირებს.* (…) *გარდა ამისა, მთავრობა ხშირად უკრძალავდა საზღვარგარეთ გამგზავრებას ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებს, მათ ოჯახებსა და მათთან ასოცირებულ პირებს. როგორც იუწყებიან, მრავალი მათგანი ამ აკრძალვის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ მაშინ იგებდა, როდესაც მთავრობა მათ გამგზავრებაზე უარს ეუბნებოდა. როგორც ამბობენ, მთავრობა საზღვარგარეთ გამგზავრების აკრძალვას ახდენდა ყოველგვარი განმარტების გარეშე და განუსაზღვრელი პერიოდით, მაშინაც კი, როდესაც ადამიანებისთვის გამგზავრება ჯანმრთელობასთან იყო დაკავშირებული. მთავრობა ტოტალურად უკრძალავდა საზღვარგარეთ გამგზავრებას ოპოზიციის წევრებს, ხოლო, ხშირად, პირი, რომელიც გამგზავრებას ცდილობდა, თავდასხმის ობიექტი ხდებოდა. ადგილობრივი მასმედიის საშუალებები და ადამიანის უფლებათა დამცველები ხშირად მიუთითებდნენ, რომ ოპოზიციის აქტივისტები და მათი ოჯახები ქვეყნიდან გამგზავრებისგან თავს იკავებდნენ, რადგან აეროპორტში ან საზღვრის გადაკვეთისას თავდასხმის შიში ჰქონდათ“ (ხაზგასმა დამატებულია);* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 36. იხ. აგრეთვე, WILPF, *ქალთა მიმართ ძალადობა სირიაში, 2016 წლის ნოემბერი,* http://bit.ly/2dweuXf, გვ. 14.

ექსპროპრიაცია ან განადგურება,[202] იძულებითი გადაადგილება,[203] თვითნებური დაკავება და დაპატიმრება გარე სამყაროსთან კავშირის აკძალვით, წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები, დაჩქარებული და სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯა.[204] კონკრეტული პირის რეალური ან ნავარაუდევი პოლიტიკური ოპონენტობის სტატუსის მიწერა ხშირად ხდება მის

---

[202] "(…) *როგორც იტყობინებიან, მთავრობა საკანონმდებლო ღონისძიებებს იყენებდა განსხვავებული აზრის მქონე მოსახლეობისთვის ქონების ჩამოსართმევად და იურიდიულ და ადმინისტრაციულ ზომებს იყენებდა, რათა ხელი შეეშალა იძულებით გადაადგილებული პირების რეგისტრაციისთვის ან მათ მიერ საკუთრების შენარჩუნებისთვის. ახლახანს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტები მოითხოვს მთელი ქვეყნის მასშტაბით პირთა უშუალო რეგისტრაციას და მიწაზე საკუთრების დადგენას. მიწის საკუთრების დარეგისტრირება ან მიწის მესაკუთრეობის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ბევრი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილისთვის. ასეთი იურიდიული და ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენება შეიძლება მიზნად ისახავდეს მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებზე ზეწოლას, მათი შემორიგების მიზნით, რაზედაც ისინი შეიძლება დათანხმდნენ მათი ქონების შენარჩუნებისთვის";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 34. *"სამთავრობო ძალები ასევე ახდენდნენ საკუთრების ძარცვას და განადგურებას, მათ შორის, მოწინააღმდეგის მხარეს გადასული პირებისა და ოპოზიციის წარმომადგენელთა სახლების, ფერმების და ბიზნეს-საწარმოების. (…) როგორც იუწყებიან, მთავრობა ეძებდა ადამიანის უფლებათა დაცვის ადგილობრივი ორგანიზაციების წევრებს, რათა მოეხდინა* ***ქონების ჩამორთმევა,*** *ძალადობა, დაპატიმრება, დაკავება, წამება და სიკვდილით დასჯა" (ხაზგასმა დამატებულია);* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 28, 43. "*სირიის ფინანსთა მინისტრმა გასცა ბრძანება მრავალი აქტივისტის და მათი ნათესავების სახლებისა და ქონების ექსპროპრიაციის შესახებ, მათ მიერ ტერორისტებისათვის გაწეული დახმარების მიზეზით";* WILPF, *ქალთა მიმართ ძალადობა სირიაში,* 2016 წლის ნოემბერი, http://bit.ly/2dweuXf, გვ. 13. იხ. აგრეთვე, DW, *სირიელები იბრძვიან წართმეული სახლების დაბრუნებისთვის,* 2017 წლის 2 მაისი, http://bit.ly/2q21nCo; Syria Untold, სირიის ბიზნესის ელიტა: პატრონაჟის ქსელები და ომის ეკონომიკა, 2016 წლის 24 სექტემბერი, http://bit.ly/2q2wxKq.

[203] იხ. ქვემოთ, გვ. 38-39.

[204] "*სირიაში ამბოხის დაწყების დღიდან, ათასობით ადამიანი იქნა თვითნებურად დაკავებული, უკანონოდ დაპატიმრებული და იძულებით გაუჩინარებული უშიშროების ძალების მიერ, ასევე, ხშირი იყო არასათანადო მოპყრობის, წამებისა და სიკვდილით დასჯის შემთხვევები. ამ მიზნებისთვის ისინი იყენებდნენ საპატიმროთა ფართო ქსელს მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაკავებულ პირთა შორის იყვნენ* ***საპროტესტო გამოსვლების მონაწილენი, ადამიანის უფლებათა დამცველები და აქტივისტები, რომლებსაც ევალებოდათ საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება, გადაღება და რეპორტაჟის გადაცემა, ასევე, იურისტები და ექიმები***" (ხაზგასმა დამატებულია); HRW, სირია - მდგრადი მშვიდობისთვის საჭირო იქნება ათასობით უკანონოდ დაპატიმრებულის განთავისუფლება და სამართლიანობის აღდგენა, 2017 წლის 14 მარტი, http://bit.ly/2piDPdM. "(…) *გაუპატიურება საყოველთაოდ იყო გავრცელებული და მთავრობა და მთავრობის მხარდამჭერი ძალები გაუპატიურებას იყენებდნენ იმ ქალთა, მამაკაცთა და ბავშვთა ტერორიზებისა და დასჯისთვის,* ***რომლებსაც ოპოზიციასთან კავშირის მქონედ მიიჩნევდნენ*** *(ხაზგასმა დამატებულია);* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 44. "*ზოგიერთი მსხვერპლი დააკავეს იმ საბაბით, რომ ისინი* ***იყვნენ აქტივისტები, ან სხვა მიზეზთა გამო მიიჩნევდნენ მთავრობის არასაკმარის მხარდამჭერად****. იყო შემთხვევები, როდესაც ადამიანებს აწამებდნენ იმის გამო, რომ ისინი იყვნენ შეიარაღებული ჯგუფების წევრები ან ნათესაური კავშირი ჰქონდათ ასეთი ჯგუფების წევრებთან, ან ასეთებად იყვნენ მიჩნეული";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 95. დამატებითი წყაროები იხ. ნაშრომში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 18-19.

გარშემო მყოფ პირებზეც, მათ შორის, ოჯახის წევრებზე, მეზობლებსა და კოლეგებზე.[205]

2011 წლიდან მრავალ მოხსენებაში იყო განხილული მამაკაცებისა და ყმაწვილების საყოვლთაო და სისტემატური თვითნებური დაკავების და გაუჩინარების საკითხი. განსაკუთრებით, თუმცა არა მხოლოდ - სუნიტი არაბების, რომლებიც, იმ ტერიტორიებიდან იყვნენ, სადაც მიმდინარე პერიოდში ან მანამდე, ანტისამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებების კონტროლიხორციელდებოდა. ამ მოხსენებების შესაბამისად, მათ მიმართ ასეთი ზომების მიღების მიზეზი არის მათი სავარაუდო: მონაწილეობა მთავრობის საწინააღმდეგო ღონისძიებებში, შეიარაღებული ჯგუფებისთვის დახმარების გაწევა , ან უფრო ზოგადი - მათი, სავარაუდოდ, ანტისამთავრობო შეხედულებები.[206] დაკავება ხშირად ხდება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მამაკაცი ან ყმაწვილი არის რაიონიდან, რომელიც ოპოზიციასთან არის ასოცირებული.[207] საყოველთაო დაკავებები ძირითადად ხდება საკონტროლო პუნქტებთან, დაბრუნებულ ტერიტორიებზე რეიდების ჩატარებისას ან ევაკუაციის დროს, თუმცა ასევე ხდება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზეც (მათ შორის, საავადმყოფოებში, სამთავრობო დაწესებულებებში, აეროპორტებსა და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე).[208] ის ფაქტი, რომ კონკრეტული მამაკაცი შეიძლება

---

[205] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, (რეალურ ან ნავარაუდევ) მოწინააღმდეგეების, მოწინააღმდეგის მხარეზე გადასულების, ოპოზიციური პარტიების ან ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების წევრების და სამხედრო გაწვევისაგან თავის ამრიდებელთა ოჯახის წევრებს მეუღლეებს, შვილებს, და-ძმებს, მშობლებს და სხვა ახლო ნათესავებს) თვითნებურად აკავებდნენ, ხდებოდა მათი დაპატიმრება გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე, ფიქსირდებოდა მათი წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები, სქესობრივი ძალადობის და სასამართლოს განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობის მიერ ძებნილი ოპონენტის (ან ასეთად მიჩნეული პირის) პოვნა ვერ ხერხდებოდა, უშიშროების ძალები აკავებდნენ და არასათანადოდ ექცეოდნენ მისი ოჯახის წევრებს. ამას ძებნილი პირის ოპოზიციური საქმიანობისთვის ან ღალატისთვის შურისძიების ფორმად იყენებდნენ, რათა ამ ფორმით მიეღოთ ინფორმაცია ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, ან ამ გზით ძებნილი პირი აეძულებინათ მათ მხარეზე გადმოსულიყო, ან ეღიარებინა მისთვის წაყენებული ბრალი. როგორც იუწყებიან, ქალი ნათესავების დაპატიმრება ხდებოდა მათი 'სავაჭრო მონეტებად' გამოყენებისთვის ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებთან პატიმრების გაცვლის დროს; UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 11-12. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, „განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები" (განყოფილება III.A.10) და „განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები" (განყოფილება III.A.11).

[206] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 15; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, A/HRC/33/55, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 52; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სირიის საკითხებზე მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, A/HRC/30/48, http://www.refworld.org/docid/55e955344.html, პარ. 41-44, 72. იხ. აგრეთვე წყაროები ნაშრომში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 18.

[207] იხ. წყაროები, რომლებიც მითითებულია ნაშრომში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 18-19.

[208] იქვე, გვ. 18.

ამავდროულად უარს ამბობდეს სამხედრო სამსახურში გაწვევაზე ან ჯარიდან დეზერტირებული იყოს, ხელს შეუწყობს ვარაუდს, რომ იგი არის ანტისამთავრობო შეხედულებების მქონე და იგი დადგება დაკავების, იძულებითი გაწვევის და სერიოზული არასათანადო მოპყრობის საფრთხის წინაშე.[209] შესაბამისად, საბრძოლო ასაკის სირიელი მამაკაცები, მათ შორის, მოზარდი ვაჟები, ცდილობენ არ იმოძრაონ სამთავრობო საკონტროლო პუნქტების გავლით, რადგან მათ აქვთ ცუდად მოპყრობის, მოკვლის ან გაუჩინარების შიში.[210]

მოხსენებებში ნათქვამია, რომ სამოქალაქო მოსახლეობას, რომელიც ცხოვრობს ან წარმოშობით არის იმ რაიონებიდან, სადაც ხდებოდა სახალხო საპროტესტო გამოსვლები და/ან იმყოფება ან იმყოფებოდა (თუნდაც დროებით) ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების კონტროლის ქვეშ, მთავრობა მათ შეიარაღებულ ოპოზიციის წარმომადგენლებად მიიჩნევს. ამ მოხსენებათა შესაბამისად, ეს არის ნაწილი უფრო ფართო პოლიტიკის, სადაც სამოქალაქო პირთა დევნა ხდება ასოციაციით დაკავშირების საფუძველზე, იმის გამო, რომ პირი იმყოფება ან წარმოშობით არის ისეთი რაიონიდან, რომელიც მიჩნეულია მთავრობის ოპოზიციად და/ან ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მხარდამჭერად.[211] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ასეთ რაიონებში მცხოვრები სამოქალაქო პირების მიმართ იყენებენ დასჯის სხვადასხვა ზომებს, მათ შორის: დაკავებას; წამებას; სექსუალურ ძალადობას - გაუპატიურების ჩათვლით, რომელიც ომის იარაღად არის გამოყენებული;[212] სასამართლოს განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯას, რასაც

---

[209] ცეცხლის შეწყვეტის ზოგიერთი ადგილობრივი შეთანხმების კონტექსტში, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მიერ მითითებული იქნა, რომ ამ ადგილების მცხოვრებნი და ისინი, რომლებიც მთავრობის მიერ იყვნენ ძებნილი მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლის ან შეიარაღებული ძალებიდან დეზერტირობის გამო, ვალდებული იყვნენ გაევლოთ შერიგების პროცესი და მთავრობისადმი ერთგულების პირობა დაედოთ. ამ პროცესის შემდეგ, როგორც იუწყებიან, ასეთ პირებს ნებართვას აძლევენ დარჩნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე, მაგრამ ხდება მათი იძულებითი გაწვევა სამთავრობო ძალებში; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 20-21. იხ. აგრეთვე, EUI, *"შერიგების ადგილობრივი შეთანხმებები"*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I, გვ. 14-15. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, სქოლიო 217-220 და „პირები, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს ან დეზერტირებული არიან შეიარაღებული ძალებიდან" (განყოფილება III.A.2) და მითითებული წყაროები.

[210] "*ვინაიდან [ოპოზიციის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე] ცხოვრება სულ უფრო გაუსაძლისი ხდება, ისინი, ვისაც შეუძლიათ - გარბიან. ადგილზე რჩებიან მხოლოდ ისინი, ვისაც გაქცევა არ შეუძლია, მოხუცების, დაჭრილებისა და შშმ პირების ჩათვლით. ადგილზე ასევე რჩებიან თემის გაღარიბებული წევრები, რომლებსაც არ უნდათ დატოვონ თავიანთი საკუთრება და სხვა ადგილზე ღირსეული ცხოვრებისთვის არასაკმარისი სახსრებით წავიდნენ. აგრეთვე ადგილზე რჩებიან მამაკაცები და 13 წელზე უფროსი ასაკის ვაჟები -* ***მათ ეშინიათ, რომ მოკლავენ, სცემენ ან მოხდება მათი გაუჩინარება მთავრობის საკონტროლო პუნქტებთან*** *(ხაზგასმა დამატებულია)*; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 52. იხ. დამატებითი წყაროები, რომლებიც მითითებული ნაშრომში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 7-11.

[211] იხ. წყაროები, რომლებიც მითითებულია ნაშრომში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, , http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 14.

[212] "*დაზარალებულთა ჩვენებებიდან ჩანს, რომ გაუპატიურება ოპოზიციის მხარდამჭერად მიჩნეულ სირიელების წინააღმდეგ საბრძოლო იარაღად გამოიყენებოდა: დასჯისა და შურისძიების მიზნით, ქალების შეურაცხყოფისა და*

სამთავრობო ან მთავრობის მხარდამჭერი ძალები ახორციელებენ სახმელეთო იერიშების დროს, სახლების ჩხრეკისას ან საკონტროლო პუნქტებზე; ასევე, ინტენსიურ საარტილერიო და საჰაერო დაბომბვას.[213] არსებული ინფორმაციის თანახმად, მთავრობამ ალყაში მოაქცია ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებული ზოგიერთი ტერიტორია, რის გამოც სამოქალაქო მოსახლეობას აღარ აქვს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალება, კერძოდ, არ მიუწვდებათ ხელი საკვებზე და სამედიცინო დახმარებაზე. როგორც ამბობენ, ადამიანებს, რომლებსაც საკვები ან სხვა ძირითადი მოხმარების საგნები შეაქვთ ალყაშემორტყმულ ტერიტორიაზე ან ცდილობენ ასეთი ტერიტორიიდან გაქცევას, ცუდად მოპყრობა, დაკავება, პატიმრობა, წამება და სიკვდილი ემუქრებათ.[214] ალყაში

---

*თემებისათვის ზიანის მიყენების გზით ისინი დარტყმას აყენებდნენ, იმ პირებს, რომლებიც ოპოზიციაში იყვნენ ჩართული.“ და შემდგომ: „უმრავლეს შემთხვევაში გაუპატიურების აშკარა მიზანი იყო ქალის დასჯა რევოლუციაში მისი სავარაუდო მონაწილეობისთვის. (...) ასევე, თუ პირი წარმოშობით იყო რაიონიდან, სადაც ოპოზიცია იყო გამაგრებული, ისიც მიჩნეული იყო მთავრობის მოწინააღმდეგედ და ამის გამო შურისძის მსხვერპლი ხდებოდა. ქალების გაუპატიურება ხდებოდა არა ინდივიდუალური ნიშნით, არამედ ჯგუფისადმი კუთვნილების საფუძველზე“;* ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა (LSE), *თქვენ თავისუფლება გნებავთ? ეს არის თქვენი თავისუფლება”: გაუპატიურება არის ასადის რეჟიმის ტაქტიკა,* 2017 წლის მარტი (შემდგომში: LSE, *გაუპატიურება არის ასადის რეჟიმის ტაქტიკა*, 2017 წლის მარტი, http://bit.ly/2wIR5LU), გვ. 10. “*აღრიცხულ შემთხვევათა უმრავლესობა* [სქესობრივი ძალადობა სირიაში] *მოხდა სირიის შეიარაღებული ძალების წევრთა და მათი მოკავშირეების მონაწილეობით, შაბიჰას მილიციის ჩათვლით. თავდასხმების მიზანი იყო შიშისა და ტერორის გავრცელება არა მხოლოდ სექსუალური ძალადობის უშუალო მსხვერპლთა შორის, არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო - მსხვერპლთან დაკავშირებულ ფართო საზოგადოებაშიც, .“ და კიდევ, „სექსუალური ძალადობის ეს ფუნქცია უჩვენებს, თუ როგორ შეიძლება გაუპატიურება გამოყენებული იქნეს ტერორის ინსტრუმენტად. რეგისტრირებულ შემთხვევათა უმრავლესობა მოხდა იმ რეგიონებში, სადაც მეამბოხეებს ძლიერი მხარდაჭერა აქვთ, როგორიცაა, ჰომსი და ალეპო. ეს ხდება სახლებში ან თემებში რეიდების მოწყობისას, საკონტროლო პუნტებზე და სატუსაღოებში“; სარა მეგერი, „გაუპატიურება, ძარცვა, მოროდიორობა: სექსუალური ძალადობის პოლიტეკონომია შეიარაღებულ კონფლიქტში“,* Oxford University Press, 2016, http://bit.ly/2rQhnsB, გვ. 79-80

[213] “(…) *მთავრობა აგრძელებდა თავდასხმებს, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები განურჩეველი ხასიათის თავდასხმებად აფასებდნენ. ისინი ძირითადად მიმართული იყო სუნიტი ოპოზიციის მიერ კონტროლირებულ რაიონებზე ალეპოში და მთელი 2016 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. დამკვირვებელთა აზრით ეს ტაქტიკა შეიძლება შემუშავებული იყოს სუნიტებით დასახლებული ქალაქის ნაწილების მოსახლეობისაგან „გაწმენდის“ მიზნით, და არა მხოლოდ იქ მებრძოლი მეამბოხეების დასამარცხებლად“; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ - სირია, 2017 წლის 15 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 8. “[სუნიტური] *სოფლები, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარებიან, სირიული და რუსული სამხედრო თვითმფრინავების სამიზნე ხდებიან. ისინი ბომბავენ საავადმყოფოებს, სკოლებს და სამოქალაქო უბნებს, რაც* ***მიზანმიმართული კოლექტიური დასჯის სტრატეგიის სახეს იღებს****, რომლის დროსაც ზოგჯერ იყენებენ კასეტურ იარაღს და ცეცხლმაჩენ ჭურვებს“;* IRIN, *ხაფანგში მომწყვდეულები: როგორ გახდა ჩრდილო-დასავლეთ სირია ხაფანგი ასი ათასობით სამოქალაქო პირისთვის, 2017 წლის 28 მარტი,* http://bit.ly/2oatCPI. “*რეჟიმი სულ უფრო ხშირად იყენებს ალყას და საჰაერო დაბომბვას. ანალიტიკოსების აზრით, ეს* ***კოლექტიური დასჯის ტაქტიკა*** ორ მიზანს ემსახურება: *ამით სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგობის გაწევის საფასური მატულობს, რაც მათ მათ აიძულებს მოუწოდონ მეამბოხეებს დამორჩილებისაკენ, ასევე ამით ისინი ადგილობრივ კომიტეტებს საშუალებას არ აძლევენ მმართველ რეჟიმს რაიმე ფასეული ალტერნატივა შესთავაზონ “; სირიის ომი – The Descent into Horror*, 2016 წლის დეკემბერი 2016, http://on.cfr.org/2wa5MHS. იხ. აგრეთვე, წყაროები, რომლებიც მითითებულია ნაშრომში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 14-15.

[214] იხ. წყაროები, რომლებიც მითითებულია ნაშრომში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 16.

მოქცევის ტაქტიკას მთავრობა იყენებს ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებული ტერიტორიების წინააღმდეგ, რაც მიზნად ისახავს სამოქალაქო პირთა დასჯას, შეიარაღებული ოპოზიციისთვის გამოფიტვას მათივე ბაზებში და სამოქალაქო პირთა და მებრძოლთა დამორჩილებას.[215]

მოხსენებების შესაბამისად, ცეცხლის შეწყვეტის ადგილობრივი შეთანხმებების ფარგლებში, სამთავრობო ძალები ხშირად მოუწოდებნდენ, ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებს, მათ მიერ დაკავებული, ალყაშემორტყმული ტერიტორიებიდრასაც ხშირად თან ახლდა ბლოკადის გაგრძელება და ასეთ ტერიტორიებზე დასახლებების ინტენსიური დაბომბვა.[216] ადგილობრივი ცეცხლის შეწყვეტის ფარგლებში ბარზეჰში, ტიშრენში, ქაბუნსა და ეგრეთ წოდებულ „ოთხ ქალაქში“ (მადაია და ზაბადანი დამასკოს პროვინციის სასოფლო ტერიტორიაზე და ფუაჰი და კაფრაია იდლიბის პროვინციაში) მოკვლევის დამოუკიდებელმა საერთაშორისო კომიტეტმა დააფიქსირა, თუ როგორ მოითხოვდნენ მთავრობის მომხრე შეიარაღებული ძალები ნებაყოფლობით დაბრუნებული პირებისაგან გაევლოთ მთავრობასთან შერიგების პროცესი და მთავრობისადმი ერთგულება გამოეცხადებინათ, რაც მათ ტერიტორიაზე დარჩენის წინაპირობა იყო.[217] ტერიტორიაზე არ დაიშვებოდნენ ოპოზიციურად განწყობილი პირები და მებრძოლები,[218] ხოლო მათი უკან გაბრუნება ორგანიზებული ევაკუაციის ფორმით

---

[215] მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია და სხვა წყაროები მუთითებენ, რომ ალყის შემორტყმა მთავრობის სამხედრო სტრატეგიის ნაწილი იყო; იხ. წყაროები, რომლებიც მითითებულია ნაშრომში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 16-17.

[216] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 18-35, დანართი III პარ. 1, 3-6; Chatham House, *როგორ იყენებს სირიის რეჟიმი ნიღბად „შერიგებას“, რათა გაანადგუროს ოპოზიციის ინსტიტუტი, 2017 წლის ივნისი,* http://bit.ly/2uoBFYx; EUI, *"ადგილობრივი შერიგების შეთანხმებები*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I, გვ. 5; საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, *რა არის ასტანაში სირიის სამშვიდობო მოლაპარაკებების მთავარი საგანი?,* 2017 წლის 24 იანვარი, http://bit.ly/2j0p6kF. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები“ (განყოფილება II.C.1) და მითითებული წყაროები.

[217] "*საკანონმდებლო დეკრეტი No. 15 (2016 წლის ივლისი) წარმოადგენს შერიგების საფუძველს და იგი ითვალისწინებს ყველა პირის ამნისტიას, ვინც დანებდა და იარაღი დაყარა, დეზერტირების ჩათვლით. ამ პირთა შორის ძირითადად არიან ღალატის ან დეზერტირობისთვის ძებნილი მეომრები და სამოქალაქო პირები"*; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 20; Chatham House, *როგორ იყენებს სირიის რეჟიმი ნიღბად „შერიგებას“, რათა გაანადგუროს ოპოზიციის ინსტიტუტი, 2017 წლის ივნისი,* http://bit.ly/2uoBFYx.

[218] შერიგების პროცესიდან გამორიცხული იქნა გარკვეული მახასიათებლების (პროფილის) მქონე პირები სხვადასხვა რეგიონებიდან, მათ შორის, ჯანდაცვის პერსონალი - მათი სამედიცინო სამუშაოს გამო, ადგილობრივი საბჭოს წევრები, დახმარების სამსახურების მუშაკები, აქტივისტები და მებრძოლთა ოჯახის წევრები, ასევე, პირები, რომლებიც ოპოზიციური ჯგუფების მიმართ თანაგრძნობას გამოხატავდნენ; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 22. იხ. აგრეთვე, Chatham House, *როგორ იყენებს სირიის რეჟიმი ნიღბად „შერიგებას“, რათა გაანადგუროს ოპოზიციის ინსტიტუტი, 2017 წლის ივნისი,* http://bit.ly/2uoBFYx; EUI, *"ადგილობრივი შერიგების შეთანხმებები,* 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I, გვ. 11. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, „კონკრეტული პროფესიის მქონე პირები“ (განყოფილება III.A.7) და მითითებული წყაროები.

ხდებოდა.[219] მოკვლევის დამოუკიდებელმა საერთაშორისო კომიტეტმა განაცხადა, რომ ასეთი ევაკუაცია არის მთავრობის სტრატეგიული ნაბიჯი, რომლითაც იგი მოსახლეობის გადაადგილებას ახდენს პოლიტიკური ერთგულების საფუძველზე, ხოლო (სავარაუდოდ) ოპოზიციურად განწყობილი პირების კონცენტრაციას ახდენს ქვეყნის ერთ კუთხეში - ჩრდილო-აღმოსავლეთში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ, ზოგ შემთხვევაში ასეთი ევაკუაცია სამოქალაქო პირთა იძულებითი გადაადგილების ტოლფასია.[220] იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც მთავრობა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების კონტროლისაგან ათავისუფლებს, არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ხდება მასშტაბური დაკავებები, განსაკუთრებით, მამაკაცებისა და 12 წელზე უფროსი ასაკის ვაჟების, რასაც საფუძვლად უდევს ანტისამთავრობო ჯგუფებისადმი მათი ნავარაუდევი კეთილგანწყობა ან მხარდაჭერა.[221]

---

[219] *"შერიგების პროცესმა სამთავრობო ძალებს საშუალება მისცა მოსახლეობა დაეყო მთავრობისადმი ერთგულების ნიშნით, რომლის დროსაც ხდებოდა გაფილტვრა სამხედრო ასაკის მამაკაცების, ზოგადად 18-დან 45 წლამდე. ეს ჯგუფი ორ კატეგორიად იქნა დაყოფილი: შეიარაღებული ჯგუფის წევრებად და მებრძოლ პირებად - რომლებსაც არ შეუძლიათ მოცემულ ადგილზე დარჩენა და დარჩენის შემთხვევაში პატიმრობა ემუქრებათ; და პირები, რომლებმაც მთავრობას ერთგულება გამოუცხადეს. ამ ჯგუფს უფლება აქვს დარჩეს, მაგრამ ხდება მათი იძულებითი გაწვევა ადგილობრივ შენაერთებში - ეროვნული თავდაცვის ძალების დაქვემდებარებაში, ან გასამხედროებულ ნაწილებში, ან - ექვსთვიანი წინასწარი შეტყობინების შემდეგ, მათ აგზავნიან ფრონტის ხაზზე სირიის ჯარების შემადგენლობაში." და კიდევ, (...) შერიგების პროცესმა გამოიწვია როგორც მებრძოლთა, ისე ოპოზიციონერ სამოქალაქო პირთა იძულებითი გადაადგილება ორგანიზებული ევაკუაციის სახით";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 21, 22. იხ. აგრეთვე, EUI, *"ადგილობრივი შერიგების შეთანხმებები*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I, გვ. 11-12.

[220] "*იდლიბის პროვინციის სამოქალაქო პირთა (ექიმების, დახმარების მუშაკთა, აქტივისტთა, სამოქალაქო საზოგადოების მუშაკთა და ადგილობრივი საბჭოს წევრთა ჩათვლით, რომლებიც თანაუგრძნობენ ოპოზიციურ ჯგუფებს, ან ამგვარად არიან მიჩნეული) საზღვართან ევაკუაცია - - მთავრობას შეუძლია სხვადასხვა საომარ სტრატეგიად გამოიყენოს: ამის ფარგლებში მოსახლეობის ევაკუაციისას მათ ტერიტორიიდან გაჰყავთ როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები, ისე მათი მხარდამჭერები. თავიანთ სახლებში მხოლოდ იმ სამოქალაქო პირებს შეუძლიათ დარჩნენ, ვისაც შესთავაზებენ მთავრობისათვის ერთგულების დადასტურებას შერიგების სახით. მთლიანობაში, ევაკუაციის სქემა, რომელიც მთელ ქვეყანაში ხდება, როგორც ჩანს, ადრე ალყაში მყოფი ანკლავების პოლიტიკური დემოგრაფიის ცვლილებების შემუშავებას ემსახურება, პოლიტიკური მხარდაჭერის საფუძვლების გარდაქმნისა და განმტკიცების გზით". და კიდევ, „აქედან გამომდინარე, ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის ჯგუფების მადეიდან და ბარზიდან ევაკუაცია, ფუაჰის და კაფრაიას საერთო ევაკუაცია და მთელი სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია ტიშრინიდან და ქაბუნიდან, არის იძულებითი გადაადგილების ფორმით გამოხატული სამხედრო დანაშაული";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html , პარ. 31, 35. "*ეს* [შერიგების] შეთანხმებები იწვევს იძულებით გადაადგილებას, ძირითადად ადგილობრივი სამხედრო და სამოქალაქო ლიდერების, რომლებიც რეჟიმის წინააღმდეგ რევოლუციასთან არიან დაკავშირებული." და კიდევ: "(...) *ადგილობრივმა შეთანხმებებმა იძულებითი გადაადგილება გამოიწვია, რაც, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო ლიდერებზე, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ რეჟიმის საწინააღმდეგო რევოლუციასთან: მებრძოლები და მათი ოჯახები; სამოქალაქო ლიდერები, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებში; და ადგილობრივი საბჭოები*"; EUI, *"ადგილობრივი შერიგების შეთანხმებები*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I , გვ. 1, 10. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები - სამთავრობო ძალები" (განყოფილება II.C.1) და მითითებული წყაროები.

[221] მაგალითად, მოკვლევის დამოუკიდებელმა საერთაშორისო კომისიამ აღნიშნა, რომ 2016 წლის ბოლოს, აღმოსავლეთ ალეპოს დაბრუნებისას, სამთავრობო ძალებმა სიკვდილით დასაჯეს პირები, რომლებიც ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მხარდამჭერებად იყვნენ მიჩნეული, მათ შორის, ამ პირთა ნათესავები

UNHCR-ი მიიჩნევს, რომ მთავრობის მოწინააღდეგე ან ასეთად მიჩნეული პირები, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობა, რომელიც წარმოშობით არის ან ცხოვრობს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მიჩნეულია მთავრობის ოპოზიციური ძალების ადგილსამყოფელად, **დიდი ალბათობით საჭიროებენ ლტოლვილის საერთაშორისო დაცვას** მათი პოლიტიკური შეხედულების ან მათთვის შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

### *2) პირები, რომლებიც თავს არიდებენ გაწვევას და შეიარაღებული ძალებიდან დეზერტირებული პირები*

სირიაში სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება[222] სისხლის სამართლის დანაშაულია.[223] დამოუკიდებელი დამკვირვებლები მიუთითებენ, რომ სამხედრო გაწვევისთვის თავის არიდებას მთავრობა პოლიტიკურ, ანტისამთავრობო ქმედებად მიიჩნევს,[224] რის გამოც, პირი, რომელიც სამხედრო გაწვევისთვის თავის არიდებას

---

და ოჯახის წევრები; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 2 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b827094.html , პარ. 91; OHCHR, *მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის განცხადება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ - სამოქალაქო პირთა სიტუაცია, რომლებზედაც ზემოქმედება იქონია ალეპოს აღებამ,* 2016 წლის 14 დეკემბერი, http://bit.ly/2gBfhUo იხ. აგრეთვე, UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html , გვ. 18.

[222] "*სამხედრო სამსახურისგან თავის არიდება ხდება მაშინ, როდესაც პირი არ რეგისტრირდება ან უწყების მიღების შემდეგ გამწვევ პუნქტში არ ცხადდება სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად. თავის არიდების მიზეზი შეიძლება იყოს წვევამდელის საზღვარგარეთ გამგზავრება, ან, უწყების დაბრუნება სამხედრო უწყებაში. ასეთ შემთხვევაში პირს შეიძლება ეწოდოს სამხედრო სამსახურის მოწინააღმდეგე, და არა თავის ამრიდებელი. (...) სამხედრო სამსახურზე უარის თქმა შეიძლება მოხდეს შინაგანი რწმენის საფუძველზე, ან რაიმე სხვა მიზეზით*"; UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 10: ლტოლვილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის კონტექსტში*, 2013 წლის 3 დეკემბერი, HCR/GIP/13/10/Corr. 1, http://www.refworld.org/docid/529ee33b4.html (შემდგომში: UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 10*, 2013 წლის 3 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/529ee33b4.html), გვ. 1-2.

[223] *კანონი No. 61 of 1950, შესწორებული ვერსია (სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსი) [სირიის არაბული რესპუბლიკა]*, 2017 წლის 16 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58a5e1b34.html.

[224] "*ჩემი შეფასებით, მთავრობა იყენებს სანქციებს ინდივიდუალური პირების წინააღდეგ, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს არ გადიან ორ ძირითად ფაქტორზე დაყრდნობით, რომელიც შეიძლება ხდებოდეს სინქრონულად ან თანმიმდევრობით - გარემოებებიდან გამომდინარე. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ მთავრობა სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებას სისხლის სამართლის დანაშაულად განიხილავს, რომელიც კანონით დადგენილ სანქციებს ექვემდებარება. სინამდვილეში, მთავრობას ნაკლებად აინტერესებს იურიდიული სანქციების გამოყენება, რადგან მას კვლავ სჭირდება ადამიანური რესურსები. მთავრობა ამ ადამიანებთან გარიგებას ამჯობინებს იმიტომ, რომ მას აინტერესებს მათი დროული გაწვევა სამხედრო სამსახურში, და არა ხანგრძლივი ვადით დაპატიმრება, მათ შორის, იმ პირთა მიმართაც, ვინც ადრე ოპოზიციის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. ამრიგად, გაწვევისაგან თავის ამრიდებელთა უმრავლესობა, სავარაუდოდ, სასამართლო სისტემაში ხანგრძლივი პერიოდით არ მოხვდება. მიუხედავად ამისა, ასეთი გაწვევის პირობები საკმაოდ მკაცრია. როგორც იუწყებიან, ეს პრაქტიკულად სამხედრო ბაზაზე პატიმრობის ტოლფასია, ხოლო ფრონტის ხაზზე გაგზავნამდე წვევამდელებს წვრთნები თითქმის არ უტარდებათ. სამხედრო სამსახურზე უარის თქმასთან დაკავშირებით მთავრობას ასევე* ***პარალელური შეხედულებაც აქვს - იგი მას მიიჩნევს პოლიტიკურ ან 'ანტისამთავრობო' მოქმედებად, რომელიც სანქციებს ექვემდებარება,*** *როგორც ოფიციალურს, ისე - არაოფიციალურს. პირები, რომლებიც უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე, შეიძლება დაექვემდებარონ წამებას და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებს პატიმრობაში ყოფნის დროს, ასევე, არასათანადო მოპყრობას სამხედრო ოფიცრებისა და სხვა თანამდებობის პირებისაგან მათი სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროს. სანქციები*

ეცდება, შეიძლება დაისაჯოს გაწვევისთვის თავის არიდებისთვის განსაზღვრული სასჯელისგან განსხვავებული, სხვა სისხლისსამართლებრივი სასჯელის ფორმით.[225] ამასთანავე, ასეთი პირები შეიძლება დაექვემდებარონ მკაცრ მოპყრობას როგორც დაკავების, დაკითხვის და პატიმრობის დროს, ასევე სამხედრო ნაწილში გაგზავნის შემდეგ - სამხედრო მსახურობის პერიოდშიც.[226] არსებული ინფორმაციის თანახმად,

---

*შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სექსუალურ ზეწოლას და სხვა საპასუხო ქმედებებს სახელმწიფოს მხრიდან ამ პირთა ოჯახის წევრების მიმართ. მთავრობას. სავარაუდოდ. სურს გრძელვადიანი პოლიტიკა ჩამოაყალიბოს შემდგომში გაწვევისაგან თავის ამრიდებელი პირების წინააღმდეგ, თუ მთავრობის მხარდამჭერი ძალები შეძლებენ კვლავ აღადგინონ სტაბილური მდგომარეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ პოლიტიკის ნაწილი შესაძლოა იყოს დაკავება, წამება, იძულებითი გაუჩინარება, საჯარო სერვისებზე წვდომის შეფერხება და სექსუალური ზეწოლა ან ინტენსიური თვალთვალი დაზვერვის სამსახურების მხრიდან" (ხაზგასმა დამატებულია); ელ-ფოსტით კომუნიკაცია ქრისტოფერ კოზაკთან,* სირიის კვლევის ანალიტიკოსი ISW-ში, 2017 წლის 6 ოქტომბერი (ელ-ფოსტის შეტყობინებები UNHCR-ის ფაილში), „სირიის ოფიციალური პირები სამხედრო სამსახურისაგან თავის ამრიდებლებს ხშირად მიიჩნევენ ოპოზიციად და დივერსანტებად"; ელ-ფოსტით კომუნიკაცია ახლო აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის დირექტორთან და ოკლაჰომას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან, ჯოშუა ლანდისთან, 2017 წლის 22 სექტემბერი (ელ-ფოსტის შეტყობინებები UNHCR-ის ფაილში). „(...) *ჩემს მიერ ჩატარებული ინტერვიუების და განხილული ჩვენებების საფუძველზე, მე დავასკვენი, რომ **სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდება მთავრობის მიერ ანტისამთავრობო ქმედებად არის მიჩნეული.** ეს განსაკუთრებით ეხება მამაკაცებს, რომლებიც მთავრობის ნებართვის გარეშე გაემგზავრნენ საზღვარგარეთ (ანუ, მათი გამგზავრება არ მომხდარა კანონიერი საშუალებების გამოყენებით). კანონიერად წასულ მამაკაცებს უნდა გაევლოთ ოფიციალური საზღვარი და მიეღოთ გაწვევის გადავადება, საზღვარგარეთ წასასვლელად დადასტურებული საპატიო მიზეზის საფუძველზე (სწავლის ან მუშაობის მიზნით)" (ხაზგასმა დამატებულია);* ელ-ფოსტით კომუნიკაცია ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის კულტურული ანთროპოლოგიის ასოცირებულ პროფესორთან, როჩელ დევისთან, 2017 წლის 22 სექტემბერი (ელ-ფოსტის შეტყობინებები UNHCR-ის ფაილში). *„(...) სირიაში არსებული სიტუაციის ჩემეული აღქმის საფუძველზე, კერძოდ, სამხედრო სამსახურის კონტექსტში, მე **გონივრულად მიმაჩნია ითქვას, რომ სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდებას ხელისუფლება „ანტისამთავრობო" ქმედებად მიიჩნევს,** რომელიც სხვადასხვა გზით ისჯება, თვითნებური დაკავების, გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე პატიმრობის, წამების და არასათანადო მოპყრობის ჩათვლით" (ხაზგასმა დამატებულია);* ელ-ფოსტით კომუნიკაცია HRW-ის ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის განყოფილების დირექტორის მოადგილესთან, ბეირუთის განყოფილების უფროსთან, ლამა ფაკისთან, 2017 წლის 22 მაისი, (ელ-ფოსტის შეტყობინებები UNHCR-ის ფაილში). იხ. აგრეთვე, UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 20.

[225] "კონვენციური საფუძველი [აქ: პოლიტიკური ან ნავარაუდევი პოლიტიკური შეხედულება] *უნდა იყოს **დევნის დასაბუთებული შიშის მხოლოდ ერთ-ერთი გამამყარებელი ფაქტორი**; არ არის აუცილებელი დადასტურდეს, რომ ის იყო გადამწყვეტი ან სულაც ერთადერთი მიზეზი" (ხაზგასმა დამატებულია);* UNHCR, *საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები No. 10,* 2013 წლის 3 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/529ee33b4.html, პარ. 47.

[226] *მთავრობის შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო სამსახურისაგან თავის არიდება არის პოლიტიკური ან ანტისამთავრობო აქტივობა, შეიძლება აისახოს სამსახურისაგან თავის ამრიდებლის მიმართ, მათი სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროს, მკაცრ მოპყრობაში სამხედრო ოფიცრებისა და სხვა თანამდებობის პირებისაგან. სანქციები შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სექსუალურ ზეწოლას და სხვა საპასუხო ქმედებებს სახელმწიფოს მხრიდან ამ პირთა ოჯახის წევრების მიმართ" და კიდევ: „მე მინახავს მოხსენებები, სადაც ნათქვამია, რომ სამხედრო სამსახურიდან თავის ამრიდებლებს სამხედრო ოფიცრებისა და სხვა თანამდებობის პირების მხრიდან შეიძლება შეერაცხოთ ღალატი ან ანტისამთავრობო ქცევა"; ელ-ფოსტით კომუნიკაცია ქრისტოფერ კოზაკთან,* სირიის კვლევის ანალიტიკოსი ISW-ში, 2017 წლის 6 ოქტომბერი (ელ-ფოსტის შეტყობინებები UNHCR-ის ფაილში), "*დევნის განზრახვა ან მოტივი შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს დევნის შიშსა და კონვენციურ საფუძველს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად, მაგრამ იგი გადამწყვეტი არ არის, და არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ხშირად მისი დადგენა რთულია";* UNHCR, *საერთაშორისო დაცვის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები No. 10,* 2013 წლის 3 დეკემბერი, http://www.refworld.org/docid/529ee33b4.html, პარ. 48.

როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი სანქციების (პატიმრობის) ნაცვლად, რომელსაც სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, სამხედრო გაწვევისაგან თავის ამრიდებლებს ფრონტის წინა ხაზზე აგზავნიან დაკავებიდან რამდენიმე დღის ან კვირის განმავლობაში, ხშირად მხოლოდ მინიმალური წვრთნების შემდეგ.[227]

სამხედრო გაწვევისაგან თავის არიდებისა თუ დეზერტირობის ფაქტების გახშირების, ასევე გაზრდილი მსხვერპლის საფუძველზე, სამხედრო და უშიშროების სააგენტოები სულ უფრო მეტი ძალისხმევით სცდილობენ სირიელი მამაკაცების ჯარში გაწვევასა და რეზერვისტთა მობილიზებას.[228] გარდა ამისა, არსებული ინფორმაციის შესაბამისად, აქტიურად ხდება გაწვევისთვის თავის ამრიდებელთა გამოვლენა და დაკავება, მათ შორის, მობილურ და ფიქსირებულ საკონტროლო პუნქტებზე, რეიდების დროს, სახლების ჩხრეკისას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემოწმებისას.[229] იუწყებიან, რომ სამთავრობო ძალების მიერ ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების კონტროლისაგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე, მამაკაცებს, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის ან რეზერვისტის ასაკის არიან, მასიურად აკავებენ, რათა შემდგომ ისინი ჯარში გაიწვიონ.[230] სამხედრო

---

[227] The New Arab, *დამასკოსთან მიმართებით ვერ ვიტყვით, რომ „ცხოვრება თავისი გზით მიდის“, რაც არ უნდა თქვას ასადმა, 2017 წლის 14 მარტი,* http://bit.ly/2mow7Zp; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 21. იხ. აგრეთვე, UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 20, 22.

[228] "*თვითნებური დაკავებები, რომლებიც სექტემბერში მოხდა, დამახასიათებელი იყო ყოველდღიური რეიდებისა და დაკავებების ღონისძიებებისთვის, რომელსაც სირიის რეჟიმის ძალები თითქმის ყოველდღე ახორციელებდნენ ძირითად რაიონებში, ქალაქების ცენტრებსა და საცხოვრებელ უბნებში, რომლებიც რეჟიმის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. დაკავებების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ* ***18-დან 42-წლამდე ასაკის პირებს, სამხედრო სამსახურში გაწვევის მიზნებისთვის****. სირიის რეჟიმის ძალები ასევე დევნიდნენ აქტივისტებს და შეიარაღებული ოპოზიციის მებრძოლთა ოჯახებს, რომლებიც მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, გაწვევის მიზნებისთვის რეიდები და დაკავებები ხდებოდა დამასკოს პროვინციის ქალაქგარე დასახლებებში " (ხაზგასმა დამატებულია);* SNHR, *2017 წლის სექტემბერში, თვითნებური დაკავების, სულ მცირე, 557 შემთხვევა დაფიქსირდა,* 2017 წლის 4 ოქტომბერი, http://bit.ly/2yuuW5j , გვ. 4. იხ. აგრეთვე, დანიის საიმიგრაციო სამსახური (DIS), *სირია: გაწვევის პრაქტიკა მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე და ოპოზიციის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო პირთა ჩართვა შეიარაღებულ კონფლიქტში და სირიასთან დაკავშირებული საკითხები,* 2017 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59aea2694.html (შემდგომში: DIS, *სირია: გაწვევის პრაქტიკა,* 2017 წლის აგვისტო*:* http://www.refworld.org/docid/59aea2694.html ), გვ. 8, 10-11; ISW, *ირანის ასადის რეჟიმი,* 2017 წლის მარტი, http://bit.ly/2rqxbSY, გვ. 1. იხ. აგრეთვე, The Telegraph, *გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ასადი 50 წლის ადამიანებს იწვევს სამხედრო სამსახურში,* 2017 წლის 13 იანვარი, http://bit.ly/2pFareg და წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html , გვ. 21, სქოლიო 117.

[229] იხ. წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, სქოლიო 119.

[230] DIS, სირია*:გაწვევის პრაქტიკა, 2017 წლის აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59aea2694.html, გვ. 8; Reuters, *სირიელი ყოფილი მეამბოხეები გარბიან, რათა თავი აარიდონ ჯარში გაწვევას,* 2017 წლის 10 აგვისტო, https://reut.rs/2uIvA8P; The Daily Beast, *სირიის სასტიკი „შერიგება“,* 2017 წლის 21 აპრილი, http://thebea.st/2qRR8iU; The New Arab, *დამასკოსთან მიმართებით ვერ ვიტყვით, რომ „ცხოვრება თავისი გზით მიდის“, რაც არ უნდა თქვას ასადმა, 2017 წლის 14 მარტი,* http://bit.ly/2mow7Zp; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის

სამსახურისგან თავის ამრიდებელ პირებს პატიმრობის პერიოდში ემუქრებათ წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები - ასეთი პრაქტიკა, არსებული ინფორმაციის შესაბამისად, სირიისთვის ზოგადად არის დამახასიათებელი.[231]

გარდა იმისა, რომ სამხედრო გაწვევისაგან თავის არიდება პოლიტიკურ ქმედებად არის გამოცხადებული, სამხედრო გაწვევისთვის თავის ამრიდებელი პირის სხვა მახასიათებლების გამო, ეს პირი შეიძლება მიჩნეული იქნეს მთავრობისადმი არალოიალურად და/ან ოპოზიციის (პოლიტიკურის ან შეიარაღებულის) მხარდამჭერად,[232] რაც გაწვევისაგან თავის ამრიდებელ პირს იმ სასჯელთან ერთად, რომელიც სამხედრო გაწვევისაგან თავის არიდებისთვის არის კანონით გათვალისწინებული, არასათანადო მოპყრობის დამატებითი რისკის წინაშე აყენებს.[233]

სამხედრო სამსახურში სულ უფრო იზრდება წესებისა და რეგულაციების თვითნებური შეცვლა, განსაკუთრებით, სამსახურის გადავადების და განთავისუფლების პროცედურებთან დაკავშირებით.[234] ამავდროულად, მთავრობა

---

უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 15; The Telegraph, *მეამბოხეთა მიერ კონტროლირებული აღმოსავლეთ ალეპოდან გაქცეულ სამოქალაქო პირებს სირიის ძალები 'აპატიმრებენ და ჯარში იწვევენ', 2016 წლის 5 დეკემბერი*, http://bit.ly/2hidB5U. იხ. აგრეთვე წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 21-22.

[231] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 6. იხ. აგრეთვე წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 8 (სქოლიო 44) და გვ. 20-21.

[232] იხ. „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1) და მითითებული წყაროები.

[233] "*წარმოშობის ქვეყნის შესახებ არსებული ინფორმაციის თანახმად, უბრალო ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ პირს აქვს ანტისამთავრობო შეხედულებები, ან დაკავშირებულია ასეთი შეხედულებების მქონე პირთან, საკმარისი იქნება იმის დასადგენად, რომ პირს აქვს დევნის დასაბუთებული შიში";* UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 13 და მითითებული წყაროები. "წყაროებში მითითებულია მთელი რიგი შესაძლო შედეგები, თუკი დაიჭერენ პირს, რომელიც თავს არიდებს სამხედრო სამსახურში გაწვევას, მას ემუქრება: დაკავებისთანავე სამხედრო სამსახურში გაწვევა; ფრონტის წინა ხაზზე გაგზავნა; მის წინააღმდეგ დაიწყება გამოძიება და იგი შეიძლება გახდეს არასათანადო მოპყრობის, მათ შორის წამების მსხვერპლი; და/ან დაპატიმრება. *რომელი სასჯელის ან სასჯელთა ერთობლიობის რისკის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს პირი, დამოკიდებულია მის მახასიათებლებზე (პროფილზე), მის კავშირებზე და ტერიტორიაზე, სადაც ცხოვრობს.* ***თუ ხელისუფლებას აქვს ეჭვი, რომ პირს კავშირი აქვს ოპოზიციურ ჯგუფებთან ან მათთან თანამშრომლობს,*** *პირი შეიძლება დაექვემდებაროს გამოძიებას და არასათანადო მოპყრობას, წამების ჩათვლით. ნადიმ ჰური (HRW) მიუთითებს, რომ თუკი სანაპიროზე მცხოვრებ ალავიტებს შეიძლება მხოლოდ 'მუშტიგაჰკრან მხარში',* ***მუშათა კლასის წარმომადგენელი სუნიტი, რომელიც ოპოზიციის მხარდამჭერ რაიონში ცხოვრობს,*** *შეიძლება დაექვემდებაროს გამოძიებას და არასათანადო მოპყრობას და მას ოპოზიციის მხარდაჭერაში დასდონ ბრალი;" (ხაზგასმა დამატებულია);* DIS, სირია: სამხედრო სამსახური, სავალდებული თავდაცვის ვალდებულება და გაწვევა *YPG-ის ძალებში*, 2015 წლის 26 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/54fd6c884.html, გვ. 18.

[234] მოხსენებების თანახმად, სულ უფრო რთულდება სამხედრო სამსახურის გადავადება ან ჯარიდან განთავისუფლება; DIS, სირია: გაწვევის პრაქტიკა, 2017 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59aea2694.html, გვ. 8-9; EUI, *"ადგილობრივი შერიგების შეთანხმებები*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I, გვ. 14; Syria Direct, *დამასკოელმა სტუდენტმა 8 თვის ხელფასი გადაიხადა ქრთამის*

უფრო ხშირად იწვევს სავალდებულო სამხედრო სამსახურში აქამდე „დაცულ პირებს“, მაგალითად, უნივერსიტეტის სტუდენტებს, საჯარო მოხელეებს და პატიმრებს.[235] მრავალ მათგანს, ვინც სავალდებულო სამხედრო სამსახურში არის გაწვეული, მსახურობა უწევს კანონით დადგენილი 18 თვეზე მეტი ხნით. მოხსენებების შესაბამისად, მამაკაცებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, ხშირად ავტომატურად აფორმებენ სამხედრო სარეზერვო დანაყოფებში.[236] გაწვევის ან რეზერვისტის ასაკის მამაკაცები, რომლებსაც მოეთხოვებათ თავი შეიკავონ გადაადგილებისაგან, ცდილობენ მიიმალონ, რისთვისაც გადადიან ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებზე (მათ შორის, იმ ტერიტორიებზე, რომელზედაც გაფორმებულია შერიგების ადგილობრივი შეთანხმებები), ან ტოვებენ ქვეყანას, რადგან მათ აშინებთ ძალადობა, რომელიც საკონტროლო პუნქტებზე ხდება და აქვთ იძულებითი გაწვევის შიში.[237] არსებული ინფორმაციის თანახმად, საზღვარგარეთიდან დაბრუნებული მამაკაცების სამხედრო ჩანაწერებს მუდმივად ამოწმებენ.[238]

როგორც იუწყებიან, სამხედრო ძალებიდან დეზერტირობა განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა კონფლიქტის პირველ წლებში, თუმცა შემდეგ იგი უფრო იშვიათი მოვლენა გახდა.[239] 1950 წლის სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად,

---

*სახით, რათა სამხედრო სამსახურიდან თავი დაეღწია, 2017 წლის 20 აპრილი,* http://bit.ly/2qfHyof. იხ. აგრეთვე, წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, სქოლიო128, 129.

[235] SNHR, *სირიის რეჟიმი პატიმრებს ჯარში გასაწვევად იყენებს,* 2017 წლის 29 აპრილი, http://bit.ly/2wBqK30. იხ. აგრეთვე წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 23-24.

[236] Syria Direct, *სირიის არაბული არმიის ჯარისკაცი ამბობს, რომ შვებულებისთვის ქრთამს იხდის: 'მე სხვა გამოსავალი არ მქონდა',* 2017 წლის 19 ივლისი, http://bit.ly/2tfihgm. იხ. აგრეთვე წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 23.

[237] "*წასვლის მიზეზები* [ქალაქ ჰომსის ალ-ვაერის უბანი 2017 წლის აპრილში], განსაკუთრებით 18-დან 45-წლამდე ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცებისთვის, დაკავშირებულია სირიის არმიაში გაწვევისაგან თავის არიდებასთან"; UNHCR, *სირია: ბოლო პერიოდის მოვლენათა განახლებული მიმოხილვა,* 2017 წლის 26 აპრილი, http://bit.ly/2ynFLGy, გვ. 2. იხ. აგრეთვე, *სირიელი ყოფილი მეამბოხეები გარბიან, რათა თავი აარიდონ ჯარში გაწვევას,* 2017 წლის 10 აგვისტო, https://reut.rs/2uIvA8P; Syria Deeply, *ამჟამად, ასადის კონტროლის ქვეშ, დამასკოს გარეუბანი წინსვლის გზას ეძებს, 2017 წლის 19 ივლისი,* https://upi.com/6608049t; EUI, *"ადგილობრივი შერიგების შეთანხმებები*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I, გვ. 14-15; და წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 22

[238] UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 4-5, 25.

[239] 2011 წლიდან 2014 წლის ივლის-აგვისტოსმდე 20000-დან 100000-მდე სამხედრო პირმა დატოვა სირიის შეიარაღებული ძალები (ეს არის თავდაპირველი ძალების საერთო რაოდენობის დაახლოებით 15-დან 20 პროცენტამდე); Carnegie Europe, *სირიის სამხედროები: უკანასკნელ ჯარისკაცამდე?,* 2014 წლის 29 ივლისი, http://ceigვ.org/1tnRRWm. იხ. აგრეთვე, DIS, *სირია: გაწვევის პრაქტიკა მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე და ოპოზიციის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, საჯარო მოხელეთა და სამოქალაქო პირთა ჩართვა შეიარაღებულ კონფლიქტში და სირიასთან დაკავშირებული საკითხები,* 2017 წლის აგვისტო, 5/2017,

დეზერტირობა არის დასჯადი ქმედება და იგი, გარემოებების შესაბამისად, პატიმრობას ან სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს.[240] ინფორმაციის თანახმად, ამ სამართლებრივი დებულებების მიუხედავად, ოფიციალურად ბრალი არ წაუყენებიათ იმ პირებისთვის, რომლებმაც უარი თქვეს სროლის შესახებ ბრძანების შესრულებაზე, დატოვეს დისლოკაციის ადგილები ან ეჭვმიტანილი იყვნენ დეზერტირობის განზრახვაში,. როგორც წესი, მათ ან დაუყოვნებლივ სიკვდილით სჯიდნენ - უშუალოდ დეზერტირობის მომენტში ან დაჭერის შემდეგ, ან ხდებოდა მათი თვითნებური დაკავება, დაპატიმრება გარე სამყაროსთან კომუნკაციის გარეშე, წამება და სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯა;[241] ან გამოძიების შემდეგ მათ აგზავნიდნენ თავიანთ სამხედრო ნაწილში.[242] მოხსენებები ადასტურებს, რომ სამთავრობო ძალები ახდენენ დეზერტირთა ოჯახის წევრების იდენტიფიცირებას, მაგალითისთვის, ოპოზიციური ძალების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე ჩატარდა.[243] არსებული ინფორმაციის თანახმად, დეზერტირთა ქონებას განზრახ ძარცვავენ, წვავენ და ანადგურებენ.[244]

---

http://www.refworld.org/docid/59aea2694.html, გვ. 33; ჰოლგერ ალბრეხტი და კევინ კოეჰლერი (კაიროს ამერიკული უნივერსიტეტი), *რა იწვევს სუბორდინაციის რღვევას ძალადობრივ შიდასახელმწიფო კონფლიქტის დროს?, 2016 წლის 2 მარტი,* http://bit.ly/2yd8tW3, გვ. 1, 8; The Washington Post, *სირიის სამხედრო ძალებში ათასობით დეზერტირია. ახალი კვლევით ვიგებთ, თუ რატომ წავიდნენ ისინი,* 2015 წლის 17 დეკემბერი, http://wapo.st/2hgI2M7.

[240] მშვიდობიან პერიოდში დეზერტირობა ერთიდან ხუთ წლამდე პატიმრობით ისჯება, რომელიც კონფლიქტის დროს შეიძლება გაორმაგდეს. დეზერტირები, რომლებმაც, ამავდროულად, ქვეყანაც დატოვეს (ეგრეთ წოდებული 'გარე დეზერტირობა'), სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლს ექვემდებარებიან: 5-დან 10 წლამდე პატიმრობა მშვიდობიან დროს და 15 წლით პატიმრობა კონფლიქტის დროს. მტრის წინაშე დეზერტირობა სამუდამო პატიმრობით ისჯება. დეზერტირობა დამამძიმებელ გარემობებში სიკვდილით ისჯება, 1950 წლის კანონი No. 61, შესწორებული ვერსია (სამხედრო სისხლის სამართლის კოდექსი) [სირიის არაბული რესპუბლიკა], 2017 წლის 16 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58a5e1b34.html, მუხლები 100-103.

[241] "*პირები, რომელთა დეზერტირობის მცდელობა სირიის ჯარიდან წარუმატებლად დასრულდა, მკაცრად დაისაჯნენ, სასამართლო პროცესის გარეშე სიკვდილით დასჯის ჩათვლით*"; ჰოლგერ ალბრეხტი და კევინ კოეჰლერი (კაიროს ამერიკული უნივერსიტეტი), *რა იწვევს სუბორდინაციის რღვევას ძალადობრივ შიდასახელმწიფო კონფლიქტის დროს?, 2016 წლის 2 მარტი,* http://bit.ly/2yd8tW3, გვ. 1. იხ. აგრეთვე წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 25-26

[242] DIS, *სირია: გაწვევის პრატიკა,* 2017 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59aea2694.html, გვ. 14; Syria Deeply, *ანალიზი: მეხუთე კორპუსი და სირიის ჯარის მდგომარეობა,* 2017 წლის 11 იანვარი, http://bit.ly/2jbxHwQ. იხ. აგრეთვე წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 26.

[243] DIS, *Syria: გაწვევის პრაქტიკა*, 2017 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59aea2694.html, გვ. 14-15. იხ. აგრეთვე წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 26

[244] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 28. იხ. აგრეთვე წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 26.

2011 წლიდან სირიის პრეზიდენტმა ამნისტიის რამდენიმე დეკრეტი გამოსცა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების წევრების, გაწვევისაგან თავის ამრიდებელი პირებისა და დეზერტირებისთვის. ეს დეკრეტები მათ ათავისუფლებდა სასჯელისაგან, თუკი ისინი კონკრეტული დროის განმავლობაში ჩაბარდებოდნენ.[245] 2016 წლის ივლისის საკანონმდებლო დეკრეტი 15/2016, რომელიც მორიგების საფუძველს წარმოადგენს,[246] ითვალისწინებს ამნისტიას ყველა ინდივიდუალური პირისთვის, ვინც ჩაბარდა და იარაღი დაყარა, მებრძოლებისა და სამოქალაქო პირთა ჩათვლით, რომლებსაც დეზერტირობა ჰქონდათ განზრახული.[247] სამხედრო გაწვევისაგან თავის ამრიდებლებსა და დეზერტირებს, მორიგების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, კვლავ აბრუნებდნენ მოქმედ არმიაში ან სამხედრო სამსახურში, ან ისინი ხდებოდნენ ახალშექმნილი ადგილობრივი უშიშროების ორგანოების ან სხვა სამთავრობო ძალების წევრები.[248] სამხედრო სამსახურის ასაკის მამაკაცები, რომლებიც უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზეიძულებულები იყვნენ დაეტოვებინათ ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სამთავრობო ძალების მხრიდან

---

[245] იხ. წყაროები, რომლებიც მითითებულია დოკუმენტში: UNHCR, *წარმოშობის ქვეყნის შესახებ აქტუალური ინფორმაცია საერთაშორისო დაცვის საჭიროების განსაზღვრისთვის,* 2017 წლის თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58da824d4.html, გვ. 24.

[246] იხ. ზემოთ, სქოლიო **Error! Bookmark not defined.**.

[247] საკანონმდებლო დეკრეტით 11/2017, 2017 წლის 30 ივნისამდე გაგრძელდა ზოგადი ამნისტიის მოქმედება, რომელიც განსაზღვრული იყო საკანონმდებლო დეკრეტით 15/2016; სირიის საკანონმდებლო ჟურნალი, *სირიის კანონი - ბოლო პერიოდის კანონმდებლობა, ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს,* http://bit.ly/2xgW6cc. ამ დოკუმენტის მომზადების მომენტისთვის ცნობილი არ იყო დეკრეტი კვლავ ძალაში არის, თუ არა.

[248] არსებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცებს სთავაზობენ სამსახური დაიწყონ ან რეგულარულ ჯარში, ან ახალშექმნილ უშიშროების ორგანოებში, ან სამთავრობო ძალებში, როგორიცაა, მეხუთე კორპუსი. EUI-ის შესაბამისად, შერიგების შეთანხმებების საფუძველზე გაწვეულ პირთა რაოდენობა დიდი არ არის. ამბობენ, რომ ახალწვეულებს ფრონტის ხაზზე უშვებენ მცირე გამოცდილებითა და დახმარების გარეშე; EUI, *"ადგილობრივი შერიგების შეთანხმებები"*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I, გვ. 12, 14. იხ. აგრეთვე, Reuters, *სირიელი ყოფილი მეამბოხეები გარბიან, რათა თავი აარიდონ ჯარში გაწვევას,* 2017 წლის 10 აგვისტო, https://reut.rs/2uIvA8P; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 21; DIS, *სირია: გაწვევის პრაქტიკა,* 2017 წლის აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59aea2694.html, გვ. 14. შერიგების შეთანხმებების ფარგლებში, სამხედრო გაწვევისაგან თავის ამრიდებლებსა და დეზერტირებს ეძლევათ ექვსთვიანი გადავადების პერიოდი, ვიდრე ისინი სამხედრო ვალდებულების შესრულებას დაიწყებენ; თუმცა, როგორც იუწყებიან, მამაკაცების გაწვევა ხდება გადავადების პერიოდის დასრულებამდე. „მე ვიტყოდი, რომ დეზერტირებს აძლევდნენ სამხედრო სამსახურის გადავადების პერიოდს - ხშირად, რამდენიმე თვეს. მიუხედავად ამისა, მთავრობამ საბოლოოდ აღადგინა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა შერიგების ადგილობრივი ხელშეკრულებების მოქმედების ტერიტორიებზე, მათ შორის, ოპოზიციის ყოფილი მებრძოლებისთვის, სამხედრო სამსახურისგან თავის ამრიდებლების და დეზერტირების ჩათვლით. *ზოგ შემთხვევაში, სამთავრობო ძალები გაწვევას ახდენდნენ გადავადების პერიოდის პირობისა ან ლოკალური სამხედრო სამსახურის გარანტიის დარღვევით. სამხედრო სამსახურის სამართლებრივი ვალდებულება (მისგან გამომდინარე ყველა შედეგის ჩათვლით) ამნისტიის დეკრეტით არ უქმდება - ამნისტია ეხებოდა მხოლოდ ამ ვალდებულებათა შესრულების ძველ წარუმატებელი შემთხვევების სამართლებრივ შედეგებს"; ელ-ფოსტით კომუნიკაცია ქრისტოფერ კოზაკთან,* სირიის კვლევის ანალიტიკოსი ISW-ში, 2017 წლის 6 ოქტომბერი (ელ-ფოსტის შეტყობინებები UNHCR-ის ფაილში). *იხ. აგრეთვე,* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 21; Syria Direct, *სინანული კაპიტულაციის შემდეგ დამასკოს გარეუბანში: „ყველა, ვინც შვილი დაკარგა ამ რევოლუციაში, ასადს მხოლოდ დამნაშავედ მიიჩნევს",* 2017 წლის 18 იანვარი, http://bit.ly/2iQzn12; NPR, *მეამბოხეებისაგან გაწმენდილ სირიის ტერიტორიებზე ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებას უბრუნდებიან,* 2016 წლის 25 დეკემბერი, https://n.pr/2gtcr3y.

ემუქრებოდათ დაკავება და არასათანადო მოპყრობა, ვინაიდან სამსახურზე უარის თქმა სავარაუდოდ მიჩნეული იქნება მათ მიერ ანტისამთავრობო შეხედულებების გამოხატვად.[249]

UNHCR-ი მიჩნევს, რომ პირები, რომლებმაც თავი აარიდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ან რეზერვში გაწვევას, ან დეზერტირები გახდნენ, **დიდი ალბათობით საჭიროებენ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვას** მათი რეალური ან ნავარაუდევი პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე. დეზერტირებისგან შემოსულ განცხადებებთან მიმართებით შეიძლება წარმოიშვას გამორიცხვის საკითხი (იხ. აგრეთვე სექცია III.D).

სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით ლტოლვილის სტატუსის განაცხადების შესახებ თავის სახელმძღვანელო პრინციპებში UNHCR-ი აღნიშნავს, რომ პიროვნების უფლების აღიარება - უარი თქვას სამხედრო სამსახურზე იმ მიზეზის გამო, რომ ჯარში სამსახური შეიძლება გულისხმობს მათ ისეთ აქტივობებში ჩართვას,, რომლებიც არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, სისხლის სამართლის ან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის დარღვევა და ამ საფუძვლით მისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება, სრულ შესაბამისობაში იქნება 1951 წლის კონვენციასთან და დასაბუთებული იქნება ლტოლვილის სტატუსიდან გამორიცხვის მარეგულირებელი დებულებებზე დაყრდნობით.

### *3) მთავრობის მხარდამჭერი, ან ასეთად მიჩნეული პირები*

მოხსენებებში მითითებულია, რომ ISIS-ი, ფატა ალ-შამი და სხვა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები ფართო კრიტერიუმებს იყენებენ იმისათვის, რომ დაადგინონ, ვინ არის მთავრობის მხარდამჭერი სამოქალაქო მოსახლეობაში (ან, თუ მთავრობას აქტიურად არ უჭერს მხარს, სულ მცირე, ვინ არის მოცემული შეიარაღებული ჯგუფის მოწინააღმდეგე).[250] კონფლიქტის დაწყებიდან ეს ჯგუფები ახდენენ ასეთი ადამიანების მოტაცებას, თავისუფლების აღკვეთას, წამებას და სიკვდილით დასჯას მთავრობასთან რეალური ან ნავარაუდევი კავშირის, ან მხარდაჭერის საფუძველზე, იმ პირების ჩათვლით, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან

---

[249] ისინი, ვინც უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე ან მთავრობის მხარდამჭერ ძალებთან გაერთიანებაზე, “მძიმე დევნის ობიექტები ხდებიან და მათ ემუქრება პატიმრობა, იძულებითი გაწვევა ან იძულებითი გადადგილება. ასეთი შეზღუდული არჩევანით შეიძლება აიხსნას იმ მამაკაცთა გადაადგილების ტალღები, ვისაც არ შეეხო ეგრეთ წოდებული შერიგების პროცესი, ან ვინც უარი თქვა მისი პირობების დაკმაყოფილებაზე“; EUI, *“ადგილობრივი შერიგების შეთანხმებები*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2jtZa1I, გვ. 14.

[250] იხ. ქვემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული“ (განყოფილება III.A.8) და მითითებული წყაროები.

მთავრობასთან თანამშრომლობაში,[251] ან არიან გარკვეული პროფესიების მქონე[252], ან არიან რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები.[253]

როგორც იუწყებიან, ISIS-ი, ფატა ალ-შამი და სხვა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები ასევე ცდილობდნენ მთავრობის მიერ კონტროლირებულ რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში (რელიგიური უმცირესობებით დასახლებული უბნების ჩათვლით) სამოქალაქო პირებზე თავდასხმები გაემართლებინათ იმ მიზეზით, რომ ეს სამოქალაქო პირები მიაჩნდათ მთავრობის მხარდამჭერებად.[254] კონფლიქტის განმავლობაში, ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები, სავარაუდოდ, მთავრობის მხარდამჭერ დასახლებებში, სხვადასხვა ძალადობრივ ტაქტიკას იყენებდნენ სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, მათ შორის, საარტელერიო და სარაკეტო

---

251 "*როგორც იუწყებიან, ოპოზიციურმა ძალებმა უფრო ინტენსიურად დაიწყეს სამთავრობო ძალების წევრების, მთავრობის მხარდაჭერაში ეჭვმიტანილების და უმცირესობათა თემების წარმომადგენლების განადგურება მასშტაბური თავდასხმებისა და სნაიპერების გამოყენებით. (...) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის შესაბამისად, წინა წლებში FSA-ის დროშის ქვეშ გაერთიანებული ძალები ახდენდნენ მთავრობის წარმომადგენლების, 'შაბიჰას წევრების' და მათი მოკავშირეების წამებასა და სიკვდილით დასჯას";* *აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 22, 24. იხ. აგრეთვე, Amnesty International, *მოტაცება, წამება და სასამართლოს განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 5, 15, 24, 28, 29; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014) და 2258 (2015) რეზოლუციების შესრულება*, 2016 წლის 17 ივნისი, S/2016/546, http://www.refworld.org/docid/576b820e4.html, პარ. 33. მაგალითად, 2017 წლის ოქტომბერში, ISIS-ის მებრძოლებმა ათობით სამოქალაქო პირი დახოცეს ქალაქ ალ-ქარიატაინში (ჰომსის პროვინცია), როგორც ამბობენ, სირიის მთავრობასთან მათი სავარაუდო კავშირისთვის. არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ის ძალებმა ქალაქი 2017 წლის ოქტომბერში აიღეს, ხოლო 2017 წლის 21 ოქტომბერს ქალაქი სირიის მთავრობამ უკან დაიბრუნა. SOHR-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, "*ISIS-მა, რეჟიმის ძალებთან თანამშრომლობის ბრალდებითა და შურისძიების მიზნით, 20 დღის განმავლობაში, სულ მცირე, 116 სამოქალაქო პირი დასაჯა სიკვდილით-* "; Newsweek, *სირიის ქრისტიანულ ქალაქში, ISIS-მა მასობრივად სიკვდილით დასაჯა 116 ადამიანი ასადის არმიის შეტევამდე, 2017 წლის 23 ოქტომბერი,* http://bit.ly/2y0gqxr; The New York Times, *ISIS-ის უკანდახევის შემდეგ სირიის ქალაქში ათობით ადამიანის გვამი იპოვეს, 2017 წლის 23 ოქტომბერი,* https://nyti.ms/2zx1Q1H. იხ. აგრეთვე,Los Angeles Times, *რატომ დაბრუნდა ერთი მაღაზიის მეპატრონე ომისაგან განადგურებულ მშობლიურ ქალაქში: „მე მჯერა პალმირის", 2017 წლის 18 ივნისი,* http://fw.to/WTCyoEl; Ara News, ისლამურმა სახელმწიფომ 12 სამოქალაქო პირი სიკვდილით დასაჯა სირიის რეჟიმისადმი მხარდაჭერის ბრალდებით, 2017 წლის 20 იანვარი, http://bit.ly/2fI7zNy. იხ. აგრეთვე, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ერაყისა და ალ-შაიმის ისლამურ სახელმწიფოს მისი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.4) და „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.5) და მითითებული წყაროები.

252 მათ შორის, მაგალითად: პროსამთავრობო მასმედიაში მომუშავე ჟურნალისტები; ბიზნესმენები, რომლებსაც კავშირი აქვთ მთავრობასთან ან პროსამთავრობო ძალებთან; ან მეცნიერები, რომლებიც სამთავრობო უნივერსიტეტებში მუშაობენ; ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (CPJ), *სირიელი ჟურნალისტი ამბოხებულთა თავდასხმას გადაურჩა,* 2016 წლის 18 მაისი, https://cpj.org/x/6880; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, სირიის საკითხზე მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, A/HRC/30/48, http://www.refworld.org/docid/55e955344.html, პარ. 161. იხ. აგრეთვე, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.5) და მითითებული წყაროები.

253 იხ. ქვემოთ, „რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრები" (განყოფილება III.A.8) და მითითებული წყაროები.

254 იქვე.

დანადგარებს, სნაიპერებს, თვითმკვლელ ტერორისტებს, ავტომანქანაზე დამონტაჟებულ ბომბებს, ასევე სახმელეთო თავდასხმებს, რომელსაც ადამიანების მძევლად აყვანა მოსდევდა თან, სასამართლოს განაჩენის გარეშე პირების მკვლელობასა და სხვა ძალადობრივ საშუალებებს.[255] ISIS-ის, ფატა ალ-შამის და სხვა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ ტერიტორიების დაკარგვისა და მათ მიერ კონტროლირებული ტერიტორიების გარეთ სახმელეთო თავდასხმითი ოპერაციების შესაძლებლობების შემცირების შედეგად, როგორც იუწყებიან, ასეთი თავდასხმები უკვე იშვიათად ხდება.[256] თუმცა, იმ ტერიტორიებზე, სადაც მათ სამხედრო შენაერთები ჰყავთ განთავსებული და საიდანაც სამთავრობო ტერიტორიებზე თავდასხმის განხორციელება შეუძლიათ, სამოქალაქო მოსახლეობა, უმცირესობათა ჯგუფების წევრთა ჩათვლით, როგორიც არიან ალავიტები,[257]

---

[255] იხ. UNHCR, *მოსაზრებები საერთაშორისო დაცვის შესახებ სირიის არაბული რესპუბლიკიდან გამოქცეულ ადამიანებთან დაკავშირებით, IV განახლებული ვერსია,* 2015 წლის ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5641ef894.html , პარ.15, 17

[256] იხ. ზემოთ, "კონფლიქტი და უსაფრთხოების მდგომარეობა" (განყოფილება II.A) და მითითებული წყაროები.

[257] "*ალავიტებს თავს ესხმოდნენ შეიარაღებული ოპოზიცური ძალები, მათ შორის, ISIS-ი, JAN-ი, ჯუნდ ალ-აქსა და სხვა ექსტრემისტული ჯგუფები, რადგან, უმცირესობათა სხვა ჯგუფები მიიჩნევდნენ, რომ მთავრობას კეთილგანწყობილი პოლიტიკა ჰქონდა ალავიტების მიმართ. ალავიტთა ლიდერები აღნიშნავდნენ, რომ მათ ეშინოდათ ეთნიკური წმენდის - მთავრობის დამარცხების შემთხვევაში. მაგალითად, მაისში, ISIS-მა აიღო პასუხისმგებლობა ლატაკიის პროვინციის დაბომბვაზე, რომლის დროსაც დაახლოებით 150 ადამიანი დაიღუპა და როგორც ითქვა, შეტევა ალავიტების წინააღმდეგ იყო მიმართული*"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ - სირია,* 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html , გვ. 11. "*სირიაში ალავიტებსა და სუნიტ მუსლიმებს შორის ფართომასშტაბიანი დაპირისპირება რეგულარულად არ ხდება, თუმცა ძალადბორივი დაპირისპირება ამ ორ ჯგუფს შორის ხდება ჰომსსა და ჰამაში, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ 2011 წელსა და 2012 წლის დასაწყისში ალავიტები ჰომსში სუნიტი მუსლიმების მასობრივ მკვლელობებში მონაწილეობდნენ. რელიგიურ ნიადაგზე დაძაბულობა მუდმივ უთანხმოებაში გადაიზარდა. მაგალითად, 2016 წლის მაისში სალაფისტთა ჯიჰადის შეიარაღებულმა ჯგუფმა, აჰრარ ალ-შამმა, სოფელ ზარაში, რომელიც ჰამასა და ჰომსის პროვინციების საზღვართან მდებარეობს, 10 ალავიტი მოკლა - მათ შორის სამოქალაქო პირები და შეიარაღებული დაჯგუფების წევრი, რომლებიც სირიის რეჟიმს უჭერდნენ მხარს - მათგან ექვსი ქალი იყო. სუნიტ მუსლიმებსა და ალავიტებს შორის მცირე შეტაკებები ამ სასაზღვრო ტერიტორიაზე ხშირად ხდება*"; აშშ რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო კომისია, *USCIRF ყოველწლიური მოხსენება 2017 - საფეხური 1: USCIRF-ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს (CPC) - სირია,* 2017 წლის 26 აპრილი, http://www.refworld.org/docid/59072f4913.html . იხ. აგრეთვე, HRW, *მსოფლიო მოხსენება 2017 – სირია,* 2017 წლის 12 იანვარი, http://www.refworld.org/docid/587b58196.html .

შიიტები[258] და დრუზები,[259] მთავრობისადმი რეალური ან ნავარაუდევი მხარდაჭერის მიზეზით კვლავ თავდასხმის საფრთხის წინაშე დგას. .[260] მოხსენებებში

---

[258] ამ დოკუმენტზე მუშაობის პერიოდში, ჯაბჰატ ფატა ალ-შამი და სხვა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები აგრძელებდნენ ბლოკადას და პერიოდულად ძალადობრივ ქმედებებს ახორციელებდნენ **შიიტურ ქალაქებზე - ფუასა და კეფრაიაზე (იდლიბის პროვინცია), ამ ქალაქების მოსახლეობის მთავრობისადმი ლოიალობის გამო:** "*კონფლიქტის დამკვირვებლები აცხადებენ, რომ JAN* [ჯაბჰატ ალ-ნუსრა] და მეამბოხეთა სხვა ჯგუფები სოფლის მოსახლეობას მძევლებივით ეპყრობოდნენ, მათი რელიგიური კუთვნილების და მთავრობისადმი მხარდამჭერი პოლიტიკური ორიენტაციის გამო, ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ირანის ინტერესი დაეცვა ერთმორწმუნე შიიტები. ამ გზით ისინი ცდილობდნენ სირიის ხელისუფლებისა და ირანისთვის მიერ სხვა სუნიტური ანკლავების ბლოკადაში მოქცევისა და იქ ძალადობისა და შიმშილის გავრცელებისთვის ხელი შეეშალათ. *მეამბოხეები ფუასა და კეფრაიას მაცხოვრებლებს 'უსუსურებს' ეძახდნენ, რაც შიიტი მუსლიმების დამამცირებელ მიმართვად არის მიჩნეული.* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 *მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ - სირია, 2017 წლის აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 12,13. იხ. აგრეთვე, Los Angeles Times, *'სისხლისღვრა გარდაუვალია': სადამსჯელო ალყა სირიის ორ შიიტურ სოფელზე ვრცელდება,* 2016 წლის 23 სექტემბერი, http://lat.ms/2vNwGo4. არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ადრე ალყაშემორტყმული, შიიტებით დასახლებული ქალაქები - ნუბული და ზაჰრა (ალეპოს პროვინცია), ანტისამთავრობო შეიარაღებული ძალების სამიზნე გახდა იმის გამო, რომ ისინი მთავრობის მხარდამჭერებად იყვნენ მიჩნეული; იხ. The Independent, *სირიის სამოქალაქო ომი: ორი ალყაშემორტყმული პატარა სოფლის უცნობი ისტორია - და იმის შესახებ, თუ როგორ 'ვერ ხედავს' ამას მსოფლიო,* 2016 წლის 22 თებერვალი, http://ind.pn/1RXNOw2 ; Los Angeles Times, *ალ-ქაიდასთან დაკავშირებული ჯგუფები ალყაში ამყოფებენ სირიის ორ ქალაქს, 2014 წლის 23 ნოემბერი,* http://lat.ms/2wPFNCz . იხ. აგრეთვე, ზემოთ, „ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები" (განყოფილება II.C) და მითითებული წყაროები.

[259] მაგალითად, დრუზების ქალაქი ჰადარი (ქუნეიტრას პროვინცია) რამდენჯერმე გახდა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების თავდასხმის სამიზნე, ვინაიდან მათი თემი მთავრობის მხარდამჭერად არის მიჩნეული: *„ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ოპოზიცია ცდილობდა თავის მხარეზე გადაებირებინა ჰადარის მოსახლეობა, ჰპირდებოდა მათ დაცვასა და უსაფრთხოებას, ხოლო, როდესაც ეს არ გამოუვიდა, ქალაქზე იერიშების განხორციელება დაიწყეს. 2016 წლის სექტემბერში, ქუნეიტრას პროვინციაზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს, ოპოზიციის მებრძოლები, რომლებიც მოსახლეობას უსაფრთხოებას ჰპირდებოდნენ, ამავდროულად ჭურვებს უშენდნენ ქალაქს, რის შედეგადაც მრავალი ადამიანი დაიღუპა";* Al-Monitor, *სირიის დრუზების ქალაქში დახმარება სახიფათო ბილიკებით მოდის, 2017 წლის 24 აპრილი,* http://bit.ly/2oTz9uZ . "*ისლამისტ მეამბოხეთა ჯგუფები იმუქრებიან, რომ თავს დაესხმებიან დრუზების უმცირესობათა თემს სირიის სამხრეთით, ქუნეიტრას პროვინციაში.* ***ისინი დრუზებს სირიის რეჟიმის მხარდაჭერაში ადანაშაულებენ,*** *იუწყებიან ადგილობრივი წყაროები (…). ქადისიატ ალ-ჯანუბის კოალიციის მეამბოხეები იმუქრებიან, რომ შეტევას განახორციელებენ დრუზებით დასახლებულ ქალაქ ჰადირზე, თუ ისინი ქუნეიტრას პროვინციაში სირიის არმიასთან ბრძოლაში მათ არ დაუჭერენ მხარს" (ხაზგასმა დამატებულია);* Ara News, *სირიის ისლამისტური დაჯგუფება იმუქრება, რომ შეტევას განახორციელებს დრუზების უმცირესობით დასახლებულ ქუნეიტრაზე,* 2016 წლის 14 სექტემბერი, http://bit.ly/2wM1y6i. იხ. აგრეთვე, Syria Comment (ბლოგი), *დრუზები სირიის კონფლიქტში,* 2016 წლის 5 სექტემბერი, http://bit.ly/2c86cko.

[260] "*არასახელმწიფო აქტორები, მათ შორის, აშშ-ისა და სხვა სახელმწიფოთა მიერ ტერორისტულ ორგანიზაციებად აღიარებული ჯგუფები, მაგალითად, ISIS-ი და JAN-ი, აკონტროლებდნენ ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიებს, და* ***პასუხისმგებლობას იღებდნენ მკვლელობებზე, ფიზიკურ ძალადობაზე, მოტაცებებზე და რელიგიური ჯგუფების წევრთა დაპატიმრებებზე, რომლებსაც მათი წესების მოწინააღმდეგეებად მიიჩნევდნენ*** *" (…) JAN-ი და მეამბოხეთა ჯგუფები თავს ესხმოდნენ დრუზებისა და შიიტების უმცირესობას ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ახდენდნენ ამ ტერიტორიის დაბომბვას, მათ შორის, თვითმკვლელი ტერორისტების გამოყენებით, რასაც JAN-ი აღწერდა, როგორც რეაგირებას, მთავრობის მიერ 'სუნიტების ხოცვა-ჟლეტაზე'" (ხაზგასმა დამატებულია); აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ, 2017 წლის 15 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 11. იხ. აგრეთვე, Reuters, *სულ მცირე, 40 ადამიანი დაიღუპა შიიტებზე მიმართული დაბომბვისას დამასკოში,* 2017 წლის 11 მარტი, http://reut.rs/2nm5hCL; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 2 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b827094.html, პარ. 69-74; Amnesty International, *სირია: შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების მიერ ქალაქ ალეპოში ჩადენილი სამხედრო დანაშაულები,* 2016 წლის 13 მაისი, http://www.refworld.org/docid/57358dc54.html

მითითებულია, რომ ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები, მძევლად აყვანის მიზნით, თავს ესხმიან  მთავრობის მხარდამჭერად მიჩნეული თემებში მცხოვრებ პირებს, რათა შემდგომში, ისინი პატიმრების გასაცვლელად, გამოსასყიდის მისაღებად, ან დაშინების და შურისძიების ფორმად გამოიყენონ..[261]

UNHCR-ს მიაჩნია, რომ, მთავრობის მხარდამჭერ ან ასეთად აღქმულ პირებს და მათ, ვინც გამოიქცნენ ISIS-ის, ფატა ალ-შამის და სხვა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან ან მათი ხელმისაწვდომი არეალიდან, დიდი **ალბათობით საჭიროებენ ლტოლვილის საერთაშორისო დაცვას** მათი პოლიტიკური შეხედულების, ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

UNHCR-ს მიაჩნია, რომ, მთავრობის მხარდამჭერ ან ასეთად აღქმულ პირებს და მათ, ვინც გამოიქცნენ ზემოთ ნახსენები ტერიტორიებისგან განსხვავებული ადგილებიდან, შესაძლებელია საჭიროებდნენ ლტოლვილის საერთაშორისო დაცვას მათი პოლიტიკური შეხედულების, ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან პოლიტიკური მიკუთვნების შესახებ წარმოდგენა ხშირად ეფუძნება პირის რელიგიურ და/ან ეთნიკურ კუთვნილებას, (შერაცხული) პოლიტიკური შეხედულება, რელიგია და ეთნიკური წარმომავლობა  შესაძლებელია  წარმოადგენდეს ერთმანეთისგანგანუყოფელ ელემენტებს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის შესახებ განაცხადის შეფასებისას.რელიგიური ან ეთნიკური ნიშნით მიკუთვნებულ მთავრობის მხარდამჭერ პირებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ, განყოფილებაში „რელიგიური ან ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის წევრები“ (განყოფილება III.A.8).

### 4) პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ISIS-ს მათ მიერ დე ფაქტო კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, ან ასეთებად არიან მიჩნეულნი

არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ის მუდმივი სამიზნე არის სამოქალაქო მოსახლეობა, ბავშვების ჩათვლით, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ - ან მიაჩნიათ, რომ წინააღმდეგობას უწევენ ISIS-ს, ან ეწინააღდეგებიან მის იდეოლოგიასა და

[261] *"კონფლიქტის გაჭიანურებისა და ომის ეკონომიკის მოქმედების შედეგად, მძევლად აყვანის შემთხვევები გახშირდა.  შეიარაღებული ჯგუფები, ტერორისტულ ორგანიზაციებად აღიარებული ჯგუფების ჩათვლით, მძევლებს იყვანენ ტყვეების გაცვლის ან გამოსასყიდის მიღების მიზნებისთვის. (…) 2015 წლის მარტში, შეიარაღებულმა ჯგუფებმა, მათ შორის, აჰრარ ალ-შამმა, თავდასხმა განახორციელეს ქალაქ იდლიბზე და ათობით მძევალი აიყვანეს.  აჰრარ ალ-შამმა მძევლები, მთავრობის მხარდამჭერი შეიარაღებული ჯგუფების მიერ ფუასა და კაფრიაში დატყვევებული პირების განთავისუფლების სანაცვლოდ, ორ ჯერზე -2016 წლის იანვარსა და თებერვალში გაანთავისუფლა";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 87, 88. იხ. აგრეთვე, DW, *სირიაში მასიური ევაკუაცია იწყება ტყვეთა გაცვლით,* 2017 წლის 12 აპრილი, http://bit.ly/2hKH0rg; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 24; Reuters, სირიის მთავრობამ და მეამბოხეებმა 100-ზე მეტი ტყვე გაცვალეს ჰამაში, 2017 წლის 2 თებერვალი, http://reut.rs/2jZ7kd4.

წესებს.[262] ისინი დასჯის სასტიკ მეთოდებს იყენებენ, როგორიცაა: გატაცება; წამება; სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა; ასევე, სიკვდილით დასჯა.[263] მოხსენებებში მითითებულია, რომ ჯგუფი კრიტერიუმების ფართო სპექტრს იყენებს „ოპოზიციურად განწყობილი“ ან „არალოიალური“ პირების დასადგენად და სამიზნედ არჩევს პირებს მათი მახასიათებლებისა და ქცევის მიხედვით, მათ შორის, პირებს, რომლებიც (სავარაუდოდ): ეწევიან ჯაშუშობას მთავრობის სასარგებლოდ ან თანამშრომლობენ სამთავრობო ძალებთან, SDF/YPG-თან ან ISIS-ის მოწინააღმდეგე სხვა ანტისამთავრობო ჯგუფებთან ან საერთაშორისო კოალიციასთან;[264] არღვევენ (სავარაუდოდ) მათ მკაცრ რელიგიურ წესებს;[265] ტომის ლიდერებს და ISIS-ის მოწინააღმდეგე ტომების წევრებს;[266] აგრეთვე, გარკვეული პროფესიის მქონე პირებს,

---

[262] *"მათ, ვინც ეწინააღმდეგებიან IS-ის კანონებს, ან თავი უნდა შეიკავონ თავიანთი შეხედულების ღიად გამოხატვისაგან, ან სხვა რაიონში უნდა გაიქცნენ, ვინაიდან განსხვავებული აზრის მქონე პირებს მკაცრად სჯიან";* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 34; SNHR, *ISIL-ის მიერ განხორციელებული წამება და მისი საპატიმრო ცენტრები, 2016 წლის 25 აპრილი,* http://bit.ly/2mYp9zb, გვ. 1.

[263] Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 24; Amnesty International, *2016/17 – სირია*, 2017 წლის 22 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b033aba.html; გაეროს ადამიანის უფლებათ საბჭო, 2016 წლის 3 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56b9f4c24.html, პარ. 75-80.

[264] მაგალითად,"როგორც იუწყებიან, 16 მაისს(2016 წლის)*, ალბუ ქამალში, ISIL-ის მებრძოლებმა ყელი გამოჭრეს რვა მამაკაცს - ოთხ-ოთხს იმ ორ ადგილას, სადაც წინა დღით ქალაქი დაიბომბა საჰაერო შეტევის დროს. ამის მიზეზად კი დაასახელეს, რომ ამ მამაკაცებმა შეტევის განსახორციელებლად მოწინააღმდეგეებს კოორდინატები მიაწოდეს";* გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 23 ივნისი, http://www.refworld.org/docid/595640f74.html, გვ. 17. იხ. აგრეთვე, The New Arab, *ისლამური სახელმწიფოს ჯგუფმა დაახლოებით 5000 სირიელი გამოასალმა სიცოცხლეს, რომლებიც მანამდე ტყვეობაში ჰყავდათ,* 2017 წლის 30 სექტემბერი, http://bit.ly/2y1oX6t; Ara News, *ისლამურმა სახელმწიფომ სიკვდილით დასაჯა პალესტინელები, რომლებიც სირიის რეჟიმს უჭერდნენ მხარს,* 2016 წლის 29 დეკემბერი, http://bit.ly/2i0rIyE; Ara News, *ISIS-ის ექსტრემისტებმა სიკვდილით დასაჯეს რაქას სამოქალაქო პირები აშშ-ს კოალიციის სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობისთვის,* 2016 წლის 3 დეკემბერი, http://bit.ly/2lDSRJq; Ara News, *ISIS-ის ჯიჰადი - სირიელი ქალები ჯვარზე გააკრეს ქურთთა ძალების სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობის ბრალდებით,* 2016 წლის 5 ნოემბერი, http://bit.ly/2pL1t1C; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 73; გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 20. იხ. აგრეთვე „პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული“ (განყოფილება III.A.3) და თანდართული წყაროები.

[265] იხ. ქვემოთ, „პირები, რომლებიც მიიჩნევიან *შარიათის* კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე“ (განყოფილება III.A.9) და „განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები“ (განყოფილება III.A.12) და მითითებული წყაროები.

[266] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ISIS-ი, მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, ცდილობს ადგილობრივი ტომების ერთგულება მოიპოვოს. ტომის წევრებს, რომლებიც ჯგუფისადმი ერთგულებაზე უარს ამბობენ, სიკვდილით დასჯა ემუქრებათ. NPR, *ფოტოები: ანტიკური ქალაქი პალმირა ISIS-ის შემდეგ განადგურდა, 2016 წლის 16 მაისი,* https://n.pr/1Sh35Ue; ზეინა კარამი, *სიცოცხლე და სიკვდილი ISIS-ში: როგორ აშენებს ისლამური სახელმწიფო თავის ხალიფატს, 2016 წლის 5 იანვარი,* http://bit.ly/2moCQXP.

როგორებიც არიან ჟურნალისტები და მასმედიის სხვა მუშაკები,[267] მეცნიერები და პედაგოგები, ექიმები და ჯანდაცვის სხვა მუშაკები, ჰუმანიტარული მუშაკები და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტები.[268] როგორც იუწყებიან, ISIS-ი ახდენს იძულებით გაწვევას და არასრულწლოვანთა გაწვევას იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც მისი დე ფაქტო კონტროლის ქვეშ იმყოფება.[269]

UNHCR-ს მიაჩნია, რომ პირებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ISIS-ს მისი *დე ფაქტო* კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთებად არიან მიჩნეულნი, დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა მათი პოლიტიკური შეხედულების ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

### 5) პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთებად არიან მიჩნეული

ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები, ჯაბჰატ ფატა ალ-შამის ჩათვლით, მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, სხვადასხვა ხარისხით შევიწროებასა და ზოგჯერ, აშკარა ძალადობას ახდენენ იმ პირთა მიმართ, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მათ, ან ასეთებად არიან მიჩნეული.[270] არსებული ინფორმაციის შესაბამისად,

---

[267] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 29; UN Human Rights Council, *სიკვდილი ტუსაღობაში,* 2016 წლის 3 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56b9f4c24.html, პარ. 75. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, „კონკრეტული პროფესიის მქონე პირები - ჟურნალისტები, მასმედიის სხვა მუშაკები“ (განყოფილება III.A.7) და მითითებული წყაროები.

[268] იხ. ქვემოთ “კონკრეტული პროფესიის მქონე პირები” (განყოფილება III.A.7) და მითითებული წყაროები.

[269] არსებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის აგვისტოში, დეირ ეზ-ზურის პროვინციაში სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე, ISIS-მა მასიური ღონისძიება გაატარა 20-დან 30 წლამდე ასაკის მამაკაცთა იძულებითი რეკრუტისთვის და ზოგიერთი წყაროს მიხედვით - მათ შორის ბავშვებისაც; გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 21 სექტემბერი, S/2017/794, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, გვ. 18; Voice of America, *სირიის არმია და მოკავშირეები მძიმე გამოცდას გადიან აღმოსავლეთ სირიაში, 2017 წლის 7 სექტემბერი,* http://bit.ly/2xd925F; OCHA, სირიის კრიზისი: მოხსენება სიტუაციის შესახებ ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში *No. 15 (2017 წლის 1 - 31 აგვისტო)*, 2017 წლის 31 აგვისტო, http://bit.ly/2gVMrAs, გვ. 2; OHCHR, *სირია: ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი – 2017 წლის აგვისტო, 2017 წლის 31 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/59b926fc4.html, გვ. 3. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები, 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, 2017 წლის 10 მარტი, http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 109. ბავშვთა რეკრუტთან დაკავშირებით, იხ. “ ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები - ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო *(ISIS)*” (განყოფილება II.C.2) და “ განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ გარემოებებში მყოფი ბავშვები” (განყოფილება III.A.11) და მითითებული წყაროები.

[270] “*მეამბოხეებმა ასევე ჩაიდინეს ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევები, პოლიტიკურ ოპოზიციად ან მოწინააღდეგედ მიჩნეულ პირთა დაპატიმრების, წამების და სიკვდილით დასჯის ჩათვლით, თუმცა სხვადასხვა ჯგუფები განსხვავებულად მოქმედებდნენ“;* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 - სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. “*OHCHR-მა მრავალი მოხსენება მიიღო რეპრესიული ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც არასახელმწიფო შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფები და ლევანტის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია ახორციელებენ იდლიბში, რითაც ზღუდავენ გამოხატვის თავისუფლების, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას“;* გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139*

სამოქალაქო პირთა შორის, დაშინებას, გატაცებას, წამებას და არასათანადო მოპყრობას ყველაზე ხშირად ექვემდებარებიან გარკვეული პროფესიის ადამიანები, მაგალითად, ჟურნალისტები და მოყვარული ჟურნალისტები,[271] იურისტები, პოლიტიკური და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტები და ჰუმანიტარული დახმარების სამსახურების მუშაკები.[272] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, პირები, რომლებიც

---

*(2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016)რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 19 აპრილი, S/2017/339, http://www.refworld.org/docid/590727364.html, პარ. 12. *"ჟურნალისტთა, იურისტთა და აქტივისტთა მოტაცების შემთხვევები 2014 წლის შემდეგ გაიზარდა, რადგან, შეიარაღებული ჯგუფები, განსაკუთრებით - ჯაბჰატ ალ-ნუსრა, შეუწყნარებლობას იჩენდნენ გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა პროტესტებისადმი მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე";* Amnesty International, *მოტაცებები, წამება და სასამართლოს განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 5.

[271] *"OHCHR-ში კვლავ შემოდის აქტივისტთა და ჟურნალისტთა და მათი ოჯახების მოხსენებები, რომლებიც დაექვემდებარნენ სექსუალურ ძალადობას და დაშინებას ტაჰრირ ალ-შამის ჰაიათის და სხვა შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების მხრიდან" (მაგალითებთან ერთად);* http://www.refworld.org/docid/59db24594.html, გვ. 6. "მეამბოხეთა მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე მასმედიის თავისუფლება სხვადასხვა ხარისხით არის შეზღუდული, მაგრამ მასმედიის ადგილობრივი საშუალებები ზოგადად მძიმე წნეხის ქვეშ არიან, რადგან მათგან იმ ტერიტორიაზე გაბატონებული სამხედრო დაჯგუფების მორჩილებას ითხოვენ"; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. *"პრესისა და მასმედიის თავისუფლებას სერიოზულ საფრთხეს აგრეთვე უქმნიან ექსტრემისტული ორგანიზაციები, როგორიცაა, ჯაბჰატ ალ-ნუსრა, ჯინდ ალ-აქსა და დაეში. (…) [2016 წლის] 16 ივნისს ალეპოზე განხორციელებული თავდასხმის დროს, ცნობილი სირიელი აქტივისტი, ჰარი ალ-აბდულა დაიჭრა, ხოლო ფოტოგრაფი ხალედ ალ-ისა დაიღუპა, ორივენი დაკავშირებული იყვნენ პოპულარულ ოპოზიციურ რადიო-არხთან 'რადიო ფრეშ'. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა არც ერთ ჯგუფს არ აუღია; თუმცა ეს იყო მიმანიშნებელი იმისა, რომ ოპოზიციასთან დაკავშირებულ მასმედიას რისკი ემუქრებოდა";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 29. *"ჟურნალისტები, რომლებიც იმყოფებიან სხვადასხვა ოპოზიციისა და მეამბოხეების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე (ნაციონალური და ისლამური ოპოზიციური დაჯგუფებებით დაწყებული, ეთნიკური ქურთების ჯგუფებითა და ისლამისტთა ჯგუფებით დამთავრებული, როგორიცაა, ალ-ქაიდასთან დაკავშირებული ალ-ნუსრას ფრონტი და ისლამური სახელმწიფო), ამბობენ, რომ მათ საქმიანობაში ხდება სხვადასხვა ტიპის ჩარევა, და ზოგჯერ - ძალადობრივი მუქარა";* Syrian Independent Media Group, *სირიაში, მეამბოხეთა მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე, ჟურნალისტები ახალი ცენზურის დამკვიდრებაზე ჩივიან, 2016 წლის 9 მაისი,* http://upi.com/6312095t. იხ. აგრეთვე, Open Democracy, *სირია, ამბოხი და მასმედია, 2017 წლის 26 ოქტომბერი,* http://bit.ly/2zJgmn3; CPJ, *სასამართლომ ორ სირიელ ჟურნალისტს ღვთისგმობისთვის სასჯელი შეუფარდა,* 2017 წლის 16 აგვისტო, http://bit.ly/2z2NmqQ; SNHR, *2017 წლის აგვისტოში 549-მდე თვითნებური დაკავების საქმე აღირიცხა,* 2017 წლის 7 სექტემბერი, http://bit.ly/2w8Uwbi, გვ. 8; სპარსეთის ყურის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი (GCHR), *სირია: „მოძრაობა თავისუფლებისთვის" ჟურნალი აკრძალეს, ხოლო ჟურნალისტებს პატიმრობა მიუსაჯეს,* 2017 წლის 15 აგვისტო, http://bit.ly/2weXQpf; Syria Deeply, *ალყაშემორტყმულ აღმოსავლეთ გუტაში ქუჩის ბრძოლების შედეგად სამოქალაქოთა ზიანი იზრდება, 2017 წლის 1 აგვისტო,* http://bit.ly/2yNsEva; Syria Deeply, *'თითქმის ისეთივე ცუდი, როგორიც რეჟიმია': მეამბოხეთა ხელში არსებულ ტერიტორიებზე სირიის ციხეების შიგნით, 2017 წლის 31 ივლისი,* http://bit.ly/2uHddC5; Amnesty International, *მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 16.

[272] *"მომეტებული საფრთხისა და დაკავების საშიშროების წინაშე ასევე დგანან იძულებით გადაადგილებული სამოქალაქო პირები, ადგილობრივი საბჭოების წევრებისა და აქტივისტების ჩათვლით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ტაჰრირ ალ-შამის ჰაიათის მხრიდან, რომელიც ზემოაღნიშნულ პირებს მათი დისიდენტური საქმიანობის გამო სჯის";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 13. "2011 წლის მარტში სირიის კონფლიქტის დაწყების დღიდან, სამოქალაქო პირები, აქტივისტები და ადამიანის უფლებათა ჯგუფები რეგულარულად იუწყებიან, რომ არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები ახდენენ ათასობით ადამიანის თვითნებურ დაკავებას, იძულებით გაუჩინარებას, უკანონო დაპატიმრებასა და წამებას, მუშების,

ეჭვმიტანილი არიან მთავრობის მხარდაჭერაში,[273] ასევე, სამოქალაქო პირები, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ISIS-თან ან სხვა მტრულად განწყობილ შეიარაღებულ ჯგუფებთან კავშირში ან მათ მხარდაჭერაში, ექვემდებარებიან გატაცებას, წამებას და სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე სიკვდილით დასჯას ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან.[274] როგორც იუწყებიან, ზოგიერთი ჯგუფი ძალისმიერი მეთოდებით ახშობს პროტესტს, რომელსაც სამოქალაქო პირები გამოხატავენ მათი წესების/ქცევის მიმართ. ამ ძალადობრივ მეთოდებს შორის არის

ექიმების, ადვოკატების, მეამბოხეებისა და ჟურნალისტების ჩათვლით"; Syria Deeply, '*თითქმის ისეთივე ცუდი, როგორიც რეჟიმია': მეამბოხეთა ხელში არსებულ ტერიტორიებზე სირიის ციხეების შიგნით, 2017 წლის 31 ივლისი,* http://bit.ly/2uHddC5. "*2011 წლის ამბოხის დაწყების შემდეგ, სირიის მრავალ კუთხეში სამოქალაქო საზოგადოებათა ახალი ქსელები შეიქმნა, რომლებიც აკვირდნებოდნენ ყველა მხარის მიერ განხორციელებულ ადამიანის უფლებათა დარღვევებს და ცდილობდნენ ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარება გაეწიათ ოპოზიციის ხელში არსებულ ტერიტორიებზე. თუმცა, ასეთ აქტივისტებს ემუქრებათ ძალადობა, დაშინება და დაპატიმრება შეიარაღებული ძალების მიერ, ზოგ შემთხვევაში კი, მათ ფარულად უხდებათ საქმიანობა";* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. "ადამიანებს თვითნებურად აპატიმრებდნენ ოპოზიციის შეიარაღებული ჯგუფებიც, ძირითადად ოპოზიციის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე - სირიის ჩრდილოეთით, მათ შორის, ჟურნალისტებს, დამხმარე მუშაკებს და აქტივისტებს, რომლებიც მათ აკრიტიკებდნენ"; HRW, *სირია* – სირია - მდგრადი მშვიდობისთვის საჭირო იქნება ათასობით უკანონოდ დაპატიმრებულის განთავისუფლება და სამართლიანობის აღდგენა, 2017 წლის 14 მარტი, http://bit.ly/2piDPdM. იხ. აგრეთვე, SNHR, *ტაჰრირ ალ-შამის ჰაიათი მასშტაბურ ძალადობას ჩადის იდლიბის პროვინციაში*, 2017 წლის 21 ოქტომბერი, http://bit.ly/2i9hWaz; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 33; Amnesty International, *მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 18. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, „კონკრეტული პროფესიის მქონე პირები" (განყოფილება III.A.7) და მითითებული წყაროები.

[273] იხ. ზემოთ, „პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.3) და მითითებული წყაროები.

[274] მაგალითად, მას შემდეგ რაც 2016 წლის აგვისტოში FSA-მა ISIS-გან უკან დაიბრუნა ქალაქი ჯარაბლუსი, „შეიარაღებულმა ჯგუფებმა დაიწყეს იმ მოქალაქეთა თვითნებური დაკავების ინტენსიური კამპანია, რომლებსაც ტერორისტული ჯგუფისადმი კეთილგანწყობილად მიჩნევდნენ"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები, 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 71. "*2014 წლიდან, ორგანიზაციამ „Amnesty International" შეტყობინება მიიღო სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის შესახებ, რომელსაც ალეპოსა და იდლიბში ახორციელებდა ჯაბჰატ ალ-ნუსრა, ალ-შამს ფრონტი და მათთან დაკავშირებული 'სასამართლოები'. სასამართლოს განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯილთა შორის არიან სამოქალაქო პირები, სირიის მთავრობის შეიარაღებული ძალების და უშიშროების სამსახურების დატყვევებული წევრები და მთავრობის მხარდამჭერი 'შაბიჰას' შეიარაღებული დაჯგუფების წევრები, ასევე,* ***ეგრეთ წოდებულ „აგენტებად" მიჩნეული პირები****, ანუ,ის მებრძოლები და სხვა დაპირისპირებული ჯგუფების მეომრები, რომლებიც სირიის მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ზოგ შემთხვევაში შეირაღებული ჯგუფები ცერემონიული სახის სიკვდილით დასჯას ახდენდნენ - საზოგადოების თვალწინ" (ხაზგასმა დამატებულია);* Amnesty International, *მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 28. იხ. აგრეთვე, *ალყაშემორტყმულ აღმოსავლეთ გუტაში ქუჩის ბრძოლების შედეგად სამოქალაქოთა ზიანი იზრდება, 2017 წლის 1 აგვისტო,* http://bit.ly/2yNsEva; Syria Deeply, '*თითქმის ისეთივე ცუდი, როგორიც რეჟიმია': მეამბოხეთა ხელში არსებულ ტერიტორიებზე სირიის ციხეების შიგნით, 2017 წლის 31 ივლისი,* http://bit.ly/2uHddC5; Syria Deeply, *რკინის წესი: ჯაიშ ალ-ისლამი აღმოსავლეთ გუტაში, 2016 წლის 22* http://bit.ly/2sjN9yz.

დაშინება, ცემა და აქტივისტებისა და საპროტესტო ღონისძიებათა მონაწილეების დაპატიმრება.[275]

UNHCR-ს მიაჩნია, რომ პირებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთებაად არიან მიჩნეული, დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა მათი პოლიტიკური შეხედულების ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

### *6) პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ PYD/YPG-ის ძალებს მათი დე ფაქტო კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ან ასეთებად არიან მიჩნეული*

მოხსენებების შესაბამისად, YPG-ი და მისი შიდა უსაფრთხოების ძალები - „ასაიში“, თავდასხმებს აწყობდნენ PYD/YPG-ის რეალურ და სავარაუდო ოპონენტებზე, მათ შორის, ქურთთა ოპოზიციურ პარტიებზე,[276] ჟურნალისტებსა და მოქალაქე-

[275] “მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ალ-შამის ჰაიატიც აგრძელებს“ (მაგალითებით); OHCHR, *სირია: ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის სექტემბერი,* 2017 წლის 6 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/59db24594.html, გვ. 6. იხ. აგრეთვე, SNHR, ტაჰრირ ალ-შამის ჰაიატი მასშტაბურ ძალადობას ჩადის იდლიბის პროვინციაში, 2017 წლის 21 ოქტომბერი, http://bit.ly/2i9hWaz, გვ. 4; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის აგვისტო S/2017/733, http://www.refworld.org/docid/59aebbad4.html, გვ. 17; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი*, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; Middle East Eye, *სირიელი მეამბოხეები 'ესვრიან დემონსტრანტებს' და შიდა დაპირისპირების შეწყვეტისკენ მოუწოდებენ, 2017 წლის 1 მაისი,* https://shar.es/1FE9Na; Politico Magazine, *სირიელი მეამბოხე, რომელიც ისლამური სამოთხის აშენებას ცდილობდა, 2017 წლის 31 მარტი,* http://politi.co/2nok3Zr; ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტი, *Jabhat al-Nusra Oversteps Mark with Idlib Crackdown*, 2016 წლის 14 მარტი, http://bit.ly/1UwW4Do; The Independent, *არაბული გაზაფხულიდან ხუთი წლის შემდეგ, სირიელ დემონსტრანტებს ახალი მტერი ანადგურებს, 2016 წლის 11 მარტი,* http://ind.pn/2qJ0PCI.

[276] “*PYD-ის მოწინააღმდეგე მრავალი პირი დააკავეს ან აიძულეს ქვეყანა დაეტოვებინა - განსაკუთრებით ქურთთა ეროვნული საბჭოს წევრები (ENKS), რომლის შემადგენლობაშიც არიან ქურთთა პოლიტიკური პარტიები, რომლებიც PYD-ის უპირისპირდებიან*”; IRIN, *ქურთთა ბრძოლა ჩრდილოეთ სირიაში,* 2017 წლის 15 სექტემბერი, http://bit.ly/2ktlBVa. “*მას* [YPG-ს] ბრალი დასდეს ოპონენტებად მიჩნეულ პირთა თვითნებურ დაპატიმრებაში“; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. როგორც იუწყებიან, ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ეხება - მაგრამ, არა მხოლოდ - პოლიტიკური პარტიების წევრებს, რომლებიც ქურთთა ეროვნული საბჭოს (KNC) ქოლგის ქვეშ არიან გაერთიანებული, სირიის ქურთთა დემოკრატიული პარტიის ჩათვლით (KDPS), რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია: მასუდ ბარზანის ქურთთა დემოკრატიულ პარტიასთან (KDP) ერაყის ქურთისტანში; ქურთთა თავისუფლების პარტიასთან სირიაში (აზადის პარტია); და ქურთთა დემოკრატიული კავშირის პარტიასთან (იეკიტის პარტია); მაგ., იხ. SNHR, *2017 წლის სექტემბერში, თვითნებური დაკავების, სულ მცირე, 557 შემთხვევა აღინიშნა,* 2017 წლის 4 ოქტომბერი, http://bit.ly/2yuuW5j, გვ. 5, 8; Amnesty International, *გადაუდებელი მოქმედება: ორი ქურთი აქტივისტი გაათავისუფლეს, მესამე კვლავ პატიმრობაშია, 2017 წლის 12 ივლისი,* http://bit.ly/2vRYFmx; Ara News, *როჯავა ასაიშის ძალებმა კიდევ ერთი ქურთი პოლიტიკოსი დააკავეს, 2017 წლის 22 მაისი,* http://bit.ly/2vzu3Wa; Ara News, *სირიის ქამიშლიში, ასაიშის ციხიდან, ექვსი ქურთი პოლიტიკოსი გაათავისუფლეს, 2017 წლის 8 თებერვალი,* http://bit.ly/2m2119R

ჟურნალისტებზე,[277] ასევე, პოლიტიკურ აქტივისტებსა და საპროტესტო გამოსვლების მონაწილეებზე,[278] რაც მიზნად ისახავდა მათ დაშინებას, გატაცებას, თავისუფლების აღკვეთას და ფიზიკურ შეურაცხყოფას.[279] გარდა ამისა, ოპოზიციური ჯგუფები

[277] *"PYD-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე მოქმედი მასმედიის საშუალებების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ისინი განიცდიდნენ ზეწოლას და მათ აშინებდნენ ინტერნეტ-შეტყობინებებით, ითხოვდნენ ეთერში გაეშვათ PYD-ის მხარდამჭერი სიმღერები. მოხსენებებში მითითებულია, რომ ქურთთა ეროვნულ საბჭოსთან დაკავშირებული ზოგიერთი ოპოზიციონერი ჟურნალისტი დააკავეს და/ან ცემეს PYD-ის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა. (…) ქურთი აქტივისტების განცხადებით და პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების თანახმად, PYD და YPG ახშობდნენ შეკრების თავისუფლებას და მკაცრად ზღუდავდნენ სიტყვის თავისუფლებას მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 33. იხ. აგრეთვე, CPJ, *ქურთთა უშიშროების ძალებმა ადგილობრივი რეპორტიორი დააკავეს, მისი ადგილსამყოფელი უცნობია, 2017 წლის 29 სექტემბერი,* http://bit.ly/2ksi3Co; SNHR, *2017 წლის აგვისტოში 549-მდე თვითნებური დაკავების საქმე აღირიცხა,* 2017 წლის 7 სექტემბერი, http://bit.ly/2w8Uwbi, გვ. 5; CPJ, ქურთთა უშიშროების ძალებმა სირიაში ტელეჟურნალისტი დააკავეს, 2017 წლის 17 მაისი, http://www.refworld.org/docid/596f4bb9c.html; The National, *სირიაში ამერიკის ფავორიტი შეიარაღებული დაჯგუფება სიტუაციას რკინის ხელით მართავს, 2017 წლის 13 თებერვალი,* http://bit.ly/2ktPwax; რეპორტიორები საზღვრების გარეშე, *როგორ უჭირავს ხელში PYD-ს მასმედია და ახალი ამბების პროვაიდერები,* განახლებულია 2016 წლის 20 იანვარს, http://bit.ly/2mHzMGH; SNHR, *ადამიანის უფლებათა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარღვევები მოხდა ქურთთა დემოკრატიული კავშირისა და ქურთთა თვითმმართველი ძალების მონაწილეობით, 2016 წლის 18 იანვარი,* http://bit.ly/2lGu2g9, გვ. 8-9. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, „კონკრეტული პროფესიის მქონე პირები - ჟურნალისტები, მასმედიის სხვა პროფესიონალები და მოქალაქე ჟურნალისტები" (განყოფილება III.A.7) და მითითებული წყაროები.

[278] *"მაისის თვეში მოსენ ტაჰერის, ამინ ნუსამისა და ბასარ ამინის დაკავება პოლიტიკური აქტივისტების დაპატიმრებების წინასწარ გათვლილ კამპანიად მიაჩნიათ, რომელსაც 'ასაიში' ახორციელებს PYD-ის ავტონომიური ადმინისტრაციის მიერ მართულ, ეგრეთ წოდებულ - როჯავას ტერიტორიებზე. 2017 წლის 14 მარტიდან 'ასაიშმა' თვითნებურად დააკავა და დააპატიმრა ქურთთა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ქამიშლიში და როჯავას კიდევ ცხრაზე მეტ ქალაქში";* Amnesty International, *გადაუდებელი მოქმედება: ორი ქურთი აქტივისტი გაათავისუფლეს, მესამე კვლავ პატიმრობაშია, 2017 წლის 12 ივლისი,* http://bit.ly/2vRYFmx. იხ. აგრეთვე, SNHR, *2017 წლის აგვისტოში 549-მდე თვითნებური დაკავების საქმე აღირიცხა,* 2017 წლის 7 სექტემბერი, http://bit.ly/2w8Uwbi, გვ. 5; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 33; გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია,* 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 25; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 114.

[279] *"ამნესტი ინტერნეიშენალის მკვლევარებმა აღრიცხეს თვითნებური დაპატიმრება იმ პირებისა, რომლებიც ისლამური სახელმწიფოს მიმართ სიმპატიით იყვნენ განწყობილნი, ან ამ უკანასკნელის შეიარაღებული ჯგუფის წევრები იყვნენ. ზოგიერთი ადამიანი თვითნებურად იყო დაპატიმრებული თითქმის ერთი წლის განმავლობაში ბრალის წაყენებისა და სასამართლო პროცესის გარეშე. ისინი, ვისი საქმეც სასამართლოს უნდა განეხილა, ხანგრძლივი პერიოდით იმყოფებოდნენ წინასწარ პატიმრობაში, ხოლო თვით პროცესი აშკარად არასამართლიანი იყო*"; Amnesty International, *გადაუდებელი მოქმედება: ორი ქურთი აქტივისტი გაათავისუფლეს, მესამე კვლავ პატიმრობაშია, 2017 წლის 12 ივლისი,* http://bit.ly/2vRYFmx. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 15; გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 25; გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014) და 2258 (2015) რეზოლუციების შესრულება – გენერალური მდივნის მოხსენება,* 2016 წლის 23 მარტი, S/2016/272, http://www.refworld.org/docid/570214ee4.html, პარ. 18. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 114; საერთაშორისო და უსაფრთხოების საქმეთა გერმანული ინსტიტუტი, *დასავლეთის ტურფა სირიაში, 2015 წლის ოქტომბერი,* http://bit.ly/2tzBh9a.

მიუთითებენ, რომ 2012 წლის შუა პერიოდიდან PYD-მა მონაწილეობა მიიღო რამდენიმე გაუხსნელ პოლიტიკურ მკვლელობასა და ადამიანების გაუჩინარებაში; თუმცა PYD-ის მონაწილეობა რაიმე დამოუკიდებელი წყაროებით არ დადასტურებულა.[280]

როდესაც YPG/SDF შედის ISIS-ის ან ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, ხდება არაბი სამოქალაქო პირების მკაცრი კონტროლი და მათი გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა;[281] ამავდროულად, დაფიქსირდა იძულებითი გადაადგილების/გამოსახლების, გატაცების, თავისუფლების აღკვეთის, ფიზიკური თავდასხმის ფაქტები, ასევე, სახლებისა და სხვა საკუთრების ძარცვისა და განადგურების შემთხვევები ამ ჯგუფებისთვის სავარაუდო მხარდაჭერის საფუძველზე.[282]

---

[280] საერთაშორისო და უსაფრთხოების საქმეთა გერმანული ინსტიტუტი, *დასავლეთის ტურფა სირიაში, 2015 წლის ოქტომბერი,* http://bit.ly/2tzBh9a, გვ. 5; HRW, *ქურთთა მმართველობის ქვეშ: დარღვევები PYD-ის მართულ ტერიტორიებზე სირიაში,* 2014 წლის 19 ივნისი, http://www.refworld.org/docid/53a400c04.html, გვ. 34-37. იხ. აგრეთვე, The Nation, სირიაში *ამერიკის ფავორიტი შეიარაღებული დაჯგუფება სიტუაციას რკინის ხელით მართავს, 2017 წლის 13 თებერვალი,* http://bit.ly/2ktPwax; The Telegraph, სირიელ ქურთებს ადანაშაულებენ ეთნიკურ წმენდასა და ოპონენტთა მკვლელობებში, 2016 წლის 18 მაისი, http://bit.ly/1sGN1Gq.

[281] "*ქურთთა თვითმმართველი ადმინისტრაციების მართვის პროცედურები და ადმინისტრაციული მოთხოვნები, რომლებსაც ისინი იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ იყენებენ, მნიშვნელოვან დამატებით პრობლემებს უქმნის იძულებით გადაადგილებულ პირებს. ამ პრობლემათა შორის არის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამორთმევა და გადაადგილების შეზღუდვა"; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 24 აგვისტო, S/2017/733, http://www.refworld.org/docid/59aebbad4.html, პარ. 14. *"როგორც იუწყებიან, ტაბქაში [რაქას პროვინცია], SDF-მა კომენდანტის საათი შემოიღო, რომელიც მკაცრად ზღუდავს გადაადგილებას. მრავალი იძულებით გადაადგილებული პირი უდაბნოშია გამომწყვდეული, რადგან SDF-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ისინი ვერ შედიან, თუ მათ გარანტორი არ ეყოლებათ ქურთთა საზოგადოებიდან";* OHCHR, *სირია: ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის მაისი, 2017 წლის 3 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/59bb83234.html, გვ. 1. იხ. აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთი, *'ჩვენ ტუსაღები ვართ': IS-სგან თავის დაღწევის შემდეგ სირიელები SDF-ის ბანაკებში არიან გამომწყვდეულნი, 2017 წლის 22 აგვისტო,* http://bit.ly/2v6IONw; სირიის დაცვის კლასტერი (თურქეთი), *სკრინინგის და ცენზურის პროცედურები: არ-რაქასა და ალეპოს პროვინციები (განახლებული ვერსია No. 1, 2017 წლის ივნისი)*, 2017 წლის ივნისი, http://bit.ly/2z61ZMT; გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 23 მაისი, S/2017/445, http://www.refworld.org/docid/592eb0fa4.html, პარ. 37; HRW, *სირია:რაქას ბრძოლის ძირითადი პრობლემები, 2017 წლის 13 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/5970a9844.html; გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 39.

[282] " *განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სამოქალაქო პირთა და მწყობრიდან გამოსულ მებრძოლთა მიმართ მოპყრობის საკითხი, რომლებიც ცხოვრობენ ან გამოიქცნენ ადრე ISIL-ის მიერ კონტროლირებული ტერიტორიიდან. (...) OHCHR-მა მოხსენებათა მზარდი რაოდენობა მიიღო შურისძიების აქტების შესახებ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამ ჯგუფთან კავშირში არიან შემჩნეული. (...) ერთ შემთხვევაში OHCHR-მა მიიღო მოხსენებები, სადაც ნათქვამი იყო, რომ SDF-ის მებრძოლები კლავდნენ ხეიბარ მამაკაცებს, რომლებიც სავარაუდოდ ISIL-თან იყვნენ დაკავშირებული. [2017 წლის] 15 ივლისს სოციალურ მედიაში გამოქვეყნდა სავარაუდო ინციდენტის ვიდეო, სადაც ისმის SDF-ის მებრძოლის ხმა, რომელიც არ-რაქას პროვინციაში ამბობს, რომ ასეთი იქნება 'დაეშის' ყველა მეომრის ბედი, რომელიც იბრძვის და კლავს YPG-ის წევრს, ხოლო მეორე მებრძოლი, ვიდრე პირს კიდევ ერთხელ ესვრის, ამბობს, რომ მას თავისი წილი არ მიუღია".* OHCHR, *სირია: ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის ივლისი, 2017 წლის 31 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/59b926a24.html. "(...) *მას შემდეგ, რაც IS-ის ხელში მყოფ ტერიტორიაზე სხვადასხვა ძალები შემოდიან", **IS-თან ან შეიარაღებული ოპოზიციის სხვა ჯგუფებთან სავარაუდევი კავშირის გამო** თვითნებური დაკავების, დაპატიმრების,*

როგორც იუწყებიან, YPG-ი და „ასაიში“,ახდენენ იძულებით გაწვევას, მათ შორის, არასრულწლოვანი პირების, რომლებიც მათი დე ფაქტო კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ცხოვრობენ.[283] YPG-ის სამხედრო ძალებში შესვლაზე უარის შედეგად პირი შეიძლება მკაცრი რეაგირების საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს: გატაცების, თავისუფლების აღკვეთის და ტუსაღობის დროს შეურაცხყოფის ჩათვლით, ასევე, პირის იძულებითი გაწვევა, ვინაიდან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზე უარის თქმა შესაძლოა მიჩნეული იქნეს ISIS-თვის მხარდამჭერის ან PYD/YPG-ის

---

*თავისუფლების აღკვეთის და სასტიკი მოპყრობის შიში იქ მცხოვრებ მოსახლეობის დიდ რაოდენობას აიძულებს დატოვოს საცხოვრებელი, (ხაზგასმა დამატებულია);* OHCHR, *სირია: ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის მაისი, 2017 წლის 3 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/59bb83234.html, გვ. 1, 5. “*[2016] წლის 5 მაისს, როგორც იუწყებიან, ქურთთა ძალებმა, ტალ აბიადის სამხრეთით, აინ ალ-არუსის ტერიტორიაზე, საკონტროლო პუნქტთან, 30 მამაკაცი დააპატიმრეს;* ***მამაკაცებს ბრალი დასდეს ISIL-თან თანამშრომლობაში****. მათი ადგილსამყოფელი უცნობია“ (ხაზგასმა დამატებულია);* გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014) და 2258 (2015) რეზოლუციების შესრულება*, 2016 წლის 17 ივნისი, S/2016/546, http://www.refworld.org/docid/576b820e4.html, პარ. 32. “*OHCHR ასევე აცხადებს, რომ [2015 წლის] 5 თებერვალს, YPG-ის ძალებმა თალ ტამერში, ალ-გებიშის ტერიტორიაზე (ჰასაკას პროვინცია), 41 სამოქალაქო პირის სახლები დაანგრიეს და მათ არაბ მფლობელებს ბრალი დასდეს ISIL-ის მხარდაჭერაში“;* *გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014) და 2258 (2015) – გენერალური მდივნის მოხსენება, 2016 წლის 23 მარტი,* S/2016/272, http://www.refworld.org/docid/570214ee4.html, პარ. 18. იხ. აგრეთვე, ამერიკის ხმა, *ნდობის დეფიციტი არაბებსა და ქურთებს შორის ართულებს რაქას ბრძოლას, 2017 წლის 11 ივლისი,* http://bit.ly/2tEEw1L; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 89, 95; გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014) და 2258 (2015) რეზოლუციების შესრულება – გენერალური მდივნის მოხსენება, 2016 წლის 20 ივლისი,* S/2016/631, http://www.refworld.org/docid/5937aab44.html, პარ. 23; გაეროს გენერალური ასამბლეა, ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 39.

[283] “*არსებობს ინფორმაცია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს ხვრეტენ და კლავენ როდესაც ისინი ცდილობენ გაიქცნენ ISIL-ის მიერ კონტროლირებული რაიონებიდან, რადგან, როგორც იუწყებიან, SDF-ი ახალგაზრდებს აიძულებს ჩაეწერონ მათ რიგებში.“ და კიდევ: „დღევანდელი ინფორმაციის შესაბამისად, ჰასაკეს პროვინციაში შემოსული ყველა ახალი იძულებით გადადგილებული პირი ექვემდებარება 'გაწვევას'. დღეისათვის არ არის ცნობილი რაიმე შემთხვევა იგპ-თა რიგებიდან გაწვევის შესახებ“;* OCHA, *სირიის კრიზისი: მოხსენება No. 13 (2017 წლის 1- 31 ივლისი) ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში არსებული სიტუაციის შესახებ,* http://bit.ly/2uSjg6R, გვ. 3, 5. “[2017 წლის] *17 ივნისს, ჰასაკას სოფელ ჰარმუნში, სირიის თავდაცვის ძალებმა, იძულებითი გაწვევის მიზნით, შვიდი სამოქალაქო პირი დააკავეს“*; გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება,* 2017 წლის 21 ივლისი, http://www.refworld.org/docid/59881d6f4.html, გვ. 19. “ *არსებობს ინფორმაცია, რომ SDF-ის და YPG-ის მიერ არ-რაქასა და ალ-ჰასაკეს პროვინციებში მიმდინარეობს იძულებითი გაწვევის (რეკრუტირების) კამპანია. [2017 წლის] 19 ივნისს, ქალაქ ქუამიშლიში, ორი მამაკაცი, რომლებიც მანამდე სირიის მთავრობამ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამო სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან გაანთავისუფლა, SDF-ის ძალებში იძულებით გაიწვიეს“;* OHCHR, *სირია: ადამიანის უფლებათა ყოველთვიური დაიჯესტი - 2017 წლის ივნისი,* 2017 წლის 30 ივნისი, http://www.refworld.org/docid/59b926174.html, გვ. 4. “*YPG-ის ძალები კვლავ აგრძელებენ მამაკაცებისა და ვაჟების იძულებით გაწვევას სამხედრო სამსახურში“;* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 94. “*როგორც იუწყებიან, PYD-თან დაკავშირებული ქურთთა უშიშროების ძალებმა, საკონტროლო პუნქტებიდან და ქურთებით დასახლებული უბნებიდან 18-დან 30 წლამდე მამაკაცები (რაოდენობა დაუდგენელია) აიყვანეს და აიძულეს YPG-ის სასარგებლოდ ებრძოლათ*”; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 55. იხ. აგრეთვე, ომი კლდეებში, *ჩრილოეთი სირიის ისლამური სახელმწიფოს მოწინააღმდეგე კოალიცია არაბული პრობლემის წინაშე დგას,* 2017 წლის 18 სექტემბერი, http://bit.ly/2xmmQLJ; Ara News, *SDF-ი აძლიერებს გაწვევის კამპანიას სირიის ჩრდილოეთით,* 2017 წლის 2 ივლისი, http://bit.ly/2vmZ5Rg.

მიმართ წინააღმდეგობის გამოხატვად.[284] როგორც იუწყებიან, ზოგ შემთხვევაში YPG-ი ახდენს იმ პირთა ოჯახისგან გამოცალკევებას, ვინც უარს ამბობს იძულებით გაწვევაზე ან სხვაგვარად არის ეჭვმიტანილი ISIS-თან კავშირში.[285]

[284] "*სირიის დემოკრატიულ ძალებს მანბიჯზე (ალეპო) იერიშის განხორციელების შემდეგ, რაც ISIL-სთვის მის წართმევას ისახავდა მიზნად - მნიშვნელოვანი გაძლიერება დასჭირდა, რათა მოემზადებინა ქალაქ არ-რაქას დაბრუნების ოპერაცია. 'საბრძოლო ძალის' მზარდ საჭიროებას მოჰყვა ათასობით სამოქალაქო პირის იძულებითი გაწვევის დიდი ტალღა, რომელიც ძირითადად შეეხო მამაკაცებსა და ვაჟებს. მათ, ვინც გაწვევაზე უარს ამბობდა, აკავებდნენ".* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 80. "მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარემ, პაულო სერჯიო პინჰეირომ აღნიშნა, რომ მისი კომისიის მიერ 'დაფიქსირდა *S.D.F-ის მიერ ბავშვთა გაწვევის შემთხვევათა მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ამ ძალების მიერ რაქაზე შეტევასთან არის დაკავშირებული. ბატონმა პინჰეირომ განაცხადა, რომ ქურთთა პოლიციამ 'მამაკაცები და ვაჟები დააკავა საკონტროლო პუნქტებთან მათ მიერ კონტროლირებულ მთელ ტერიტორიაზე' – ISIS-თვის მხარდაჭერაში ეჭვის საფუძველზე ან მათ შეიარაღებულ დაჯგუფებებში მსახურობაზე უარის თქმისთვის*"; ნიუ-იორკ თაიმსი, *New Dangers Stalk Syrian Children still Haunted by Horrors under ISIS*, 2017 წლის 31 ივლისი, https://nyti.ms/2ubqS33. მაგალითად, "(…) 2015 წლის ზაფხული*, 17 წლის ბიჭი 'ასაიშმა' (ქურთთა პოლიცია) საკონტროლო პუნქტზე დააკავა, რომელიც ტალ ბრაკასა და ალ-ჰასაკას შორის მდებარეობს და 2016 წლის სექტემბრამდე ჰყავდა დატუსაღებული* ***ISIL-სთვის მხარდაჭერისა და YPG-ის ძალებში მსახურობაზე უარის თქმის ბრალდებით.*** *ბიჭმა ისაუბრა არაადამიანურ პირობებზე, რომელიც ქალაქ ალ-ჰასაკას საპატიმროში იყო. თავდაპირველად, საკნის ნაცვლად, იგი საპირფარეშოში დაამწყვდიეს და ლითონის ხარიხაზე იმგვარად მიაბეს, რომ ხელები თავს ზემოთ ჰქონდა აწეული. ბიჭი ამბობდა, რომ დაკითხვის დროს მას აწამებდნენ - როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად და რომ იმ დროს მას თვალები ახვეული ჰქონდა, ხოლო შემდეგ 13-დან 17 წლამდე ასაკის ვაჟებთან ერთად მოათავსეს" (ხაზგასმა დამატებულია)*; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი*, http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 94. "*როგორც იუწყებიან, PYD-თან დაკავშირებული ქურთთა უშიშროების ძალებმა, საკონტროლო პუნქტებიდან და ქურთებით დასახლებული უბნებიდან აიყვანეს 18-დან 30 წლამდე მამაკაცები (რაოდენობა დაუდგენელია) და აიძულეს ისინი ებრძოლათ YPG-ის სასარგებლოდ*"; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია, 2017 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 55. იხ. აგრეთვე, „ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტრული სამართლის დარღვევები - სახალხო დაცვის შენაერთები *(YPG)*" (განყოფილება II.C.4) და მითითებული წყაროები.

[285] "*18-დან 30-წლამდე ასაკის 160-მდე ახალგაზრდა იძულებით იქნა გაწვეული ქურთთა სახალხო დაცვის შენაერთში (YPG), მას შემდეგ რაც ისინი ალ-საკაჰეს პროვინციაში დაიჭირეს საკონტროლო პუნქტთან ან კარდაკარ შემოვლის დროს. ზოგ შემთხვევაში იძულებითი გაწვევის დროს ხდება* ***ძალადობრივი დაპირისპირება მშობლებთან, რის გამოც, სულ მცირე, 40 მშობელი დააკავეს,*** *მალკიეს, იაარუბიესა და ქაჰტანიას დასახლებებში" (ხაზგასმა დამატებულია);* OCHA, *სირიის კრიზისი - მოხსენება სიტუაციის შესახებ No. 15*, 2016 წლის 17 ოქტომბერი, http://bit.ly/2ymIwbn, გვ. 5. "[2015] წლის 14 დეკემბერს, *YPG-ის მებრძოლები, სოფელ სავაიდიაში შევიდნენ, რომელიც ჰასაკას სასოფლო რეგიონის სამხრეთით მდებარეობს, და 34 ქურთი სამოქალაქო პირი იძულებით გაიწვიეს სამხედრო ძალებში, მათ შორის, ქალები და ბავშვები.* ***არსებული ინფორმაციის თანახმად, თავისუფლების აღკვეთით დასაჯეს იმ პირთა ოჯახის წევრები, რომლებმაც გაწვევაზე უარი თქვეს"*** (ხაზგასმა დამატებულია); გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია, 2016 წლის 9 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 25. *"თვითმხილველებმა VDC-სთან საუბრისას განაცხადეს, რომ ბოლო პერიოდში დარბეულთა უმრავლესობა არის არა მებრძოლები, არამედ სამოქალაქო მოსახლეობა- , რომლებიც არც ერთ სამხედრო შენაერთთან არ არიან დაკავშირებული. ძალიან იშვიათად, როდესაც ცნობილი იყო, რომ ოჯახის წევრი ISIS-ში იყო გაერთიანებული,* ***მთელ ოჯახს სჯიდნენ„*** *(ხაზგასმა დამატებულია);* VDC, *"მცხუნვარე მზის ქვეშ" – მოხსენება რაქას პროვინციაში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შესახებ, 2015 წლის აგვისტო,* http://bit.ly/2m3k7h2, გვ. 15. იხ. აგრეთვე, Amnesty International, *სირია: თვითნებური დაპატიმრება და აშკარად არასამართლიანი პროცესები აუარესებს PYD-ის ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ, 2015 წლის 7 სექტემბერი,* http://www.refworld.org/docid/55efecce4.html.

UNHCR-ს მიაჩნია, პირებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ PYD/YPG-ის ძალებს მათი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული, დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა მათი პოლიტიკური შეხედულების ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

### *7) კონკრეტული პროფესიის მქონე პირები*

არსებული ინფორმაციის შესაბამისად, კონკრეტული პროფესიის მქონე პირებზე ზეწოლა ხდება კონფლიქტის ყოველი მხარის მიერ, კონფლიქტის სხვა (მოწინააღმდეგე) მხარესთან რეალური ან ნავარაუდევი კავშირის საფუძველზე, ან მათ მიერ გამოხატული შეხედულებების ან მოწინააღდეგე მხარის სასარგებლოდ განხორციელებული საქმიანობის გამო.

*ჟურნალისტები, მასმედიის სხვა მუშაკები და მოქალაქე-ჟურნალისტები*

ჟურნალისტებისთვის, მასმედიის სხვა მუშკებისა და მოქალაქე-ჟურნალისტებისთვის სირია ყველაზე საშიშ ქვეყნად ითვლება მთელ მსოფლიოში; ზოგი მათგანი ჯვარედინი ცეცხლის ან განურჩეველი ძალადობის სხვა ქმედებების დროს დაიღუპა, ხოლო ზოგიერთი, როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სუბიექტთა ხელში, დაშინების, გატაცების, დაკავების, დაპატიმრების და დახვრეტის მსხვერპლი გახდა.[286]

*მეცნიერები და პედაგოგები*

მოხსენებებში მითითებულია, რომ მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე უნივერსიტეტის პედაგოგებს სამუშაოდან ითხოვენ ან აპატიმრებენ მთავრობის მიმართ ოპოზიციონერობის ან ანტისამთავრობო ჯგუფების რეალური ან

---

[286] *"ჟურნალისტებს მთელ სირიაში ფიზიკური საფრთხე ემუქრებათ"; Freedom House, თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. *პრესის თავისუფლების ინდექსის თანახმად, სირიას 180 ქვეყანას შორის 177-ე ადგილი უკავია (რეპორტიორები საზღვრების გარეშე, 2017 წლის შეფასება). „პროფესიონალი და მოყვარული ჟურნალისტები, როგორც ჩანს, კონფლიქტის სხვადასხვა მხარეთა შორის არიან მომწყვდეულნი - ერთ მხარეს არიან რეჟიმის წარმომადგენლები და მათი მოკავშირეები, ხოლო, მეორე მხარეს კი ოპოზიციის წარმომადგენელი სხვადასხვა შეიარაღებული ჯგუფები, მათ შორის, ქურთები და ჯიჰადის მეომრები, როგორიცაა - ისლამური სახელმწიფო. მასმედიის საქმიანობისთვის სასტიკ გარემოს ქმნის ხშირი დაშინება, დაკავება, მოტაცება და მკვლელობები"*; რეპორტიორები საზღვრების გარეშე, *სირიაში, კონფლიქტის განმავლობაში, რომელიც 6 წლის წინათ დაიწყო, 211 ჟურნალისტი მოკლეს,* 2017 წლის 16 მარტი, http://www.refworld.org/docid/58caa2ed4.html. იხ. აგრეთვე, CPJ, *113 ჟურნალისტი მოკლეს სირიაში/მოტივი დადასტურებულია, 2017 წლის 30 ოქტომბერი,* https://cpj.org/killed/mideast/syria/; The New Arab, *სირიის მოყვარული ჟურნალისტები პრესის თავისუფლების წინა ხაზზე იმყოფებიან, 2017 წლის 2 მაისი,* http://bit.ly/2pTjRpk. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1), „პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.3), „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ერაყისა და ალ-შაიმის ისლამურ სახელმწიფოს მისი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.4), „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებულ ჯგუფებს მათი *დე ფაქტო* კონტროლის ან გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.5), და „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ *PYD/YPG-ს"* (განყოფილება III.A.6) და მითითებული წყაროები.

ნავარაუდევი მხარდაჭერის გამო.[287] ISIS-ის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე განათლების მუშაკებს აიძულებენ უარი თქვან ოფიციალური სასწავლო გეგმებით (კურიკულუმით) სწავლებაზე და დაესწრონ შარიათის კანონის შემსწავლელ კურსებს, თუ მათ სურთ შეინარჩუნონ სამსახური. გატაცება, წამება და სიკვდილით დასჯა ემუქრებათ იმ პროფესორებსა და მასწავლებლებს, რომლებიც უარს ამბობენ ასწავლონ ISIS-ის ინსტრუქციების შესაბამისად, ან რაიმე სხვა ნიშნით მიიჩნევიან ISIS-ის ოპოზიციად.[288]

*ექიმები და ჯანდაცვის სხვა მუშაკები*

როგორც იუწყებიან, კონფლიქტის სხვადასხვა მხარეები ექიმებსა და ჯანდაცვის სხვა მუშაკებს დევნიან იმის გამო, რომ მათ უხდებათ კონფლიქტის შედეგად დაჭრილი ადამიანების მკურნალობა.[289] მოხსენებებში აღწერილია სახელმწიფოს ხელშეწყობით განხორციელებული პოლიტიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ჯანდაცვის პერსონალისა და საავადმყოფოების მიზნობრივი შევიწროება და სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმა პირებისთვის, რომლებიც ოპოზიციასთან არიან ასოცირებულნი.[290] გარდა იმისა, რომ ექიმები საავადმყოფოთა მიზნობრივი

[287] Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია, 2017 წლის 8 ივნისი,* http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1) და მითითებული წყაროები.

[288] Reuters, ისლამურმა სახელმწიფომ სიკვდილით დასაჯა 12 ადამიანი პალმირაში, მათ შორის, მასწავლებლები და ჯარისკაცები: მონიტორი, 2017 წლის 19 იანვარი, http://reut.rs/2iMg8mf; რაქა სასაკალაოდ იქცა, *ISIS-ის კურიკულუმი და განათლების სისტემა,* 2016 წლის 18 სექტემბერი, http://go.shr.lc/2cTLQgZ; The Atlantic Council, *ISIS-ის განათლების სისტემის უფრო დაწვრილებით მიმოხილვა,* 2016 წლის 26 აპრილი, http://bit.ly/1TxYPR4.

[289] PHR-ის სპიკერმა, სტეფან ფიმ განაცხადა, რომ „უახლეს ისტორიაში ჯანდაცვის მუშაკებზე არ ყოფილა ისეთი თავდასხმები, როგორიც სირიაში ხდება." და კიდევ: 'და არსად მთელ მსოფლიოში მსგავსი თავდასხმები არ ყოფილა ასეთი სისტემატური'; 2017 წლის 8 მაისი, http://trib.in/2qSBx27. იხ, აგრეთვე, Reuters, *ექსპერტები სთხოვენ გაეროს, დაასახელოს და შეარცხვინოს ქვეყნები, რომლებიც ომის დროს ექიმებს არ იცავენ,* 2017 წლის 17 აგვისტო, http://bit.ly/2wkSTdb; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 42.

[290] *"ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაზე სიირის მთავრობის შეტევა ფოკუსირებული იყო როგორც სამედიცინო პერსონალზე, ისე ჯანდაცვის ობიექტებზე, რაც ამყარებდა იმ არგუმენტს, რომ ეს ტაქტიკა იყო მთავრობის საყოველთაო და სისტემატური პოლიტიკის ნაწილი";* PHR, *კრიზისის ანატომია – სირიაში ჯანდაცვაზე შეტევის სქემა, 2017 წლის აგვისტო,* http://bit.ly/2qDlnd5, გვ. 2. "ჯანდაცვის ობიექტების განმეორებითი დაბომბვები, წინასწარი გაფრთხილების არარსებობა და ამ ობიექტების სიახლოვეს სამხედროების არყოფნა, აშკარად მიუთითებს, რომ სამედიცინო ინფრასტრუქტურაზე განზრახ შეტევა არის სტრატეგიის ნაწილი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოწინააღმდეგის დანებებას (...)". გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2017 წლის 2 თებერვალი, A/HRC/34/64, http://www.refworld.org/docid/58b827094.html, პარ. 32. PHR-ის შესაბამისად, 2011 წლის მარტიდან 2017 წლის აგვისტოს ბოლომდე 830 სამედიცინო პერსონალი დაიღუპა დაბომბვის და საარტილერიო ცეცხლის (56%), სროლების (22%), წამების (13%) და სიკვდილით დასჯის (8%) შედეგად. PHR-მა, იმავე პერიოდში, სირიაში 478-ზე მეტი შეტევა დააფიქსირა 323 სამედიცინო ობიექტზე. არსებული ინფორმაციის თანახმად, ამ თავდასხმების უმრავლესობა (432), სამთავრობო ძალების მიერ იყო განხორციელებული, 30 - ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფებისა და ISIS-ის მიერ, ხოლო ერთი - საერთაშორისო კოალიციური ძალების მიერ. 15 შემთხვევაში PHR-მა პასუხისმგებელი დაჯგუფების განსაზღვრა ვერ შეძლო. სამედიცინო ობიექტებზე თავადასხმების უმრავლესობა, როგორც იუწყებიან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებით მოხდა; იქვე, გვ. 1, 2. იხ. აგრეთვე,, The Independent, *სირიელი სამედიცინო პერსონალი იუწყება, რომ ჰოსპიტალები მუდმივ სამიზნეებად იქცა, 2017*

დაბომბვის დროს რისკის წინაშე დგანან, მათ ასევე ემუქრებათ დაშინება, თვითნებური დაკავება, პატიმრობა გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე, გატაცება, წამება, სნაიპერის ტყვია, იძულებითი გადაადგილება და სასამართლოს განაჩენის გარეშე სიკვდილით დასჯა, განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისინი ეჭვმიტანილი არიან ანტისამთავრობო ოპოზიციის წევრებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევაში ან მათთვის მედიკამენტების მიწოდებაში.[291] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ხდება ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის დაშინება, გატაცება და სიკვდილით დასჯა, როდესაც ისინი უარს ამბობენ ISIS-ის მებრძოლთა მკურნალობაზე ან ჯგუფის მიმართ ერთგულებაზე. ქალი ექიმები ვალდებული არიან დაიცვან ISIS-ის მკაცრი მოთხოვნები ტანისამოსთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სასტიკი სასჯელი ემუქრება.[292] SDF-თან დაკავშირებით არსებობს ინფორმაცია, რომ ისინი

---

*წლის 17 იანვარი,* http://ind.pn/2jbxPiK; Amnesty International, *სირიისა და რუსეთის ძალები ჰოსპიტალებზე შეტევას საომარ ტაქტიკად იყენებენ, 2016 წლის 3 მარტი,* http://www.refworld.org/docid/56d9574b4.html.

[291] "*ხდება სამედიცინო პერსონალის დაკავება, გაუჩინარება, დაპატიმრება, წამება ან სიკვდილით დასჯა. (...) სამედიცინო პერსონალს ხშირად აკავებენ და რამდენიმე წლით პატიმრობას უსჯიან მათი პროფესიული და ეთიკური მოვალეობების შესრულებისთვის, როგორიცაა, ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე ჰოსპიტალების აღჭურვა, პაციენტების მკურნალობა, პირველადი დახმარების გაწევის სწავლების ჩატარება და ა.შ.";* PHR, *კრიზისის ანატომია – სირიაში ჯანდაცვაზე შეტევის სქემა, 2017 წლის აგვისტო,* http://bit.ly/2qDlnd5, გვ. 2. მადაიაში (დამასკოს სასოფლო პროვინცია), ადგილობრივი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ფარგლებში, სამედიცინო პერსონალი შერიგების პროცესიდან გამორიცხეს, მათ მიერ გაწეული სამედიცინო სამუშაოსა და ოპოზიციისთვის სავარაუდო დახმარებისთვის და ისინი აიძულეს მოცემული ტერიტორია დაეტოვებინათ; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 22, 31. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – Syria*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 2, 4, 27; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 43, 59; Foreign Policy, *ომი სირიელ ექიმებთან*, 2016 წლის 11 აგვისტო, http://atfვვ.co/2aQH9Hh. იხ. აგრეთვე, ზემოთ, "პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1) და მითითებული წყაროები.

[292] აშშ რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო კომისია, *USCIRF ყოველწლიური მოხსენება 2017 - საფეხური 1: USCIRF-ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს (CPC) - სირია*, 2017 წლის 26 აპრილი, http://www.refworld.org/docid/59072f4913.html; ექიმები საზღვრების გარეშე, *MSF ექიმი: ISIS-ის ხელში ცხოვრება საშინელებაა, 2015 წლის 16 დეკემბერი,* http://huff.to/2p1psL5; International Business Times, 'ჩვენი ცხოვრება რაქაში წყვდიადად იქცა' - ამბობს რაქადან გამოქცეული ექიმი ქალი, 2015 წლის 27 ნოემბერი, http://bit.ly/2pcABEH; The Independent, *ISIS-მა დაკეტა ქალთა კლინიკები რაქაში, რათა მამაკაცმა გინეკოლოგებმა ქალ პაციენტებს არ უმკურნალონ, 2015 წლის 29 ოქტომბერი,* http://ind.pn/1XCODuT. იხ. აგრეთვე, „პირები, რომლებიც მიიჩნევიან *შარიათის* კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე" (განყოფილება III.A.9) და „განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები" (განყოფილება III.A.10) და მითითებული წყაროები.

თვითნებურად აპატიმრებენ სამედიცინო პერსონალს ISIS-სთვის გაწეული დახმარებისთვის.[293]

*ჰუმანიტარული მუშაკები*
ჰუმანიტარული მუშაკებისთვის სირია ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ქვეყნად არის მიჩნეული.[294] ისინი ხშირად არიან ჯვარედინი ცეცხლის რისკის წინაშე. ამასთანავე, ჰუმანიტარულ მუშაკთა საქმიანობის ნეიტრალური ბუნების მიუხედავად, როდესაც როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სუბიექტებს მიაჩნიათ რომ ისინი კონფლიქტის რომელიმე მხარეს უწევენ დახმარებას, , მათ წინააღმდეგ სხვა ზომებსაც იყენებენ, როგორიცაა: გატაცება, დაპატიმრება და ძალადობა.[295]

*ადამიანის უფლებათა დამცველები*
ადამიანის უფლებათა დამცველები, იურისტების ჩათვლით, ხშირად არიან სამთავრობო ძალების თავდასხმის ობიექტი - ხდება მათი დახვრეტა, თვითნებური დაკავება და დაპატიმრება გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე, ასევე, მათ წინააღმდეგ არასამართლიანი პროცესების წარმოება სამხედრო და ანტიტერორისტულ სასამართლოებში, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, ქონების კონფისკაცია

---

293 HRW, *სირია: რაქას შემაშფოთებელი ბრძოლები,* 2017 წლის 13 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5970a9844.html

294 CARE, *სირია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ქვეყანაა დამხმარე მუშაკებისთვის: CARE*, 2017 წლის 18 აგვისტო, http://bit.ly/2vO2YNz; უსაფრთხოების პრობლემა შიგნით: იუწყებიან დახმარების მუშაკთა დასახიჩრების შესახებ (2017 წლის იანვარი - 2017 წლის ივნისი), http://bit.ly/2h5elOc; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა*, 2016 წლის 1 დეკემბერი, http://bit.ly/2kCi16M, გვ. 23. 2011 წლიდან მოყოლებული ათობით ჰუმანიტარული მუშაკი არის მოკლული, მათ შორის, გაეროს 21 თანამშრომელი (ამ 21-დან 17 UNRWA-ის პერსონალი იყო), 65 მათგანი იყო სირიის არაბული წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციის (SARC) თანამშრომელი და მოხალისე, ხოლო რვა დაღუპული პალესტინის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების წევრი და მოხალისე იყო. გარდა ამისა, არსებული ინფორმაციის თანახმად, დაღუპულთა შორის არიან საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები. დღეისათვის გაეროს 26 თანამშრომელი არის დაპატიმრებული ან გაუჩინარებული; გაეროს უშიშროების საბჭო, უშიშროების საბჭოს *2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 21 სექტემბერი, S /2017/794, http://www.refworld.org/docid/59d4dc8a4.html, პარ. 39-40. იხ. აგრეთვე, უსაფრთხოების პრობლემა შიგნით, *დახმარების მუშაკები საფრთხეშია - ყოველთვიური ამბების დაიჯესტი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:*, http://bit.ly/2yV2FnC; Devex, ძალადობა გაეროს წინააღმდეგ, დახმარების მუშაკთა მდგომარეობა მძიმდება, 2016 წლის 2 ნოემბერი, http://bit.ly/2lCavcv.

295 SNHR, *ტაჰრირ ალ შამის ჰაიატი იდლიბში მასშტაბურ ძალადობას ახორციელებს, 2017 წლის 21 ოქტომბერი,* http://bit.ly/2i9hWaz, გვ. 8-9; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – Syria*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 23. *მიზანმიმართული თავდასხმა ასევე დაფიქსირდა ჰუმანიტარული დახმარების კოლონაზე, სასწრაფო დახმარების მანქანებზე, საწყობებსა და ოფისებზე;* გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016)რეზოლუციების შესრულება,* 2017 წლის 21 ივლისი, http://www.refworld.org/docid/59881d6f4.html, პარ. 35-36; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 38-45, 66; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2 February 2017, http://www.refworld.org/docid/58b827094.html, პარ. 79-88.

და ძალადობისა და დაშინების სხვა ფორმების გამოყენება.[296] ამავდროულად, როგორც იუწყებიან, ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ არასახელმწიფო შეიარაღებული სუბიექტებიც მოქმედებენ - ხდება მათი დაშინება, სიკვდილით დამუქრება, გატაცება და დაპატიმრება გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე, მათ შორის, ისეთ სიტუაციებშიც, როდესაც ადამიანის უფლებათა დამცველები ამ ჯგუფების მიერ ჩადენილი დარღვევების დოკუმენტირებას ახდენენ.[297]

ჰარდლაინ-სუნიტ ისლამისტთა ჯგუფებმა გამოსცეს „ფატვასი“ (რელიგიური ედიქტი) ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ და ცდილობენ მათი მკვლელობები რელიგიური დოგმებიდან გადახრით გაამართლონ.[298]

*ხელოვნების მუშაკები*

არსებული ინფორმაციის შესაბამისად, სხვადასხვა სადამსჯელო ზომებს იყენებენ ხელოვნების მუშაკების (როგორც სანახაობითი, ისე სახვითი ხელოვნების სფეროს) წინააღმდეგ, მათ შორის, დაპატიმრებას და თავისუფლების აღკვეთას, გაუჩინარებას და მკვლელობას, რასაც კონფლიქტის ყველა მხარე ახორციელებს, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხელოვანები კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის მიმართ კრიტიკული მოსაზრებების გამოხატავენ.[299]

---

[296] Frontline Defenders, *#სირია*, ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს, http://bit.ly/2p0PhL3. იხ. აგრეთვე, GCHR, *სირია: GCHR მოუწოდებს დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ადამიანის უფლებათა ადვოკატი ხალილ მატუქი და მისი თანაშემწე მუჰამედ თატა, 2017 წლის 2 ოქტომბერი,* http://bit.ly/2heYDgl; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; GCHR, *სირია: ბასელ ხარტაბილის 5 წელზე მეტი ხნით პატიმრობა, 2017 წლის 3 მაისი,* http://bit.ly/2tW1rm2; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 2, 32, 42-43; ქალთა უფლებების განვითარების ასოციაცია (AWID), *ქალთა უფლებების დამცველთა მდგომარეობა სირიაში,* 2016 წლის 8 დეკემბერი, http://bit.ly/2gYmukY, გვ. 7, 11-12, 14; გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014) და 2258 (2015) რეზოლუციების შესრულება*, 2016 წლის 19 მაისი, S/2016/460, http://www.refworld.org/docid/57469a6b4.html, პარ. 15; GCHR, *სირიის ადამიანის უფლებათა დამცველებს საერთაშორისო საზოგადოების იმედი გადაეწურა, რადგან ძალადობები არ შემცირებულა, 2016 წლის 15 მარტი,* http://bit.ly/2rmb7FH.

[297] Frontline Defenders, *#სირია*, ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს, http://bit.ly/2p0PhL3; GCHR, *სირია: VDC-ის ოფისზე ბრბოს მიერ იერიშის მიტანის შემდეგ ჟურნალი "ბრძოლა თავისუფლებისთვის" აკრძალეს, ხოლო ჟურნალისტები დააპატიმრეს, 2017 წლის 15 აგვისტო*, http://bit.ly/2weXQpf; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), *სირია: მოტაცებულ აქტივისტთა ადგილსამყოფელი 3 წლის შემდეგაც კვლავ უცნობია, დოუმადან მოტაცებული 4 ადამიანის შესახებ არაფერი ისმის, 2016 წლის 12 დეკემბერი,* http://bit.ly/2pBOSNR; GCHR, *სირიის ადამიანის უფლებათა დამცველებს საერთაშორისო საზოგადოების იმედი გადაეწურა, რადგან ძალადობები არ შემცირებულა, 2016 წლის 15 მარტი,* http://bit.ly/2rmb7FH.

[298] Frontline Defenders, *#სირია*, ხელმისაწვდომი იყო 2017 წლის 30 ოქტომბერს, http://bit.ly/2p0PhL3.

[299] *2015 წლის შუა პერიოდში გამოქვეყნებული მოხსენების შესაბამისად,* SNHR-მა აღრიცხა ხელოვნების 22 მუშაკის მკვლელობა და კიდევ 57 მათგანის დაპატიმრება/გაუჩინარება, რაც ძირითადად მოხდა სამთავრობო ძალების, ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების და ISIS-ის მიერ; SNHR, *სირიის ხელოვნების მუშაკები: თავისუფლებასა და რეპრესიას შორის - განსაკუთრებით თვალსაჩინო ძალადობა სირიელი ხელოვნების მუშაკების წინააღმდეგ, 2015 წლის 28 ივნისი,* http://bit.ly/2pBBvND. იხ. აგრეთვე,, Vocativ, *ისლამური სახელმწიფო ყოველგვარ გასართობს კრძალავს, 2016 წლის 30 მარტი,* http://voc.tv/2ljIevz; Middle East Eye, *'სირიის უმამაცეს კარიკატურისტს წამებით ამოხადეს სული ციხეში', 2015 წლის 23 სექტემბერი,* https://shar.es/1FZNuc; Freemuse, *სირიელი ხელოვნების მუშაკები ტირანიის წინააღმდეგ აღდგნენ, 2015 წლის 27 აპრილი,* http://bit.ly/2qIh1Ao.

UNHCR-ს მიაჩნია, რომ ისეთი პროფესიის პირებს, როგორიც არიან: ჟურნალისტები და მოქალაქე-ჟურნალისტები, მეცნიერები და პედაგოგები, ექიმები და ჯანდაცვის სხვა მუშაკები, ჰუმანიტარული მუშაკები, ადამიანის უფლებათა დამცველები და ხელოვნების მუშაკები, დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა მათი პოლიტიკური შეხედულების ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

### *8) რელიგიური და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების წევრები.*

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა რეგიონების მიხედვით განსხვავდება და განსაკუთრებით დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ აკონტროლებს მოცემულ რეგიონს, როგორია მისი დამოკიდებულება სხვა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების მიმართ, ასევე, მოცემულ რეგიონში კონფლიქტის განვითარების კონკრეტულ მახასიათებლებზე.

კონფლიქტის განვითარებასთან ერთად, რელიგიურმა და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებმა დაიწყეს კონფლიქტის მხარეებთან მიერთება (ან მიჩნეული იქნა, რომ მიუერთდნენ).[300] რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების დიდი ნაწილი ასოციაციის საფუძველზე დაკავშირებული იქნა მთავრობასთან,[301] რომელიც ძირითადად იბრძვის სუნიტ არაბთა ოპოზიციის წინააღმდეგ.[302] 2011 წლიდან

---

[300] *"მასმედიის საერთაშორისო წყაროებზე დაყრდნობით, რელიგიურ უმცირესობათა გარკვეულ ჯგუფებს მთავრობა სუნიტი ექსტრემიზმისგან დამცველად მიაჩნიათ." და კიდევ: 'უბნები, დასახლებები და სოფლები, რომლებიც რელიგიური ნიშნით განსხვავდებოდნენ, მკაცრად იქნა ამ ნიადაგზე დაყოფილი . ეს ძირითადად გამოიწვია რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრთა გადაადგილებამ უფრო უსაფრთხო ადგილებზე, იქ სადაც ერთმორწმუნე თემები ცხოვრობდნენ";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 1, 4. "*ომმა გაამწვავა კონფესიათაშორისი დაპირისპირება და პოლარიზაცია, როგორც მთავრობის, ისე მეამბოხეთა კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე";* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. "შეტევების დროს *მებრძოლებმა სამოქალაქო პირები განზრახ დახოცეს, ვინაიდან მათ* ***თემის ეთნიკური და/ან რელიგიური წარმომავლობა ნავარაუდევ პოლიტიკურ ლოიალობასთან გააერთიანეს.*** *ზოგ შემთხვევაში ხდებოდა* ***წინასწარ დაგეგმილი თავდასხმები ეთნიკურ, რელიგიურ*** *და პროფესიულ თემებზე, ასევე, სექსუალურ უმცირესობებზე (ხაზგასმა დამატებულია),* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2016 წლის 11 თებერვალი, 2016, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 104. მაგალითად, იხ. იგივე მოხსენება, 108, 110, 111, 116.

[301] იხ. ზემოთ, "*პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული*" (განყოფილება III.A.3) და მითითებული წყაროები.

[302] *"ვინაიდან* ***ამბოხი კვლავ უკავშირდება სუნიტ მოსახლეობას,*** *როგორც იუწყებიან, მთავრობა ახორციელებს დასახლებული ტერიტორიების ბლოკადას, საარტილერიო და საჰაერო დაბომბვას მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების საფუძველზე."* და კიდევ: „მართალია, მეამბოხეები თავიანთ განცხადებებსა და პუბლიკაციებში მიუთითებდნენ, რომ ისინი არიან სუნიტი არაბები ან სუნიტი ისლამისტები და მათი მოკავშირეების რიგებიც ძირითადად სუნიტებისგან შედგებოდა, თუმცა, დამკვირვებლების აზრით, მთავრობის მიერ ძალადობის განხორციელებას ამის გარდა სხვა მიზეზებიც ჰქონდა." (ხაზგასმა დამატებულია); აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 1, 6. იხ. აგრეთვე, Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 - სირია*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; Syria Deeply, *როგორ გაყო ჰაფეზ ალ-ასადმა ალავიტების სექტა, 2016 წლის 29 ივნისი,* http://bit.ly/2v1WKaK. იხ. აგრეთვე, ზემოთ, "პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1) და მითითებული წყაროები.

მოყოლებული, ადრე სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებით დასახლებული უბნები, ქალაქები და სოფლები - ახლა რელიგიური ნიშნით დაიყო, რაც ამავდროულად, მოსახლეობის გადაადგილებით იყო გამოწვეული.[303] არსებული ინფორმაციის თანახმად, კონფლიქტის მხარეები კონფესიურ რიტორიკას იყენებენ, რათა ოპოზიციურ პარტიებზე და მათ მხარდამჭერებზე თავდასხმები გაამართლონ.[304] იუწყებიან, რომ მთავრობის მხარდამჭერი ძალების ზრდა, რომელიც ძირითადად რელიგიურ უმცირესობათა მიერთებით იყო განპირობებული, კიდევ უფრო ამწვავებდა კონფესიათა დაპირისპირებას.[305]

---

303 "*შეიარაღებული კონფლიქტი ძირითადად რელიგიური ბუნებისაა, სადაც მთავრობისა და პროსამთავრობო შეიარაღებული დაჯგუფებების თავდასხმების მთავარ სიმძიმეს სუნიტი არაბი მოსახლეობა იღებს თავის თავზე; ამავდროულად, ზოგიერთი ისლამისტური დაჯგუფება ახდენს უმცირესობათა და სხვა ჯგუფების დევნას, რომლებიც არასაკმარისად ღვთისმორწმუნედ მიაჩნიათ, რის გამოც, ყველა კონფესიის სამოქალაქო მოსახლეობა ერთმორწმუნე ჯგუფებთან ეძებს უსაფრთხოებას. შედეგი განსაკუთრებით საგულისხმოა - მიმდინარეობს ქვეყნის დემოგრაფიული ცვლილება, რაც ზოგჯერ წინასწარ განზრახული საომარი სტრატეგიის ელემენტია";* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – Syria*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. "*ძალადობის ან ძალადობისადმი შიშის შედეგად გადაადგილებისას, რელიგიური და ეთნიკური თემები ერთად დაჯგუფებას ცდილობენ. უსაფრთხო ადგილის ძიებისას, მათი გადაადგილების შედეგად მოხდა გეოგრაფიული დაყოფა რეალური ან შერაცხული ლოიალობის საფუძველზე";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება *სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ*, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 95. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 4, 8.

304 "*მასმედიის წარმომადგენლები და მეცნიერ-ექსპერტები მიუთითებენ, რომ მთავრობა შეიარაღებულ დაპირისპირებას კონფესიურ ელფერს აძლევდა, აცხადებდა, რომ ოპოზიციის დემონსტრანტები და მეომრები დაკავშირებული იყვნენ 'ექსტრემისტი ისლამისტების დაჯგუფებებთან' და ტერორისტებთან, რომლებიც ისწრაფვოდნენ ქვეყნის რელიგიური უმცირესობების ამოძირკვისკენ და ებრძოდნენ მთავრობის სამოქალაქო ხასიათის მმართველობას.*" და კიდევ, „*JAN-ი მთავრობასთან ბრძოლას დამამცირებელი ტერმინებით აღწერდა, რაც მიზნად ისახავდა მთავრობის მხარდამჭერთა დელეგიმიტაციას და დეჰუმანიზაციას, მათი ალავიტურ რელიგიასთან იდენტიფიცირების საფუძველზე";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 9, 13. "*ალავიტებსა და შიიტ მუსლიმებს ISIS-ი ურწმუნო მტერს უწოდებს, რომლებიც აქტიურად ებრძვიან ისლამს, ვინაიდან ისინი ალიანსში არიან ალ-ასადის რეჟიმთან"; USCIRF ყოველწლიური მოხსენება 2017 - საფეხური 1: USCIRF - ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ (CPC) - სირია*, 2017 წლის 26 აპრილი, http://www.refworld.org/docid/59072f4913.html. "*საომარი სიტუაციის დამძიმების გამო, მრავალმა სირიელმა თავისი მხარდაჭერა რელიგიურ იდენტობას დააფუძნა. მათ ეშინიათ, რომ მოწინააღმდეგე მხარე მათზე იერიშს მიიტანს რელიგიური კუთვნილების ნიშნით, ამიტომ თავს უსაფრთხოდ მხოლოდ საკუთარ თემში გრძნობენ. ასეთი ქცევა არ არის გამოწვეული მხოლოდ ეთნიკური და რელიგიური მოტივებით, არამედ მას თავდაცვითი ხასიათიც აქვს. მათ ეშინიათ, რომ მოწინააღმდეგე მხარე თავდასხმებს ამ მიზეზით განახორციელებს და ამიტომაც მათ თავისიანებთან ერთად ყოფნა ურჩევნიათ. აღნიშნული ხელს უწყობს სასტიკი თავდასხმების განხორციელებას: თუ ალავიტები მიიჩნევიან ასადის ერთგულ მხარდამჭერებად, მაშინ სუნიტთა შეიარაღებულ ჯგუფებს შეუძლიათ გააკეთონ დასკვნა, რომ ყველა ალავიტი მოსახლე არის საფრთხე და შესაბამისად მოექცნენ მათ, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო თავდაცვაზე ორიენტირებულ დაყოფას იწვევს";* The New York Times, *პირდაპირი პასუხები მარტივ შეკითხვებზე სირიის ომის შესახებ,* 2016 წლის 18 სექტემბერი, http://nyti.ms/2tc3Vk1. იხ. აგრეთვე, Open Democracy, *სირია, ამბოხი და მასმედიის ადგილი, 2017 წლის 26 ოქტომბერი,* http://bit.ly/2zJgmn3; The New York Times, *ალეპოსთვის ბრძოლას ბუნდოვანი ალიანსები ქაოსს ჰმატებს,* 2016 წლის 6 ოქტომბერი, http://nyti.ms/2vRUHu4.

305 "*ამბოხის კონფესიათაშორისი დაპირისპირების ფონზე, 2011 წლის მარტში ომის დაწყებას, სუნიტების შეიარაღებული დაჯგუფებების მხრიდან მძლავრი საპასუხო რეაგირება მოჰყვა. მშვიდობიანი დემონსტრანტების მასიური დახვრეტა და პროტესტების ჩახშობაში ძირითადად ალავიტთა შეიარაღებული დაჯგუფებების მონაწილეობა, კონფესიური მობილიზაციის მიზეზი გახდა";* საერთაშორისო და უსაფრთხოების საქმეთა გერმანული ინსტიტუტი, *სირიის კონფესიური გაუგებრობა,* 2017 წლის აპრილი, http://bit.ly/2wKTcv3. "ჯარის

ISIS-ის, ჯაბჰატ ფატა ალ-შამის და ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მებრძოლები თავს ესხმიან ქურთ სამოქალაქო მოსახლეობას YPG-თან და/ან მთავრობასთან მათი რეალური ან სავარაუდო თანამშრომლობისთვის.[306]

მთელ რიგ შემთხვევებში, ISIS-ის, ჯაბჰატ ფატა ალ-შამის და ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების შესვლას რელიგიური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, თან სდევს სამოქალაქო პირთა გატაცება და დახოცვა, მათი სახლებისა და

---

მაღალი ეშელონები ძირითადად დაკომპლექტებულია ალავიტებით - ასადის რელიგიური ჯგუფის წევრებით; ოფიცერთა კორპუსში ასევე არაპროპორციულად არიან წარმოდგენილი სხვა უმცირესობათა წარმომადგენლები"; CFR, *ვინ ვინ არის სირიის სამოქალაქო ომში*, ბოლო განახლება, 2017 წლის 28 აპრილი, http://on.cfr.org/2tkoEBO. "(…) *NDF* [ეროვნული თავდაცვის ძალები] ასევე ხშირად მოიხსენება, როგორც სექტის სამხედრო შენაერთები, სადაც ალავიტები და სირიის სხვა უმცირესობები დომინირებენ"; ჯეიმსთაუნის ფონდი, *ინსტიტუციონალიზებული 'სამხედრო მეთაურობა': სირიის ეროვნული თავდაცვის ძალები, 2017 წლის 24 მარტი,* http://bit.ly/2n9Gv8p. "*კონფესიათაშორის დაპირისპირებას კიდევ უფრო აღვივებს მთავრობის შეტევები იმ თემებზე, რომლებიც შეიარაღებული ჯგუფების მხარდამჭერებად მიიჩნევიან - მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და/ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე, და ალავიტთა და შიიტთა ძალებისადმი მთავრობის განსაკუთრებული ნდობა, როგორც მათ საკუთარ რიგებში, ისე მოკავშირეთა სამხედრო შენაერთებში*"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება *სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ*, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 115. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 8; Chatham House, *რეჟიმი და ლოიალური შეიარაღებული დაჯგუფებები იბრძოლებენ მათი ურთიერთობების გასარკვევად, 2017 წლის ივლისი,* http://bit.ly/2vIuvi0.

[306] "*ISIS-ი აგრძელებდა თავდასხმებს სირიის ქურთ მოსახლეობაზე. ეს მათი სახალხო დაცვის შენაერთებთან(YPG - რომელიც ძირითადად ქურთი ეროვნების მეომრებით არის დაკომპლექტებული და რომელთა იდეოლოგიაც, ჟურნალისტებისა და ანალიტიკოსების შეფასებით, ემყარება სამოქალაქო (არასასულიერო) მმართველობის პრინციპებს" ბრძოლის ტაქტიკის ერთ-ერთი ნაწილი,*; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 12. "*COI-ის შესაბამისად, დაეშმა მრავალჯერ დაუშინა ჭურვები სამედიცინო ცენტრებს ქურთთა სახალხო დაცვის კავშირის მიერ ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე და თვითმკვლელი ტერორისტების მეშვეობით ხალხმრავალ ქუჩებსა და ჰოსპიტლების შორიახლოს სამოქალაქო პირებზე თავდასხმები განახორციელა";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 22. მაგალითად, 2017 წლის 19 მაისს, ISIS-ის მებრძოლთა მცირე ჯგუფი SDF-ის კონტროლირებულ სოფელ ალბუ შამში შევიდა (დეირ ერ-ზურის პროვინცია) და 28 სამოქალაქო პირი მოკლა; გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 23 ივნისი, http://www.refworld.org/docid/595640f74.html, გვ. 17. იხ. აგრეთვე, The New York Times, *ამბობენ, რომ ISIS-მა სირიაში ასობით ქურთი მოქალაქე მოიტაცა, 2016 წლის 24 ივნისი,* http://nyti.ms/2mlSB0x. ქალაქ ალეპოში, ანტისამთავრობო შეიარაღებულმა ჯგუფებმა, ჯაბჰატ ფატა ალ-შამის ჩათვლით, ქურთებით დასახლებულ და YPG-ის მიერ კონტროლირებულ შეიხ მასქუს საცხოვრებელ უბანზე მიიტანეს იერიში, რაც, როგორც იუწყებიან, იყო შურისძიება YPG-ის და სამთავრობო ძალებისადმი სავარაუდო მხარდაჭერისთვის; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 2 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b827094.html, პარ. 75-78, 100. იხ. აგრეთვე, Amnesty International, *2016/17 – სირია,* 2017 წლის 22 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b033aba.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 30, 62; ალ-ჯაზირა, *კონფლიქტი კონფლიქტის შიგნით: ალეპოს შეიხ მასქუდი, 2016 წლის 3 აგვისტო,* http://bit.ly/2mpQ6dW; Amnesty International, *სირია: ოპოზიციის შეიარაღებული ჯგუფები ალეპოში სამხედრო დანაშაულს ჩადიან, 2016 წლის 13 მაისი,* http://www.refworld.org/docid/57358dc54.html. იხ. აგრეთვე, ზემოთ, "*პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული*" (განყოფილება III.A.3) და მითითებული წყაროები.

სხვა ქონების ძარცვა და განადგურება, და რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა.[307] შევიწროების ასეთი ფაქტები პოლიტიკური (მთავრობისადმი სავარაუდო მხარდაჭერა) ან რელიგიური საფუძვლებით (რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები ISIS-ს, ჯაბჰატ ფატა ალ-შამს და ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებს „ურწმუნოებად მიაჩნიათ“) , ან ორივე საფუძვლით ერთად არის მოტივირებული.[308]

---

[307] “(…) ტაჰრირ ალ-შამის ჰაიათი, *ISIL-ი და შეარაღებული ჯგუფის მებრძოლები თავს ესხმიან რელიგიურ უმცირესობებს, რისთვისაც იყენებენ დანაღმულ მანქანებს, თვითმკვლელ ტერორისტებს და სნაიპერებს, ასევე, მძევლად აჰყავთ ისინი*”; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 83. იხ. აგრეთვე, ამავე მოხსენების პარ. 36-48, 83. “*ISIL-ი და მრავალი სხვა შეიარაღებული ჯგუფი პირდაპირ საფრთხეს უქმნიან სამოქალაქო მოსახლეობას, განსაკუთრებით რელიგიურ უმცირესობათა წევრებს“;* დაცვაზე პასუხისმგებლობის გლობალური ცენტრი, სირია, *R2P მონიტორი*, გამოცემა 34, 2017 წლის 15 ივლისი, http://bit.ly/2gMvR94, გვ. 3. მაგალითად, 2017 წლის 18 მაისს, ISIS-ის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს მთავრობის მიერ კონტროლირებულ და ძირითადად ისმაილის რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლებით დასახლებულ სოფელ აქარიბზე (ჰამას პროვინცია). სულ მცირე, 52 სამოქალაქო პირი მოკლეს და 100 დაჭრეს, მათგან შვიდი ქალი და 12 ბავშვი იყო. არსებული ინფორმაციის თანახმად, მრავალი ადამიანი დაიღუპა ჯვარედინი სროლის შედეგად, გაქცევის მცდელობისას, ბევრი დახვრიტეს, ხოლო ზოგს ყელი გამოჭრეს; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 44-45; გაეროს უშიშროების საბჭო, *გაეროს უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის 23 ივნისი, http://www.refworld.org/docid/595640f74.html, გვ. 16. 2016 წლის მაისში, ჯაბჰატ ალ-ნუსრამ, ალ-თავიდის ბრიგადებმა და აჰრარ ალ-შამის ძალებმა აიღეს ძირითადად ალავიტებით დასახლებული ქალაქი ალ-ზარა (ჰამას პროვინცია), რომლის დროსაც მოიტაცეს სამოქალაქო პირები, მათ შორის, ქალები და ბავშვები, ხოლო ზოგი მათგანი დაასახიჩრეს; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 115; The National, *ალ-ქაიდა და მისი მოკავშირეები კლავენ 19 მოქალაქეს სირიის ალავიტთა სოფელში, 2016 წლის 14 მაისი,* http://bit.ly/2lOu3hk. როგორც SOHR-ი იუწყება, ეს თავდასხმა იყო „ალეპოზე შურისძიების“ კამპანიის ნაწილი, სადაც სამთავრობო და ანტისამთავრობო ძალებს შორის ბრძოლების ესკალაცია მოხდა; Reuters, *მეამბოხეებმა აიღეს ალავიტების სოფელი სირიაში, მოიტაცეს სამოქალაქო პირები, 2016 წლის 12 მაისი,*, http://reut.rs/1OoRx0l. უფრო ადრე მსგავსი ინციდენტები მოხდა სხვა უმცირესობათა დასახლებებში (ალავიტების, შიიტების, ისმაილის, დრუზების, ქრისტიანების), რომლებიც (დროებით) დაიკავეს სხვადასხვა ანტისამთავრობო შეიარაღებულმა ძალებმა დეირ ეზ-ზურის, დარას, ჰამას, ჰომსის, ლატაკიას, ჰასაკეს და დამასკოს პროვინციების ქალაქგარე დასახლებებში; იხ. *მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის* შემდგომი მოხსენებები ვებგვერდზე: http://bit.ly/2la15rZ. იხ. აგრეთვე, ატლანტიკის საბჭო, *ISIS-ი რაქას შემდეგ, 2017 წლის 29 ივნისი,* http://bit.ly/2tj3Wzp; IRIN, *ხაფანგში მომწყვდეულები: როგორ გახდა ხაფანგი ჩრდილო-დასავლეთი სირია ასი ათასობით სამოქალაქო პირისთვის, 2017 წლის 28 მარტი,* http://bit.ly/2oatCPI.

[308] “*ძალადობის პოლიტიკური, ეთნიკური, კონფესიური და რელიგიური მოტივაციების ურთიერთგადაფარვის გამო, ზოგიერთი ინციდენტის მხოლოდ რელიგიურ საფუძველზე ჩადენილად კატეგორიზება რთული იყო“;* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 6. “*ექსტრემისტულმა ოპოზიციურმა ჯგუფებმა რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს ალავიტთა დასახლებებზე,* ***მათი სავარაუდო პროსამთავრობო განწყობის საფუძველზე“*** *(ხაზგასმა დამატებულია);* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 52. “ *ISIS-სა და ჯაბჰატ ალ-ნუსრას ზოგიერთი თემი განსაკუთრებით ჰყავდათ მიზანში ამოღებული, დისკრიმინაციული განზრახვით,* ***მათი რეალური ან ნავარაუდევი რელიგიური და/ან ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე****. ზოგიერთი თავდასხმის დროს, ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები ჯაბჰატ ალ-ნუსრასთან შეთანხმებით მოქმედებენ. ზოგჯერ იერიშის მოტივაციის დადგენა უფრო რთულია, რომლის დროსაც* ***თავდამსხმელები აერთიანებენ თემის ეთნიკურ და/ან რელიგიურ ნიშნებს და მის ნავარაუდევ პოლიტიკურ ლოიალობას****. როდესაც ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს მოწინააღმდეგის მებრძოლი დაჯგუფების მხარდაჭერაში ადანაშაულებენ, დისკრიმინაციის და ზოგ*

ექსტრემისტული ან მკაცრი ისლამისტური ჯგუფების (როგორიცაა, ISIS-ი და ჯაბჰატ ფატა ალ-შამი) კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობას (როგორც სუნიტებს, ასევე არა-სუნიტებს) ემუქრება გატაცება, წამება და სიკვდილით დასჯა, რადგან ისინი არ მიეკუთვნებიან ისლამის მკაცრ დამცველთა ჯგუფებს. დასჯის საფუძველი შეიძლება გახდეს ისეთი ბრალდებები, როგორიცაა: განდგომა, ღვთის გმობა და უღირსი ქცევა.[309] როგორც იუწყებიან, ზოგიერთი რელიგიური ფიგურა მოიტაცეს ან მოკლეს,[310] ხოლო ისლამისტი ექსტრემისტების მიერ ხდება რელიგიური შენობების წაბილწვა და განადგურება, მათ შორის: ქრისტიანული ეკლესიების, სუფისტური, ალავიტური და შიიტური მეჩეთებისა და სალოცავების ჩათვლით.[311] ISIS-ის ძალები, ტერიტორიის ხელში ჩაგდების შემდეგ, იქ დარჩენილ ქრისტიანებს რამდენიმე ალტერნატივას სთავაზობდა: სიკვდილით დასჯა; ბეგარის გადახდა - ისლამური სახელმწიფოს არამუსლიმი მოქალაქის „დაცვის“ სანაცვლოდ (“*jiziya*”); ან ისლამური სარწმუნოების მიღება.[312] არსებული ინფორმაციის

---

*შემთხვევაში, ძალადობრივი თავდასხმის -ობიექტი - მთელი თემი ხდება“;* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 13 აგვისტო, A/HRC/30/48, http://www.refworld.org/docid/55e955344.html, პარ. 110-111. იხ. აგრეთვე, ზემოთ, “*პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული*” (განყოფილება III.A.3) და მითითებული წყაროები.

[309] “*არასახელმწიფო აქტორები, გაეროსა და სხვა მთავრობების მიერ ტერორისტულ ორგანიზაციებად აღიარებული ჯგუფების ჩათვლით, როგორიცაა, ISIS-ი და ჯაბჰატ ალ-ნუსრა (JAN, რომელიც ალ-ნუსრას ფრონტის სახელითაც არის ცნობილი), განურჩეველ თავდასხმებს ახორციელებენ შიიტებზე, ალავიტებზე, ქრისტიანებსა და სხვა რელიგიურ უმცირესობებზე, ასევე - სხვა სუნიტებზე. განურჩეველი თავდასხმების გარდა, მათ მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ხდება მკვლელობები, მოტაცება, არასათანადო ფიზიკური მოპყრობა და დაკავება. მაგალითად, ექსტრემისტულმა ჯგუფებმა დაიწყეს თვითმკვლელი ტერორისტებით შეტევა ლატაკიის პროვინციაზე, სადაც მათი სამიზნე - როგორც თვით ეს ჯგუფები აცხადებენ - ალავიტი მუსლიმები იყვნენ. ISIS-მა ათობით ადამიანი საჯაროდ სიკვდილით დასაჯა, ჯვარზე გააკრა და თავი მოჰკვეთა - მამაკაცებს, ქალებს და ბავშვებს, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სხვა სარწმუნოებაზე გადასვლა, ღვთისგმობა, ჰომოსექსუალიზმი და ეკლესიისაგან განდგომა“;* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 1. “*ოპოზიციის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე აღმსარებლობის თავისუფლება ზოგადად შეზღუდული არ არის, გარდა ისლამური ჯგუფების მიერ კონტროლირებული ტერიტორიებისა“;* Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – Syria*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, “*პირები, რომლებიც მიიჩნევიან შარიათის კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე*” (განყოფილება III.A.9) და მითითებული წყაროები.

[310] “*სირიის მართლმადიდებელი არქიეპისკოპოსი იოჰან იბრაჰიმი და ბერძენი მართლმადიდებელი არქიეპისკოპოსი პავლე იაზიგი 2013 წლის აპრილში გაიტაცეს და წლის ბოლომდე მათი ადგილსამყოფელი უცნობი იყო. იეზუიტი მღვდელი, პაოლო დალ ოგლიო, 2013 წლის ივლისში ISIS-ის მეომრებმა რაქადან გაიტაცეს, ადგილსამყოფელი უცნობია“;* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 14. იხ. აგრეთვე, *USCIRF ყოველწლიური მოხსენება 2017 - საფეხური 1: USCIRF-ქვეყნები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს (CPC) - სირია*, 2017 წლის 26 აპრილი, http://www.refworld.org/docid/59072f4913.html.

[311] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 2; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html

[312] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 14; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება *სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ*, 2016

შესაბამისად, ISIS-ი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებსა და გოგონებს აიძულებდა დაქორწინებულიყო სექსუალური მონობის მიზნით.[313] ჯებელ ალ-სუმაქის რაიონში (იდლიბის პროვინცია) ჯაბჰატ ფატა ალ-შამის ძალები დრუზების რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს სისტემატიურად აიძულებდნენ განდგომოდნენ თავიანთ რელიგიას და სუნიტთა ისლამური სარწმუნოება მიეღოთ.[314] 2015 წლის 30 ოქტომბერს დოუმას (დამასკოს პროვინციისქალაქგარე დასახლება) ბაზრის საჰაერო დაბომბვის შემდეგ და შემდგომი საჰაერო თავდასხმების შეკავების მიზნით, ჯეიშ ალ-ისლამისტები რკინის გალიებში ათავსებდნენ ალავიტური რელიგიის მიმდევარ ქალებსა და კაცებს, რათა ისინი დაბომბვების დროს ცოცხალად ფარად გამოეყენებინათ.[315] სირიის მოკვლევის დამოუკიდებელმა საერთაშორისო კომისიამ 2017 წელს დაადგინა, რომ ადრა-ალ ომალიას (დამასკოსპროვინციის ქალაქგარე დასახლება) 275-მდე მცხოვრები (ქალები, კაცები და ბავშვები) რომლებიც რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები იყვნენ, მათ შორის, ალავიტები,

---

წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 109-111. იხ. აგრეთვე, TRT World, *ქრისტიანები გარბიან დაეშების მიერ კონტროლირებული რაქადან, 2017 წლის 10 აგვისტო,* http://bit.ly/2vBjLn2; Ara News, *ქურთთა ძალებმა 7 ქრისტიანი დაიხსნეს ISIS-გან სირიის რაქაში,* 2017 წლის 9 აგვისტო, http://bit.ly/2fHColm; Newsweek, *ISIS-ი ქრისტიანულ ოჯახებს რაქადან გასვლის საშუალებას არ აძლევს,* 2016 წლის 30 მარტი, http://bit.ly/2rGS4Ht.

[313] "*2015 წლის თებერვალში, ალ-ჰასაკას პროვინციის (ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი) ასირიულ სოფლებში ISIS-ის შეჭრის შემდეგ, 30-მდე ასირიელი ქრისტიანი ქალი დაატყვევეს და სექსუალური მონობა აიძულეს";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2017 მოხსენება ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ,* 2017 წლის 27 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html. "*ISIL-ი კვლავ სექსუალურ მონობაში ამყოფებს ერაყის იეზიდთა თემის და **უმცირესობათა სხვა ჯგუფების** ქალებს სირიის არაბთა რესპუბლიკაში, **მათი ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საფუძველზე**. უმცირესობების წარმომადგენელ ქალებსა და გოგონებს ყიდიან, ცვლიან, მებრძოლებს ჩუქნიან, ხდება მათი ტრეფიკინგი და დატყვევება გამოსყიდვის მიღების მიზნით";* გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ,* 2016 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a0d24.html, პარ. 69. იხ. აგრეთვე, "*განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები*" (განყოფილება III.A.10) და მითითებული წყაროები.

[314] როგორც იუწყებიან, 2015 წლის თებერვალში, ჯაბჰატ ფატა ალ-შამმა (შემდგომში ცნობილი გახდა ჯაბჰატ ალ-ნუსრას სახელით), იდლიბის პროვინციაში, დრუზების თემს უბრძანა ისლამის სარწმუნოება მიეღო: ქალებს უბრძანეს ისე ჩაეცვათ, როგორც ამას ჯგუფის მიერ ისლამის კანონების განმარტება მოითხოვდა, ხოლო დრუზი ბავშვებისთვის ესწავლებინათ ისლამის სალაფიტურ ჯიჰადისეული განმარტება. არსებული ინფორმაციის თანახმად, განადგურებული იქნა დრუზების წმინდა ადგილები, კერძოდ, სამარხები. 2015 წლის ივნისში, დრუზების სოფლის 20 მაცხოვრებელი მოკლეს ჯაბჰატ ფატა ალ-შამთან დაპირისპირებისას. 2016 წლის სექტემბერში, ჯაბჰატ ფატა ალ-შამმა კიდევ ერთი ბრძანება გამოსცა, რომლითაც დრუზების თემს შეახსენა მკაცრად დაეცვათ ისლამის წესები; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია,* 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 13; Syria Comment (ბლოგი), *ტაჰრირ ალ-შამის ჰაიატი და ჯაბალ ალ-სუმაქის სამოქალაქო საზოგადოება, 2017 წლის 4 მარტი,* http://bit.ly/2uKKY5g; BBC, *კონფლიქტის გავრცელების შედეგად სირიელ დრუზებს საფრთხე დაემუქრა, 2015 წლის 19 ივნისი,* http://bbc.in/2rXK0Vj; Syria Comment (ბლოგი), *დრუზების სოფლის მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა ქალბ ლაუზაში, იდლიბის პროვინცია, 2015 წლის 15 ივნისი,* http://bit.ly/2rtNzSC; Syria Direct, *იდლიბელი დრუზები დათანხმდნენ იძულებით შეიცვალონ სარწმუნოება, ნუსრას წესის შესაბამისად სამარხებს არბევენ, 2015 წლის 17 მარტი,* http://bit.ly/2qFkeW3.

[315] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება *სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ,* 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 105; HRW, *სირია: შეიარაღებული ძალები, იერიშის თავიდან ასაცილებლად, გალიებში დატუსაღებულ მძევლებს იყენებენ, 2015 წლის 2 ნოემბერი,* http://www.refworld.org/docid/563893884.html.

ისლამისტები, დრუზები და ქრისტიანები, ანტისამთავრობო შეიარაღებულმა ჯგუფებმა 2013 წლის დეკემბერში მოიტაცეს და ისინი კვლავ ტყვეობაში ჰყავთ.[316] 2017 წლის აპრილში, ეგრეთწოდებული „ოთხი ქალაქის შეთანხმების“ საფუძველზე, ალყაშემორტყმული ფუ' აჰიდან და კეფრაიადან (იდლიბის პროვინცია) შიიტები იძულებით გაასახლეს.[317]

UNHCR-ს მიაჩნია, რომ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის წევრებს, რომლებიც არიან ISIS-ის, ჯაბჰატ ფატა ალ-შამის და ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებული ტერიტორიებიდან, დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა მათი რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

UNHCR-ს მიაჩნია, რომ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის წევრებს, რომლებიც ზემოაღნიშნული ტერიტორიებიდან განსხვავებული ადგილებიდან არიან, შესაძლებელია საჭიროებდნენ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვას მათი რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

ინფორმაცია სუნიტთა მდგომარეობის შესახებ, რომლებიც მთავრობის მოწინააღმდეგედ არიან მიჩნეული, იხ, სექცია III.A.1.

### 9) პირები, რომლებიც მიიჩნევიან *შარიათის* კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე

რადიკალი სუნიტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების (ISIS-ის და ჯაბჰატ ალ-შამის ჩათვლით) დე ფაქტო კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც არ იზიარებენ რელიგიისა და ისლამური კანონის მკაცრ განმარტებებს, ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის მსხვერპლი ხდებიან. ასეთი დარღვევების სამიზნეები განსაკუთრებით არიან ქალები,[318] განსხვავებული

---

[316] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 46-48; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი*, http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 70.

[317] ალეპოში ევაკუაციის კოლონაზე თავდასხმის შემდეგ, რამდენიმე ევაკუირებული პირი - მათ შორის, სულ მცირე, ერთი ბავშვი (მას შემდეგ რაც მას სამედიცინო დახმარება გაუწიეს) იქნა გატაცებული ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფის მებრძოლთა მიერ; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 42. ევაკუაციის შესახებ, იხ. აგრეთვე, ზემოთ, "*ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები – ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები, ჯაბჰატ ალ-შამის ჩათვლით*" (განყოფილება II.C.3) და მითითებული წყაროები.

[318] "*ჯაბჰატ ალ-ნუსრა და დაეში მკაცრად მოითხოვენ, რომ ქალებმა მტკიცედ დაიცვან ჩაცმის წესი, რომელიც ითვალისწინებს ფართო ტანისამოსს და თავსაბურების წყებას, აკრძალულია ჯინსები, ვიწრო სამოსი და კოსმეტიკა.* (…) *მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე დაეშმა გამოაქვეყნა „ცივილიზაციის დოკუმენტი“, სადაც მითითებულია 16-პუნქტზე, რომლის დარღვევასაც შეიძლება მოჰყვეს ქალის სიკვდილით დასჯა. მაგალითად: შინ*

სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები[319] და რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების წევრები.[320] ISIS-ი, მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, მკაცრ რეგულაციებს აწესებს ადამიანთა ჩაცმულობასთან, ქცევასთან და სოციალურ ურთიერთქმედებებთან დაკავშირებით. ხდება „არაისლამისტურად" მიჩნეული საქმიანობების აკრძალვა, როგორიცაა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა ან მუსიკის მოსმენა, მოწევა, ალკოჰოლური სასმელის ქონა, ლოცვის დროს კომერციული საქმიანობა, ტატუირება და რამადანის მარხვის დარღვევა.[321] ის პირები რომლებიც მიჩნეულნი არიან ჯგუფის მიერ მკაცრად ინტერპრეტირებული ისლამის პრინციპების დამრღვევებად ხშირად ხდებიან ისეთი დანაშაულების მსხვერპლნი, როგორიცაა: მოტაცება, თავისუფლების აღკვეთა, ფიზიკური ტკივილის გამომწვევი დასჯა, დასახიჩრება და სიკვდილის დასჯა. ხშირად ეს ხდება უკანონოდ შექმნილი „სასამართლოების" განაჩენის გამოტანის საფუძველზე, საერთაშორისო სტანდარტების უხეში დარღვევით ჩატარებულ ხანმოკლე „სასამართლო

---

*ყოფნა და გარეთ გასვლა მხოლოდ უშულო ნათესავი მამაკაცის (მაჰრამის) თანხლებით; ფართო ტანისამოსის (მანტოის) ტარება, სახის დაფარვა სრული ჩადრით და თავსაბურის ტარება; საპარიკმახერო სალონების დახურვა; საზოგადო თავშეყრის ადგილებზე სკამზე დაჯდომის აკრძალვა; მამაკაც ექიმთან მისვლის დაუშვებლობა. დაეშმა ქალაქ რაქაში შექმნა 'ალ-ხანსას' ბრიგადა, მთლიანად ქალებისაგან შემდგარი პოლიციის რაზმი, რომელშიც ძირითადად შედიოდნენ ქალები სხვა ქალაქებიდან, რომლებიც ქალებს შორის ამ წესების აღსრულებას ემსახურებოდნენ, ზოგჯერ - ძალადობრივი მეთოდებით";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 48. "*რადიკალური რელიგიური წესები, რომლებსაც შეიარაღებული ჯგუფები (მათ შორის, ISIL-ი) ახორციელებენ ამ ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ქალებსა და გოგონებზე. ეს მოიცავს ქალთა საჯაროდ შეურაცხყოფას ჩაცმულობის რადიკალური კოდექსის დარღვევისთვის და მათი გადაადგილების, გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. ქალები, რომლებიც ამ წესების დამრღვევებად იქნენ მიჩნეული, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას დაექვემდებარნენ";* გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია,* 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 45. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია,* 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 11, 12, 15; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 77-81. იხ. აგრეთვე, ქვემოთ, "*განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები*" (განყოფილება III.A.10) და მითითებული წყაროები.

[319] იხ. ქვემოთ, "*განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები*" (განყოფილება III.A.12) და მითითებული წყაროები.

[320] იხ. ზემოთ, "*რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრები*" (განყოფილება III.A.8) და მითითებული წყაროები.

[321] "*ISIL-ი ახდენს სამოქალაქო პირებისა და მეომრების საჯარო გაროზგვას და კიდურების მოკვეთას ტერორისტთა ჯგუფის წესების დარღვევისთვის. ქალაქ რაქას საჯარო სკვერში ხდება მამაკაცებისა და ვაჟების გაროზგვა სიგარეტის მოწევისთვის ან ლოცვის დროს ვაჭრობისთვის. ქალებს გაროზგვა ემუქრება, თუ მათ სხეული სათანადოდ არ ექნებათ ტანისამოსით დაფარული. ქალებსა და მამაკაცებს გაროზგვა ემუქრებათ, თუ ისინი იქნებიან საწინააღმდეგო სქესის პიროვნებასთან, რომელიც მათი ოჯახის წევრი არ არის";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია,* 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 11, 12; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 14, 24, 48, 49; გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია,* 2016 წლის 9 ივლისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 26.

პროცესებზე“.[322] მოხსენებებში ასევე ნათქვამია, რომ ქალის მიერ დარღვევის ჩადენისას პასუხისმგებლობა ასევე ეკისრებათ მათ მამაკაც ნათესავებს - მამებს, ძმებსა და მეუღლეებს.[323]

არსებული ინფორმაციის თანახმად, სხვა ისლამისტური შეიარაღებული ჯგუფები, ჯაბჰატ ფატა ალ-შამის ჩათვლით, ზოგ შემთხვევაში, ისლამისა და ისლამური კანონის მკაცრი განმარტების დარღვევისთვის, სასჯელის მკაცრ ზომებსაც იყენებენ მათ შორის, სიკვდილით დასჯას იყენებდნენ..[324]

---

[322] არსებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს ხშირად სჯიან ‘არაისლამური’ ქცევისთვის ან საქმიანობისთვის, როგორიცაა, კანონგარეშე ურთიერთობები განსხვავებული სქესის პირთან, სქესობრივი აქტი იმავე სქესის პირთან, ღვთისგმობა, ჯადოქრობა, და ისლამის ჩაცმულობის კოდექსის დარღვევა.“ *„[2017 წლის] სექტემბერში, OHCHR-მა მიიღო შეტყობინება, რომ იდლიბის სამხრეთით, ქალაქ კაფრუმაში, ტაჰრირ ალ-შამის სასამართლომ, რომელიც მარატ ან ნუმენში მოქმედებს, ღვთისმგმობი ლექსიკისთვის სიკვდილით დასჯა მიუსაჯა 18 წლის ახალგაზრდა კაცს. მარატ ან ნუმანსა და კაფრ ნობოლში ორგანიზებული რამდენიმე საპროტესტო აქციის შემდეგ, მისი სიკვდილით დასჯა შეაჩერეს და სასჯელი რვა თვით კარცერში პატიმრობით შეუცვალეს. OHCHR-მა მიიღო ინფორმაცია, რომ პატიმრობის პერიოდში მას სასტიკად ეპყრობოდნენ და აწამებდნენ“;* OHCHR, სირია: ყოველთვიური დაიჯესტი ადამიანის უფლებათა შესახებ - 2017 წლის სექტემბერი, 2017 წლის 6 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/59db24594.html, გვ. 5. “[2017 წლის] 9-12 აპრილს, ჯეს ხალიდ იბნ ალ-ვალიდის მებრძოლებმა, შარაჯაში [დერას პროვინცია], 21 წლის ტასილელი მამაკაცი და 52 წლის საჰამ ალ-ჯავლენელი მამაკაცი მოკლეს, მათ ღვთისმგმობი ლექსიკის გამოყენებაში დასდეს ბრალი. ორივე მათგანი სამოქალაქო პირი იყო. ორივე მათგანი, სიკვდილით დასჯამდე, რამდენიმე დღის განმავლობაში ‘ჰისბას’ რელიგიურ პოლიციას ჰყავდა დაკავებული“; გაეროს უშიშროების საბჭო, *უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014), 2191 (2014), 2258 (2015) და 2332 (2016) რეზოლუციების შესრულება*, 2017 წლის აგვისტო, S/2017/733, http://www.refworld.org/docid/59aebbad4.html, გვ. 16. “*საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ISIL-ი აგრძელებდა სიკვდილით დასჯის და მძიმე ფიზიკური დასჯის გამოყენებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც მათ მკაცრ რელიგიურ წესებს არღვევდნენ; სასჯელის უმძიმეს ზომას, სიკვდილით დასჯას უფარდებენ ქალებს - ღალატისთვის, და მამაკაცებს - არაბუნებრივი (სოდომური) სექსუალური ურთიერთობებისთვის“;* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი*, http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 77. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 13; Amnesty International, *2016/17 – სირია*, 2017 წლის 22 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/58b033aba.html.

[323] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 15; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 14; The New York Times, *ISIS-ის ხელში მოხვედრილი ქალებისთვის, ჩაცმულობის კოდექსის ტირანია და სასჯელი, 2016 წლის 12 დეკემბერი,* https://nyti.ms/2k37DEc.

[324] “*ჯაბჰატ ალ-შამის ტერორისტული ჯგუფი აგრძელებს სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯას, ქალების ჩაქოლვის ჩათვლით, რომლებსაც ქორწინების გარეშე ურთიერთობებში ედებათ ბრალი“;* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი*, http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 73, 109. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 13; Syria Direct, *მკაცრი ისლამისტები კრძალავენ მოწევას, ‘რომელიც სტრესის მოხსნის ერთ-ერთი საშუალებაა’ იდლიბში, 2017 წლის 10 აგვისტო,* http://bit.ly/2w6auWo; ABC, *‘სირიის იდლიბში გამომწყვდეულ მილიონობით ადამიანს ‘კატასტროფის’ შიში აქვს, 2017 წლის 15 მაისი,* http://ab.co/2r88tH8; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 17, 48; The Independent, *სირიელი გოგონა რელიგიურმა პოლიციამ დააკავა ‘არასათანადო ჩაცმულობისთვის’, რომელიც თანაკლასელების პროტესტის შემდეგ გაანთავისუფლეს, 2017 წლის 16 თებერვალი,* http://ind.pn/2kWcqe8; Amnesty

UNHCR-ს მიაჩნია, რომ შარიათის კანონის დამრღვევად მიჩნეულ პირებს, იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც ექსტრემისტული ისლამური შეიარაღებული ჯგუფების კონტროლის ან გავლენის ქვეშ არის, **დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა** მათი პოლიტიკური შეხედულების ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების და რელიგიის საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.

### *10)* განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები

მიმდინარე კონფლიქტი მძიმე ზემოქმედებას ახდენს ქალების მდგომარეობაზე, რადგან მათ მიმართ კონფლიქტის სხვადასხვა მხარეთა მხრიდან , გენდერის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ხშირი დარღვევები ხდება .[325] როგორც იუწყებიან, ხდება ქალების თვითნებური დაკავება,დაპატიმრება გარე სამყაროსთან კავშირის გარეშე, მოტაცება, წამება და სექსუალური ძალადობა, ასევე, სიკვდილით დასჯა[326] კონფლიქტის მხარესთან მათი რეალური ან ნავარაუდები კავშირისთვის,

International, *მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 28-29.

[325] “*სირიაში მყოფი ქალები და გოგონები, და ისინი - ვინც სირიის კონფლიქტს გაექცა თავშესაფრის საძიებლად, ადამიანის უფლებათა მრავალი სახის დარღვევების მსხვერპლი ხდებიან. ზოგიერთი დარღვევა ადრეც ხდებოდა და კონფლქიტის დროს გამძაფრდა, ხოლო ზოგი კონფლიქტის შედეგად წარმოიშვა“.* Human Rights and Gender Justice (HRGJ) Clinic, MADRE, WILPF, *ადამიანის უფლებათა დარღვევები სირიაში ქალთა და გოგონათა მიმართ, 2016 წლის 25 ივლისი,* http://bit.ly/2iHSlaV, გვ. 1. იხ. აგრეთვე, Syria Deeply, *სირიაში ქალებს კონფლიქტის ყველა მხარე აპატიმრებს, 2017 წლის 4 ოქტომბერი,* http://bit.ly/2y4VUxm.

[326] იხ. ზემოთ, “*ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები*” (განყოფილება II.C) და მითითებული წყაროები.

მათი პოლიტიკური შეხედულებების და საქმიანობის,[327] მათი ოჯახური კავშირების,[328] რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების,[329] ასევე, მათი საცხოვრებელი ან წარმოშობის ადგილის საფუძველზე.[330] არსებული ინფორმაციის თანახმად, როგორც

---

327.“*უშიშროების ძალები* [სექსუალური ძალადობის გამოყენებით] ***დევნიან ქალებს, რომლებიც რევოლუციის მხარდამჭერებად არიან მიჩნეული***, *მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა დამადასტურებელი ფაქტი, ასევე, იმ ქალებს, რომელთა მამაკაცი ნათესავები ანტისამთავრობო აქტივობებში მონაწილეობდნენ.“* (…) *უეჭველია, რომ რეჟიმის უშიშროების ძალები ქალებს დევნიდნენ მათი* ***პოლიტიკური კუთვნილების საფუძველზე - დადგენილის, თუ დაუდგენელის***. *ქალები დაკავებული არიან მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთ ტელეფონში რევოლუციის დროშის სურათი ჰქონდათ, დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის, ან ოპოზიციურ საქმიანობაში მონაწილეობისთვის, რომელიც დაკავშირებულია დახმარებასთან, სამედიცინო მხარდაჭერასთან, ჟურნალისტიკასთან და მსგავს საქმიანობასთან“* (ხაზგასმა დამატებულია); LSE, *გაუპატიურება არის ასადის რეჟიმის ტაქტიკა*, 2017 წლის მარტი, http://bit.ly/2wIR5LU, გვ. 3. „*მიუხედავად იმისა, რომ ქალები საბრძოლო ოპერაციებში უშუალოდ არ მონაწილეობენ და სამოქალაქო მოძრაობაში მათი წვლილი სამოქალაქო და დახმარების აქტივობებით და პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვით შემოიფარგლება, რეჟიმი გამუდმებით ადანაშაულებს ქალ აქტივისტებს ტერორისტულ საქმიანობაში, რათა გაამართლონ მათი თვითნებური პატიმრობა და იძულებითი გაუჩინარება“;* WILPF, *ქალთა მიმართ დარღვევები სირიაში,* 2016 წლის ნოემბერი, http://bit.ly/2dweuXf, გვ. 13-14. “*შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან* ***შურისძიების მიზნით თავდასხმა*** *ასევე ემუქრებოდათ ადვოკატებს, პოლიტიკურ აქტივისტებს და ჰუმანიტარულ მუშაკებს,* ***მათი (ნავარაუდევი) რელიგიური რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე***“ *(ხაზგასმა დამატებულია);* Amnesty International, *მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 18; “[დამასკოში, ადრას ცენტრალური ციხის ქალთა განყოფილების პატიმართა] დიდი უმრავლესობა დაპატიმრებული იყო **წინა წლებში ანტისამთავრობო დემონსტრაციებში მონაწილეობისთვის**“ (ხაზგასმა დამატებულია); გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია*, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 24. იხ. აგრეთვე, Syria Deeply, *სირიაში ქალებს კონფლიქტის ყველა მხარე აპატიმრებს, 2017 წლის 4 ოქტომბერი,*, http://bit.ly/2y4VUxm; ადვოკატები და ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, *ხმა წყვდიადიდან: ქალთა წამება და მათ მიმართ სექსუალური ძალადობა ასადის საპატიმრო ცენტრებში, 2017 წლის ივლისი,* http://bit.ly/2iIh5Be (შემდგომში: ადვოკატები და ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, *ქალთა წამება და მათ მიმართ სექსუალური ძალადობა, 2017 წლის ივლისი,* http://bit.ly/2iIh5Be), გვ. 10, 11, 26.

328 “*სირიის რეჟიმის ძალებმა განახორციელეს რეიდები და დაკავებათა ღონისძიებები ქალაქ ჰომის უბნებში, რომლის დროსაც დააკავეს ექიმები, ინჟინრები და* ***ქალები, რომლებიც ოპოზიციური დაჯგუფებების მებრძოლებთან არიან დაკავშირებული“*** (ხაზგასმა დამატებულია); SNHR, *2017 წლის სექტემბერში, თვითნებური დაკავების, სულ მცირე, 557 შემთხვევა აღინიშნა,* 2017 წლის 4 ოქტომბერი , http://bit.ly/2yuuW5j, გვ. 4. “(…) *სირიის მთავრობა შეგნებულად აპატიმრებს ქალებს, რადგან იცის, რომ ეს, პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც ქალის სხეულის დაცვა/პატივისცემა მოითხოვება, ოჯახისთვის დიდი სირცხვილი იქნება“;* WILPF, *ქალთა მიმართ ძალადობა სირიაში, 2016 წლის ნოემბერი,* http://bit.ly/2dweuXf, გვ. 10. იხ. აგრეთვე, Syria Deeply, *სირიაში ქალებს კონფლიქტის ყველა მხარე აპატიმრებს, 2017 წლის 4 ოქტომბერი,*, http://bit.ly/2y4VUxm; ადვოკატები და ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, *ქალთა წამება და მათ მიმართ სექსუალური ძალადობა, 2017 წლის ივლისი,* http://bit.ly/2iIh5Be, გვ. 10, 11, 25; LSE, *გაუპატიურება არის ასადის რეჟიმის ტაქტიკა,* 2017 წლის მარტი, http://bit.ly/2wIR5LU, გვ. 8 და ზემოთ, “*პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული*” (განყოფილება III.A.1) და მითითებული წყაროები.

329 იხ. ზემოთ, “*რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრები*” (განყოფილება III.A.8) და მითითებული წყაროები.

330 “*დახმარების მუშაკები და ჟურნალისტები მიუთითებენ შეურაცხყოფისა და გაუპატიურების შემთხვევებზე საკონტროლო პუნქტებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც განსაკუთრებით ორიენტირებულია ქალებზე, რომლებსაც ოპოზიციის მხარდამჭერებად მიიჩნევენ, ან დაკავშირებულია მათი წარმოშობის ადგილთან“;* LSE, *გაუპატიურება არის ასადის რეჟიმის ტაქტიკა,* 2017 წლის მარტი, http://bit.ly/2wIR5LU, გვ. 7. “(…) *ზოგ ქალზე სექსუალურ ზეწოლას ახდენენ სამთავრობო სამხედრო საკონტროლო პუნქტებზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძებნილი პირების ნათესავები არიან, ან იმიტომ, რომ ისინი* ***ამბოხებული რეგიონიდან არიან წარმოშობით***“ (ხაზგასმა დამატებულია); WILPF, *ქალთა მიმართ ძალადობა სირიაში, 2016 წლის ნოემბერი,* http://bit.ly/2dweuXf, გვ. 13. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული“

სახელისუფლებო, ასევე ანტი-სამთავრობო სამხედრო ძალები ტყვეთა გაცვლის დროს ქალებს „სავაჭრო მონეტებად“ იყენებენ.[331]

ქალთა და გოგონათა მიმართ ასევე ხორციელდება განსაკუთრებული ხასიათის დევნა. მოხსენებების შესაბამისად, კონფლიქტის განმავლობაში, სისტემატურად ხდება სექსუალური ძალადობა, და ხშირად იგი ომის იარაღად გამოიყენება.[332] საყოველთაოდ არის გავრცელებული და კონფლიქტის განმავლობაში „ნორმალურ“[333] მოვლენადაც იქცა გენდერის საფუძველზე ჩადენილი ძალადობის სხვა ფორმები,

---

(განყოფილება III.A.1) და "*პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული*" (განყოფილება III.A.3) და მითითებული წყაროები.

[331] მაგალითად, „ალ-ქაიდასთან დაკავშირებული ტაჰრირ ალ-შამის ჰაიატი, თავისი 'იბაას' ახალი ამბების სააგენტოს მეშვეობით აცხადებს, რომ მან უზრუნველყო მთავრობის საპატიმროებიდან 140 პატიმრის განთავისუფლება, რომელთა შორის 24 ქალია"; ალ-ჯაზირა, *სირიის მთავრობამ გააორმაგა მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიები,* 2017 წლის 13 აგვისტო, http://bit.ly/2wLBKXZ. იხ. აგრეთვე, ზემოთ, სქოლიო **Error! Bookmark not defined.** და **Error! Bookmark not defined.**.

[332] "*სირიის კონფლიქტში სექსუალური ძალადობა მხარეთა მიერ კვლავ გამოიყენება სისტემატურ საომარ ტაქტიკად, ტერორიზმისა და წამების საშუალებად. ქალები და გოგონები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან: სახლების ჩხრეკისას, საკონტროლო პუნქტებზე, საპატიმრო დაწესებულებებში, პროსამთავრობო ძალების მიერ მოტაცების შემდეგ და საზღვრის გადაკვეთისას (...)"*; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ,* 2017 წლის 15 აპრილი, S/2017/249, http://www.refworld.org/docid/5912d5b74.html (შემდგომში: გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლქიტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ,* 2017 წლის 15 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5912d5b74.html), პარ. 69. ამავე მოხსენებაში მოცემულია სირიის კონფლიქტის მხარეთა ჩამონათვალი, რომლებიც „საფუძვლიანად არიან ეჭვმიტანილი გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების ჩადენაში შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციაში, ან პასუხისმგებელი არიან მათ ჩადენაზე". ამ ჩამონათვალში არიან: არასახელმწიფო სუბიექტები - ISIS, HTS, ისლამის არმია, აჰრარ ალ-შამი; პროსამთავრობო ძალები, მათ შორის, NDF. სახელმწიფო სუბიექტებს შორის არიან: სირიის შეიარაღებული ძალები და უშიშროების სამსახურები."*პატრიარქალური წესების საფუძველზე, [გაუპატიურების ან სხვა სექსუალური ძალადობის] მსხვერპლი შეიძლება მისმა ოჯახის წევრებმა მოკლან 'პატივის დაცვის' მიზნით, ან გაუპატიურების ჩამდენი აიძულონ დაქორწინდეს მსხვერპლზე"*; HRGJ Clinic, MADRE, WILPF, *ადამიანის უფლებათა დარღვევები ქალთა და გოგონათა მიმართ სირიაში, 2016 წლის 25 ივლისი,* http://bit.ly/2iHSlaV, გვ. 1. არსებული ინფორმაციის თანახმად, სხვა დაზარალებულებმა თავი მოიკლეს, ან თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდათ; LSE, *გაუპატიურება არის ასადის რეჟიმის ტაქტიკა,* 2017 წლის მარტი, http://bit.ly/2wIR5LU, გვ. 6, 10. იხ. აგრეთვე, Syria Deeply, *გაუპატიურება:ომის იარაღი, რომელიც ხანგრძლივ შედეგებს იწვევს, 2017 წლის 5 სექტემბერი,* http://bit.ly/2w7MzSM; ადვოკატები და ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, *ქალთა წამება და მათ მიმართ სექსუალური ძალადობა, 2017 წლის ივლისი,* http://bit.ly/2iIh5Be; WILPF, *ქალთა მიმართ ძალადობა სირიაში, 2016 წლის ნოემბერი,* http://bit.ly/2dweuXf, გვ. 7, 20; Syria Direct, *სირიის პატიმარ ქალებს სტიგმა და გარიყვა ემუქრებათ: „ჩემი წამება მას შემდეგ დაიწყო, რაც საპატიმროდან გამომიშვეს', 2016 წლის 5 აპრილი, "*http://bit.ly/2qnKgva.

[333] "*კრიზისის ხანგრძლივობა, სირიის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური სტრუქტურის ფონზე, ასეთი [სქესსა და გენდერზე დაფუძნებული] ძალადობის ნორმალურ მოვლენად აღქმას უწყობს ხელს, რაც ქალთა უფლებების მოსპობას იწვევს"*; Protection Cluster, *2018 წლისთვის დაცვის საჭიროების მიმოხილვა, 2017 წლის 12 ოქტომბერი,* http://bit.ly/2z5XPof, გვ. 74. "*გენდერზე დაფუძნებული ძალადობა (GBV) ქალებისა და გოგონების სიცოცხლის თანამგზავრია. "კრიზისის ხანგრძლივობა, სირიის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური სტრუქტურის ფონზე, ასეთი ძალადობის ნორმალურ მოვლენად აღქმას უწყობს ხელს"*; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2016 წლის 1 დეკემბერი, http://bit.ly/2kCi16M, გვ. 30. იხ. აგრეთვე, Syria Deeply, *გაუპატიურება:ომის იარაღი, რომელიც ხანგრძლივ შედეგებს იწვევს, 2017 წლის 5 სექტემბერი,* http://bit.ly/2w7MzSM.

კერძოდ, ოჯახში ძალადობა,[334] „პატივის დაცვის მიზნით ჩადენილი დანაშაული“,[335] ადრეული[336] ან იძულებითი ქორწინება[337], ასევე, ტრეფიკინგი - სექსუალური ექსპლოატაციის და იძულებითი პროსტიტუციის მიზნით.[338] სექსუალური ან გენდერული ნიშნით ჩდენილი ძალადობისაგან დაზარალებული ქალებისთვის ტრავმის მაღალი დონე არის დამახასიათებელი, რასაც ხშირად თან ერთვის ოჯახებისა

---

[334] კანონი მოსამართლეებს უფლებას აძლევს შეამცირონ სასჯელი მკვლელობისთვის ან თავდასხმისთვის, თუ ბრალდებული დაამტკიცებს, რომ დანაშაული 'პატივის დაცვის' მიზნით ჩაიდინა (სისხლის სამართლის 192-ე, 242-ე და 548-ე მუხლები). არსებული მოხსენებების შესაბამისად, 'პატივის დაცვის' მიზნით ჩადენილი მკვლელობების რაოდენობამ იმატა. კერძოდ, როგორც იუწყებიან, ქალები, რომლებიც მთავრობის ძალების ან ISIS-ის მხრიდან სექსუალურ ძალადობას დაექვემდებარნენ (ან ასეთი ეჭვი არსებობს), შეიძლება სიკვდილით დასაჯონ მათი ოჯახის წევრებმა 'პატივის დაცვის' მიზეზით. *"შეიარაღებული ძალების მიერ გაუპატიურების გამოყენება საომარ იარაღად მრავალ სირიელ ქალსა და გოგონას მოწყვლადს ხდის საზოგადოებაში, რომელიც ურიგდება გაუპატიურებულ ქალთა მოკვლას 'პატივის დაცვის' მიზეზით. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, ხალხში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 'პატივის დაცვის' მიზნით ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა მატულობს, რაც კონფლიქტთან დაკავშირებული ძალადობის ზრდის შედეგია";* HRGJ Clinic, MADRE, WILPF, *ადამიანის უფლებათა დარღვევები ქალთა და გოგონათა მიმართ სირიაში, 2016 წლის 25 ივლისი,*, http://bit.ly/2iHSlaV, გვ. 3. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 45.

[335] ქორწინების ოფიციალური ასაკი არის 18 წელი ვაჟებისთვის და 17 - გოგონებისთვის. თუმცა, რელიგიური ლიდერების მიერ ჩატარებული ქორწინების ცერემონიის დროს - გოგონა შეიძლება იყოს 13 წელზე უფროსი ასაკის, ხოლო ვაჟი - 15-ის, თუ ისინი მიჩნეული არიან მსურველ მხარეებად, არიან ფიზიკურად მომწიფებული და თუ არის თანხმობა ბავშვის მამის ან ბაბუის მხრიდან (პირადი სტატუსის კანონის მე-16 და მე-18 მუხლები; 1953 წლის კანონი No. 59). მოხსენებები მიუთითებს, რომ კონფლიქტის დაწყების დღიდან, სირიელ გოგონებს შორის იმატა ადრეულმა ქორწინებამ, განსაკუთრებით, იძულებით გადაადგილებულთა შორის, რაც დაკავშირებულია უსაფრთხოების ზოგად პრობლემასთან, სექსუალური ძალადობის საფრთხესთან და საარსებო წყაროების ნაკლებობასთან. 2018 წლისთვის დაცვის საჭიროებათა მიმოხილვის შესაბამისად, „ბავშვთა ქორწინება კულტურული პრაქტიკიდან კრიზისთან გამკლავების მექანიზმად იქცა"; Protection Cluster, 2018 წლისთვის დაცვის საჭიროებათა მიმოხილვა, 2017 წლის 12 ოქტომბერი, http://bit.ly/2z5XPof, გვ. 74. იხ. აგრეთვე, Syria Deeply, *იდლიბის სოფლის რაიონებში კავშირი გოგონათა თვითმკვლელობასა და არასრულწლოვანთა ქორწინებას შორის, 2017 წლის 28 ივლისი,* http://bit.ly/2uLYubk; Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – სირია*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; Save the Children, *ექვსწლიანი ომის ზემოქმედება სირიელ ბავშვთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, 2017 წლის 6 მარტი,* http://bit.ly/2mzCCwJ, გვ. 10; HRGJ Clinic, MADRE, WILPF, *ადამიანის უფლებათა დარღვევები ქალთა და გოგონათა მიმართ სირიაში, 2016 წლის 25 ივლისი,* http://bit.ly/2iHSlaV, გვ. 4; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ, 2016 წლის 20 აპრილი,* http://www.refworld.org/docid/5731a0d24.html, პარ. 70 .

[336] ბევრი ქორწინება გარიგებით ხდება. ფინანსური ან სოციალური მიზნებით ქორწინებაზე დაყოლიების მიზნით ოჯახებმა შეიძლება ზეწოლა მოახდინონ გოგონებსა და ქალებზე: HRGJ Clinic, MADRE, WILPF, *ადამიანის უფლებათა დარღვევები ქალთა და გოგონათა მიმართ სირიაში, 2016 წლის 25 ივლისი,* http://bit.ly/2iHSlaV, გვ. 3-4. "*სირიაში არსებული ქორწინების ტრადიციის გამო თითქმის ყველა ქორწინება გარიგებით ხდება, რადგან ამ მიმართებით პატარძალს რაიმე სამართლებრივი უფლება არ აქვს: ქორწინების ხელშეკრულებას ხელს აწერს პატარძლის მამაკაცი მეურვე";* რობერტ ე. ემერი (რედაქტორი), *გაყრის კულტურული სოციოლოგია: ენციკლოპედია, 2013,* გვ. 1181 .

[338] Freedom House, *თავისუფლება მსოფლიოში 2017 – Syria*, 2017 წლის 8 ივნისი, http://www.refworld.org/docid/593a522f26.html; WILPF, *ქალთა მიმართ ძალადობა სირიაში, 2016 წლის ნოემბერი,* http://bit.ly/2dweuXf, გვ. 8. იხ. აგრეთვე, The Guardian, *ათობით სირიელი იძულებულია სექსუალურ მონობაში იყოს ლიბანის უსახლკაროთა თავშესაფარში,* 2016 წლის 30 აპრილი, http://bit.ly/2h0RWMK.

და თემების მიერ მათი სტიგმატიზირება და განდევნა.[339] ქმარს გაყრილი და ქვრივი ქალები, ასევე ხდებიან სოციალური დაღისა და სამართლებრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი .[340]

ძირითადად ISIS-ის და ჯაბჰატ ალ-შამის მიერ შემოღებული დისკრიმინაციული წესების გამო, ქალებსა და გოგონებს მკაცრად აქვთ შეზღუდული საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, რაც აფერხებს მათი გადაადგილების თავისუფლებას და დასაქმებაზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას.[341] როგორც

---

[339] *"პატივთან და სირცხვილთან დაკავშირებული სოციალური ნორმების ფონზე, სექსუალური ძალადობის შედეგად დამკვიდრებული სტიგმა დაზარალებულს, მის ოჯახისა და თემის მხრიდან, მკაცრი გაკიცხვის რისკის ქვეშ აყენებს. დაზარალებულის მშობლები და მეუღლე ხშირად მას განდევნიან გაუპატიურების შემდეგ, ან მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მიიჩნევენ, რომ ისინი საპატიმროში ყოფნისას გააუპატიურეს";* გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ,* 2017 წლის 15 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5912d5b74.html, პარ. 69. "*ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობა სირცხვილის მომტანია ოჯახისთვის და მთელი თემისთვის. ბევრი ყოფილი პატიმარი, იყო იგი გაუპატიურებული თუ არა, ოჯახებმა განდევნეს. გაჭიანურებული კონფლიქტით, სტიგმით და შურისძიების შიშით აიხსნება ის ფაქტი, რომ რეპრესიის ამ ფორმის გამჟღავნება ხშირად არ ხდება";* LSE, *გაუპატიურება არის ასადის რეჟიმის ტაქტიკა,* 2017 წლის მარტი, http://bit.ly/2wIR5LU, გვ. 1. იხ. აგრეთვე, Syria Deeply, *სირიაში ქალებს კონფლიქტის ყველა მხარე აპატიმრებს, 2017 წლის 4 ოქტომბერი,,* http://bit.ly/2y4VUxm; Syria Deeply, *გაუპატიურება: ომის იარაღი, რომელიც ხანგრძლივ შედეგებს იწვევს, 2017 წლის 5 სექტემბერი,* http://bit.ly/2w7MzSM; ადვოკატები და ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, *ქალთა წამება და მათ მიმართ სექსუალური ძალადობა, 2017 წლის ივლისი,* http://bit.ly/2iIh5Be, გვ. 4, 22, 23, 25, 34; Syria Deeply, *შერცხვენილი და მიტოვებული: სირიის ყოფილი ქალი პატიმრების ბედი,* 2016 წლის 22 დეკემბერი, http://bit.ly/2wnA07m; Syria Direct, *სირიის პატიმარ ქალებს სტიგმა და გარიყვა ემუქრებათ: „ჩემი წამება მას შემდეგ დაიწყო, რაც საპატიმროდან გამომიშვეს', 2016 წლის 5 აპრილი,* http://bit.ly/1WbEVAi.

[340] "(…) *ზრდასრული ნათესავი მამაკაცების იძულებითი გაუჩინარება მძიმე ზემოქმედებას ახდენს. გამოკითხულ ქალთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ არ აქვთ თავის რჩენის საშუალება და რომ მათი ნათესავი მამაკაცების იმედზე არიან. წლების განმავლობაში მამებისა და ქმრების გაუჩინარების გამო და იმიტომ, რომ მათი გარდაცვალება დადასტურებული არ არის, მათი ოჯახის ქალი წევრები იურიდიული ლიმბოს პირობებში იმყოფებიან - მათ არ შეუძლიათ გაყიდონ საკუთრება ან მიიღონ იგი მემკვიდრეობით, ან ხელახლა გათხოვდნენ";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 85. იხ. აგრეთვე, Syria Deeply, *იდლიბის სოფლის რაიონებში კავშირი გოგონათა თვითმკვლელობასა და არასრულწლოვანთა ქორწინებას შორის, 2017 წლის 28 ივლისი,* http://bit.ly/2uLYubk; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა*, 2016 წლის 1 დეკემბერი, http://bit.ly/2kCi16M, გვ. 30; რობერტ ე. ემერი (რედაქტორი), *გაყრის კულტურული სოციოლოგია: ენციკლოპედია,* 2013, გვ. 1181. არსებული ინფორმაციის თანახმად, ქალები ხშირად ამჯობინებენ შემავიწროვებელ ურთიერთობებში ყოფნას, ვინაიდან, გაყრის შემთხვევაში, მათ ეშინიათ ეკონომიკური სიდუხჭირის და/ან სტიგმის; Syria Deeply, *სირიელი ქალები ოჯახში ძალადობის წინაშე სამოქალაქო ომის პერიოდში, 2015 წლის 30 აპრილი,* http://bit.ly/2pK529z; Your Middle East, *სირიელ ქალებს აშინებთ ძალადობა ქორწინების პერიოდში, მაგრამ მათ გაყრის უფრო ეშინიათ, 2015 წლის 25 იანვარი,* http://bit.ly/2qQHfot.

[341] "*რადიკალური რელიგიური წესები, რომლებსაც შეიარაღებული ჯგუფები (მათ შორის, ISIL-ი) ახორციელებენ ამ ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს ქალებსა და გოგონებზე. ეს მოიცავს ქალთა საჯაროდ შეურაცხყოფას ჩაცმულობის რადიკალური კოდექსის დარღვევისთვის და მათი გადაადგილების, გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. ქალები, რომლებიც ამ წესების დამრღვევებად იქნენ მიჩნეული, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას დექვემდებარნენ";* გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია*, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 45. „*ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე ქალები და გოგონები კვლავ აუტანელი შეზღუდვების პირობებში ცხოვრობენ, მათი წვდომა განათლებასა და შრომაზე და მათი გადაადგილების თავისუფლება მკაცრად არის შეზღუდული ან ამის საშუალება საერთოდ არ აქვთ. ქალები და გოგონები საერთოდ მოწყვეტილი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც ამცირებს მათ შესაძლებლობას*

იუწყებიან, ISIS-ის მებრძოლები ქალებსა და გოგონებს აიძულებენ დაქორწინდნენ სექსუალური მონობის მიზნით,[342] ზოგჯერ ასეთი ქორწინება ერთიმეორის მიყოლებით ხდება.[343] არსებული ინფორმაციის თანახმად, არის შემთხვევები, როდესაც უცხოელი მებრძოლები ქალებს აიძულებენ მოახდინონ საკუთარი გენიტალიების მოკვეთა.[344]

არსებული ინფორმაციის თანახმად, ქალები და გოგონები სულ უფრო ხშირად ხდებიან ოჯახის ძირითადი ან ერთადერთი მარჩენალი - მათი ოჯახის მამრობითი წევრების დასახიჩრების, დაპატიმრების, გაუჩინარების და კონფლიქტში მონაწილეობის გამო, ასევე, იმის გამო, რომ მამაკაცები დაკავების, დაპატიმრების ან თვითნებური სიკვდილით დასჯის შიშითვერ ბედავენ გამშვებ პუნქტების გავლით თავიანთ ოჯახებში მისვლას.[345] ეს ქალები და გოგონები განსაკუთრებულ

---

*წვლილი შეიტანონ თემის ცხოვრებაში, გარდა ცოლის და დედის როლისა*“; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება *სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ*, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 102. იხ. აგრეთვე, გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ,* 2017 წლის 15 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5912d5b74.html, პარ. 69; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – Syria*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 32, 36, 47-48; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა*, 2016 წლის 1 დეკემბერი, http://bit.ly/2kCi16M, გვ. 30.

342 “*ISIS-ი, მის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, გოგონებსა და ქალებს აიძულებს დაქორწინდნენ მის მებრძოლებზე.უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელ ქალები და გოგონები კი სისტემატურად ხდებიან იძულებითი ქორწინების, შინამსახურობის, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი“;* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2017 მოხსენება ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ,* 2017 წლის 27 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html. იხ. აგრეთვე, გაეროს გენერალური მდივანი, *ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი, 2017 წლის 24 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 179; გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლქიტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ,* 2017 წლის 15 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5912d5b74.html, პარ. 69; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 4, 23, 48, 55; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 109. იხ. აგრეთვე, “*რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრები*” (განყოფილება III.A.8) და მითითებული წყაროები.

343 “*გენდერზე დაფუძნებული ძალადობის (GBV) სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ქალები მებრძოლებზე შეიძლება დააქორწინონ მოკლე პერიოდით, მაგალითად, რამდენიმე საათით, ხოლო შემდეგ კვლავ 'განქორწინება' მოხდეს“;* Protection Sector, 2017 დაცვის საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის ოქტომბერი, http://bit.ly/2pQJ9BB, გვ. 36.

344 დაცვის სექტორი, *მთელი სირია - 2017 - დაცვის საჭიროებათა მიმოხილვა, 2016 წლის ოქტომბერი,* http://bit.ly/2pQJ9BB, გვ. 35.

345 “*შინამეურნეობის დონეზე გენდერული როლები იცვლება - ქალები ითვისებენ როლებს, რომლებიც ტრადიციულად მამაკაცებთან ასოცირდება, როგორიცაა, ანაზღაურებადი შრომა და ოჯახის გაძღოლა, რის შედეგადაც ხდება ქალების გაძლიერება, მაგრამ, მეორე მხრივ, იზრდება ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის რისკი“;* OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა: Syrian Arab Republic*, 2016 წლის 1 დეკემბერი, http://bit.ly/2kCi16M, გვ. 30. “*იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ISIS-ი არ აკონტროლებს, გენდერული როლების გადანაწილება ხდება. ოჯახის საცხოვრებელში მამაკაცების არარსებობის გამო (ისინი ან ბრძოლებში მონაწილეობენ, ან მოკლეს, ან გაუჩინარებული არიან) სულ უფრო იზრდება ქალთა რაოდენობა, რომლებიც შინამეურნეობას უძღვებიან“;* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება *სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2016 წლის 11 აგვისტო*, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 103. იხ. აგრეთვე, Syria Direct, *სუვაიდაში ქალები*

სირთულეებს აწყდებიან საარსებო საშუალებათა მოპოვებისა და მათი ოჯახების მოვლის თვალსაზრისით, ვინაიდან ისინი მიზნობრივი და განურჩეველი ძალადობის, შეურაცხყოფის, ექსპლუატაციისა და სამართლებრივი დისკრიმინაციის საფრთხის წინაშე დგანან.[346] როგორც იუწყებიან, ქალებსა და გოგონებს სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის საფრთხე იძულებით გადაადგილებულ პირთა ბანაკებშიც ემუქრებათ.[347]

UNHCR-ს მიაჩნია, რომ ქალებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს, **დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა** კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების (რომელსაც უწოდებენ „ქალები სირიაში"), მათი რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების ან მათდამი შერაცხული პოლიტიკური შეხედულების, ან მათი ერთობლიობის საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე:

a) სექსუალური ძალადობისაგან დაზარალებულები ან ასეთი საფრთხის წინაშე მყოფი ქალები;
b) ქალები, რომლებიც დაზარალებული არიან იძულებითი და/ან ადრეული ქორწინების, ოჯახში ძალადობის და „პატივის დაცვის მიზნით ჩადენილი დანაშაულის" შედეგად, ან ასეთი რისკის წინაშე დგანან;

*სულ უფრო აქტიურად ერთვებიან საჯარო ცხოვრებაში, რადგან მამაკაცები პროვინციაში აღარ იმყოფებიან,* 2017 წლის 26 სექტემბერი, http://bit.ly/2y5qlWb; CARE, *ქალები, შრომა და ომი: სირიელი ქალები და მათი ბრძოლა გადარჩენისთვის ხუთწლიან კონფლიქტში,* 2016 წლის 15 მარტი, http://bit.ly/2mbfNLS, გვ. 14-16; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, A/HRC/30/48, http://www.refworld.org/docid/55e955344.html, პარ. 65.

[346] "*თვითნებური დაპატიმრებისა და გაუჩინარების მსხვერპლთა უმრავლესობა მამაკაცია, მაგრამ დიდი წნეხის ქვეშ არიან ქალები, რომლებმაც ოჯახის მარჩენალი დაკარგეს. ისინი იძულებული არიან იმუშაონ, რათა დაეხმარონ ოჯახს და ამასთანავე, იშოვონ ფინანსური საშუალებები, რაც აუცილებელია მათი დაპატიმრებული ოჯახის წევრების მოსაძებნად, სასამართლო ხარჯების ჩათვლით. მათ მიმართ ასევე ხდება სექსუალური ექსპლუატაცია ბადრაგის ან უშიშროების ოფიცრების მხრიდან, რომლებიც მათ 'დახმარებას' ჰპირდებიან*", WILPF, *ქალთა მიმართ ძალადობა სირიაში, 2016 წლის ნოემბერი,* http://bit.ly/2dweuXf, გვ. 11. "*სირიაში, აქტიური კონფლიქტის ტერიტორიებზე, ქალებისთვის სახლის გარეთ საარსებო წყაროების მოპოვებისასთვის ყველაზე დიდ საფრთხეს საყოველთაო და განურჩეველი ძალადობა წარმოადგენს, ისეთი როგორიცაა, საჰაერო თავდასხმები და დაბომბვები. ქალები, რომლებიც ძნელადმისადგომ, ალყაშემორტყმულ ან ფრონტის წინა ხაზის ტერიტორიებზე ცხოვრობენ, ამავდროულად დაპატიმრებისა და სექსუალური ძალადობის რისკის წინაშე დგანან საკონტროლო პუნქტებზე, მათ მიზანში იღებენ სნაიპერები ან ბრალს სდებენ მტერთან თანამშრომლობაში. ეს უმრავლეს შემთხვევაში ხდება მაშინ, როდესაც ისინი საკონტროლო პუნქტებზე გადიან ან ფრონტის ხაზის გადაკვეთას ახდენენ, რაც ძირითადი მოხმარების საგნების მოსაპოვებლად ან ჰუმანიტარული საქმიანობის განხორციელებისთვის სჭირდებათ*"; CARE, *ქალები, შრომა და ომი: სირიელი ქალები და ბრძოლა გადარჩენისთვის ხუთწლიან კონფლიქტში,* 2016 წლის 15 მარტი, http://bit.ly/2mbfNLS, გვ. 28; იხ. აგრეთვე, ამავე მოხსენების გვ. 16, 17, 22-23.

[347] "*აღნიშნავენ, რომ იძულებითი გადაადგილება და ბანაკებში ცხოვრება ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს, განსაკუთრებით, ქალებისა და გოგონებისთვის, რადგან ასეთ ადგილებში დიდია სექსუალური ძალადობის რისკი. ამის მიზეზი არის პირადი სფეროს არარსებობა (კარვებში ან საპირფარეშოებში), ბანაკების გადატვირთულობა და შერეული საზოგადოება - ადამიანები არ იცნობენ ერთმანეთს, სიღარიბე და გამოუვალი ფინანსური მდგომარეობა, ქაოსი და უკანონობა*"; Protection Cluster, *2018 დაცვის საჭიროებათა შეფასება,* 2017 წლის 12 ოქტომბერი, http://bit.ly/2z5XPof, გვ. 75. "*იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან, რომლებიც სექსუალური ექსპლუატაციის სერიოზული რისკის წინაშე დგანან. განსაკუთრებული რისკის წინაშე არიან მოზარდი გოგონები და ქალები, რომლებიც შინამეურნეობებს უძღვებიან*"; გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ,* 2017 წლის 15 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5912d5b74.html, პარ. 70.

c) ქალები, რომლებიც დაზარალებული არიან იძულებითი პროსტიტუციის და ტრეფიკინგის შედეგად, ან ასეთი რისკის წინაშე დგანან;
d) ქალები, რომლებიც მიჩნეული არიან შარიათის კანონის დამრღვევად ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებად ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე;[348]
e) ქალები და გოგონები, რომლებსაც არ აქვთ ოჯახის მხრიდან რეალური მხარდაჭერა, ქვრივებისა და ქმარს გაყრილი ქალების ჩათვლით.

ინფორმაცია ქალებისა და გოგონების შესახებ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონფლიქტის რომელიმე მხარეს - ან მიჩნეულნი არიან ასეთებად, მათ შორის, იმ ქალებისა და გოგონების ჩათვლით, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ პირებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კონფლიქტის რომელიმე მხარეს - ან მიჩნეულნი არიან ასეთებად იხილეთ სექციებში III.A.1 - II.A.6.

### *11)* გარკვეული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ გარემოებებში მყოფი ბავშვები

ბავშვები შეიძლება მოხვდნენ სხვადასხვა რისკ-ჯგუფებში , რომლებიც ამ სახელმძღვანელო პრინციპებში არის ჩამოთვლილი. კერძოდ, გადმოცემის მიხედვით, მთავრობა და მთავრობის მხარდამჭერი ძალები, ხშირად ახდენენ ძალადობას ბავშვებზე, წამების ჩათვლით, მთავრობის მოწინააღმდეგე კონფლიქტის მხარეებთან მათი (სავარაუდო) კავშირის გამო. მათ მიმართ ასეთი მოპყრობის მიზეზი ასევე არის ბავშვების უშუალო მონაწილეობა საპროტესტო ღონისძიებებში ან საბრძოლო ოპერაციებში დამხმარე როლის შესრულება[349] და მათი ასოციაციის საფუძველზე დაკავაშირება ოჯახის წევრებთან, რომლებიც მთავრობის ოპოზიციაში არიან.[350]

---

[348] იხ. ზემოთ, "*პირები, რომლებიც მიიჩნევიან შარიათის კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე*" (განყოფილება III.A.9) და მითითებული წყაროები.

[349] "*ბავშვებს კვლავ აპატიმრებენ, შეიარაღებულ ჯგუფებთან მათი სავარაუდო ურთიერთობისთვის. გაერომ დაადასტურა სამთავრობო ძალებისა და სახალხო კომიტეტების მიერ 12 ბიჭის დაკავებისა და დაპატიმრების ფაქტი* [2016 წლის იანვრიდან დეკემბრამდე]. სულ მცირე, შვიდ შემთხვევაში, ბავშვები დაექვემდებარნენ წამებას და არასათანადო მოპყრობას"; გაეროს გენერალური მდივანი, *ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტში, 2017 წლის 24 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 174. "(…) *მთავრობამ დააკავა, დააპატიმრა, აწამა, გააუპატიურა და სიკვდილით დასაჯა ბავშვები შეიარაღებულ ჯგუფებთან მათი სავარაუდო კავშირისთვის"*; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2017 *მოხსენება ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ - სირია,* 2017 წლის 27 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html. "*ბავშვებისა და შეიარაღებული კონფლიქტის საკითხებში გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაპატიმრებული ბავშვები, ძირითადად ვაჟები, 14 წლამდე ასაკის ბავშვების ჩათვლით, წამების ისეთივე ფორმებს ექვემდებარებიან, როგორსაც უფროსები, ელექტროშოკის, ცემის, სტრესის და სექსუალური თავდასხმის ჩათვლით"*; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 9. იხ. აგრეთვე, ზემოთ, „პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1) და მითითებული წყაროები.

[350] "*კვლავ მოდის ინფორმაცია მთავრობის მიერ ბავშვების მიმართ განსაკუთრებულად სასტიკი მოპყრობის შესახებ. COI-ში აღნიშნულია მთავრობის საპყრობილეებში 13 წლამდე ასაკის ბავშვთა რეგულარული დაპატიმრებისა და წამების შემთხვევები; ზოგ შემთხვევაში ბავშვები მხოლოდ 11 წლისანი იყვნენ. არსებული ინფორმაციის თანახმად, ოფიციალური პირები დევნიდნენ და აწამებდნენ ბავშვებს მათი ოჯახური კავშირების (ან ნავარაუდევი კავშირების) გამო, საწინააღმდეგო პოლიტიკური შეხედულებებისთვის, შეიარაღებული ოპოზიციის წევრობისთვის და აქტივისტთა ჯგუფში მონაწილეობისთვის. (…) სანდო მოწმეების ჩვენებებზე დაყრდნობით,*

არსებული ინფორმაციის თანახმად, ანტისამთავრობო შეიარაღებულმა ჯგუფებმა და ISIS-მა ზოგ ბავშვს თავისუფლება აღუკვეთა კონფლიქტის მონაწილე მოწინააღმდეგე მხარეებთან კავშირის გამო.[351]

როგორც იუწყებიან, ხდება ბავშვების დევნა განსაკუთრებული ფორმებით, როგორიცაა, არასრულწლოვანთა რეკრუტირება,[352] სექსუალური ძალადობა,[353]

---

*ხელისუფლება ბავშვებს ავალებდა ზეგავლენა მოეხდინათ თავიანთ მშობლებსა და სხვა ნათესავებზე, რომლებიც ოპოზიციონერ მებრძოლებთან იყვნენ დაკავშირებული და აეძულებინათ ისინი დანებებულიყვნენ";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ - სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 8-9. იხ. აგრეთვე, ზემოთ, "პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1) და "*პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული*" (განყოფილება III.A.3) და მითითებული წყაროები.

[351] "*შეირაღებული ჯგუფები ბავშვებს აპატიმრებენ მათი სავარაუდო კავშირისთვის კონფლიქტის ოპოზიციურ მხარეებთან. მაგალითად, ISIL-მა 27 ბიჭს აღუკვეთა თავისუფლება, ზოგი მათგანი მხოლოდ 10 წლის იყო. 9 ბავშვი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო 17 მათგანის ბედი 2017 წლის დასაწყისისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. (...) თებერვალში ISIL-ის ძალებმა 3 ბავშვს, 'ჯაშუშობის' ბრალდებით, საჯაროდ მოკვეთეს თავი";* გაეროს გენერალური მდივანი, *ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტში,* http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 175, 178.

[352] "*ბავშვთა რეკრუტირება და მათი გამოყენება მკვეთრად გაიზარდა: დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა 2015 წელთან შედარებით. გაერომ 851 საქმე გადაამოწმა, რომლებიც დაკავშირებული იყო: სირიის თავისუფალ არმიას მიკუთვნებულ ჯგუფებთან (507), ISIL-თან (133), მთავრობის მხარდამჭერ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან (54), სახალხო დაცვის შენაერთებთან (46), სამთავრობო ძალებთან (29), ისლამის არმიასთან (28), აჰრარ ალ-შამთან (17), ნუსრას ფრონტთან (ცნობილია ასევე ჯაბგატ ფატა ალ-შამის სახელით) (10), ნურ ალ-დინ ალ-ზანკისთან (3) და რამდენიმე არაიდენტიფიცირებულ შეიარაღებულ ჯგუფთან (24); დადასტურებულ შემთხვევათა 20 პროცენტში ჩართული იყვნენ 15 წლამდე ასაკის ბავშვები".* გაეროს გენერალური მდივანი, *ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტში, 2017 წლის 24 აგვისტო*, http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 171. "*სირიის სამთავრობო ძალები, რეჟიმის მხარდამჭერი მილიციურ შენაერთები და შეიარაღებული ჯგუფები, მათ შორის, სირიის თავისუფალი არმია (FSA) და მასთან ასოცირებული ჯგუფები, ქურთთა ძალები, ISIS-ი, და ჯაბჰატ ალ ნუსრა, რომელიც სირიაში ალ-ქაიდასთან არის ასოცირებული, კვლავ აგრძელებენ ბიჭებისა და გოგონების რეკრუტირებას და მათ გამოყენებას ჯარისკაცებად, ცოცხალ ფარად, თვითმკვლელ ტერორისტებად, ჯალათებად და ასევე, დამხმარე სამუშაოთა შემსრულებლებად.* ზოგიერთი შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც სირიის მთავრობისთვის იბრძვის, მაგალითად, ჰეზბოლა და პროსამთავრობო მილიცია, რომლებიც ცნობილია სახელწოდებით „ეროვნული თავდაცვის ძალები" *(NDF), ან „შაბიჰა", იძულებით ახდენენ ბავშვების რეკრუტირებას, ექვსი წლის ასაკიდან. მეომრები ბავშვებს ასევე იყენებენ იძულებითი შრომისთვის და ინფრომატორებად, რითაც მათ შურისძიებისა და უმძიმესი სასჯელის საფრთხის წინაშე აყენებენ";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2017 მოხსენება ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ – სირია*, 2017 წლის 27 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2017 წლის 8 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b24fe14.html, პარ. 51; HRW, *მსოფლიო მოხსენება 2017 – სირია*, 2017 წლის 12 იანვარი, http://www.refworld.org/docid/587b58196.html; OCHA, გენერალური მდივნის თანაშემწის ჰუმანიტარულ საქმეთა და გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში, სტეფან ო'ბრაიენის განცხადება უშიშროების საბჭოში, 2017 წლის 22 თებერვალი, http://bit.ly/2vYJkxD; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 117, 118; გაეროს გენერალური ასამბლეა, *ადამიანის უფლებათა სიტუაცია*, 2016 წლის 9 ივნისი, http://www.refworld.org/docid/576a33aa4.html, პარ. 50-51. იხ. აგრეთვე, ზემოთ, "*ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები* " (განყოფილება II.C) და მითითებული წყაროები.

[353] იხ. "*ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები* " (განყოფილება II.C), "პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1),"*განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები*" (განყოფილება III.A.10) და მითითებული წყაროები.

იძულებითი და ადრეული ქორწინება,[354] ოჯახში ძალადობა,[355] ბავშვის იძულებითი შრომა,[356] ტრეფიკინგი[357] და განათლებაზე ხელმისაწვდომობის სისტემატური შეზღუდვა.[358] ISIS-ი, ჯაბჰატ ალ-შამი და სხვა ექსტრემისტ ისლამისტთა

---

[354] იხ. ზემოთ, "*განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები*" (განყოფილება III.A.10) და მითითებული წყაროები.

[355] "*შეკითხვაზე, თუ რეგულარულად რა ტიპის ძალადობის მსხვერპლი არიან ბავშვები, რესპოდენტთა ნახევარმა ოჯახში ძალადობაზე მიუთითა - როგორც ფიზიკურზე, ისე ემოციურზე - რომელიც ხდება ბავშვის მიმართ ან ბავშვის თანდასწრებით";* Save the Children, *ექვსწლიანი ომის ზემოქმედება სირიელ ბავშვთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე,* 2017 წლის 6 მარტი, http://bit.ly/2mzCCwJ, გვ. 11. იხ. აგრეთვე, "*განსაკუთრებული მახასიათებლების (პროფილის) მქონე ან განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ქალები და გოგონები*" (განყოფილება III.A.10) და მითითებული წყაროები.

[356] "*სირიის შიგნით და მისი საზღვრების გარშემო, თავის რჩენის საშუალებები მცირდება და ოჯახებს უკიდურესი ზომების მიღება უხდებათ გადასარჩენად. ხშირად ბავშვებს ადრეული ქორწინებისკენ და ბავშვის შრომისკენ უბიძგებენ. ბავშვები თვითონ არიან დასაქმებული ორ მესამედზე მეტ შინამეურნეობაში, რათა დაეხმარონ ოჯახებს; ზოგი მათგანი ძალიან მკაცრ პირობებშიც, რომლებიც უფროსებისთვისაც კი არ არის მიზანშეწონილი";* UNICEF, *ძირგამომთხრელი შეტევა: ბავშვები სირიაში ყველაზე მძიმედ იტანჯებიან,* 2017 წლის 3 მარტი, http://bit.ly/2qqpwEa. "*ქვეყანაში გადარჩენილი რაიონების 82 პროცენტში იყენებენ ბავშვის შრომას, რაც გამოწვეულია საარსებო საშუალებათა საყოველთაო განადგურებითა და ოჯახების განცალკევებით. ხშირად სამუშაო არის განსაკუთრებით საშიში და სახიფათო ფორმის, კერძოდ, მათხოვრობა, კონტრაბანდა, ნაგვის შეგროვება, ჯარში სამსახური და ბავშვების გამოყენება კონფლიქტში და სხვა უკანონო საქმიანობები";* OCHA, გენერალური მდივნის თანაშემწის ჰუმანიტარულ საქმეთა და გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის საკითხებში, სტეფან ო'ბრაიენის განცხადება უშიშროების საბჭოში, 2017 წლის 22 თებერვალი, http://bit.ly/2vYJkxD. "*მიმდინარე ძალადობა, მთავრობის კონტროლის გარეთ არსებულ ტერიტორიებზე საგანმანათლებლო სისტემის განადგურებასთან ერთად, კვლავ აიძულებს ბავშვებს იშრომონ, რათა თავი გადაირჩინონ. (...) ბავშვები ნებისმიერ სამუშაოს ასრულებენ - ბოსტნეულის გაყიდვიდან დაწყებული, საწვავის კონტრაბანდით დამთავრებული - რათა ოჯახებს დაეხმარონ";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 127. იხ. აგრეთვე, AGPS, *უმუშევრობა კიდევ უფრო ამძაფრებს პალესტინელ ლტოლვილთა ტანჯვას სირიაში,* 2017 წლის 21 სექტემბერი, https://shar.es/1PCXn9; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 56-57.

[357] "*არსებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვებს ემუქრება ადრეული ქორწინება, რამაც შეიძლება კომერციული ხასიათის სექსუალური ექსპლუატაცია და იძულებითი შრომა გამოიწვიოს. ხოლო ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული ბავშვები კვლავ ექვემდებარებიან იძულებით შრომას, განსაკუთრებით ხშირია მათი ჩართვა მათხოვრობის ორგანიზებულ ქსელში";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2017 ადამიანთა ტრეფიკინგი –სირია*, 2017 წლის 27 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5959ec46c.html.

[358] მთელ სირიაში, სამიდან ერთი სკოლა არ ფუნქციონირებს, რადგან იგი ან დაზიანებულია, ან განადგურებული, ან იძულებით გადაადგილებულ პირთა თავშესაფრად არის ქცეული, ან სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენება. 2011 წელს ომის დაწყების დღიდან სკოლებზე 4000-მდე შეტევა განხორციელდა. „ამ თავდასხმების შედეგად ბავშვების დაუჯერებელი რაოდენობა დაიღუპა და დასახიჩრდა სასტიკ გარემოებებში. ამ თავდასხმების შედეგად დაიღუპა პედაგოგთა დაუდგენელი რაოდენობა და დაინგრა სკოლის შენობები, რამაც ათასობით ბავშვი განათლებაზე მისაწვდომობის გარეშე დატოვა. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი,* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 20 (იხ. აგრეთვე, ამავე მოხსენების პარ. 21-31, 61). იხ. აგრეთვე, Save the Children, *სირია, ბრძოლების გამო ასობით სკოლა დაიხურა*, 2017 წლის 6 ოქტომბერი, http://bit.ly/2fV7YZH; გაეროს გენერალური მდივანი, *ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტში, 2017 წლის 24 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 180, 182; მსოფლიო ბანკი, *სირიაში კონფლიქტის ეკონომიკური და სოციალური შედეგები, 2017 წლის 10 ივლისი,* http://bit.ly/2A6nTgx, გვ.; Save the Children, *ექვსწლიანი ომის ზემოქმედება სირიელ ბავშვთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე,* 2017 წლის 6 მარტი, http://bit.ly/2mzCCwJ, გვ. 8-9; UNICEF, *ომისაგან განადგურებულ სირიაში ბავშვები სიცოცხლის რისკის ფასად დადიან სკოლაში, 2016 წლის 21 ოქტომბერი,* http://uni.cf/2m3Jlip. ISIS და სხვა ისლამური ექსტრემისტული ჯგუფები, როგორც იუწყებიან, მათი კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, შეზღუდვებს აწესებენ ქალთა განათლებაზე: "*ზოგიერთი ოპოზიციური ჯგუფი და ექსტერემისტული ელემენტები, როგორც იუწყებიან, ქალებს უკრძალავდნენ პედაგოგობას, ხოლო*

შეიარაღებული დაჯგუფებები განათლებას იყენებენ ბავშვთა შთაგონიბისთვის და შემდგომში მათი რეკრუტირებისთვის.[359] მოხსენებები მიუთითებს, რომ ISIS-ი ბავშვებს იყენებს სამხედრო დანაშაულის ჩასადენად, მათ შორის, მათ ტყვეობაში მყოფი ISF-ის წევრებისა და სამოქალაქო პირების სიკვდილით დასჯისთვის, დასახიჩრებისა და/ან წამებისთვის.[360]

UNHCR-ს მიაჩნია, რომ ბავშვებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს, **დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა** კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების (რომელსაც უწოდებენ „ბავშვები სირიაში“) საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე:

1) არასრულწლოვანთა რეკრუტირებისაგან დაზარალებულები ან ასეთი რისკის წინაშე მყოფი ბავშვები;
2) სექსუალური ძალადობით, ოჯახში ძალადობით, იძულებითი და/ან ადრეული ქორწინებით ან „პატივის დაცვის გამო ჩადენილი დანაშაულით“ დაზარალებული ან ასეთი რისკის წინაშე მყოფი ბავშვები;
3) სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებსაც შეიძლება სისტემატურად არ ჰქონდეთ წვდომა განათლებაზე - მათი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის ან მათი (შერაცხული) პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე.

საერთაშორისო დაცვის შესახებ ბავშვთა მიერ წარდგენილი განაცხადებები უნდა შეფასდეს განსაკუთრებული ყურადღებით და ‘ბავშვთა თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ’ UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით; ასევე გამოკვლეული უნდა იქნეს გამორიცხვასთან დაკავშირებული გარემოებები ყოფილი ბავშვ-ჯარისკაცებთან მიმართებით.[361]

---

*გოგონებს - სკოლაში სიარულს, განსაკუთრებით, დაეშის მიერ კონტროლირებულ დეირ ალ-ზურის პროვინციაში“;* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 47. იხ. აგრეთვე, ზემოთ, “ჰუმანიტარული სიტუაცია” (განყოფილება II.E) და მითითებული წყაროები.

[359] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია*, 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 14-15; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2016 წლის 11 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/57d015fd4.html, პარ. 125. იხ. აგრეთვე, Business Insider, *‘ზოგჯერ იარაღი ბავშვზე მაღალია’: როგორ იყენებს ISIS-ი სკოლებს ბავშვთა ინდოქტრინაციისთვის*, 2016 წლის 12 მარტი, http://read.bi/1P5QD7z.

[360] “*ISIL-მა, სულ მცირე, 103 ბავშვი გამოიყენა სამხედრო ფუქნციების შესასრულებლად, მათ შორის, ადამიანთა სიკვდილით დასჯის აღსასრულებლად და ტერორისტ თვითმკვლელებად [2016 წლის იანვრიდან დეკემბრამდე პერიოდში]*“; გაეროს გენერალური მდივანი, *ბავშვები შეიარაღებულ კონფლიქტში, 2017 წლის 24 აგვისტო*, http://www.refworld.org/docid/59db4a194.html, პარ. 172. იხ. აგრეთვე,, International Business Times, *ISIS-ის ჯალათი ბავშვები? ვიდეოზე სავარაუდოდ ჩანს 3 ბავშვი, რომლებიც სირიაში სიკვდილით სჯიან მამაკაცებს, რომლებსაც ქურთთა ძალების სასარგებლოდ ჯაშუშობაში ედებათ ბრალი, 2017 წლის 10 იანვარი,* http://bit.ly/2svJXgH. იხ. აგრეთვე, ზემოთ, “*ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები - ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო (ISIS)”* (განყოფილება II.C.2) და მითითებული წყაროები.

[361] UNHCR, სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N8: ბავშვთა თავშესაფრის მოთხოვნა 1951 წლის კონვენციის 1(A)2 და 1(F) მუხლების და/ან ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1967 წლის ოქმის კონტექსტში, 2009 წლის 22 დეკემბერი, HCR/GIP/09/08, http://www.refworld.org/docid/4b2f4f6d2.html.

### *12)* განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები

1949 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 520-ე მუხლი კრძალავს ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა შორის სექსუალურ კავშირს, სრულწლოვან პირთა შორის ურთიერთთანხმობით განხორციელებული კავშირის ჩათვლით. ასეთი ქმედება მიჩნეულია „ურთიერთობად, რომელიც ბუნების წესებს არღვევს“ და ისჯება სამ წლამდე პატიმრობით.[362] ბოლო წლების განმავლობაში 520-ე მუხლის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის ფაქტები არ დაფიქსირებულა, თუმცა, არსებული ინფორმაციის შესაბამისად, სასამართლოებმა რამდენიმე გეი მამაკაცისა და ლესბოსელი ქალის საქმე განიხილეს დისკრიმინაციული ფორმით, რომელიც ეფუძნებოდა ბუნდოვან ბრალდებებს, როგორიცაა, მაგალითად: სოციალური ღირებულებების შეურაცხყოფა; ნარკოტიკების უკანონო ყიდვა-გაყიდვა ან მოხმარება; და „ამორალური“წვეულებების ორგანიზება და პოპულარიზაცია.[363] სირიის კონფლიქტმა და მასთან დაკავშირებულმა მკაცრი და ექსტრემისტული ისლამური შეიარაღებული ჯგუფების შექმნამ, უპირველეს ყოვლისა, ISIS-ისა და ჯაბჰატ ფატა ალ-შამისა, კიდევ უფრო დაამძიმა მანამდე არსებული დაუცველობის მდგომარეობა და გაამწვავა რისკი, რომლის წინაშეც იდგნენ სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები სირიაში.[364] სხვადასხვა მხარის[365] მიერ

---

[362] მუხლი 520, კანონი 148/149. 1949 წლის სისხლის სამართლის კანონი (კანონი 148/1949,), შესწორების გათვალისწინებით, ხელმისაწვდომია მხოლოდ არაბულ ენაზე: WIPO, *სირიის არაბული რესპუბლიკა, კანონი No. 148/1949 სირიის სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ,* http://bit.ly/2rj5PvT. იხ. აგრეთვე, ლესბოსელთა, გეების, ტრანსსექსუალებისა და ინტერსექსუალების ასოციაცია (ILGA), *ჰომოფობია სახელმწიფოს ხელშეწყობით 2017: სექსუალური ორიენტაციის შესახებ მსოფლიო კანონმდებლობის მიმოხილვა: კრიმინალიზაცია, დაცვა და აღიარება, 2017 წლის მაისი,* http://www.refworld.org/docid/598311a44.html (შემდგომში: ILGA, *: სექსუალური ორიენტაციის შესახებ მსოფლიო კანონმდებლობის მიმოხილვა, 2017 წლის მაისი,* http://www.refworld.org/docid/598311a44.html), გვ. 39.

[363] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია*, 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 53 და ადრინდელი მოხსენებები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,USDOS,,SYR,,,0.html. იხ. აგრეთვე, ILGA, *:სექსუალური ორიენტაციის შესახებ მსოფლიო კანონმდებლობის მიმოხილვა, 2017 წლის მაისი,* http://www.refworld.org/docid/598311a44.html, გვ. 41 (სქოლიო 133) და გვ. 117.

[364] “OutRight Action International“-ის წარმომადგენელი, ჯესიკა სტერნი აცხადებს, რომ *„ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ხდება ძალადობა ოჯახების მიერ, ფიზიკური განადგურების კამპანიებს ატარებს მილიცია... მთავრობები გულგრილნი იყვნენ ISIS-ის გამოჩენამდეც, არც ერთი მკვლელის მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა“;* Los Angeles Times, *იყო გეი ისლამური სახელმწიფოს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე - სიკვდილის მისჯას ნიშნავს,* 2016 წლის 13 ივნისი, http://fw.to/e1jBLPT. იხ. აგრეთვე, The Washington Post, *ისლამური სახელმწიფოს შოკისმომგვრელი ომი გეების წინააღმდეგ, 2016 წლის 13 ივნისი,* http://wapo.st/2kWpIW7; The Sydney Morning Herald, *'არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე იყო გეი დღევანდელ სირიაში', 2015 წლის* 17 ოქტომბერი, http://bit.ly/1Mkftje.

[365] ISIS-ის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, უბრალო განცხადების ან იმ ეჭვის საფუძველზე, რომ ვიღაცა არის განსხვავებული სექსულური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე, მაგალითად, პირი გარეგნულად ქალივით გამოიყურება, აქვს სიარულის ქალური მანერა ან ცხოვრების სტილი, პირი შეიძლება მკაცრად დასაჯონ; Christian Science Monitor, *ისლამისტთა შეხედულება ლგბტ პირთა მიმართ: რას ამბობს ყურანი, და რას არ ამბობს იგი, 2016 წლის 15 ივნისი,* http://fw.to/YAghyDc; Los Angeles Times, *იყო გეი ისლამური სახელმწიფოს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე - სიკვდილის მისჯას ნიშნავს,* 2016 წლის 13 ივნისი, http://fw.to/e1jBLPT; Vocativ, *შეხვედრა სამ ლგბტ პირთან, რომლებიც ISIS-ის სისასტიკეს გაექცნენ,* 2016 წლის 30 იანვარი, http://voc.tv/1KNz6Ax; Washington Blade, *მოხსენებები მიუთითებს, რომ ისლამური სახელმწიფო*

ხდება განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე და ასეთად მიჩნეული პირების[366] მიმართ არასათანადო მოპყრობა. მათ შორის მათივე ოჯახის ახლო და შორეული წევრების[367] ფართო საზოგადოების[368] მთავრობის ოფიციალური პირების[369] მხრიდან დამთელი რიგი შეიარაღებული ჯგუფების, ISIS-ისა და ჯაბჰატ ფატა ალ-შამის ჩათვლით.[370] გადმოცემის თანახმად ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული

---

*სიკვდილით სჯის მამაკაცებს არაბუნებრივი სექსუალური კავშირისთვის (სოდომური დანაშაულისთვის), 2015 წლის 7 მარტი,* https://shar.es/12gytP.

366 სირიელმა გეი ლტოლვილმა აღნიშნა, რომ *„ისლამურ სახელმწიფოში ცხოვრება ძნელი იყო, მაგრამ იგი ძნელი იყო სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ასადის მთავრობის ხელშიც, ასევე, ამბოხებული ჯგუფების მთელ გაერთიანებებში, რომლებიც, აგრეთვე, სიკვდილით სჯიდნენ ჰომოსექსუალებს. სირიელი გეები, გარკვეულწილად, ორმაგი ლტოლვილები არიან - ისინი სამშობლოდან გარბიან ომის გამო, მაგრამ, ასევე, გაურბიან თავიანთ თემებს, რომლებიც იშვიათად ეგუებიან მათ";* The Washington Post, *ისლამური სახელმწიფოს შოკისმომგვრელი ომი გეების წინააღმდეგ, 2016 წლის 13 ივნისი,* http://wapo.st/2kWpIW7.

367 არსებული ინფორმაციის შესაბამისად, თუ გამჟღავნდა, რომ პირი არის (ან უბრალოდ მიჩნეულია) განსახვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონედ, მას ემუქრება სოციალური გარიყვა, ფიზიკური თავდასხმა და 'პატივის' დაცვასთან დაკავშირებული 'სასჯელები', რადგან სტიგმა ზემოქმედებას ახდენს მთელ ოჯახზე და მთელ თემზეც კი. სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის თანახმად, თუ მკვლელობა მოხდა „ღირსეული განზრახვით", მოსამართლეს აქვს მრავალი ალტერნატივა სასჯელის შემსუბუქებისთვის. კანონი არ აკონკრეტებს რას ნიშნავს ღირსეული განზრახვა. *„ზოგადად, ოჯახები უარს ამბობენ, კლავენ ან ცდილობენ მოძველებული თერაპიული მეთოდებით ან ფიზიკური წამებით 'გამოასწორონ' თავიანთი ლგბტ შვილები*"; Columbia Journal of International Affairs, *სახლის ძიებაში: სირიის სამოქალაქო ომში ერთი სირიელი მამაკაცის გადარჩენის ამბავი,* 2016 წლის 6 ივნისი, http://bit.ly/2lqq3Aw. იხ. აგრეთვე, DW, *სტამბულში სირიელ გეის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება,* 2017 წლის 14 თებერვალი, http://bit.ly/2qY5NsF; HRGJ Clinic, MADRE, WILPF, *ადამიანის უფლებათა დარღვევები ქალთა და გოგონათა მიმართ სირიაში, 2016 წლის 25 ივლისი,* http://bit.ly/2iHSlaV, გვ. 3; Vocativ, *შეხვედრა სამ ლგბტ პირთან, რომლებიც ISIS-ის სისასტიკეს გაექცნენ,* 2016 წლის 30 იანვარი, http://voc.tv/1KNz6Ax; The Sidney Morning Herald, *'არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე იყო გეი დღევანდელ სირიაში', 2015 წლის* 17 ოქტომბერი, http://bit.ly/1Mkftje. მოხსენებებში ასევე აღწერილია, თუ როგორ გაუმჟღავნა ზოგიერთმა ოჯახმა მათი გეი ოჯახის წევრის ვინაობა ისლამისტთა ჯგუფებს, რათა ისინი მოეკლათ; Associated Press, *ისლამური სახელმწიფოს ჯგუფი გეებს სასტიკი საჯარო მოკვლით ემუქრება, 2016 წლის 13 ივნისი,* http://apne.ws/1UvX3jI; HRW, *სირიაში გეი მამაკაცებს ორმაგი საფრთხე ემუქრება, 2014 წლის 28 აპრილი,* http://bit.ly/2mwLZxC.

368 ადამიანის უფლებათა აქტივისტები და ორგანიზაციები იუწყებიან, რომ სირიის საზოგადოებაში არის აშკარა სოციალური დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე; იხ. მაგ., აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 53, 57; OutRight Action International, *ჯესიკა სტერნის კომენტარი გაეროს ისტორიულ ბრიფინგზე ლგბტ პირთა შესახებ, რომელიც ფოკუსირებული იყო ერაყსა და სირიაში მიმდინარე დევნასა და სიკვდილით დასჯაზე,* 2015 წლის 24 აგვისტო, http://bit.ly/2lEv2xq.

369 *"ადგილობრივი მასმედიის საშუალებები მიუთითებენ მრავალ შემთხვევაზე, როდესაც უშიშროების ძალებმა ჰომოსექსუალიზმში დადანაშაულება გამოიყენეს სამოქალაქო პირთა დაკავების, დაპატიმრების და წამების საბაბად";* აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 53. იხ. აგრეთვე, British Council, *რას ნიშნავს იყო გეი ლტოლვილი?*2016 წლის 21 მარტი, http://bit.ly/1T5nlNz; The Canadian Press, *'თავაზიან' კანადაში სირიელი გეი ლტოლვილები მიიღეს,* 2016 წლის 17 იანვარი, http://on.thestar.com/2lCZvLU.

370 *"ჩრდილოეთ ერაყსა და ჩრდილოეთ სირიაში, დაეშის (ან ISIS/ISIL) მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე, მამაკაცებისა და ქალების დევნა ხდება მათი გენდერული გამოხატვის, გენდერული იდენტობის და სხვა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით";* ILGA, *: სექსუალური ორიენტაციის შესახებ მსოფლიო კანონმდებლობის მიმოხილვა, 2017 წლის მაისი,,* http://www.refworld.org/docid/598311a44.html, გვ. 105. *"ლესბოსელებზე, გეებზე, ბისექსუალებზე, ტრანსგენდერებსა და ინტერსექსუალებზე ხდება ფიზიკური და სექსუალური თავდასხმა, მათი რეალური ან ნავარაუდევი სექსუალური ორიენტაციის გამო, განსაკუთრებით ეს ხდება საკონტროლო პუნქტებზე, რომლებსაც აკონტროლებენ ისეთი ჯგუფები, როგორიცაა, ISIL-ი და ნუსრას*

ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, ჰომოსექსუალურ ურთიერთობებში საკუთარი თანხმობით ჩართული მამაკაცები ისჯებიან სექსუალური ძალადობით, წამებით და უკანონო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე - სიკვდილით დასჯით. ასევე, ხდება ასეთი პირების ცოცხლად დაწვა, თავის მოკვეთა, ჩაქოლვა, დახვრეტა და მაღალსართულიანი შენობებიდან გადმოგდება.[371] ექსტრემისტი ისლამური შეიარაღებული ჯგუფები, არსებული ინფორმაციის თანახმად, აშინებდნენ აქტივისტებს, რომლებიც სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის პირთა უფლებების დაცვას ცდილობდნენ.[372]

---

*ფრონტი, ასევე - საპატიმროებში“;* გაეროს უშიშროების საბჭო, *გენერალური მდივნის მოხსენება კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შესახებ,* 2016 წლის 20 აპრილი, http://www.refworld.org/docid/5731a0d24.html, პარ. 69. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება რელიგიის თავისუფლების შესახებ – სირია,* 2017 წლის 15 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/59b7d8393.html, გვ. 12; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, *ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები,* 2016 წლის 21 ივლისი - 2017 წლის 28 თებერვალი, *2017 წლის 10 მარტი* http://www.refworld.org/docid/58c80d884.html, პარ. 77-78; HRW, *მსოფლიო მოხსენება 2017 – სირია,* 2017 წლის 12 იანვარი, http://www.refworld.org/docid/587b58196.html; The Washington Post, *ისლამური სახელმწიფოს შოკისმომგვრელი ომი გეების წინააღმდეგ, 2016 წლის 13 ივნისი,* http://wapo.st/2kWpIW7; ABC, *ISIS-ის უღელქვეშ: სადაც, იყო გეი - სიკვდილით დასჯას ნიშნავს,* 2016 წლის 13 ივნისი, http://abcn.ws/2lEAtMJ; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2016 წლის 11 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/56d6b3843ea.html, პარ. 106, 113. საკუთარი იდენტობის დაფარვისა და გარკვეული დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც იუწყებიან, ზოგიერთი გეი მამაკაცი ანტისამთავრობო შეიარაღებულ/ექსტრემისტულ ჯგუფებს შეუერთდა და ამ ჯგუფებს სხვა გეი მამაკაცების გამოვლენაში ეხმარება; Los Angeles Times, *იყო გეი ისლამური სახელმწიფოს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე - სიკვდილის მისჯას ნიშნავს,* 2016 წლის 13 ივნისი, http://fw.to/e1jBLPT; The Daily Beast, *ISIS-ის საიდუმლო, თვალთმაქცური გეი სამყარო,* 2016 წლის 1 ივნისი, http://thebea.st/1Pf9wFQ; International Business Times, *ISIS-ის ტერორისტები ავრცელებენ 'მძიმე ბრალდებით სავსე' ჰომოსექსუალურ ტექსტებს,* 2015 წლის 12 მაისი, http://bit.ly/2lh1gCm. იხ. აგრეთვე, ზემოთ, "*პირები, რომლებიც მიიჩნევიან შარიათის კანონის მოწინააღმდეგედ ექსტრემისტ ისლამისტთა შეიარაღებული ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე*" (განყოფილება III.A.9) და მითითებული წყაროები.

[371] 'OutRight Action International'-ის აღმასრულებელი დირექტორი, ჯესიკა სტერნის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ISIS-ი იკვეხნის, რომ 2014 წლის დეკემბრიდან 2016 წლის ივნისამდე, 'სულ მცირე, 41 პირი მოკლა - როგორც თვითონ უწოდებს - სოდომური დანაშაულისთვის. ცხადია, რომ 41 ადამიანის მოკვლა აისბერგის მხოლოდ წვერია და როდესაც ჩვენს ერაყელ და სირიელ მეგობრებს ვესაუბრებით, ისინი მრავალი სხვა ასეთი მკვლელობის შესახებ საუბრობენ, რომლებზედაც [ისლამურ სახელმწიფოს] საჯაროდ არ აუღია პასუხისმგებლობა"; Los Angeles Times, *იყო გეი ისლამური სახელმწიფოს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე - სიკვდილის მისჯას ნიშნავს,* 2016 წლის 13 ივნისი, http://fw.to/e1jBLPT. იხ. აგრეთვე, Amnesty International, *მოტაცება, წამება და თვითნებური მკვლელობა შეიარაღებული ჯგუფის კანონის საფუძველზე ალეპოსა და იდლიბში, სირია, 2016 წლის 5 ივლისი,* http://www.refworld.org/docid/577b81f84.html, გვ. 28; Outright Action International, *ისლამური სახელმწიფოს შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ სავარაუდო სოდომური ურთიერთობისთვის პირთა სიკვდილით დასჯის გასაჯაროებული გრაფიკი,* ბოლო განახლება - 2016 წლის 30 ივნისი, http://bit.ly/1TkMgK7.

[372] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, *2016 მოხსენება ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ – სირია,* 2017 წლის 3 მარტი, http://www.refworld.org/docid/58ec89bf13.html, გვ. 53.

UNHCR-ს მიაჩნია, რომ სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირებს დიდი ალბათობით ესაჭიროებათ საერთაშორისო ლტოლვილის დაცვა კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების საფუძველზე, და/ან სხვა შესაბამის საფუძველზე, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე.[373]

გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ არ უნდა იყოს იმის მოლოდინი, რომგანსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები დევნის თავიდან ასაცილებლად, მოახერხებენ საკუთარი იდენტობის დამალვას.[374] გარდა ამისა, ურთიერთთანხმობით განხორციელებული ჰომოსექსუალური ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი სანქციების არსებობა დამატებით ბარიერს ქმნის სახელმწიფოს მხრიდან ასეთი პირების დაცვის კუთხით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დევნა განხორციელებულია არასახელმწიფო სუბიექტების მიერ, როგორებიც არიან შეიარაღებული ჯგუფები და სოციუმი.[375]

### *13) პალესტინელი ლტოლვილები*[376]

პალესტინელები ძირითადად იმ დიდ ურბანულ ცენტრებში არიწ დასახლებულნი, რომლებიც ინტენსიური ბრძოლების შედეგად სერიოზულად დაზიანდნენ, მათ შორის: დერას, დამასკოს, დამასკოს ქალაქგარე ტერიტორიის, ჰომსის, ჰამასის, ლატაკიას და ალეპოს პროვინციებში. პალესტინელ ლტოლვილთა თორმეტივე ბანაკი და 23 თემი კონფლიქტისშედეგად უშუალოდ დაზარალდა.[377] პალესტინელი

---

373 სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისთვის გადაწყვეტილების მიმღებთათვის რეკომენდებულია UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ N 9: განაცხადები ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან მისი 1967 წლის ოქმის კონტექსტში, 2012 წლის 23 ოქტომბერი, HCR/GIP/12/01, http://www.refworld.org/docid/50348afc2.html (შემდგომში: UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 9*, 2012 წლის 23 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/50348afc2.html).

374 UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 9*, 2012 წლის 23 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/50348afc2.html, პარ. 30-33. იხ. აგრეთვე, მაგალითად, ევროპის კავშირის სასამართლო, საქმე *X, Y, Z v Minister voor Immigratie en Asiel*, C-199/12 to C-201/12, 2013 წლის 7 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/527b94b14.html.

375 მაშინაც კი, თუკი არ არსებობს სამართლებრივი დებულებები ჰომოსექსუალური აქტების კრიმინალიზაციის შესახებ, ჰომოფობიის ფართოდ გავრცელებული ატმოსფერო, რაც საზოგადოების დამოკიდებულებით არის გამყარებული, შეიძლება ჩაითვალოს იმ რისკის მიმანიშნებლად, რომლის წინაშეც დგანან სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე ადამიანები სირიაში. იხ. UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 9*, 2012 წლის 23 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/50348afc2.html.

376 ამ დოკუმენტში, ტერმინი 'პალესტინელი ლტოლვილი' ნიშნავს პირს, რომელზედაც ვრცელდება 1951 წლის კონვენციის 1D მუხლი, როგორც ეს UNHCR-ს აქვს განსაზღვრული; მოსაზრებები *UNHCR-ის განმარტებაზე 1951 წლის კონვენციის 1D მუხლის და ევროკავშირის საკვალიფიკაციო დირექტივის 12(1)(a) მუხლისს შესახებ, საერთაშორისო დაცვის მაძიებელი პალესტინელი ლტოლვილების კონტექსტში, 2013 წლის მაისი*, http://www.refworld.org/docid/518cb8c84.html.

377 აქტიური კონფლიქტის ტერიტორიებზე კვლავ სერიოზულად ირღვევა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებები პალესტინელთა თემების მიმართ, რაც გამოწვეულია განურჩეველი და საყოველთაო თავდასხმებით სამოქალაქო მოსახლეობასა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე: *„ინტენსიური დაპირისპირება და ძალადობრივი აქტები მოხდა პალესტინელთა თავშეყრის ადგილებზე, ასევე, ოფიციალურ და არაოფიციალურ ბანაკებში, განსაკუთრებით, ალეპოში, დამასკოსა და რიფ დიმაშქში. ბევრ შემთხვევაში პალესტინელი ლტოლვილები მოკლეს ან დაასახიჩრეს"*; გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ხელშეწყობისა და

ლტოლვილები ისეთივე საფრთხის წინაშე აღმოჩდნენ, როგორც სირიელები, მათ შორის იმ საფუძვლით, რომ ისინი დაპირისპირებულ რომელიმე მხარეს უჭერდნენ მხარს, ან ასეთებად იქნენ მიჩნეულები. მოხსენებების შესაბამისად, პალესტინელთა შეიარაღებული შენაერთები და რიგითი პალესტინელები კონფლიქტის რომელიმე მხარისთვის მხარდაჭერის გზით კონფლიქტში ჩაერთვნენ, რის გამოც მათ რისკი შეუქმნეს თავიანთ თანამემამულეთა ფართო ჯგუფს მათდამი შერაცხული ან რეალური პოლიტიკური შეხედულებების გამო.[378] მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, გაწვევის ასაკის პალესტინელ მამაკაცებს, მთავრობა აიძულებს ჩაეწერონ სამთავრობო[379] და მთავრობის მხარდამჭერ ძალებში.[380]

---

შრომის სააგენტო პალესტინელი ლტოლვილებისთვის ახლო აღმოსავლეთში, გენერალური კომისრის მოხსენება, 2016 წლის 1 იანვარი - 31 დეკემბერი, 2017 წლის 22 მაისი, A/72/13, http://www.refworld.org/docid/59ef4f534.html, პარ.12. "*პალესტინელი ლტოლვილები განსაკუთრებული რისკის წინაშე დგანან, რადგან მათზე ზემოქმედებას ახდენს დაპირისპირება მათ ბანაკებში, რაც მასობრივი გადაადგილებით არის გამოწვეული*"; OCHA, *2017 ჰუმანიტარულ საჭიროებათა მიმოხილვა,* 2016 წლის 1 დეკემბერი, http://bit.ly/2kCi16M, გვ. 32. იხ. აგრეთვე, UNRWA, *სირია: UNRWA – ჰუმანიტარული სიტუაციის მიმოხილვა, 2017 წლის ივნისი,* 2017 წლის ივლისი, http://bit.ly/2h2MsWo; UNRWA, *სირიაში პალესტინელ ლტოლვილთა ჰუმანიტარული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა, 2017 წლის მარტი,* 24 April 2017, http://bit.ly/2tBItVV. იხ. აგრეთვე, "*ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები*" (განყოფილება II.C) და მითითებული წყაროები.

[378] Rudaw, *პალესტინელ ლტოლვილთა ჰანდარატის ბანაკი ალეპოს ბრძოლების შუაგულში,* 2016 წლის 27 სექტემბერი, http://bit.ly/2lgEWYX; The Arab Weekly, *პალესტინელებს სირიის ომი მძიმე ფასად უჯდებათ,* 2016 წლის 11 სექტემბერი, https://goo.gl/VM0daU; Al Jazeera, *კითხვა/პასუხი: იარმუკის გარეთ, სირიაში მყოფ პალესტინელებს, დახმარება სჭირდებათ, 2016 წლის 25 თებერვალი,* http://bit.ly/1LeFu9F; Middle East Monitor, *პალესტინელი ლტოლვილები ცდილობენ თავი დააღწიონ ჯარში გაწვევას სირიაში რეჟიმის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, 2016 წლის 22 თებერვალი,* http://bit.ly/2kCiYMs; Al-Monitor, *სირიაში პალესტინელები გაიყვნენ იმის მიხედვით, თუ ვის უჭერენ მხარს, 2015 წლის 31 აგვისტო,* http://almon.co/2i61. სირიის კონფლიქტში პალესტინელთა თემების პოლიტიკური პოზიციის შესახებ იხ. Norwegian Centre for Conflict Resolution, *სირიელთა მოსაზრება სირიის კონფლიქტის შესახებ: პალესტინელ ლტოლვილთა მდგომარეობა სირიაში, დამასკოს სამხრეთით მდებარე ბანაკებში,* 2017 წლის იანვარი, http://bit.ly/2iRY53z, გვ. 2-3. იხ. აგრეთვე, ზემოთ, "პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული" (განყოფილება III.A.1) და "*პირები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეული*" (განყოფილება III.A.3) და მითითებული წყაროები.

[379] 1956 წლის No. 260 კანონის შესაბამისად, პალესტინელი ლტოლვილები, რომლებიც სირიაში ჩავიდნენ 1948-1956 წლებში, განიხილებიან სირიელების თანაბრად (გარდა მოქალაქეობისა და ხმის მიცემის უფლებისა) და ვალდებულნი არიან გაიარონ სავალდებულო სამხედრო სამსახური. 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან, პალესტინელი ლტოლვილები სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდნენ პალესტინის განმანთავისუფლებელ არმიაში (PLA); შერიფა შაფიე, *პალესტინელი ლტოლვილები სირიაში, იძულებითი მიგრაციის მიმოხილვა,* 2013 წლის აგვისტო, http://bit.ly/2kxeaqt, გვ. 4; Arab Center for Research & Policy Studies, *პალესტინელები სირიაში და სირიელთა ამბოხი,* 2012 წლის ოქტომბერი, გვ. 2, http://bit.ly/2yO8vaS. იხ. აგრეთვე,, AGPS, *რეჟიმი პალესტინელებსა და სირიელ პატიმრებს ფრონტზე ერეკება,* 2017 წლის 13 ოქტომბერი, https://shar.es/1PC0z1; AGPS, *ალ-საიქას ძალების წევრი და პალესტინელთა დაჯგუფებები, რომლებიც სირიის რეჟიმთან არიან დაკავშირებული, განაგრძობენ ლტოლვილთა რეკრუტს მათი ბრძოლებში ჩართვის მიზნით,* 2017 წლის 7 ოქტომბერი, https://shar.es/1PC0Sy; AGPS, *ასობით პალესტინელი, რომლებიც სირიიდან არიან, მთავრობის მხარდამჭერ პალესტინის განმათავისუფლებელ არმიაში სამსახურზე უარს ამბობენ,* 2017 წლის 12 ივლისი, https://shar.es/1PCXbD.

[380] AGPS, *მძიმე დაბომბვის შედეგად დერას ბანაკი ნანგრევებად იქცა, ალ-სად როუდი სამხრეთ სირიაში,* 2017 წლის 11 თებერვალი, http://bit.ly/2lB5pAV, გვ. 4-5; AGPS, *ყოველდღიური მოხსენება პალესტინელ ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ სირიაში – 11-09-2016,* 2016 წლის 11 სექტემბერი, http://bit.ly/2l7Sy6f, გვ. 3-4; Middle East Monitor, *რეჟიმის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე პალესტინელი ლტოლვილები ცდილობენ თავიდან*

ზოგიერთ მოხსენებაში ნათქვამია, რომ პალესტინელთა მთავრობის მხარდამჭერები ჯგუფები თავიანთ რიგებში ბავშვების გაწვევას ახდენენ.[381]

> პალესტინელ ლტოლვილებს, რომლებზედაც ვრცელდება 1951 წლის კონვენციის 1D მუხლის დებულებები, შეიძლება *ipso facto* მიეცეთ უფლება ისარგებლონ 1951 წლის კონვენციიდან გამომდინარე უფლებებით, იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიყენება 1951 წლის კონვენციის 1C, 1E ან 1F მუხლები.[382]
>
> პალესტინელთა თავშესაფრის განაცხადები, რომლებზედაც არ ვრცელდება 1D მუხლის დებულებები, განხილული უნდა იქნეს 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის საფუძველზე. ამ დოკუმენტში მოცემული რისკის მახასიათებლები/პროფილები (განყოფილებები III.A.1 - III.A.12) წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოშობის ქვეყნის შესახებ და სახელმძღვანელო მითითებებს უფლების დადგენის შესახებ.

## B. უფლების დადგენა ლტოლვილის ფართო განსაზღვრების საფუძველზე და/ან დაცვის დამატებითი ფორმები

1951 წლის კონვენცია ქმნის ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის სისტემის ქვაკუთხედს. 1951 წლის კონვენციაში მოცემული ლტოლვილის სტატუსის კრიტერიუმები იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, იქნეს აღიარებული და სათანადოდ დაცული ამ დოკუმენტის საფუძველზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავშესაფრის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს 1951 წლის კონვენციის კრიტერიუმებს, მაგალითად, როდესაც დევნის შიში კონვენციით გათვალისწინებული საფუძვლებით არ არის გამოწვეული, ან სხვაგვარად ვერ ხვდება 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებული საფუძლვების ფარგლებში , განხილული უნდა იქნეს ლტოლვილის განსაზღვრების უფრო ფართო კრიტერიუმები, რომლებიც ლტოლვილთა შესახებ რეგიონულ დოკუმენტებში არის ჩამოყალიბებული,[383] ან საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმები,

---

*აირიდონ ჯარში გაწვევა, 2016 წლის 22 თებერვალი,* http://bit.ly/2kCiYMs; AGPS, *სირიელი პალესტინელები – იძულებით გადაადგილებასა და გაუჩინარებას შორის,* 2016, http://bit.ly/2kZEnjH, გვ. 38, 41, 48, 51. იხ. აგრეთვე, ზემოთ, პირები, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სამსახურს ან დეზერტირებული არიან შეიარაღებული ძალებიდან“ (განყოფილება III.A.2) და მითითებული წყაროები.

[381] Palestine Square, *დაკარგული ბავშვობა: პალესტინელი ბავშვი-ჯარისკაცები იარმუკში,* 2015 წლის 21 სექტემბერი, http://bit.ly/2lHY5V2; Jerusalem Fund, *პალესტინელები სირიაში - კრიზისამდე და კრიზისის შემდეგ,* 2015 წლის 22 ივნისი, 22 June 2015, http://bit.ly/2hyDTAg.

[382] იხ. UNHCR, *UNHCR-ის განმარტებითი ჩანაწერი - ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებით 1951 წლის კონვენციის 1D მუხლისა და საერთაშორისო დაცვის მაძიებელი პალესტინელი ლტოლვილების კონტექსტში, ევროკავშირის სკვალიფიკაციო დირექტივის 12(1)(a) მუხლისშესახებ, 2013 წლის მაისი,* http://www.refworld.org/docid/518cb8c84.html.

[383] ლტოლვილის რეგიონული კრიტერიუმებისთვის იხ. აფრიკული ერთობის ორგანიზაცია (Organization of African Unity), *კონვენცია აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების მართვის შესახებ ("OAU Convention"),* 1969 წლის 10 სექტემბერი, 1001 U.N.T.S. 45, http://www.unhcr.org/refworld/docid/3ae6b36018.html; *კართაგენის დეკლარაცია ლტოლვილთა შესახებ; კოლოქვიუმი ცენტრალურ ამერიკაში, მექსიკასა და პანამაში ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ,* 1984 წლის 22 ნოემბერი, http://www.unhcr.org/refworld/docid/3ae6b36ec.html; აზია-აფრიკის იურიდიული კონსულტაციის ორგანიზაცია

მათ შორის - სუბსიდიური დაცვა,[384] ან არგაძევების (*refoulement*) პრინციპიდან გამომდინარე დაცვა, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო ან რეგიონული ნორმებიდან მომდინარეობს.[385]

## C. შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის (IFA/IRA) გამოყენებასთან დაკავშირებული მოსაზრებები

ქვეყნის შიგნით გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის შეფასების დეტალური ანალიტიკური სქემა (IFA/IRA), რომელსაც ზოგჯერ შიდა დაცვის ალტერნატივასაც უწოდებენ, მოცემულია UNHCR-ის სახელმძღვანელო პრიციპებში საერთაშორისო დაცვის შესახებ #4: "შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა" ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის კონტექსტში.[386]

სირიაში საყოველთაოდ გავრცელებული სიტუაციის ფონზე, კერძოდ, მრავალრიცხოვანი და რთული კონფლიქტების, რეგიონში უსაფრთხოების ცვლადი მდგომარეობის, ადამიანის უფლებათა დარღვევების მაღალი დონის და ასევე, სხვადასხვა მონაცემების ან წარმოშობის საფუძველზე ადამიანთა მიმართ არსებული ეჭვების გამო, UNHCR-ი მიიჩნევს, რომ არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფოებმა უარი უთხრან სირიიდან წამოსულ ადამიანებს საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე ქვეყნის შიგნით გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივაზე (IFA/IRA) მითითების საფუძველზე. რელევანტურობის მოთხოვნა არ იქნება დაცული იმ შემთხვევაში, როდესაც შიდა გადაადგილების/განსახლების ადგილზე პირის სიცოცხლეს, უსაფრთხოებას, თავისუფლებას ან ჯანმრთელობას ახალი, სერიოზული ზიანის საფრთხე ემუქრება, ან თუ პირი იქ სერიოზული დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდება, იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა 1951 წლის კონვენციის რომელიმე საფუძველთან კავშირი.[387] თვით გამონაკლის სიტუაციებშიც კი, როდესაც

---

(AALCO), *ბანგკოკის პრინციპები ლტოლვილთა სტატუსისა და მათდამი მოპყრობის შესახებ ('ბანგკოკის პრინციპები')*, 1966 წლის 31 დეკემბერი, http://www.unhcr.org/refworld/docid/3de5f2d52.html.

[384] სუბსიდიური დაცვის შესახებ იხ. ევროპის კავშირი, ევროპის პარლამენტის 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა *2011/95/EU მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის განსაზღვრის სტანდარტები - საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარად აღიარებისთვის, ლტოლვილთა ერთიანი სტატუსის დადგენის, ან სუბსიდიური დაცვის განსაზღვრისთვის და მინიჭებული დაცვის შინაარსის დადგენისთვის (გადამუშავებული), 2011 წლის 20 დეკემბერი,* OJ L. 337/9-337/26; 20.12.2011, 2011/95/EU, http://www.refworld.org/docid/4f197df02.html.

[386] როგორიცაა, კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის შესახებ, 1984 წლის 10 დეკემბერი, http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CAT.aspx; *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966 წლის 16 დეკემბერი,* http://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx; ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ, როგორც არის შესწორებული მე-11 და მე-15 პროტოკოლებში, 4 ნოემბერი 1950, ETS 5, http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf.

[386] UNHCR, *GIP No. 4: "შიდა გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა"*, 2003 წლის 23 ივლისი, http://www.refworld.org/docid/3f2791a44.html.

[387] იქვე, პარ. 20. იხ. აგრეთვე, ზემოთ, "*ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები*" (განყოფილება II.C) და მითითებული წყაროები.

რელევანტურობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, გონივრულობის მოთხოვნა აფერხებს ქვეყნის შიგნით გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივის (IFA/IRA) გამოყენებას, იმ გაჭირვების გამო, რომლის წინაშეც სირიელები დგანან, მაგალითად როგორიცაა: თვითგადარჩენისთვის ელემენტარული საშუალებების მოპოვების სირთულე,ფართომასშტაბური და მკაცრი ჰუმანიტარული კრიზისი, სახლებისა და საბაზისო ინფრასტრუქტურის მასიური განადგურება და ქვეყნის შიგნით მასიური გადაადგილება, რამაც სირიაში 6,3 მილიონზე მეტი პირი დევნილად აქცია[388]

## D. გამორიცხვის საფუძვლები

სირიის მოქალაქეთა ან იქ მუდმივად მცხოვრებ პირებს შორის, რომლებიც საერთაშორისო დაცვას ითხოვენ, შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ასოცირდებიან ისეთ ქმედებებთან, რომლებიც ხვდება 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამორიცხვის დებულებათა ფარგლებში.[389] გამორიცხვის საფუძვლების განხილვა იმ შემთხვევებში იწყება, როდესაც განმცხადებელს შესაძლებელია მონაწილეობა მიეღო ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების ფაქტებში, კერძოდ, კონფლიქტის დაწყების დღიდან (2011 წლის მარტიდან) განხორციელებულ აქტებში: სამოქალაქო პირებზე უკანონო თავდასხმები, სკოლებსა და საავადმყოფოებზე თავდასხმები, კულტურული და რელიგიური ძეგლების განადგურება, მკვლელობების, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები, გატაცება, ტყვედ აყვანა, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები, ბავშვთა იძულებითი გადაადგილების, მათი რეკრუტირება და გამოყენება.[390] გამორიცხვის საფუძვლები იმ განმცხადებელთა მიმართაც შეიძლება იქნეს განხილული , რომლებიც შესაძლოა 2011 წლის მარტამდე მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევების ან სხვა სახის ქმედებებში, რომლებიც ხვდება 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამორიცხვის დებულებათა ფარგლებში.[391] ყოველი ასეთი შემთხვევის დროს ყურადღებით უნდა იქნეს განხილული პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი ისეთ დანაშაულში, რომელმაც შეიძლება წარმოშვას ლტოლვილის საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვის საკითხი,. ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის გამორიცხვიდან გამომდინარე სერიოზული

---

388 იხ. ზემოთ, "*იძულებითი გადაადგილება და დაბრუნება*" (განყოფილება II.D) და "*ჰუმანიტარული სიტუაცია*" (განყოფილება II.E) და მითითებული წყაროები.

389 UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 5: გამორიცხვის დებულებათა გამოყენება: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი,* 2003 წლის 4 სექტემბერი, HCR/GIP/03/05, http://www.unhcr.org/refworld/docid/3f5857684.html.

390 მოხსენებების თანახმად, ადამიანის უფლებათა დარღვევებისა (2011 წლამდე და მას შემდეგ) და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების შემთხვევები (2012 წლის ივლისის მდგომარეობით) კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარეს ხდება. იხ. ზემოთ, „ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები" (განყოფილება II.C) და მასთან დაკავშირებული მითითება სათანადო წყაროებზე.

391 იხ. მაგ., ამნესტი ინტერნეიშენალის წლიური მოხსენება სირიის შესახებ 2011 და უფრო ადრეული წლების, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,AMNESTY,ANNUALREPORT,SYR,,,0.html და მოხსენება სირიის შესახებ, რომელიც ჩართულია HRW-ის მსოფლიო ანგარიში 2011 და წინა წლებისთვის, ხელმისაწვდომია ვებვერდზე: http://www.refworld.org/publisher,HRW,COUNTRYREP,SYR,,,0.html.

შედეგების გათვალისწინებით, გამორიცხვის დებულებები ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული. შეიარაღებულ დაპირისპირებებში მონაწილეობა, როგორც ასეთი, გამორიცხვის საფუძველი არ არის. ანალოგიურად, იმ ჯგუფის ან ორგანიზაციის, რომელთაც განახორციელეს 1951 წლის კონვენციის 1F მუხლში გათვალისწინებული ქმედება, უბრალო წევრობა, ასეთი გამორიცხვის დადგენისთვის საკმარისი არ არის. ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე აუცილებელია გარემოებათა სრული შეფასება.[392]

## IV. მორატორიუმი იძულებით დაბრუნებაზე

ვინაიდან, არსებული ინფორმაციის თანახმად, ერთი ან რამდენიმე კონფლიქტი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, სირიის ყველა კუთხეს შეეხო, UNHCR-ი სახელმწიფოების მოუწოდებს არ დააბრუნონ იძულებით სირიის მოქალაქეები და სირიაში მუდმივად მცხოვრები პირები, პალესტინელი ლტოლვილების ჩათვლით. UNHCR-ი ასევე მიიჩნევს, რომ, ზოგადად, მიზანშეწონილი არ არის სირიის მოქალაქეთა ან იქ მუდმივად მცხოვრებ პირთა კონფლიქტის რეგიონში - მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებში გაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შეთანხმება, რომელიც უზრუნველყობს აღნიშნული პირების მიღებას დანიშნულების ქვეყნების მიერ და ამასთანავე, ისინი შეძლებენ მომავალში საერთაშორისო დაცვით სარგებლობას .[393] მიმღებ ქვეყანაზეა დამოკიდებული მიიღებს თუ არა იგი გაბრუნებულ პირს, ან შესაძლებელია ასეთი დაბრუნება არ იყოს უსაფრთხო კონკრეტული პირისთვის და მისი (კონკრეტული) საჭიროებები ვერ დააკმაყოფილოს.

სირიაში ფართოდ გავრცელებული პირობების ფონზე, UNHCR-ი ვერც რეკომენდაციას გაუწევს და ვერც ხელს შეუწყობს მასპინძელი ქვეყნებიდან ლტოლვილთა გაბრუნებას. იმ დროს როცა, UNHCR-ი დგამს გარკვეულ ნაბიჯებს მეზობელი ქვეყნებიდან სირიაში სპონტანურად დაბრუნებული მოქალაქეების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და სანამ ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის აუცილებელი უსაფრთხო და ღირსეული პირობები არ შეიქმნება, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მიმღებმა ქვეყნებმა უზრუნველყონ სირიელი ლტოლვილებისა და სირიაში მუდმივად მცხოვრები

[392] ზოგ შემთხვევაში, გამორიცხვის საფუძვლისთვის პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დადგინდეს, იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ ძალადობრივი ჯგუფის წევრობა ან მის მოქმედებებში მონაწილეობა ნებაყოფლობითი ხასიათის იყო. 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის განმარტებისა და გამოყენების შესახებ დეტალური მითითებები იხ. UNHCR, *სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 5: გამორიცხვის დებულებების გამოყენება: ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის მუხლი 1F*, HCR/GIP/03/05, 2003 წლის 4 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/3f5857684.html; და საინფორმაციო სტატია დებულებათა გამოყენების შესახებ: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის *1F* მუხლი, 2003 წლის 4 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/3f5857d24.html.

[393] იხ. UNHCR, *სამართლებრივი მოსაზრებები თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა საბერძნეთიდან თურქეთში დაბრუნების შესახებ, როგორც ნაწილი ევროკავშირსა და თურქეთს შორის თანამშრომლობისა მიგრაციის კრიზისის რეგულირების სფეროში, უსაფრთხო მესამე ქვეყნისა და თავშესაფრის პირველი ქვეყნის კონცეფციის გამოყენებით,* 2016 წლის 23 მარტი, http://www.refworld.org/docid/56f3ee3f4.html.

პირებისთვის  უსაფრთხო სივრცის შენარჩუნება, რათა მათ მოახერხონ იქ გაჩერება და საკუთარი უფლებებით სარგებლობა. [394]

[394] UNHCR, *UNHCR-ი აფიქსირებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ხშირ ფაქტებს, სირიის მიმდინარე კონფლიქტის ფონზე,* 2017 წლის 30 ივნისი,  http://www.refworld.org/docid/59562de64.html. იხ. აგრეთვე, "*იძულებითი გადაადგილება და დაბრუნება*" (განყოფილება II.D) და მითითებული წყაროები.